ISSN 0132–6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

1

გილოცავთ ახალ წელს! 1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქროს ვენახი

უქრობი შუქით შემოსილს გხედავ,
შენი მზის ჩასვლა ნუმც დამენახოს,
ჩემი ოცნების სატრფოვ და დედავ,
ჩემი ცხოვრების ოქროს ვენახო.

მზეც მიყვარს, ჩრდილიც ამ მთაგორების,
მდინარეების ჩქარი დინებაც,
ჩემი სიმღერის და შთაგონების
შენ ხარ ფესვიც და დაგვირგვინებაც.

შენ ჩემთვის მზე ხარ ამომავალი,
სულის სიმაღლევ, გულის ნათელო,
არის ლამაზი მხარე მრავალი,
მაგრამ არ არის სხვა საქართველო.

და როცა კრძალვით შენს ქებას ვბედავ,
გულის ძაფებს მსურს ხელი შევახო,
ჩემი ოცნების სატრფოვ და დედავ,
ჩემი ცხოვრების ოქროს ვენახო!

ირაკლი აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

272

გამოცემის ოცდამესამე წელი

1

იანვარი

1980

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

3. მშვიდობით მოხველ, ახალო წელო!

მხოლოდ ერთი ლექსი

5. კარლო კალაძე. შოთა ნიშნიანიძე. ჯანსუღ ჩარკვიანი. ზაურ ბოლქვაძე. დილარ ივარდავა. გრიგოლ ჯულუხიძე

პროზა და პოეზია

10. რევაზ ინანიშვილი — რთველი. მოთხრობა
14. ანა კალანდაძე — ლექსები
17. ოთარ ჩხეიძე — ორი ეტიუდი
24. გივი გეგეჭკორი — ლექსები
32. ჯემალ ქარჩხაძე — დრო. მოთხრობა
48. მიხეილ ქვლივიძე — ლექსები
51. დავით ჯავახიშვილი — ხვალ... მოთხრობა
67. თამაზ ბაძაღუა — ლექსები

ახალი სახელები

70. ლამარა ლონდაძე — მოთხრობები
81. ლაშა ზვარელი — ნოველები

88. ლევან სანიკიძე — უქარქაშო ხმლები. წიგნი მეოთხე.
108. ქართველები ბამზე. ფოტორეპორტაჟი სპარტაკ ჯანიაშვილისა

ნარკვევი

111. ჰენრი კობიძე — კავკასიონი გულს იხსნის

მშვიდობის წიგნი

115. რევაზ ბრძელიძე — ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დაუშრეტელი წყარო

წერილები

123. თეიმურაზ ბერიძე — ქალაქის შემოგარენში მდებარე სამეფო რეზიდენციათა ისტორიიდან
134. გოჩა ჯაფარიძე — ახალი არაბული წყარო XIII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის

რუსთაველის ნაკვალევზე

139. ალექსი ჭინჭარაული — „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან
141. ვახტანგ კუპრავა — ერთი აფორიზმის სწორი გაგებისათვის

ხელოვნება

144. იდა ოცხელი — გივი თოიძე
147. კარლო კობერიძე — ფიქრები საგამოფენო დარბაზში

პირველი შთაბეჭდილება

151. ალუდა არაბული — მშვენიერი უბრალოება
152. ლერი ალიმონაკი — ახალი ინდოეთის მოაზროვნეები
154. ვახტანგ ხარჩილავა — საიმედო ნაბიჯები

სატირა, იუმორი, პაროდია

156. ტია-ტია. საახალწლო სუფრასთან

მთავარი რედაქტორი
მორის ფოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
რისმაგ გორდეზიანი,
გიორგი გუბლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ედუარდ მენაბდე,
იოსებ ორჯონიკიძე,
ოტია პაჭკორია
(მთ. რედაქტორის
მოადგილე),
გურამ ფანჯიკიძე,
ნუგზარ შატაიძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
გივი ძნელაძე,
ნუგზარ წერეთელი,
თამაზ წივწივაძე,
ტარიელ ჭანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშვიდობით მოხველ, ახალო წელო!

უსაზღვრო სურვილებითა და იმედებით, მღელვარებითა და მძაფრი ცნობისწადილით გელოდა მთელი ჩვენი მხცოვანი და მარად ახალგაზრდა დედამიწა, მთელი ჩვენი საბჭოთა ქვეყანა, ჩვენი საქართველო, თითოეული ოჯახი თუ ადამიანი. გელოდით ყველა: დიდი თუ პატარა, გლეხი და მუშა, პოეტი და გუთნისდედა, მშენებელი და მეცნიერი. სიკეთით გელოდით, გელოდით ავსებული ბეღლებითა და მარნებით, ნასათუთევი, ნაამაგარი დოვლათითა და ჭირნახულით...

და აჰა, სიხარულის თენებად მობრძანდი შენ, ახალო წელო! ლხინით და ბარაქით მობრძანდი, ახალ-ახალ ოცნებათა ასასრულებლად. და თითოეულმა ჩვენთაგანმა უცნაური, მარადიულობასთან შერწყმული სიხარულით გამოვიყვანეთ ქაღალდზე ახალი თარიღი — 1980 წელი. მანამდე კი სიამაყით, თავმოწონებით გადავავლეთ გონების თვალი გასულ, 1979 წელს. უკვე ჩავლილ და ისტორიის კუთვნილებად ქცეულ, შრომისა და გარჯის, შემოქმედებითი წვითა და თავდადებით გაჯერებულ მარად მოსაგონარ დღეებს, საათებს, წუთებს...

მოსაგონარი და საამაყო კი მართლაც რამდენი რამ გვაქვს...

1979 — ბავშვთა საერთაშორისო წელი; სწორედ ამ წელს მიმართა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მთელ კაცობრიობას: „მშვიდობა ეს არის ბავშვთა ბედნიერება“.

მარად დაუვიწყარი იქნება 1979 წელი საქართველოსთვის. ჯერ მარტო ქართველ მევენახეთა რაინდული შრომა და გარჯა გავიხსენოთ, მეჩაიეთა არნახული მოსავალი მოვიგონოთ, მეციტრუსეთა ოქროსფერ დოვლათს გადავავლოთ თვალი. ახლა ცამდე აზიდული კორპუსები ვნახოთ, ლარივით გაჭიმული გზები; რამდენი შესანიშნავი სურათი დაგახვედრეთ, რამდენი სუნთქვის შემკვრელი სტრიქონი დაიწერა, რამდენი ახალი კინოფილმი გამოვიდა, ახლა გასული წლის სპექტაკლები ნახე, მსოფლიო რომ შეძრა და აალაპარაკა, ქართველ სპორტსმენთა მიღწევებიც გაიხსენე, ენგურზე წადი, ჟინვალს დახედე, თბილისითა და თბილისქალაქობით გაიხარე, — აღდგენილი ძველი თბილისით, მთლად მოიარე განახლებული საქართველო, ქართულ ფოლადსაც მოუსინჯე რვალი და სიმტკიცე და მაშინ დარწმუნდები, საამაყო და მოსაგონარი ჭეშმარიტად რომ გვქონია.

დიახ! შრომით, თავდადებით, რუდუნებით იკვერებოდა 1979 წლის თითოეული დღე, საათი, წუთი... მერედა, რამდენი ჯილდო მოვიმკეთ, ჯერ მარტო ქართველი ახალგაზრდების თავდადება რად ღირს, ლენინის ორდენით რომ შეამკეს საქართველოს კომკავშირის დიდებული სახელი. რომელი ერთი ჩამოვთვალო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელოდით, სიხარულით გელოდით. თავდადებული შრომის, მაღალი ზნეობის, კაცთმოყვარეობის და მშვიდობისათვის ბრძოლის ერთ მთლიან წიგნად აიკინძა მთელი ჩვენი საქმიანობა!.

და, აჰა, მობრძანდი შენ, ლხინით და ბარაქით, ახალ-ახალ ზღუდეთა დასაძლევად, უფრო და უფრო მაღალი სიმაღლეების დასალაშქრად, მეტი და მეტი ქორწილებისა და ძეობების გადასახდელად, საუკეთესოს აღსაშენებლად, ვერმიღწეულის მისაღწევად, ლხინად და დოვლათად მოდი, ახალო წელო! მშვიდობად მოხველ!

ლოცვა და კურთხევა მოუტანე მთელს დედამიწას, ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს, საქართველოს, დიდსა თუ პატარას. მთელ კაცობრიობას!

სიხარული და ახალ-ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები მოუტანე „ცისკრის“ მკითხველებს!

დიდება შენ, ახალო, 1980 წელო, — ჭირნახულისა და ბარაქის საწყაულად ავსებულიყავ!

მშვიდობად მოხველ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ერთი ლექსი

კარლო კალაძე

პოეტი ესაუბრება ჟურნალ „ცისკრის“ კორესპონდენტს დღეს, ათას ცხრაას ოთხმოცი წლის დამდეგს

მოსულა ცისკრის კორესპონდენტი,
რომ არ ველოდი აქ, სწორედ მაშინ.
„მაშ“ — ამბობს ცისკრის
კორესპონდენტი
და უთამაშებს სილაღე ხმაში:
„მაშ, საახალწლოდ რას გვეტყვით
ახალს“
და უმალ დასძენს: — „მამავ,
ბატონო...“
მამად ვეკუთვნი მართლაც მე ამ
ქალს,
მკერდს ძლივს მომწვდება, რომ
დამატოლონ.
და ვერ ვაჩერებ ჩუმი დასტურით,
იმავდროს, როცა მე მაყურადებს —
წვდება სიმკვირცხლით
ახალგაზრდულით
გალიის ჩიტებს, წიგნებს, სურათებს...
სჩანს, რომ წინასწარ უკვე მზად იყო
სურათებზშორის მეც მიველურსმე.
ჩემი პორტრეტი უცებ გადიღო.
ჩამწერა უბის-წიგნაკში, ვუსმენ.
უკვირს, რომ ჩემი თახჩა და თარო
წიქარა ხარის რქებით ხავსეა.
— ჩემს დღეებს სხვა რამ რა
შევადარო,
ეგ, განვლილ დღეთა სილამაზეა!

კორესპონდენტი: (მიღიმის) — ახლაც
ხნულს რქით გაიტანს ალბათ ის
ხარი...
— და მავიწყდება დარდივით
დაღლაც
როცა თავს მადგას აგრე ცისკარი.
მეც ამ წლისა ვარ, ჩვენში რომ
ითქვას,
ვწერ და ამ წერით განა ვერთობი—
რა განმაახლებს თუ ქართულ
სიტყვას
ჩემი სიცოცხლით არ მივენდობი!
სიჭაბუკეა კვლავაც სიახლის
და კვლავაც სიტყვის
გამომჩარხველი —
ის ახალ დღეებს გულ-მკერდს
შეახლის
ცას რომ არ შერჩეს ღრუბლად
ნაღველი!
ამწუთშიც მხარში ვუდგევარ
წარსულს,
როცა პწკარს ახალს აგრე ვაშენებ,
მაგრამ თუ წარსულს სიცოცხლე არ
სურს—
ძველსა და ახალს ვერ გავაშველებ!
დიახაც შესცვლის ახალს ახალი,
ის კვდება, ძველით რაც დაიჩრდილა.
და თაობების ქედი მაღალი
იქაა, სადაც თვით ჩვენი დილა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუნდ ომი ერქვას და თუნდ
მშვიდობა —
მე კვლავ მერმისის სანგრებში
ვრჩები:
მტრად ვთვლი, სილაღე ვინც
დამითოფა,
მაგრამ სიმუნჯეც მტერია ჩემი!
კვლავ გამარჯვებას ვულოცავ
ყველას,
ისე ვით ერთდროს შინ
დაბრუნებას.
ჩახმახს ვუკოცნი ჩემს მაჭახელას,
ჩემს სიჭაბუკეს და ჩემს ბუნებას!
სანამ ჭაბუკი იქნება, სანამ
ლექსს ჩემი ლექსის თქმა
დაშვენდება—
ცისკრის ამოსვლას ვუმიზნებთ
სალამს,
ჩვენი ახალი წელი თენდება!
წელს ვინ ჩამითვლის წელს
დასასრულად
სიცოცხლეს ვიწყებ, განა გავთავდი!
სამას სამოცდახუთი დღის სურათს
დავხატავ ისე — როგორც ვხატავდი.
მე, ჩემი ძველი კერის ერთგული
და მერმე მომხწრე მტრის
გამხეცების—
დღეს იქ ვარ, სადაც მტკვარი,
ენგური
და დიდი შუქისფრქვევა
ჰესების!
სიახლე მუდამ ბრწყინვაა ცისკრის
და ახალ-ახალ ძალთა დანდობა —
დაუცხრომელი ფეთქვაა სისხლის
ცოცხლობს და ჰქვია ახალგაზრდობა!

შოთა ნიშნიანიძე

ბალადა ტალღებზე

იდგა ორმოცდაორი სისხლიანი ღერბივით,
ბათუმს შემოსეოდა ტალღები აღრენილი...
ტალღები აფოფრილი...
დამსხვრეული ტალღები...

ბაზარში მოთარეშე და ლუდხანებს მიფშვნილი
ტალღებს თოლიებივით ესეოდნენ ბალღები
მხიარული ძახილით და „პალუნდრას“ ყიჟინით.

არაყს სვამდნენ ტალღები, არაყს სვამდნენ ქილებით,
ნერვებდაფლეთილები...
დაჭრილ-დაჩეხილები...

და ქამრების წუილით,
ყავარჯნების შხუილით
ირჩეოდა დახლებთან ფრონტის მართალ-ტყუილი.

მკაცრი იყო პატრული,
მაგრამ ანაზდეულად,
იარაღშემართულიც
ბევრჯერ უკუქცეულა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარბაცებდნენ ტალღები გიტარით და გარმონით,
ტალღებივით ქშუოდა ბათუმის გარემონი.

და ცეკვავდა, ხტუნავდა ტალღა გიტარიანი,
„Эх яблоко"-ს ბუქნავდა ტალღა სვირინგიანი,
ტალღა ყავარჯნიანი,
ტალღა ხისფეხიანი,
მთლად უფეხოც, უხელოც, მაგრამ ომახიანი.
შავი ზღვა კი გრგვინავდა, ხმელეთზე გადავლილი,
„За Родину"-ს ღმუილით,
„За Сталина"-ს ბღავილით.

ჰე, საზღვაო დიდებავ, სხვა ვინ შეძლებს შენოდენს,
შენი დაზრდილი მგლები სახიჩარნიც გშვენოდნენ,
თუ კვდებოდნენ —
იცოდე—
მეცხრე
ტალღად
კვდებოდნენ...

ჯანსუღ ჩარკვიანი

მ ე ც ხ რ ე

„ბაზალეთის ტბის" კითხვისას

ცხრა სიგრძითა და ცხრა განით
ქართველი გახლავთ ცხრაგვარი...

აქედან, რვა გავს ერთმანეთს,
რვავე გაჭრილი ვაშლივით,
ერთნაირი აქვთ სიმთვრალეც,
სუფრაც ერთი აქვთ გაშლილი.

ერთი, — დაღლილი ქართველი,
მეორე კიდე — პრანჭია,
მესამე, — თუმცა ჯანმრთელი,
შემკრთალი, როგორც ბაჭია.

მეოთხე, არასმქონები,
მაინც ლოთი და ხმაურა,
მეხუთე, ცხოვრობს გონებით,
ებრძვის აკაკის ღამურას.
მეექვსე, სიამოვნებით
მისდევს ღრუბელთა მარულას.

მეშვიდე, ჩუმად რომ არის
კაცს იმ სიჩუმით აგიჟებს,
მერვე, მეცხრე ცას მჯდომარი —
ყველაფერს ფასად დაგიჯენს.

რვაივე შერცხვეს სათემოს,
უღელი მეცხრეს აცალეთ,
გიყურებ, მეცხრე ქართველო,
გამოჩნდი, შენ გენაცვალე.

1979 წლის 29 ივნისი.

ზაურ ბოლქვაძე

ვედრება

დაკაწრული მაქვს
ტანი კრწანისით!..
წამალი თუ გაქვთ
ვინმეს, წამისვით!..

დილარ ივარდავა

კვლავაც და კვლავაც!..

არა იმიტომ,
როჩ ავყვეთ მოდას —
ავყვეთ ცდუნებას, არ გვესმის რაიც—
თუ მეტყვით ახლა,
რა დარდი ჰქონდათ:
იმ აინშტაინს,
ლანდაუს,
რაიტს.
არკვევდნენ...
კმარა!
იცის არავინ,
რასაც ეძებდნენ, ის თუ იპოვეს —
დაფარული და დაუფარავი,
რა,
რა გაანდეს გულით სტრიქონებს?!
ასე რამდენი საარვისოა,
არავინ იცის, კიდევ რამდენი, —
ერთი ცხადია, კაცი ღვთის როა,
სევდაც უხდება, როგორც ვარდები.
და... დადიოდნენ დიდი ბავშვები,
მაინც რაღაცით გულდაწყვეტილნი,
იტყოდნენ:
— ღვთიურს ვეთამაშებით,
მაგრამ გვტანჯავსო მრავალწერტილი.
იტყოდნენ:
— წვდომა და განსჯა მაინც
ზღვის ტალღებივით უკაფი ჯგროა!—
...იმ აინშტაინს,
ლანდაუს,
რაიტს
სულ სხვანაირად შევხედოთ, დროა!
სადაც გონების ისმის გალობა,
სტვენს უკმარობაც —
ჩიტი პაწია, —
თუ ადამის ძის შთამომავლობამ
შუქი ნათლისა გულით ასწია, —
დანაფოტდება ღამე, ვით მორი
და იციაგებს ზეცის ვენები, —
თუკი კითხულობს შექსპირს ნილს
ბორი,—
გვჯეროდეს მაშინ აღმოჩენების.

გრიგოლ ჯულუხიძე

მე გამოვექეც სიზმრების სოფელს

მე გამოვექეც სიზმრების სოფელს
და გზებზე დაყრილ
იმედს ვაგროვებ...
ჩემი ნადავლი,
ბატონებო,
თქვენი ცრემლია,
უკანასკნელად თვალს რომ მოგწყდათ
და მიატოვეთ.
ქალბატონებო,
ეს ნადავლი თქვენი ცეცხლია,
პირველ საწოლთან,
პირველ გრძნობით ჩანავლებული...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ფერებია თქვენი თმების,
თქვენი ტუჩების...
ქიმიკატების მდინარემ რომ
გადაგიშალათ.
ეს სახვალიოდ გადამალულ
ხმლების ელვაა,
თავდავიწყების ბრძოლის ხსოვნა,
სხივი — ფიორი,
ჩემი ნადავლი ის სევდაა
თქვენ რომ გაეცით,
თქვენ რომ დაკარგეთ
ის ნდობაა
ჩემი ნადავლი.

მე გამოვექეც სიზმრების სოფელს
და გზებზე დაყრილ იმედებით
ქალაქს ვაშენებ.
თქვენ შემოდიხართ ამ ქალაქში
როგორც სტუმრები,
სხდებით ცრემლების შადრევნებთან,
სევდის ბაღებთან
და გრძნობა გიპყრობთ —
ეს ქალაქი თითქოს გინახავთ,
მაგრამ
სად?
როდის?
ვეღარაფრით ვეღარ იხსენებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რევაზ ინანიშვილი

რთველი

აბიწერ რთველს, თანაც დიდი სიამოვნებით, სულ ღიმილ-ღიმილით.

ნათელას ძმა ჰყავს, მთელი ცხრა წლით უმცროსი, ჯარიდან ახალდაბრუნებული შავგვრემანი ჟერარ ფილიპი. თითებს ვერ შეუყრი ზემოთაწეულ დაბალ მკვრივ თმაში. ერთთავად (ხომ ძალიან სწორად ვშეტყველებ?), ერთთავად თვალებს გარიდებს, მორცხვად იღიმება. რასაც უნდა იღებდეს ძირიდან, ისე იხრება, თითქოს დასწვდება იმ რაღაცას და ჭახანით გასტყორცნის დასაკარგავში.

რომ ჩამოვედით, მაშინვე მარანში შემიყვანეს — ძველებურ, დედაბოძიან, აგურმოგებულ გრილ მარანში. ის ჟერარ ფილიპი (ნამდვილი სახელი ზურაბი ჰქვია, მაგრამ შენ იცი, რომ მე ამ სახელის წარმოთქმა არ მეხალისება) ქვევრში დაგვხვდა, ქვევრისა და სანთლის მოწითალო შუქით განათებული. საცურაო ლურჯი ტრუსის მეტი არაფერი ეცვა. მარცხენა ხელით ყურიანი პატარა ტაფა და ანთებული წმინდა სანთელი ეჭირა, მარჯვენით — ბოლოზე ძონძდახვეული ჯოხი, ის მარჯვენა ოდნავ მაღლა ჰქონდა აწეული, მლოცველივით იყო ჩაღუნული თუ ჩამუხლული და ქვევრს ხიზავდა. ხიზვა რა არის, შენ არ გეცოდინება. თხის ქონში მოადუღებენ საცერში გაცრილ სუფთა ნაცარს, მოადუღებენ კარგად, და ისევე, ცხელ-ცხელს, ძონძდახვეული ჯოხით წაუსვამენ ქვევრის საეჭვო ბზარებს და ნაკენჭრებს. ამას მიხვდები, რატომაც. ღვინო რომ არ გაუვიდეს. ამოგვხედა სანთლის შუქზე კეთილი ღიმილით იმ შავგვრემანმა ჟერარ ფილიპმა, ნათელა პატარასავით მიეფერა, — გენაცვალე, გენაცვალეო, — ჟერარ ფილიპს შერცხვა, მხრები ისე აათამაშა, თითქოს ცივი წვეთები დასცემოდეს, — ბუდეში მოფუტფუტე ბარტყებივით უთრთოდა კუნთები, — ახლოს მიიტანა ხელები და საჯე ქვევრის მოწითალო ფერდთან და თავისი საქმე განაგრძო.

მე ვიდექი, უცებ გადმოსული ყვითლად კაშკაშა მზიდან მარნის სიბნელეში, ვიყურებოდი აქეთ-იქით და სიცივესავით ჟრუანტელი მივლიდა ტანში. მეჩვენებოდა, რომ წარმართებსავით ხალხში ვიყავი, ის ვეება ქვევრიც, იქიდან ამომავალი ღვინისა და წმინდა სანთლის სუნიც, ის შიშველი ბიჭიც შორეულ წარსულში იყო და რაღაც საკრალური ცერემონიალი სრულდებოდა. ამ შთაბეჭდილებას კიდევ ის აძლიერებდა, რომ თახჩები გამოვსებული იყო სხვადასხვა ზომის შავფერი დოქებით, შებოლილივით კედლებზე ეკიდა ძველებური ხელსაწყოები: კავები, ხაპირები, სარცხები, სარევები, ცელები, ხერხი, მუხის დედაბოძსა და თავხეზე გამოხატული იყო ხარებისა თუ ძროხების მწკრივი; ღია კარში, პრიალა სინათლეში, იდგა დიდი წითელი მამალი, — ყიყლიყოო, — იმ მამალმა, თითქოს ჩემი დანახვა გაჰკვირვებოდეს, ქვევრმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმა მისცა, ჩვენ ხარხარი აგვიტყდა და მერე ყველაფერს ამ შთაბეჭდილების ბურუსიდან ვუყურებდი.

საყურებელი კი რამდენი რამ იყო!

მოვიდა ნათელას მამა, ისიც კაი ჯაგარა კაცი, ღონიერი და მოძრავი. ჩვენ რომ ჩვენს თავს ვუმასპინძლდებოდით, მე და ნათელა, მამამ და შვილმა ქერარ ფილიპმა, სხვენიდან ჩამოზიდეს გოდრები, — დიდები, დაძველებულები, თითოში რომ თითო კაცი ჩაეტევა თავისუფლად. დააპირქვავეს ბებერი თუთისა და ლამაზად ასული თივის ბულულის წინ, აიღეს მოკლე ხელკეტები და დაუწყეს იმ გოდრებს ცემა. თუ რამ მტვერი ჰქონდა, ჯერ კეტებით დააყრევინეს, მერე წყალი გადაავლეს და იმით ჩამორეცხეს.

საღამოს ნათელას მამამ თხა მოიყვანა, გრძელწვერა, დიდრქებიანი, თვალებდაელმებული, ისიც რაღაცით წარმართული შესახედაობისა, წარმართულად თავდაღუნული და გაჯიუტებული. მიაბეს თუთაზე, — ხვალ უნდა დაიკლასო. ისე იყო ფეხებგაბიჯგული და ისე აცმაცურებდა ტუჩებს, თითქოს იცოდა, რასაც უპირებდნენ, და ჯადოქრულ ლოცვებს იმეორებდა.

მოვიდნენ ნახირიდან მშვიდი ძროხა და ლამაზი დეკეული. იჯდა მურა ძაღლი თივის ბულულის გვერდზე და კმაყოფილი იყურებოდა. რომ შეღამდა, თუთაზე მოფრინდა ჭოტი. აივანზე ვვახშმობდით, ნათელას დედამ სიამაყით დააწყო მაგიდაზე მკლავის სიგრძე შოთები, ნათელას მამამ გრძელ-გრძელ ნაჭრებად დაჭრა თუშური ყველი, შეავსო ჭიქები, ილოცებოდა სულ ღიმილით, ჭოტი კი იჯდა თუთაზე და იძახდა თავისთვის, — ჭოოტ! ჭოოტ!

ზურაბს სუფრის აშლისთვის აღარ დაუცდია, გამოიტანა ორლულიანი თოფი, მხარზე გადაიკიდა, დაგვემშვიდობა მორიდებული ბავშვის ღიმილით და წავიდა ვენახში, ვენახისთვის უნდა ეყარაულა თივის ბულულში მიწოლილს. ვიცი, რომ სულელად მთვლი, მაგრამ მე მაინც მომეჩვენა, რომ ვენახში სხვა რამისთვის მიდიოდა. მივიდოდა, დაჯდებოდა, დაიწყებდა ნელინელ სტვენას, გამოვიდოდა სიბნელიდან გალუდლუდებული, კბილებგანათებული ალი, დაუჯდებოდა მუხლებზე და მთელ ღამეს გაატარებდნენ ღონიერ ალერსში.

მე და ნათელა აივანზე დავწექით, განაპირა კოჭზე დაკიდებული რქაწითლის ჯაგნების ქვეშ. მოწმენდილ ცაზე ამოვიდა მთვარე. ახლა მთვარეც იყო, ჭოტიც იძახდა, ძროხაც ფშვინავდა მშვიდად, ფოთოლი არ ტოკავდა ხეებზე და მაინც არ მეძინებოდა და არ მეძინებოდა. იყივლეს მამლებმა, კიდევ იყივლეს და მაშინ ძლივს ჩამეძინა.

რომ გამეღვიძა, პირი თითქოს ახალი დაბანილი მქონდა. ისე ციოდა, საკუთარ გამონაორთქლს ვხედავდით. მე თბილი არაფერი მქონდა წაღებული, ნათელას სვიტერი ჩავიცვი დიდი წვალებით. ნათელა მიყურებდა და ბჟირდებოდა სიცილით.

ნათელას მამას და ზურაბს, ქერარ ფილიპს, თხა დაეკლათ, თუთის ტოტზე ჩამოეკიდათ თავდაღმა და უკვე ჩამოეტყავებინათ კიდეც. ნათელას დედას შიგნეულობით სავსე ჯამი მოეჭქონდა. ზურაბი ტაბურეტზე იდგა და თხის რქებს თუთაზე აჭედებდა ლურსმნებით — ეგ რაღად-მეთქი ეგრე? — ისე, — ჩვეულებრივი სიმორცხვით გაეღიმა ზურაბს. მიაჭედა, ახლა ქვემოდან უყურებდა. ძროხა და დეკეული ნახირში წასულიყვნენ. ძაღლი წითელ ძვალს აწვალებდა.

— ეხლა ქვაბი და კარგი ცეცხლიღა, — თქვა რაღაც ჩათქმული ღიმილით ნათელას მამამ, — ქვაბი, ბლომად ხახვი, ბლომად წიწაკა, მერე კარგი ღვინო და...

ნათელა რატომღაც აიმრიზა. მე ვანიშნე, — რას ნიშნავდა მისი ეს ამრეზა? ცოტაზე წამიყვანა და იქ მითხრა, იმანაც ღიმილით, — თხის ხორცი თუ-

რევაზ ინანიშვილი
რთველი

რმე ძალიან კარგად მოქმედებს ქალ-კაცურ ურთიერთობაზე. ო, ეს მთვლემარე კახელები! რა ღიმილს გაჰფენენ ხოლმე, როგორც კი ასეთ რამეს სულ ცოტა მანძილზე მიუახლოვდებიან! ზურაბი ისეთი ხალისით მოძრაობდა, დავრწმუნდი, ჩემი გუმანი გამართლდა. რის ვენახი, რა ყარაულობა!

მოვიდნენ სხვა სტუმრებიც, ქალები, კაცები, ბავშვები. სტუმრები და მანქანები ირეოდნენ სხვა ეზოებშიც. ყურთასმენა აღარ იყო იმათი ყაყანით და ზუზუნით. წავიხემსეთ ცოტა და წავედით ვენახში, ზოგნი მანქანით, ზოგნი ფეხით. ორღობეში რომ მივდიოდით, ნათელა ყველა ვენახში გადაიძახოდა:

— ბარაქა! ბარაქა თქვენს რთველს!

— იცოცხლე, ნათელ, თქვენ რთველსაც ბარაქა მისცეს! ყურძენი მიირთვით, ყურძენი!

— ყურძენში არ მივდივართ, ხალხო?!

— ჩვენისა სხვაა, ჩვენისა სხვა!—და არჩეულ მტევნებს გვიწვდიდნენ.

რამდენჯერმე ნატვრაც დაგვადევნეს უკან:

— ნეტავ თქვენს ვენახს, ნეტავ!

— ეგ რაღა ნეტარებაა? — ვკითხე ნათელას.

— ბარაქიანი სტუმარი რომ მიგყავთო.

— დასაცინი თავი ზედ გაბია-მეთქი.

ამოვიდა მზე. იცი, საიდან ამოვიდა? სოფელს მთა დასცქერის, იმ მთას უნაგირა მწვერვალი აქვს, იმ უნაგირას — მწვანე ჩაღრმავება. აი, იმ ხასხასა მწვანე ბალახებში ამოვიდა შემოდგომის მცხრალი, მაგრამ ულამაზესი მზე. დავიწყეთ კრეფა. აქეთ როგორი ვენახები აქვთ, — და ეს მე ძალიან მომწონს, — ვაზიც არის, რა თქმა უნდა, მთავარი ვაზია, მაგრამ ვაზებში ატმებიც დგას, ალაგ-ალაგ მსხლებიც, ვაშლებიც. რიგთა შორის უთესიათ ლობიო და კიტრი, მწვანილიც კი. ნათელას ვენახი კიდევ იმით არის გამორჩეული, რომ ფერდობის თავზეა. იმ ფერდობში ტყის ხეები ხარობს — თელა, კუნელი, რცხილა. გახვალ ვენახიდან, გადაადგები ფერდობის პირს და გადასცქერი სხვა ვენახებსა და ვერცხლისფრად გაშლილ ჭალებს. ჰაერში გაჭიმულია წვრილი, წვრილი, მბრწყინავი აბლაბუდები.

დავითითოვეთ ვედროები და კალათები. მე და ნათელა ერთად ვკრეფდით. ვჭრიდით მოკაუჭებული ხასხლავა დანებით საფერავის დათრთვილულ მძიმე მკვრივ მტევნებს და სათუთად ვაწყობდით კალათში. მიწა იყო თითქოს ცოტა სველი, სასიამოვნოდ რბილი. ავავსებდით კალათს, მოგვიბრწყინდებოდა ზურაბი, დაავლებდა ხელს და წამში ჩასცლიდა საურმეზე გამწკრივებულ გოდრებში. დილის სუსხის შემდეგ თითქოს პატიებით გვეალერსებოდა მზე. ყველანი ვხალისობდით, სტუმრებიც და მასპინძლებიც, დიდებიც და პატარებიც. მერე თანდათანობით ჩამოცხა. მე სვიტერი გავიხადე და მოკლესახელოებიანი კაბის ამარა დავრჩი. ვაზებში რომ ვბრუნდებოდი, მეზობელი ვენახიდან ერთხელაც გაგვაგონეს:

— ნეტავ თქვენს ვენახს, ნეტავ!

მე უნებურად შევმალე შიშველი მკლავები ვაზის ფოთლებში. შემომხედეს ჩვენებმაც, გაიცინეს ტკბილად და განაგრძეს კრეფა.

— დღეს უნდა მოვრჩეთ, დღეს უნდა მოვრჩეთო! — და ყველა ჩქარობდა. გაბმულია დიდი სანათესაო ჩურჩულპუტუნი და თან ყველა ჩქარობს!

სამი საათისთვის ცოტა ხნით ჩავსხედით სადილად. ჩვენი სადილი იყო: წალამზე შემწვარი და კომბოსტოს ფოთლებზე წამოძრობილი თხის მწვადი, ცივი, მრგვალ-მრგვალი პამიდორები, გვიანი კიტრი და ღვინო. მე გაუბედავად ვიღებდი მწვადს და ამაზე გულიანად ეცინებოდათ ქალებს. სადილის შემდეგ ისევ შევუტიეთ: — აბა, ჰე! აბა, ჰეო! ბავშვები გაგვექცნენ, ფერდობში დაიწყეს ხმაური. სამაგიეროდ ნათელას დედამ და მამამ საბოლოოდ მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იცალეს საკრეფად. ისე მოხდენილად კრეფდნენ ვაზის მაკრატლით, უნდა მდგარიყავი და გეყურებინა. ვცდილობდით ჩვენც არ ჩამოვრჩენოდით, ერთმანეთს ვაქეზებდით. მთელი ჭიქა წითელი ღვინო, ვარვარა მზე, ეს სიჩქარე და, როცა გავბედე და ჯიბის სარკეში ჩავიხედე, კინაღამ გადავირიე. ძველი სოფლის პატარძალს შეეხარბებოდა ჩემი სილაჟღაჟე. ერთი კი ჩავჯექი ნიათწართმეული, მერე ისევ ავდექი და საღამომდე აღარ შემისვენია.

მოახლოვდა საღამო. ხან ერთი ვენახიდან მოვიდოდა უცებავარდნილი მხიარული ყიჟინა, ხან მეორიდან. ეს იმას ნიშნავდა, რომ კრეფას მორჩნენ. ჩვენც მოვრჩით. ჩავიდა მზე და ჩვენც მოვრჩით. თხუთმეტი გოდორი გავავსეთ, სულ თავი მოვუბით. მე უკვე ვიცოდი, რაც უნდა მომხდარიყო კრეფის დამთავრებისას, — რომელიმე ტანსრული ქალი უნდა წაქცეულიყო კრეფის დამთავრებისას ვენახში, კაცს უნდა წაექცია, რომ მეორე წელს იმ ქალივით დიდ-დიდი მტევნები დაესხა ვაზს. მაგრამ ვინ იქნებოდა ის ქალი? დარწმუნებული ვიყავი, რომ მე, როგორც სტუმარს, პატივს დამდებდნენ და ხელს არ მახლებდნენ. მით უმეტეს, რომ ნათელას ნათესავებში ბარე ორი იყო ჩემზე სქელი. გავიდა ერთი ქალი და დაიწყო თმის სწორება, გავიდა მეორეც, მესამეც. მე და ნათელას ორიოდე ვაზიღა გვაქვს გამოსაკრეფი. მოდის ზურაბი, ეს უკვე ხვითქგადანადენი ჟერარ ფილიპი, კალათს ჩაჰყურებს, იცდის — ის ვაზებიც გამოვკრიფოთ.

გამოვკრიფეთ, — შაბაშო! — ნათელამ, ავიმართეთ წელში და, რომ მგონია, კალათისთვის არის დახრილი ის გოგონასავით მორცხვი ბიჭი, როგორღაც ისევე, დაღუნული გამოსხლტა ჩემკენ, ადგა, ერთი შემომცინა, მარჯვენა ხელი კაი გლეხურად გრძლად გადამიტარა მარჯვენა მხრის უკან, მარცხენა მარცხენა გვერდში შემომიბჯინა და ერთი ეს ვიგრძენი, რომ ნიავმა დამიბერა კოჭებში, ერთიც ეს, — აესეთი ბარაქიანები! აესეთი მკვრივებიო! წამით გამაჩერა მიწაზე რბილად გაწოლილი, წამოხტა და საერთო ყიჟინ-კისკისში ვაზებს მისცა თავი.

მე რაღაც ეშმაკობა დამემართა. მაშინვე არ წამოვმდგარვარ. ჟრიამულობდნენ ჩემი კიდურები და მკერდი. თითქოს უამრავი ტოროლა ამომიფრინდა იქიდან და წავიდა ცისკენ. იმათ ჟრიამულს ვუგდებდი ყურს. მერე წამოვვარდი, დავეშვი თავქვე და ძალაუნებური სიცილით გავერიდე ყველას.

აი, როგორი რთველი იციან ამ საძაგელმა კახელებმა.

მე მაინც დადარაჯებული მოველი მერმისის მოსავალს. მაინტერესებს, როგორ მტევნებს დაისხამს ვენახი, რომელსაც ასაზრდოებს ჩემთან შეწყვილებული მიწა. თანაც ეს იქნება ჩემი პირველი მოსავალი ამ ქვეყანაზე, და მინდა, რომ ეს მოსავალი იყოს ხვავრიელი, ბარაქიანი, სრული.

ამჯერად ჩვენ გაგვატარეთ სუფრის თავისკენ, ტანკენარებო და ჰაეროვნებო!..

იმ ღამეს აღარ გამიგია, გვიანობამდე დარჩა ჭოტი თუთაზე, თუ არა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა კალანდაძე

სასტუმრო „კახეთიდან“

(თელავი)

ნისლები თქორავენ ყადორზე,
წვიმს ალბათ ჭიჭაკვის ჭალაში...
მზე ადგას ბატონის სასახლეს,
ღიმილი — დედოფალ ანასი.
ოქტომბრის ოქროსფერ გომბორზე
ლილისფრად ცა შეიმოსება...
სახურავჩანგრეულ სადროშოს
ეზმანვის ასპინძის დროშები,
ერეკლეს ზღაპრული ძლევა და...
ღრმადჩაფიქრებული ბატონი...
მზე ადგას დედოფლის აივანს,
ნისლებმა ჩაკეტეს ყადორი.

●

შევყურებ შენსა წმინდა საუფლოს,
ციცაბო კლდეთა დახრამულ
კალთებს...
ო, ჭეშმარიტად, ო, ჭეშმარიტად,
რომ შვილთა შენთა სხვა სიტყვა
მართებთ,—
კვლავ აღადგინონ, კვლავ განადიდონ
მწუხარებითა ქვაბი ავსილი,
აუწყონ:
იმედს, რომელსაც ეძებს,
მხოლოდ და მხოლოდ თვითონ
ასხივებს!
ჰა, ზეგარდამო მოჰფინონ შუქი
მივიწყებულთა ამა ადგილთა,
აანთონ შიგან წმინდა ლამპარი,
არსება მისი კვლავ განადიდონ!

ზ მ ა ნ ე ბ ა

რაღაცას ბჭობდნენ სინედრიონში,
ჩუმი გუგუნი ისმოდა მათი..
ბრბო მოსეირე
იდგა კარებთან,
ხელთ ეგდო ჩემი სამოსლის კალთა...
ო, სასწაულთა შენ სასწაულო,
ვისაც ღალატში ვერცხლი მიუგდეს,
წინ გადამიდგა,
როგორც... ტარიგი,
გადიხარხარა:
— აი, იუდა!
— მეა, უფალო?
მეა, უფალო?
ბრბომ გესლიანად
ჩაიქირქილა:
— შენ!
ფარისეველთ...
უკრთოდათ ცრემლი,
თან...
ცეცხლში ყრიდნენ
სპეტაკ გვირგვინებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ დედოფლის ფრესკასთან

სიბრძნით ნაშუქი შენი თვალები
კვლავ სასოებას შენეულს გვფენენ...
გარდასულ ჟამთა სიღრმეებიდან
ზარივით რეკავს
გულისთქმა
შენი:
უნდა შეკეთდეს სვეტიცხოველი,
აღდგეს ქართული წესი და რიგი,
უნდა ისმოდეს ქართული სიტყვა,
გადაიწეროს ქართული წიგნი!

მშვიდობა ბრძანეს — გამეჩხრდა ქართლი:
ძვირად დაგვიჯდა სისხლის ტბორები...
ვინ, თუ არა შენ,
უწყის,
რომ იგი
ქვეყნის დაღლილ სულს ეამბორება?
. . .
სიბრძნით ნაშუქი შენი თვალები
კვლავ სასოებას შენეულს გვფენენ.

ხშირად გესვრიან მკრეხელურ ღიმილს,—
ბალახს ძოვდნენ,
ტანთ ჯვალო ეცვათო...
იმათ ძარღვებში
სხვა სისხლი ყივის,
არა მაღალთა
ლურჯთა
ზეცათა...
გადაუდგება უძლებ ფიტულებს
დროდადრო შენი
სუსტი აჩრდილი —
შენი ხანმოკლე სიცოცხლის ფასად,
კაცობრიობის
გადასარჩენად.

ასომთავრული წარწერა თამარ მეფის გულსაკიდ ჯვარზე

თუ ვიმყოფებით მზის ქვეშე,
ამაოდ არ დავშვერითა,
წინადგომითა შენითა,
წინაძღომითა შენითა.
შემწე ეყავი თამარსა
მტერთა უძლებთა ალგვითა,
ბრძენ სოლომონის ჭკუისას,
მარგალიტისა ბაგითა...
შემწე ეყავი საქვეყნო
მისთა ზრახვათ და სურვილთა...
გააპე გული მტარვალთა
სავსე ღვარძლით და შურითა!

№-ს

მოიგონებდით თქვენს დიდ წინაპარს
(არც ისე ხშირად),
მიიცვალაო იგი თბილისში
უმაღლეს ჩინით...
და... გამოეყო ტევრის სიბნელეს
ვაჟკაცის მხრები...
შეიშრიალეს ფიჭვის ხეებმა
პატივის გებად...
ზეკარისაკენ
განილეოდა
დისკო მთვარისა,
ბრწყინავდა იგი, როგორც ორდენი
პირველ ხარისხის...
და მე გისმენდით მთვარიან ღამით,
ნაღვლით გისმენდით...
სიტყვას მოჰყვა და
თქვენც ეს ამბავი
მით გაიხსენეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

შენს საკურთხეველს კდემით
ემთხვია,
გარდამოვიდა სხივი მარადი,
დააგდო
პორფირ—
გვირგვინ—
კვერთხები
და მას, წარუვალს,
თავზე დაადგა!

●

წელთა სიმძიმეს
სწუხს გულის სწორი,
გაფრენილ დღეებს,
დაკარგულ სიყრმეს...
მრცხვენია:
გული
ქარებს
მიჰყვება,
თითქოს... იგივე...
ჩემს თავს.. არ იყვეს!

ფიც გაგატეხინეთ ამლიონს

ერთ-ერთ ხატობაზე ამღელებმა ხატის ჭურჭელი გვაჩვენეს, რაიც სასტიკად ეკრძალებათ

გამოაქვთ ხატის ჭურჭელი,
ძველ-ჩაშავებული,
ახალი...
ზედ ბუზდახვეულ ცხვრის თავთან,
სისხლიან მინდორზე დაყარეს...
ძაფი ანგელოსთ დასთული
აზარფეშებზე თუ სურებზე...
ყანწებზე ასხმული შიბები
და ნიკოლოზაის ფულები...
ჯამ-სასმისები ვერცხლისა —
ზედ ნამცვრევები რთვილისა...
შემოწირული ამისგან,
ამის და ამისო შვილისა...
გული ნათრობი ლუდითა
არეულ გონებას უჯერებს:
გულდანდობილად გამოაქვთ
ძეწკვიან სახატე ჭურჭელი...
— არა ხამს,
იტყოდით ფხიზელნი,
დაინგრეს თუნდ ზეცის თალიო!
ჩვენც... ხატმა მაღალმა შეგვინდოს,
ფიც გაგატეხინეთ ამლიონს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე

ორი ეტიუდი

მხატვარი

ეჰ, საწყალიო, ამოიოხრებდა მიტოი, ისე, ოდნავადა, როგორ ვუყვარდით და როგორ შევძულდითო...

მოკლეზე ვბრუნდებოდით ბილიკ-ბილიკა, დიდი გზით მივაცილეთ და მოკლეზე ვბრუნდებოდით; მივაცილეთ და დავასვენეთ, ჩავასვენეთ და მიწა მივაყარეთ, ჩავკიდეთ თავი და ვიდექით, ვიდექით, მერელა ვბრუნდებოდით ბილიკ-ბილიკა.

ჩვენც ისე გვიყვარდა, ყველაფერს გვერჩივნა ხატვის გაკვეთილიო, ამოიოხრებდა და განაგრძობდა, იმ დღეს არავინ არ გააცდენდა, არ გაჩერდებოდა ლოგინში სიცხიანიცა, სხვა ვინ მკურნალიც არავინ უნდოდა, სხვა რამ წამალიცა არავის არგებდა, არცთუ რა გვერჩივნა იმის სიტყვასა, ისე გვიყვარდა, ისე გვწამდა, ისე გვამაღლებდა.

ყველანი ვხატავდით, ყველანი ვძერწავდით, სხვა აღარაფერი აღარ გვახსოვდა, წიგნებიც მივყარეთ, ჩამოვეხსენით გოგოებსაცა, აღარ ვაბრაზებდით, მტრედებსაც დაეხსნენ მტრედების მოყვარულნი, მემწყერეებიც დაეხსნენ მწყერსა; შინ ჰო ისედაც არას ვუგონებდით, მერე სულმთლადაც მოვუყრუეთ ყური; მშობლები გვენდუროდნენ ჰო ისედაცა, გადაგვეკიდნენ მასწავლებლებიცა, მდურვა რა არისო, გადაგვეკიდნენ, ამ საწყალსაც გადაეკიდნენ, რა არის, ბეჯითნიც გაგვიორგულაო, ზარმაცები ჰო აიყოლია, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიათო, ბეჯითებიც გზას ააცდინა, აჩხაპნინებს და ათხიპნინებსო.

მართლაცა ვჩხაპნიდით, ვთითხნიდით ყველანი მართლაცა. მანამდე მხატვარი თვალით არ გვენახა, არც საიდუმლო ვიცოდით ხატვისა, ძერწვისაც არა, მით უფრო არა, ვნახეთ და მივუხვდით, მივუხვდით და ავყევით, აგვყვა ისიცა; ყველას გვაქეზებდა ერთნაირადა, ყველასაც გვისწორებდა გულმოდგინედა, ცალ-ცალკე მოსდევდა, ცალ-ცალკე გვისწორებდა, გვიხსნიდა და გვისწორებდა მოთმინებითა, მუყაითადა, დაუღლელადა, მოუბეზრებლადა; გვისწორებდა და ჩვენც გვიხაროდა, შესწორებანიც გვეამაყებოდა, ველოლიავებოდით ხაზსა იმისასა, ფერსა იმისასა, ჩამონათალსა იმისასა, ველოლიავებოდით და ვინახავდით, ვეფერებოდით, ვუფრთხილდებოდით, შედევრი გვეგონა და, რო ვფიქრობ ახლაცა, შედევრიც გახლდა.

ფერი ჰქონდა გასაოცარი, ზოგი ის ფერი აღარც შემხვედრია, ხაზი ჰქონდა თვალისმომტაცი, განსხვავებული დიდოსტატთაგანაცა, რო შეშურდებოდით იმათაცა, ისეთი ხაზი, მონაქნევი ისეთი, — ჩვენც ჰო გვისწორებდა ისევე, ცხადია, თავისასაც ისევე ჰქმნიდა; იქავე ჰქმნიდა, ჩვენს თვალწინაცა, შინაცა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალბათა, ანთუ, რა თქმა უნდა, ოღონდ ესაა, ის თუ არ ვიცოდით, ეს აქვე ეკიდა, კედლებზედა, აქავე ჰხატავდა და ჰკიდებდა აქვე, აჰკიდებდა და ეკიდა ეგრევე, როგორც აჰკიდებდა, როგორც მოასწრებდა, რასაც მოასწრებდა, რჩებოდა ისევე, ზარიდან ზარამდის თუ რასაც მოასწრებდა, რჩებოდა ეგრე დაუმთავრებელი; ისიცა გვხიბლავდა, ის ნაწყვეტები, გვხიბლავდა ისე, ანთუ მივეჩვიეთ ისე, იმგვარადა, დამთავრებულს რო ვერ შევიფერებდით, რო არ მოგვეწონებოდა დამთავრებული; ეს მერე, ცხადია, რაღაც რო გავიგეთ თუ თითქოს რო გავიგეთ, რაღაც ჩვენიც რო უნდა გამოგვეთქვა; რაც უნდა იყოს, მანამდეც გვეგონა და მერეც გვეგონა, ერთხანს მაინცა, აქ მხოლოდ ნიმუშად გამოგვიფენდა, შინ სრული ჰქონდა ყველაფერი, სრული, სრულყოფილი, სრულადა ჰქმნიდა და ეგრე აგზავნიდა გამოფენებზე თბილისსაო თუ იმას იქითა, ბევრად შორსაო, თვით პარიზსაცა; გზავნიდა და ეგებებოდნენ, ეგებებოდნენ აღტაცებითა, ეგებებოდნენ და ტკბებოდნენ, ტკბებოდნენ და ჩვენც გვინდოდა, იქ მოვხვედრილიყავით, იქ გვეამაყა, მოწაფენი რო ჩვენ ვიყავით ამ დიდებული ხელოვანისა — გვეგონა და გვინდოდამეთქი.

ასე ვფიქრობდით და ვნატრობდით ასე, თუ რატომაო, არ ვიცი ახლაცა, თვითონ არაფერს მიგვანიშნებდა, არას მოგვითხრობდა თავის თავზედა, დადიოდა გულჩათხრობილი, გაკვეთილების მერე, ცხადია, მოდიოდა გულჩათხრობილი, გაკვეთილებზე, რაღა თქმა უნდა, თავჩაკიდული, დამძიმებული, დადაღული, მოვიდოდა და შეიცვლებოდა, გაკვეთილზე შეიცვლებოდა, განახლდებოდა, გარდაიქმნებოდა, გამოცოცხლდებოდა, მოთავდებოდა გაკვეთილები, მოიღუნებოდა ისევ ისევე, მოიღვედებოდა, მოიბღუნძებოდა, მართლაც და რო მოიბღუნძებოდა, წაჩლატუნდებოდა ეგრე მობღუნძული.

და ჩვენ გვეგონა, იწვოდა შემოქმედი;

და ვბაძავდით ჩვენცა, სკოლისაკენ გუნდად აღარ მივდიოდით, შინაც ისევე მივჩლატუნებდით, ისე მარტოკა, ისე მოხრილი თუ მობღუნძული, ისე დაზიდული ფიქრითა თუ რითა, — რა მოგახსენო, ის თუ რითაო, ჩვენ არაფრითა, რაღა თქმა უნდა, მაინც წვა გვეგონა, მაინცა გვჯეროდა, ვიწოდით ჩვენცა.

რაც იყო თუ რაიც არაო, რამდენიმე ჰო წამოირჩა?

წამორჩა, ისწავლა, დახელოვნდა. მხატვრობას ეზიარა, ეზიარა ხელოვნებასა, აქ დაიწყო და იქ ეზიარა, თბილისში, ცხადია, და რაღა თქმა უნდა, წარმატებასაც მიაღწია რამდენიმემა, — შენც იცი, რად გინდა ჩამოგითვალო, სხვა რამ მაწუხებს და იმისი თქმა მინდა, — იმისი თქმა მინდა, რო შეგვიძულა, ყველა შეგვიძულა, ვინც უფრო წარჩინდა, უფროც შეიძულა, ვინც თუ ნაკლებადა, ნაკლებად შეიძულა თუ აქაც არის მეტი და ნაკლები, სიძულვილშია, რაღა თქმა უნდა; ჩვენ წარმატება იმისთვის გვინდოდა, იმას რო გაეხარა, იმიტომ გვინდოდა, ის თურმე უფრო ითუთქებოდა, იფერფლებოდა, ინავლებოდა; იშვიათადღა თუ შევხვდებოდით, თვალს გვარიდებდა მაშინაცა, ვერიდებოდით ჩვენცა აგრეთვე, ვერიდებოდით და გვტკიოდა გული, ასე რო ვკარგავდით ჩვენს აღტაცებასა, სიხარულს რო ვკარგავდით ასე, უცნაურადა, გაუგებრადა, ვკარგავდით გრძნობას აღტაცებისა, სულა ვკარგავდით, სულმთლიანადა, ვეღარასოდეს დავიბრუნებდით.

გვწყინდა, ცხადია, გვწყინდა და იმდენიც ვეღარ გაგვეგო, ისიც რო გვკარგავდა, ისიც ისევე რო ეთხოვებოდა იმ აღტაცებასა, იმა მღელვარე გაკვეთილებსა, იმა რწმენასა, რო გვჯეროდა მისი, რო გვწამდა მისი, რო გვწამდა იგი, რო გვეგონა, დიახ, გვეგონა, რო ვადიდებდით, — ეთხოვებოდა და გამოსთხოვებოდა, მიმხვდარიყო, რო უკვე ვიცოდით, უკვე ვუწყოდით დიდებულადა, ხელმოცარული რო მოსულიყო ჩვენთანა, ჩვენს სკოლაში, ხელმოცარული ხელოვანი რო მოსულიყო, რო აქ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეპოვა მერე თავი, როგორც პედაგოგსა, მასწავლებელსა როგორცა, ეპოვა თავი და მიეჩქმალა მარცხი, დაეწყო სულ სხვაი, ახალი ცხოვრებაი, ახალი ხალისითა, ახალი გზნებითა და წარგვეკვეთა სწორედაც იგი, ხალისი იგი, გარდაქმნაი იგი, წარგვეკვეთა თუ აღარ დაგვეცლია, — რაც თუ რამ გახლდა. ჩვენ უკვე ვუწყოდით, მარცხი მისი ჩვენ უკვე ვუწყოდით, გაგვეგო მისი საიდუმლოი, და თუმცა არა, არ ვაგრძნობინებდით, არ გვაპატიებდა მაინცა, არა, არა, არა, არ გვაპატიებდა; ერჩივნა ისინი, სხვა გზას ვინც დაადგა, მეგობრობდა იმათ ისევა, ჩვენ არა, აღარა, ჩვენ ვძულდით, ვძულდით, როგორ ვუყვარდით და როგორ შევძულდით, ვერ იტყვი, ვერ არწყავ, ვერ გამოჰხატავ!..

გამოგიტყდები, რო მეც შემძულდა და იმასაცა ვნანობ, მეც ძალა არ მეყო, სხვებსაც რო არა?!. ისინი აი არც ჩამოვიდნენ დაკრძალვაზედა, მე ჩამოვედი, მე მაინც ჩამოვედი, მე მივუტევე მიცვალებულსა, მაგრამ ის თუ მომიტევებდა, აი ეს არ ვიცი, — იმას ისა სწყინდა, ჩვენ რო გავიგეთ, რო გავუსწარით, ისიცა სწყინდა, ალბათა, ვინ უწყის, — ჩვენ რაღა გვწყინდა, მე რაღა მწყინდა, ანათუ იმას სწყინდა თუ რატომა, — აი ამისი ამოხსნა მინდა, ამაზე მინდა გელაპარაკო, შევიდეთ აგერა, ჩვენსკენ გავუხვიოთ.

და გაუხვია,

გაუხვია და შედგა, მომაჩერდა.

დიოდნენ სხვანი ეგრევე მოკლეზედა, ბილიკ-ბილიკა, წვრილად გაბმულიყვნენ, დიოდნენ წვრილადა, ჩაგვივლიდნენ და დიოდნენ, დიოდნენ, მიაწევდნენ მერე სუფრასა, ქელეხის სუფრასა, მიაწევდნენ და შემოუვლიდნენ, შემოუვლიდნენ და ჩამოსხდებოდნენ, ჩამოსხდებოდნენ და მოიგონებდნენ.

ეს მომჩერებოდა, იდგა და მელოდა,

მელოდა და ამოიოხრებდა,

ეჰ, საწყალიო,

ამოიოხრებდა ისევ ისე, ისევ ოდნავადა...

ისევ განაგრძობდა:

ის სურათები, იქვე რო ჰქმნიდა, იქვე, ჩვენს თვალწინა და, იქვე რო ეკიდა, უფრო ნაწყვეტები, ნაგლეჯები თუ ნაფლეთები, ისევე რო ეკიდა მოუთავებლიდა, გაჩუქდებოდა მერე, შეენაცვლებოდა სხვაი და სხვაი, ისევ ისევე მოუთავებელი; ჩვენც გვაჩუქებდა და გავაჩუქებდით ჩვენცა, ვამაყობდით და გავაჩუქებდით; რამდენიმე მაინც შემომრჩა, წუხელ ჩამოვედი და ისინი ამოვქექე, ჩამოველ თუ არა, ამოვქექე და ველარ დავეხსენი, თავს დამათენდა და ველარ დავეხსენი, სხვა თვალით დავხედე, სხვაგვარად დავინახე, სხვა რამ ფიქრი წამომეძალა; და განმიახლდა ის ალტაცებაი, ყრმობისდროინდელი, განმიახლდა, გამიცხოველდა, და მივხვდი კიდევ რაღაც ისეთსა... მივხვდი თუ ვერა, ესეც არ ვიცი, ეს მინდა სწორედ გაგიზიარო, წამომყე, წამო, დაჰხედე შენცა; დაჰხედე, მგონია, მართლაც რო ჩამწვარა, გატანჯულა და ჩამწვარა ისე, ეგებ თვითონაც რო ვერ მიმხვდარა, ჩამწვარა ისე მიუხვედრადა, გაუგებრად ჩამწვარა ისე; ასე მეჩვენება, სხვაგვარად ასწავლეს, ხოლო სხვაგვარად ეწვოდა სული; სხვაგვარად იწყებს და სხვაგვარად უქცევს, გრეხს სხვაგვარადა, სხვაგვარად გადადის, და, სად რო გადადის, წყდება იქავე, იქავე წყდება, შეკანკალდება, დაიშლება და წყდება იქავე: ეს ვერ დასძლია, ვერ მოერია, ნიჭი არ ეყო თუ შიშმა შეიპყრო, მოურეველმა შიშმა შეიპყრო, ვერა, ვერ იქნა, ვერ გამოეშვა, ეწვალა და ვერ გამოეშვა; ჩვენ რო მოგვევლინა, ალბათ იმადა, თავი რო ეხსნა, ვინ უწყის, კიდევ რა არა სცადა, ვინ უწყის, რა ვიცით, — მაინც ვერ იქნა, ვერ გამოეშვა.

და გამახსენდა, ერთხელ, იცი, იმასაც ამბობდა: ხელოვნებაში ისეც შეიძლება, დასაწყისი რო არა ჰქონდეს, დასასრულიც რო არა ჰქონდეს ნაწარმოებსაო, ანთუ დასაწყისი რო იყოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდღა, ანთუ დასასრული, ანთუ შუაწელი, ან უფრო ნაკლებიც რო იყოს, რა მოხდა, — ხელოვნებაში შეიძლებათ; ხელოვნებაში სისრულე სხვა არის, სისრულე, სრულყოფა სულ სხვა რამეა, სრულყოფა ისაა, მშვენიერებაა, სხვა არაფერია, მშვენიერებაათ; და მშვენიერება თუ სად თუ ელვებს, ის უნდა დარჩეს, სხვა ზედმეტიაო; მოიშველიებდა მაგალითებსაცა, თუნდაც ვენერას ქანდაკებათ, ის თვით ავტორმა შეჰქმნა იმგვარადა, ტყუილად გგონია, დრომ მოამსხვრიაო, ტყუილად გგონია, ტყუილად ჰგონიათო;

მაშინ უკვე სტუდენტი გახლდი, საარდადეგოდ ჩამოსულიყავი, გავუბედავდი შეკამათებასა, გავუბედავი და ვეკამათებოდი, გავუბედავდი და თავს გამოვიდებდი. გამახსენდა და ვინანე ესეცა, რო ვერ მივუხვდი, ვინანე მწარედა, — ის თავს ებრძოდა, მე არ ვანებებდი.

ვერაფერს მივუხვდით, მხოლოდ ის გავიგეთ, ხელი მოსცაროდა, ის თუ რატომაო, ვერა, ვერ მივუხვდით.

მოდი, გავუხვიოთ, წამო, დავხედეთ, ეგება მირჩიო, ეგება გამოფენაც შეიძლებოდეს, ეგება არც იყოს ხელმოცარული, ეგება ესეც ვერ გავუგევით, ეგებ რაღაცაა, მართლაც რაღაცაა... ვერაფერი ვერ გავუგევით, ეგება-მეთქი.

წამო...

და მიდიოდნენ,
და ნაგვიავლიდნენ,
მისდევდნენ ბილიკსა,
მწკრივად მისდევდნენ,

და მიეფარებოდნენ, არ მოიხედავდნენ, არა, არა, სასაფლაოსკენ არ მოიხედავდნენ.

მერე იყოსთქო, ვუთხარი მიტოსა, ჯერ ამათ გავყვეთთქო.

— არ მინდა, არაფერი მინდა, არა, არ, მინდა...— გაჭინჭყლდა მიტოი, — აქ მინდა, გამომყე!..— გაჯიქდა მიტოი.

ხოფელი გვიწყენს, არ გვაპატიებს, ჯერ ამათ უნდა გავყვეთ-მეთქი.

ბ ო რ ა ნ ი

ბორანი ჩვენი ხომალდი გახლდა, აფრაც რო ჰქონოდა, — რო არა ჰქონდა, ეგეც არაფერი, წარმოვიდგენდით აფრიანადა, აფრებიანადა, გაფართფარებულ აფრებიანადა, წაგვექითხა იმდენი რამა, ზღვებისა თუ ოკეანეებისა, აღმოჩენებისა თუ მეკობრეობისა, გარიყვისა თუ კატასტროფებისა, იმდენი რამა, რაღას თუ აღარ წარმოვიდგენდით, აფრა თუ რაღაო, ვითომ ისეთი რა იქნებოდა;

წარმოვიდგენდით და შევფრინდებოდით აფრიან ხომალდზედა, აღარც დავაცდიდით, ბაქანთან რო სწორად მომდგარიყო, არც ასვლას დავაცდიდით არავისა, არცა ჩამოსვლასა, დავეკიდებოდით ორთაყვირსაცა, დავეჭიდებოდით, ვეჯაჯგურებოდით, შევგვეჩერებინა რო შუა მდინარეში, ტალღები მოგვწყდომოდა რო, ასულიყო შადრევანადა, გავწუწულიყავით რო, გავლუმპულიყავით რო.

გავჰყვებოდით და გამოვჰყვებოდით, ვიდრე სადგურში ზარს შემოჰკრავდნენ, მატარებელი გამოვიდოდა რო.

ვეთხოვებოდით გულმოჯერებულნი, მატარებელი რო გამოვიდოდა, ვეთხოვებოდით ხომალდსა, ცხადია, მატარებლიდანაც ვუქნევდით ხელსა, ვუქნევდით დიდხანსა, არდადეგებამდის ვეთხოვებოდით, და ვუქნევდით, ვუქნევდით, არდადეგებიდან არდადეგებამდე ვუქნევდით ხელსა და ვეთხოვებოდით.

ასე გვხიბლავდა ჩვენი ბორანი, ხომალდად ასე წარმოგვესახა, ამერიკას რო მიაკვლია, აფრიკას რო შემოუარა, თუნდაც რო სწორედ იმ ხომალდადა, ასე გვხიბლავდა და ავდევდით ასე, არდადეგებზე, რაღა თქმა უნდა, ავიდო-

დით რო, ვბრუნდებოდით რო. და მაინც ჟამი დგებოდა ისეთი, რო აღარც გვახსოვდა ბორანი თითქოსაო, რო არაღ ვაგდებდით თითქოსაო, ვეღარცა ვხედავდით თითქოსაო, — გავყურებდით და ვეღარა ვხედავდით.

დავინახავდით, რაღა თქმა უნდა, გავჰხედავდით და დავინახავდით, ბაქანს რო ისევე მიადგებოდა ჩვენი ბორანი, ისევე ნელა, ისევე ფრთხილადა, უფრო ფრთხილადაცა, ბაქანი რო წყალში ტივტივებდა, ლამის რო აღარც მოსჩანდა ბაქანი, გადადიოდა ტალღები ზედა, გარშემოც რო უვლიდა წყალი, რო მოსდებოდა მთელსა რიყესა, ვეება რიყესა, ჭალებს მოსდებოდა, ლოკავდა ფლატესა, დავინახავდით და ვიცოდით ისიცა, რო უნდა გაგვეტოპა წყალი ბორნამდისა, ფეხთ გაგვეხადა და ისე გაგვეტოპა, ისე გაგვეშხვიპა, ვხედავდით და ვიცოდით, ცხადია, ოღონდ ვაყოვნებდით, არათუ რიდითა, — რაც არ აგვცდებოდა, ვერც მოვერიდებოდით, რაღა თქმა უნდა, მაინც ვაყოვნებდით, ანათუ უფრო უკეთ რო გამოვთქვა, ვიდექით ჯგროდა პირდაღებულნი და გავჰყურებდით უფრო ზევითა, ბორნის ზევითა, მიღმა ბექობისა, მდინარეში რო შემოჭრილიყო, რო მოეტეხა მდინარეი გონიოსავითა, — იქითაც გაშლილიყო, აქეთაც გაშლილიყო, აქ წასჭეროდა თითქოსა ყელშიო; ეს არაფერი, რო წასჭეროდა, ის იყო, რაც იყო, იქით თუ რაც იყო, ბექობამდისა, ბექობს იქითა, რო გავცქეროდით პირდაღებულნი: მზე სცრიდა თითქოსა, თქორავდა მზეი, წყალი კრიალებდა, მოსარკულიყო, თქორში მაინც მოსარკულიყო, მოსარკულიყო და დაიზრიალებდა, თითქოს და მართლაც სარკე არისო, დაიზრიალებდა და ასკდებოდა, აშხეფდებოდა, ამოსხლტებოდა თევზთა ქარავანი, აიმართებოდა პირამიდებადა, ზოგან სვეტებად აიმართებოდა, გაიზნიქებოდა, გაიკლაკნებოდა, გაიზმორებოდა, გაიშხვართებოდა, და ჩაიპნეოდა ერთის მოსხეპითა, აიმართებოდა და ჩაიპნეოდა, ამოსხლტებოდა და ჩაცვივოდა; აკრიალდებოდა თეთრი გულები, აყაპყაპდებოდა ლაშები მუქი, არათუ, დიდი, პატარა ლაშები, აყაპყაპდებოდა და მისწყდებოდა, აკრიალდებოდა და ჩაჰქრებოდა, ელვასავითა, რაღა თქმა უნდა, ანათუ უმალა ელვაზედაო, ანათუ ცოტა მომეტებულადა, მაინც ისევე ელვასავითაო, აცვივოდა და ჩამოცვივოდა, ასკდებოდა და გაიტყაპებოდა, გაისარკებოდა ისევა და ისევა; მზე სცრიდა, აფრქვევდა სხივთა ნაფშხვენებსა, უწვრილეს ნაფშხვენებსა, იფშხვნებოდა წყალიცა ისევე, — გაკიდულიყო ცისარტყელები ჭალიდან ჭალამდე, ფლატიდან ფლატემდე, გაკიდულიყო და გადათაღულიყო, შეწნულიყო და შეჯავარდნებულიყო, გაბმულიყო თუ საქანელადა, და ირწეოდნენ საქანელაზედა, თევზნი, ცხადია, ირწეოდნენ და ნანაობდნენ, შეახლიდნენ თავსა თაღებსა, ცისარტყელასი, რაღა თქმა უნდა, ბაწარზე დახტოდნენ, გადიოდნენ ბეწვის ხიდზედა, გადადიოდნენ უმაღლეს ბაგირზე, გადაევლებოდნენ ისე სუფთადა, შეჰნატრებდნენ ჩემპიონები სიმაღლეზე ხტომაში, ისე სუფთადა, ისე სხარტადა; დოლს გამართავდნენ აწყვეტილსა, გამალებულსა, დოლსა თუ ლელობურთსა, გამართავდნენ და ჭყიოდნენ ისე, ისევე სწორედა, მედოლეებმა რო იცოდნენ, რო სჩვეოდათ ლელობურთშიცა; უფრო ძლიერნი უფრო მაღლაც შევარდებოდნენ, დაასკდებოდნენ უფრო ულმობლადა, დაასკდებოდნენ და ლამისაა რო გაიფხრიწებოდნენ ზედ შუაზედა, ჰო ლამისაო და არც ინაღვლებდნენ, გაფხრეწილიყვნენ რო მართლა შუაზედა, არას იდარდებდნენ, — ანთუ რასაო, რაღას იდარდებდნენო,—მაინც თუ რაც იყო, მაინც თავი არ ენანებოდათ, რახან თუ უფრო მიატანდნენ მზესა, რახან თუ უფრო დაშორდებო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დნენ წყალსა, საბინადროსა მარადიულსა, საბინადროსა და სასიცოცხლოსა, მაინცა ბნელსა, ბნელიდან შუქს თუ რახან მიატანდნენ, ალივლივდებოდნენ რახან სინათლეში, შეინავარდებდნენ, გალაღდებოდნენ, თუნდაც წამითაო, გალაღდებოდნენ მზეზე და ქარზედა, თუნდაც წამითაო, ერჩივნათ და არას ინაღვლებდნენ; არას ინაღვლებდნენ და შეჰხაროდნენ მზესა წამიერსა, შუქსა წამიერსა, წამის სინათლესა, შეჰხაროდნენ და შესთამაშებდნენ; და სცრიდა მზეი, იფრქვეოდა და იფრქვეოდა, შეჰხაროდნენ და უხაროდა, უხაროდა და შეჰხაროდნენ; გადმოჰყვებოდნენ მერე ჩქერალებსა, ეგრე, გულაღმა გადმოჰყვებოდნენ, არ ეთმობოდათ მზეი თითქოსაო, — ანათუ რაო, რა თითქოსაო, მართლაც მზეი რო არ ეთმობოდათ, — გადმოჰყვებოდნენ ბექობის ვიწროში და იქვე უმალ შთაინთქმებოდნენ, ბორანთან არაო, არ გამოჩნდებოდნენ; იქ ისევ ისე ალიმართებოდნენ, ბექობს იქითა, ალიმართებოდნენ, აისვეტებოდნენ, მოიქნეოდნენ და ჩაიფშხვნებოდნენ, ჩაიპნეოდნენ, ლივლივებდნენ და ლივლივებდნენ; ლივლივებდნენ და ჩაიპნეოდნენ; და სცრიდა მზეი, მზეში ლივლივებდნენ; და გავჰყურებდით პირდაღებულნი;

თვალებდაჭყეტილნიცა ალბათაო, — რაც თუ როგორ იყო, იდგა ბორანიცა, იდგა ახუნძლული, ხალხით ახუნძლული, —სხვები გაშხვეპდნენ აჩქარებითა, გაშხვეპდნენ უფროსნი, ხანში შესულნიცა, საქმიანნი თუ გაბეზრებულნი, მოუთმენარნი თუ უგერგილონი, შეიხუნძლებოდნენ და ელოდნენ მებორნესა, ელოდნენ და გამოსძახოდნენ, — მოდი დროითაო, ვის აჰყოლიხარო, აი და დაბერდი მაგათი ჭკუითაო. და ბერდებოდა მართლაც ასე, ჩვენი ჭკუითა, — მაშინ რო გახლდით და იქ რო დაგვრჩა, —ისიც იქ იდგა, ჩვენთანა, ცხადია, იდგა და ვერც იდგა, ცმუკავდა, ჭყლოპინებდა, ჰიჭყინებდა და ადიოდა, აწეოდა, თევზნი თუ რაც უფრო შენავარდებდნენ, რაც უფრო ყიპყიპებდნენ, რაც უფრო ელავდნენ, რაც უფრო ცვივოდნენ, იფშხვნებოდნენ და ცვივოდნენ. რაც უფრო ულმერთოდ დაასკდებოდნენ, ცმუკავდა უფრო და ისე გვიხსნიდა: ეს მეორედაა, რო ამოცვივიანო, ერთი იქაა, საზღვარზედაო, რო გადმოდიანო, ჩვენს საზღვარზედაო, უფრო მომცრონიც რო არიან, უფრო მცირეზეც რო შევარდებიან, უფრო მეტადაც რო ჰიჭყინებენო, სიხარულითაო, რაღა თქმა უნდა; ერთიც მერეაო, რო გაგვცდებიანო, დიდრონიც არიან და ვეღარცა ხტიან, მხოლოდ გულს თუ ამოიშვერენ, კრიალებენ და ლაპლაპებენ, ყიპყიპებენ და ეთხოვებიან, მზესაო, ცხადია, ეთხოვებიან და ამოისუნთქებენ ისე ღრმადაო, მერეც რო ეყოთ, სულ რო ეყოთო, რო შეცურდებიან კასპიის ზღვაში, უკვე თართებად რო შეცურდებიანო; მანამდე სხვა ჰქვიანთ, რაღა არაო, ლიფსიტობიდან თართობამდისაო, გიოლის ჭაობებიდან კასპიის ზღვამდისაო, — გვიხსნიდა ასე, ჩვენამდეც უხსნიდა, მერე ჩვენს მერეცა, თოთოები რო წამოიზარდნენ, მერე რო გაჩნდნენ, იმათაც უხსნიდა; იმას ერთი ხნისანი ეჩვივნენ, თითქოს ისევ ისინი არიან, თითქოს არა და არ იზრდებიანო, ეჩვივნენ და უხსნიდა ისიცა, ისევ ისეთი გატაცებითა, ჭყლოპინითა ისეთივეთი, აცმუკებითა ისეთივეთი, — გვიხსნიდა და უხსნიდა;

არდადეგებზე გაზაფხულისა, არდადეგები რო გვითავდებოდა, — იდგა ხომალდი ატივტივებულ ბაქანთანა, ხომალდი, ანუ კუტი ხომალდი, იდგა შეხუნძლული ხალხითა, ჩვენ აქეთ ვიდექით, ზევით გავყურებდით, ზევით და ზევითა, ტატნობამდისა, მებორნეც აქვე, ჩვენს შორის იდგა და მოსძახოდნენ, ჰაი და დაბერდი მაგათი ჭკუითაო;

ასეც დაბერდა. იმან დააბა ბოლო ბორანი, ხიდი გადასდეს და ბორანი დააბა.

ჩალპა ბორანი, ბაქნებიც ჩალპა, ჩალპა და ჩაიწეწა წყალშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოგირიც ჩავარდა, მოწყდა, დაიხლაკნა, დაილვედა, ჩაქანდა, ჩაილამა, ჩაიფლო, ჩაიმარხა:

სწორედ ის ბაგირი, გიორგი იშხნელი რო ჩამოეკიდა ხელებითა, ბორანი რო ჩახერგილიყო, ბაგირს იმიტომაც რო ჩამოეკიდა, ეგრე ხელდახელ რო გასულიყო, იმ ცივ ზამთარშია, უმკაცრეს ზამთარში, გორში რო უნდა ჩასულიყო უსათუოდა, სპექტაკლი რო ელოდებოდა, მესამე ზარი რო ელოდებოდა, ოთარბეგი რო უნდა ეთამაშა, სწორედ ის ბაგირი...

ოღონდ აი და ხიდი რო გასდეს, ამოიყვანეს რო ჯებირები, რაღა თქმა უნდა, ბექობთანაცა და ზევით-ზევითაცა, შეჰკრეს რო რიყეი, ჭალებიც ჩააჭციეს, რაღაც თუ დაირღვა, რაღაც უხილავი, კაცთათვის უხილავი, გაუგებარიცა კაცთათვისა, რაღაც თუ აირია, აირია თუ მოიშალა, აღარ რო ადიან, აღარ რო სხლტებიან, აღარ რო თამაშობენ თევზები იქა, სულ აღარ მოსჩანან, სულ აღარაო, აღარც მზე სცრის ისე იმგვარადა, ისე წვრილადა, ისე ნამცეცადა, უხილავ ნამცეცადა, არც წყალი იფშხვნება, არ გაკიდულა არც ცისარტყელები; იქ თუ არაო, რა ვუყოთ მერეო, არ მოიშლიდა თევზი თავისასა, არა, არა, არ მოიშლიდაო, ჰპოებდა სხვასა, ისეთივესა თუ მინამგვანსა, ცოტა ზეითა თუ ცოტა ქვევითაო, ჰპოებდა ისევა თავის ასპარეზსა, მზეს ისევე რო შესთამაშებოდა, რო ენავარდა სინათლეზედა, გაზნექილიყო, გაშხვართულიყო, ამოესუნთქა ერთი ღრმადა, პირში წყალი რო არა ჰგუბებოდა, ამოესუნთქა და ავარდნილიყო, ავარდნილიყო გალაღებული, დაცემულიყო მერე თუნდაცა, ისე ულმერთოდ დაცემულიყო, გაფხრეწილიყო თუნდაც შუაზედა,— ჰპოებდა ისევა თავის ასპარეზსა.

მოდი, ავჰყვეთო, ერთხელ ჰო მითხარი, — რაღად დავიზარეთ თუ რაღად მიგვავიწყდა?..

ამოდი, ავჰყვეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი გეგეჭკორი

ლექსი ატირებულ კარის ფიცარზე

დღეს უეცრად ატირდა
ხახლში კარის ფიცარი,
რადგან ალბათ ნედლი
ვერ გამოშრა ზამთარში
და იმისი ტირილი
არის მისახვედრი.

თუმცა წამოაქციეს
თუმცა ხერხით გახერხეს
და გარანდეს რანდით,
მაგრამ იმის თვალებში
ქარით გადარეული
ირწეოდა ლანდი.

და უჩინარ ტოტებში
აივანზე გადმოხრილ
ქალებივით მკერდებს
შოშიები აჩენდნენ
და ნისკარტის ტკაცუნით
უდარდელად სტვენდნენ...

დღეს გათავდა სიზმარი.
გაზაფხულის ქუხილმა
საღებავის შიგნით
კვირტი გაუფაჩუნა
და ხემ ცრემლით შესტირა
გაზაფხულის შიკრიკს.

უსამართლოდ მოექცნენ,
ნედლი კარად შეაბეს,
კარად დააყუდეს,
ალბათ სადაც ის იდგა,
ახლა გამწარებული
ჩიტი ეძებს ბუდეს.

თითქოს შეყვარებული
მასთან ამოსულიყოს
უხილავი კიბით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დგას და ცრემლად ილვრება
სევდიანი ქალწული
ჩუმი სინატიფით.

ო, რა ულმობელია,
ცრემლის მოახლოება!
გამარჯვებულ აპრილს
ვერ აუნთებს ჩირაღდნად
უცოდველი სხეულის
მოცახცახე აზრისს...

მაგრამ ფიცრის ტირილი
არის ახლა უაზრო,
არის უსარგებლო
და გულს ვერვის მოულბობს
შეღებილი ფიცრიდან
გადმოღვრილი წებო.

თუმცა კარის ფიცარი
ტირის, როგორც კედელში
ჩაკირული პირმშო,
მაგრამ გულს ვერ მიჩუყებს,
გული მაინც ეტყობა
ხანმა გამომიშრო.

მეც ამ ფიცარივით ვარ,
ასე გარანდული ვარ
და მეც ასე მღებეს,
მომწყვდეული ქალაქში,
აყოლილი ქალაქის
სურვილებს და ვნებებს.

მხოლოდ ზოგჯერ ბაზარში
ხელს რომ მომითათუნებს
ატმის რბილი ხაო,
სევდიანი ქალწულის
მზერით სულში ილვიძებ,
ერთაწმინდის ცაო!..

წინამორბედი

ის, ვინც თავის დროს წინ გაუსწრებს,
ან იქნება უჩინარი,
როგორც გაჯით შელესილი ფრესკა
ეკლესიის კედელზე;
იდგება ჩრდილში
და იმაზე მზერას არავინ შეაჩერებს;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქნება უცხო,
რადგან ტრადიციებს აუმხედრდება;
ზურგს შეაქცევენ
და მაყურებლად იდგება უკანასკნელ რიგში,
როცა ხელები სხვებს აიტაცებენ მაღლა...
და იმ იმედით იცოცხლებს მხოლოდ,
რომ დააფასებს შთამომავალი...
ხოლო როცა მოკვდება, იმის კუბოს ორიოდე კაცი
გულჩათხრობილი ჩუმი სევდით გაჰყვება
უკან...

ანდა
თავის დროს ვინც წინ გაუსწრებს,
უგვირგვინო მეფე იქნება,
ერის სულიერი მამა, მოძღვარი
და არსება მირონცხებული;
ერი სიცოცხლეშივე მუხლს მოიყრის იმის წინაშე;
მისი ბადალი არ იქნება კაცი მეორე;
ერთ დღეს (აგვისტოს ბოლოს),
როცა ცალი ფეხი სამარეში გადადგმული
ექნება უკვე
და მისი ეტლი როცა შევა დაბურულ ტყეში,
მოულოდნელად გამოვარდება ოთხი
გარეწარი
და შუბლს სანამდე გაუხვრეტენ ბერდანის ტყვიით,
სანამ კონდახით თავის ქალას ჩაუტეხავენ,
ის დაიყვირებს: „რას სჩადიხართ, უგუნურებო!“
მერე სულს დალევს
და ეტლიდან გადაცურდება...

●

ნუთუ ჩვენი შეცდომით გადადგმული ნაბიჯი,
ჩვენ რომ ასე გვიბურღავს გახურებულ ტვინს,
სხვას არაფერს არ ეტყვის.. და კვლავ გამეორდება...
ო, ვინც გაიმეორებს, ვინ იქნება, ვინ?

ნუთუ საზრდოს სულიერს ისე დაეწაფება,
ჩვენ რომ ვეწაფებოდით და ვიკლავდით ჟინს,
ნუთუ ჩვენს კვალს გაჰყვება და ბრმად გაიმეორებს...
ო, ვინც გაიმეორებს, ვინ იქნება, ვინ?

ნუთუ ისიც მიხვდება ლხინის ამაოებას
და თავს ისიც როგორმე აარიდებს ლხინს,
ჩვენს ზურგს მოეფარება და გაუძლებს ცთუნებას...
ო, ის სულით ძლიერი ვინ იქნება, ვინ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვისაც გამოადგება ჩვენი გაკვეთილები,
თუკი ჩასახულია, ვის სხეულში თრთის?
ჩვენ რომ გვესიზმრებოდა და აღარ გვესიზმრება,
ხვალ ვის დაესიზმრება ის სიზმრები, ვის?

ხვალ ვის მოეწონება ჩვენი ტანისამოსი
და რომ დაუმოკლდება, ვინ დააღწევს თავს?
ხვალ ვინ დაიღუნება და ვინ გამოაღვიძებს
ჩვენს საფლავზე უგონოდ ჩაძინებულ ხავსს?

კოცონს ჩვენი სიტყვები ვისთვის ააზრიალებს
და გულზე ვის მოხვდება ჩვენი ღალადისი?
ჩვენს სულს ვისი ნათელი მზერა დაეფინება?
ვისი ხელი გადაშლის? ვისი? ვისი? ვისი?

რომ დავბერდები

რომ დავბერდები, მე მინდა ვიყო პატარა ბიჭი,
რომელიც უსმენს
ნიჟარის ზუზუნს და ჯიბით კომპასს დაათრევს ანდა
ჟანგიან ლურსმნებს;
პატარა ბიჭი,
ვისაც ამაოდ ურეცხავენ და უუთოვებენ
და ვინც ჯუმანით ადამიანებს უფრო გაურბის,
ვიდრე ცხოველებს.
ვინც ძველ სამყაროს ახალი თვალით ისე შეჰყურებს,
როგორც მღებავი
და სასიკვდილო ფართხალი მამლის
მხოლოდ აქტია გაუგებარი.
ვინც ხელმეორედ გზას დაადგება
და დაივიწყებს დღეებს წასულებს,
წყეულ სიტყვასაც,
რამეთუ სიტყვა ჭეშმარიტ გრძნობას
აუფასურებს.
ვინც დაივიწყებს თავის ხელობას
და სიტყვას აღარ დაადგამს უღელს,
ვინც მარადიულ დილას შეხვდება
და რაც იცხოვრა, იქნება „წუხელ".
ვინც დაივიწყებს წაკითხულ წიგნებს,
ჩარიგებულებს გულგრილ ტომებად,
ვინც განუწყვეტელ ღამეს გაივლის
და ღამე უკვე არ ეხსომება...
ვინც დაივიწყებს,
გაუბედავად გზას რომ იკვლევდა მგლებში
და ცხვრებში
და გაუცინებს უკანასკნელად
მისკენ გაწვდილი მზიანი თეფში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლისი

ხისძირიანი ხორცისფერი საბოები წაგიძვრია
და ზედ დაგიწყვია ორივე ფეხი.
ჩამოშლილი თმა მაღლა აგიწევია
და გაოფლილ კისერს იმშრალებ ცხვირსახოცით.
როცა იხრები,
კრემისფერი მარლის კაბის სამკუთხედში
ორი ბორცვი ხეობას უფრო ავიწროებს.
როცა გაზეთს ინიავებ,
მოკლე რეგლანზე და საყელოზე
ნაწილის ბუმბულივით გიფრიალებს
ბამბის მაქმანები.

და ირხევა შენი წელი
ბამბის თასმებით ჯვარედინად
გაკრული და გათანგული.
მუხლებზე დაფენილ კაბის კალთებზე
მარლის ყავისფერი პეპლები ფარფატებენ.
შენ ამაყი ხარ და კალთაში
უნდა გეჯდეს სინდიოფალა...

დაე, ამ ხალხმა რკინიგზის ბაქანზე იზრიალოს.
შენ რომ ჩემს ცხოვრებაში
ამ კაბის შარიშურით შემოსვლას აპირებდე,
ჩემთან წამოხვიდოდი
ქართლის ერთ პატარა სოფელში,
სადაც გაულესავ კედლის ხვრელებში
თამამად დარბიან თაგვები.

შენს დანახვაზე წამოიშლებოდა გვირილების
კორდებალეტი.
ანჯამებდაჟანგებულ კარს გავაღებდით
და მე წყაროდან სანამ ლიტრით წყალს მოვიტანდი,
შენ დაუწყებდი თვალიერებას
რაფაზე დაყრილ მტვრიან ჟურნალებს.
ჩვენს მეტი ვერვინ დაინახავდა
გუბეზე როგორ დაეცემოდა
განწირული ფოთოლი — იკაროსი.
იგალობებდა შემომჯდარი კაკალზე შაშვი —
ვერავინ უძლებს მარტოობას.
მზე ჩამავალი ბოლოს და ბოლოს
გააშუქებდა თხუნელას ბორცვებს.
გაფიცხებულ ტუჩებს დაისველებდი.
და მე ვიგრძნობდი მხოლოდ კაბის თხელი
ქსოვილით
დაშორებული სხეულის თრთოლვას
და დიდხანს ველარ იტორტმანებდა
გაღვიძებული სურვილი ზღურბლთან...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ შენ სხვაგან მიდიხარ სხვასთან.
შენ სხვის ცხოვრებაში აპირებ შესვლას ამ კაბის
შარიშურით.
შენ სხვა დაგაფენს მხრებზე
ვნებამორეულ სიტყვების ქსოვილს.
ჩემი მშიერი მზერა როცა დაინახე,
აფრიალებული კაბა მუხლებზე დაიფარე —
ბაჭიები შერეკე ვოლიერში.

ამაღამ საწოლში ისე უნდა ვიტრიალო,
თითქოს შეიძლება კაცმა ლეიბზე
ძაღლივით გრილი ორმო ამოთხაროს,
რომ შიგ ჩაწვეს და დაიძინოს.

ლექსი დაქანცულ მდინარეზე

ბავშვი არც მე არა ვარ,
მაგრამ ჩემი მდინარე
მაინც თავის ხანთან
უფრო დაბერებული,
უფრო დაქანცული და
ნაღვლიანი ჩანდა.

ხუთი კბილით ეჭირა
და უაზროდ ახელდა
შინაბერას თვალებს
და არ ახალისებდა
ნაღვლიანი ოქტომბრის
გახუნებულ შპალერს.

ადრე კარდიოგრამის
მხოლოდ უსწორმასწორო
და ტეხილი ხაზით
მე რომ წინ მივიწევდი,
მაშინ იგი გარბოდა
ყიჟინით და ბრაზით.

ანდა მიხმაურობდა
როგორც უმასწავლებლოდ
დარჩენილი კლასი,
ანდა მედიდურობდა
იმ ქალივით, რომელმაც
იცის თავის ფასი.

ამაყი და ზვიადი
ისე ათამაშებდა
დედაკაცის მოქნილ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გავსებულ თეძოებს,
როგორც ძვირფას კრეპდეშინს —
ხელისგული ნოქრის.

როცა იმის ტალღებზე
უნაღვლო და უბიწო
ვიწექი და ვმღეროდი,
ისე იღიმებოდა
ვნებაწაკიდებული,
როგორც თავი ეროტის.

ანდა შეუცნობელი
ჟინით გადარეული
იგი ისე ყვიროდა,
ვით პოეტი, რომელმაც
დღემდე შეინარჩუნა
ბავშვის გულუბრყვილობა.

მერე ისიც მინახავს,
როცა მობეზრებული
ხმაურსა და დიდებას
და ფუჭ დღესასწაულებს,
სიბრძნეს ნაზიარები,
უკვე თავს არიდებდა.

როცა უბრუნდებოდა
ისევ კეთილშობილურ
და კლასიკურ მანერას, —
ტალღებს, როგორც ოსტატი,
უკვე გამობრძმედილი,
ისე მიაქანებდა.

აღარ ჰქონდა სურვილი
უკვე თვალთმაქცობისა,
თვალებს მოჩვენებითი
ბრწყინვით არვის უხვევდა
და არც სურდა უაზროდ
ეხმაურა სხვებისთვის...

მაგრამ ახლა ბედშავი
ძლივსლა ახამხამებდა
შინაბერას თვალებს,
აღარ ახალისებდა
ნაღვლიანი ოქტომბრის
გახუნებულ შპალერს.

ისე შემომყურებდა
დაჩოქილი თერძივით,
თითქოს ჩემთვის შარვლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზომა უნდა აელო...
ო, ასეთი მდინარე
არ უნახავს არვის!...

ახლა იმას აპრილი
აღარ აღრიალებდა
ნაღარით და დაფით,
მისი სულის ჭრილობა
აღარ იკერებოდა
წვიმის წვრილი ძაფით.

ბავშვი არც მე არა ვარ,
მაგრამ ჩემი მდინარე
მაინც თავის ხანთან
უფრო დაბერებული,
უფრო დაქანცული და
ნაღვლიანი ჩანდა...

რომ არ შემცოდებოდა,
თვალი გულისტკივილით
ავარიდე ისე,
როგორც მზერას არიდებს
კაცი დანაოჭებულ
დედაკაცის კისერს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

დ რ ო

(ფანტასტიკური ღიმილი)

საყვარელო ძმაო ენუ!

სანამ სინათლის სხივთა კონა, რომელსაც ამ წერილს ვატან, შენამდე მოაღწევს, დედამიწაზე ალბათ კიდევ რამდენიმე ექსპედიცია მოივლის წარსულს. ამას იმიტომ გეუბნები, რომ მინდა ამთავითვე დაგამშვიდო: შენი შიში, ჩემო ძვირფასო ძმაო, უსაფუძვლოა. ქრონონავტიკა გრძელდება და ვითარდება. ცხადია, ჭორები და მითქმა-მოთქმა უმიზეზოდ არ ჩნდება და იმ არეულ-დარეულ, ურთიერთსაწინააღმდეგო და, ცოტა არ იყოს, ფანტასტიკურ ხმებს, რომლებიც თქვენში გავრცელებულა და ეგრერიგად შეუშფოთებიხართ, თავისი რეალური მიზეზები აქვს, მაგრამ, მადლობა უფალს, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა, უნდა გითხრა, დიდი შიში კი ვჭამეთ. ქვეყნიერებას საშინელი ხიფათის ტალღამ გადაუარა და არ გვეგონა, თუ ყველაფერს არ გაანადგურებდა, რაც კი კაცის ხელს შეუქმნია. ბოლო წამამდე ყველანი გარდაუვალი დაღუპვის შიშით ვიყავით შეპყრობილნი. ახლა დედამიწაზე კვლავ სიმშვიდეა და თუმცა ზოგჯერ, როცა მარტო დარჩენილი ცოცხლად და ცხადად წარმოვიდგენ იმ შემზარავ საღამოს, ტანში გამბურძგლავს ხოლმე, მაინც ყველაფერი იმდენად იოლად დავივიწყეთ, რომ შენი წერილის ტრაგიკულ ინტონაციებზე, სიმართლე გითხრა, გულიანად მეცინებოდა.

ერთი სიტყვით, გადავრჩით ჩვენცა და თქვენც. მართალია, ამ ამბავმა გვარიანად შეარყია ფიზიკის ის გრანდიოზული შენობა, რომელსაც ამ რვაასი წლის წინ, მესამე წელთაღრიცხვის 1979 წელს, ჩაუყარა საფუძველი დიდმა ტაიძიმ, და ჩვენ პირშიჩალაგამოვლებულები დავრჩით, რადგან დრო, ერთხელ და სამუდამოდ შეცნობილი რომ გვეგონა, კვლავ ხელიდან გაგვისხლტა, მაგრამ ამას ვინ ჩივის! ბოლოს და ბოლოს, იმავე ტაიძის თქმისა არ იყოს, მეცნიერული თეორია ორგვარია: ერთია მცდარი თეორია, რომელიც დროთა განმავლობაში სწორით შეიცვლება, და მეორეა სწორი თეორია, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო სწორით შეიცვლება.

თუმცაღა, რაკი შენ ამ ამბავს ასე დაუინტერესებიხარ, დაწვრილებით გიამბობ ყოველივეს, რაც მოხდა და როგორც მოხდა.

ტაიძის ძირითადი კანონი დროისა და სივრცის იგივეობის შესახებ, ცხადია, კარგად იცი და ჩემგან მისი შეხსენება ზედმეტი იქნება, მაგრამ, როგორც მახსოვს, ფიზიკის ისტორიას ყოველთვის გულგრილად ეკიდებოდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ სანამ უშუალოდ ქრონონავტების მოგზაურობაზე გადავიდოდე, თავს ნებას მივცემ ორიოდე სიტყვით მოგაგონო ტაიძი და მისი მოძღვრება.

ტაიძი ფიზიკოსი და მხატვარი ყოფილა. სახელოსნოში თურმე გატაცებით ხატავდა სივრცეს, მოძრაობას. დროს, გრავიტაციას, ლაბორატორიაში კი ასეთივე გატაცებით იკვლევდა გაჩენილ ცნებათა გეომეტრიულ საფუძვლებს. მხატვრები მას ფიზიკოსს ეძახდნენ, ფიზიკოსები — მხატვარს. ის კი სავსებით თავისუფალი იყო პატივმოყვარეობისაგან და, შესაძლებელია, ამანაც ითამაშა გარკვეული როლი, რომ ერთ მშვენიერ დღეს სამეცნიერო ცენტრის დიდ სხდომაზე ფიზიკა წინააღმდეგობათა გაუვალი ჭაობიდან ამოიყვანა.

მეცნიერების განვითარების გზაზე, როგორც უჩემოდაც კარგად მოგეხსენება, დროდადრო დგება ისეთი პერიოდი, როცა დაგროვილი ცოდნა ძველ სკივრში ვეღარ ეტევა და საჭირო ხდება ახალი სკივრის შეკვრა. სწორედ ასეთ პერიოდს დაემთხვა ტაიძის მოღვაწეობა. მეცნიერებაში სრული ქაოსი და სასოწარკვეთა სუფევდა. ექსპერიმენტული მონაცემები მტკიცედ და ორგანიზებულად ეწინააღმდეგებოდნენ თეორიულ დასკვნებს და ჯიუტად უვლიდნენ გვერდს გამზადებულ ჩარჩოებს. ვერავითარი გონებამახვილური გამოგონებები, ვერავითარი ხელოვნური ცნებები, ვერავითარი „სამუშაო ჰიპოთეზები“ საქმეს ვერ შველოდნენ. ფიზიკა თვალდათვალ იძირებოდა ჭაობში. ფიზიკა იხრჩობოდა.

მაშინ, ჩემო კარგო ძმაო, წამომდგარა ტაიძი და ისეთი რამ უთქვამს, რაც მთელ ეპოქას ენაზე ადგა. ეს მუდამ ასეა: ეპოქას სათქმელი მზადა აქვს და გაბედულ მთქმელსღა ელოდება. ამ შემთხვევაში მთქმელი ტაიძი აღმოჩნდა. მან თქვა: ის ურჩხული, ფიზიკას რომ წინ გადაღობვია და გზას არ გვაძლევს, ფუნდამენტური კატეგორიების შესახებ ჩვენი ტრადიციული წარმოდგენა არისო. ამის შემდეგ მშვიდი დაჯერებით შემოხსნა სამყაროს დრო-სივრცის ჟანგმოდებული არტახები და გაოცებული მსმენელების წინაშე პირველად ჩამოაყალიბა თავისი ცნობილი მოძღვრება, რომელიც სქემატურად შეიძლება ამგვარად წარმოვიდგინოთ: არსებობს ერთგვარი „დასაბამი სიცოცხლე“. მისი განსაზღვრა და, საერთოდ, მის შესახებ რაიმეს თქმა შეუძლებელია, რადგან ყოველგვარი ცნება, თავად ადამიანის ბუნების ორგვაროვნების გამო, საკუთარ თავში გარდაუვალად შეიცავს საპირისპირო ცნებას. არსებობა უეჭველად გულისხმობს არარსებობას, მარადიული — დროებითს, ერთი — მრავალს და ასე შემდეგ. „დასაბამი სიცოცხლე“ კი არ შეიძლება საპირისპირო ცნებას შეიცავდეს. ამიტომ, როცა ვიტყვით, „არსებობს დასაბამი სიცოცხლე“, იქვე უნდა უარვყოთ ამ ნათქვამის შინაარსი. ეს მხოლოდ პირობითი გამოთქმაა, რომლის ერთადერთი მიზანია დუმილი დავარღვიოთ. როგორც კი დუმილს დავარღვევთ, ეს ნათქვამი მაშინვე უკან უნდა წავიღოთ. ასეთია ეგრეთწოდებული „დასაბამი სიცოცხლე“. ცხადია, იგი არც ლოგიკური აუცილებლობიდან გამომდინარეობს და ვერც მათემატიკურად დამტკიცდება. ტაიძისაც, ეტყობა, მხოლოდ იმიტომ დასჭირდა მისი მოხმობა, რომ მოძღვრებისათვის მწყობრი და დასრულებული სახე მიეცა, თორემ წმინდა მეცნიერული სისტემა ამის შემდეგ იწყება. ისეთი მიზეზების გამო, რომელთა შესახებ ჩვენ არაფრის თქმა არ შეგვიძლია, დასაბამი სიცოცხლე განსხეულებისაკენ მიისწრაფვის. ამ მიზნის მისაღწევად იგი პირველ რიგში საკუთარ თავს დროში ამჟღავნებს. დრო უნივერსალური იდეაა, უზოგადესი კოორდინატი, რომელიც მოიცავს და განსაზღვრავს ყოველივეს — ფიზიკურსაც

და მეტაფიზიკურსაც. ამიტომ მას უკვე მიესადაგება გარკვეული ადამიანური კატეგორიები. კერძოდ, იგი ერთია, აბსოლუტურია და მოძრაობს (ცხადია, ეს მოძრაობაც აბსოლუტურია და ცნობიერება მას უძრაობისაგან ვერ გახასხვავებს). დრო დასაბამი სიცოცხლისაგან იღებს ძირითად ბიძგს — განსხეულების იმპულსს — და ცდილობს ლოკალურ, შედარებით სახედ გამოვლინდეს. ეს არის თანდათანობითი, საფეხუროვანი გზა. კერძოდ, ტაიძის ვარაუდით, დრომ უნდა გაიაროს შვიდი საფეხური. ბოლო, მეშვიდე საფეხურზე იგი აღწევს სრულ ლოკალიზაციას და იქცევა სივრცედ. ბუნებრივია, ამავე საფეხურებს გაივლის დროის მახასიათებლებიც. მაგალითად, ის, რაც პირველ საფეხურზე მოძრაობა იყო, მეშვიდე საფეხურზე, თანდათანობითი ლოკალიზაციის შედეგად, სიჩქარედ იქცევა. სწორედ დროისა და მოძრაობის ამდაგვარი ლოკალიზაცია არის მატერიის შექმნის პირობა, რადგან მატერია, არსებითად, სხვა არაფერია, თუ არა სიჩქარე სივრცეში.

ნუ დამძრახავ, ძვირფასო ძმაო, ამ გაჭიანურებული შესავლის გამო. ტაიძის მოძღვრება იმიტომ გაგახსენე, რომ ქრონონავტიკის იდეა სწორედ ამ მოძღვრებამ დაბადა. რახან სივრცე იგივე დროა, მაშინ სივრცეში მოგზაურობაც იგივე დროში მოგზაურობაა (ასეცაა. ვის უმოგზაურია სივრცეში ისე, რომ დროში არ ემოგზაუროს?). ხოლო თუკი დროში მოგზაურობა პრინციპულად შესაძლებელია, რატომ უნდა იყოს ეს შესაძლებელი მხოლოდ მეშვიდე საფეხურზე?

მართლაც, ტაიძის მოძღვრების შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა, რომ მოგზაურობას დროის ლოკალიზაციის მეექვსე საფეხურზე თეორიულად წინ არაფერი ედგა. ალბათ უფრო ზედა საფეხურზე მოძრაობაც შესაძლებელია, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, მეცნიერებამ იგი პირველ რიგში უახლოეს, მეექვსე საფეხურზე დაინახა.

ასე ჩაეყარა საფუძველი ტექნიკური აზროვნების ახალ დარგს — ქრონონავტიკას.

მას აქეთ რვაასი წელი გავიდა და, თუმცა ისტორიის პოზიციებიდან ეს არც თუ ისე დიდი დროა, ამ რვაასი წლის განმავლობაში ყოველ თაობას (ადამიანი, ძმაო, სულსწრაფია) ბავშვური გულუბრყვილობით სჯეროდა, რომ ზღაპრული იდეა მის სიცოცხლეში შეისხამდა ხორცს, მის სიცოცხლეში ჩატარდებოდა ეს „ფანტასტიკური ექსპერიმენტი“.

მაგრამ ბედმა ჩვენს თაობას გაუღიმა. ექსპერიმენტი ჩვენ ჩავატარეთ. და ჩვენი თაობის ამ არნახულ წარმატებას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ქრონონავტიკის ლაბორატორიას ბოლო ოცი წლის მანძილზე უცვლელად ხელმძღვანელობს ეოლ სორი. ფაქტიურად ეს ექსპერიმენტი ეოლ სორის ექსპერიმენტია. შესაძლებელია ახლა, როცა თაობათა საუკუნოვანი ოცნება აღსრულდა, ეს აზრი უკვე მომხდარი ფაქტის გავლენას მიეწეროს, მაგრამ მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ისტორია ეოლ სორის დაბადებას ელოდა, რადგან ტაიძის იდეის პრაქტიკული განხორციელება სხვას ვერავის ანდო.

რასაც მე ვამბობ, გადაჭარბებულ ქებად ნუ მოგეჩვენება. ეს არის ის ძალზე იშვიათი შემთხვევა, როცა ერთ პიროვნებაში თავმოყრილია თეორეტიკოსის ინტელექტი, ექსპერიმენტატორის გონებამახვილობა, ხელმძღვანელის ორგანიზატორული ნიჭი და დამატებით ბავშვის ამოუწურავი ფანტაზია და გულწრფელი გაკვირვების უნარი. მე განსაკუთრებით მაინც მისი სიმშვიდე და აუღელვებლობა მხიბლავს. შენ კარგად იცი, ჩემო კეთილო ძმაო, ბოლო ხანებში ისეთ ექსპერიმენტებს ვატარებთ, რომელიც ბედისწერასთან თამაშს ჰგავს: უმცირესმა შეცდომამ იდეაში ან გაანგარიშებაში შესაძლებელია არა მარტო მთელი ლაბორატორია შეიწიროს თავის პერსონალიანად (ამას ვინ დაეძებს), არამედ გლობალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი კატასტროფა გამოიწვიოს და თვით პლანეტის შემდგომი არსებობაც კი ეჭვქვეშ დააყენოს. ასეთ დროს ხელმძღვანელის სიმშვიდე ერთი დიდი მეცნიერული აღმოჩენის ფასია.

ასეთია ეოლ სორი, ჩვენი ლაბორატორიის ნაცადი ხელმძღვანელი.

მთავარ ექსპერიმენტს წინ უძღოდა რამდენიმე მოსამზადებელი, ეგრეთწოდებული „შესავალი ექსპერიმენტი“, რომელთა მიზანი იყო დემატერიალიზაციისა და აღდგენის პროცესების შესწავლა. თავიდან ეს შესავალი ექსპერიმენტი მანქანებზე ტარდებოდა, მერე და მერე კი, როცა მონაცემები საკმაოდ დაგროვდა და მარცხის საშიშროებამ იკლო, ადამიანებიც ჩაერთვნენ. ექსპერიმენტები მიმდინარეობდა 2500 მეტრის სიმაღლეზე სის მთის წვერზე, ძველისძველ ბუნებრივ კრატერში, რომლის კედლები შიგნიდან სპეციალური შენადნობის სქელი ფენით დაიფარა და ზემოდან ჰერმეტული ხუფი გაუკეთდა. ეს ადგილი იმ ვარაუდით შეირჩა, რომ ძირითადი ექსპერიმენტის შედეგად, ქრონონავტების რემატერიალიზაცია წარსულში ისეთ ადგილას მომხდარიყო, სადაც მათი შემჩნევა აბორიგენების მხრივ (თუკი მთის ძირი დასახლებული აღმოჩნდებოდა) შეუძლებელი იქნებოდა და ამგვარად შემთხვევითი კონტაქტი გამოირიცხებოდა.

როდესაც შესავალი ექსპერიმენტებისაგან ყველაფერი მივიღეთ, რისი მიღებაც კი შეიძლებოდა, და მთავარი ექსპერიმენტის ვადა დაინიშნა, დედამიწაზე, როგორც ეს ხშირად ხდება, დაიწყო მითქმა-მოთქმა იმის თაობაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია წარსულში ასე უცერემონიოდ შეჭრა. მსგავსი ხმები კანტიკუნტად ყოველთვის ისმოდა, მთელი იმ რვაასი წლის განმავლობაში, რაც ქრონონავტიკის იდეა გაჩნდა, მაგრამ ახლა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ლაპარაკი თანდათან გახშირდა და ბოლოს გვარიან საპროტესტო მოძრაობაში გადაიზარდა.

მოძრაობას, რაღა თქმა უნდა, მოხუცი უარ დენი მეთაურობდა. უარ დენი არის სამეცნიერო ცენტრის სიძველეთა მუზეუმის გამგებელი, ერთი კაფანდარა, ქაჩალი კაცი, რომელიც უცნაური და ახირებული ჩაცმულობით, უცნაური და ახირებული ლაპარაკით, უცნაური და ახირებული ქცევით თვითონაც მუზეუმის ექსპონატს ჰგავს. დიდი თავი აქვს, ცოტა სასაცილოდ გამობურცული შუბლი და მოჭუტული, ყოველთვის საეშმაკოდ აციმციმებული თვალები. საოცრად მოძრავი კაცია, საოცრად ცოცხალი (თუმცა ას ოთხმოც წელს მიტანებულია), მუდამ ბობოქარი, მუდამ დამცინავი, მუდამ საკამათოდ შემართული. საცა კი გამოჩნდება, ყველგან გამოცოცხლება, თავისებური კოლორიტი და წარმოუდგენელი ანაქრონიზმი შეაქვს. და ისეთი სიტყვებით აქიაქებს სამეცნიერო ცენტრის ყოველ ახალ წამოწყებას, ეს სიტყვებიც მისი მუზეუმის ექსპონატები გეგონება. წარსული რაღაც განსაკუთრებული, გაუგებარი სიყვარულით უყვარს. ყველაფერი, რაც კი მეორე წელთაღრიცხვის გრანდიოზულ კატასტროფას გადაურჩა და მოიძიეს, თავის პატარა მუზეუმში აქვს თავმოყრილი. ესაა გაურკვეველი დანიშნულების ნივთები და რამდენიმე „წიგნი“, ინფორმაციის შენახვის უცნაური საშუალება, რომელიც მეორე წელთაღრიცხვის შუა ხანებამდე ყოფილა გავრცელებული. მოხუცი უარ დენი მუდამ კრიჭაში უდგას სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცენტრებს. როცა დედამიწა ტემპერატურის სტაბილიზაციის ხუთას წლისთავს ზეიმობდა, უარ დენი იგესლებოდა და ცოფებს ყრიდა: „ვის აძლევს ხელს სტაბილური ტემპერატურა? მას, ვინც თავისუფლების მტერია. იმიტომ რომ ტემპერატურის ერთგვაროვნება თავისუფლების გრძნობას თრგუნავს“. ყოველ წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიწადს, აპრილის მეორე კვირას ფეხშიშველი გამოდის დიდ მოედანზე, იქ, სადაც, საზოგადოებრივი ცენტრის რეზიდენციაა, აიყოლიებს მოსეირეთა და უსაქმურთა ბრბოს და პლახეტიდან საიზოლაციო ფენის აყრას მოითხოვს. „იხუთება დედამიწა! — ბობოქრობს ხოლმე და მუშტებს იქნევს. — საკიხძე შეუხსენით დედამიწას!“ სამეცნიერო და საზოგადოებრივი ცენტრები, ცხადია, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ამ ახირებულ გამოხდომებს და მშვიდად განაგრძობენ თავიანთ საქმეს. საერთოდ, ჩვენი ქალაქისა და თუნდაც მთელი დედამიწის დამოკიდებულება უარ დენთან თავისებური და ორიგინალურია. ხალხს იგი მსუბუქი სიყვარულით უყვარს. სამეცნიერო წრეებში დასცინიან, მაგრამ ამ დაცინვაშიც სითბო მეტია, ვიდრე თავად დაცინვა. არავინ იმჩნევს, თორემ როგორც კი რაღაც მნიშვნელოვანი სიახლე გამოჩნდება, ყველა გაფაციცებით ელოდება უარ დენის მორიგ გამოხდომას. იქნებ ეს ცოტა პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, როცა მოხუცი უარ დენი აღარ გვეყოლება, დედამიწა არა მარტო თავისი კოლორიტის ერთ მნიშვნელოვან ფერს დაკარგავს, არამედ მეცნიერებისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ტემპიც კი შენელდება, რადგან, ჩემი აზრით, უარ დენის პროტესტები და გამოსვლები სწორედ საწინააღმდეგო ეფექტს ახდენს.

როგორც კი დროში გამგზავრება რეალურად დადგა მეცნიერების დღის წესრიგში, უარ დენმაც არ დააყოვნა (მით უმეტეს, რომ ამ ექსპერიმენტს უმისოდაც მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა), ჯგუფებად დაჰყო საპროტესტო მოძრაობის მონაწილეები, სხვადასხვა მხარეს დაგზავნა და რამდენიმე დღის განმავლობაში მთელ ქალაქში ისმოდა ჩვენი ახირებული მოხუცის ახირებული მოწოდებები: „ნუ ამღვრევთ სათავეს, თორემ შესართავში მოიწამლებით!“ „ნუ ჭრით იმ ტოტს, რომელზედაც ზიხართ!“ „ნუ მოკლავთ საკუთარ წინაპარს, თუ არ გინდათ ლოგიკამ სახლიდან გამოგაძევოთ!“ ექსპერიმენტის დაწყებამდე ორი დღით ადრე ლაბორატორიაში მოგვაკითხა. შემოვიდა ჩქარი ნაბიჯით, არ მოგვსალმებია, სკეპტიკურად შეათვალიერა იქაურობა, უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი, მერე ერთბაშად მიუბრუნდა ეოლ სორის და მკაცრი კილოთი უთხრა:

— ერთი მშვენიერი ლეგენდა წავიკითხე.

— წაიკითხეთ? — ეოლ სორი უცებ ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა მოხუცი.

— გავშიფრე. — ამ სიტყვებით ჯიბიდან ერთი თავისი წიგნთაგანი ამოიღო. — აი, აქ არის. — გადაშალა. — პატარა ნაწყვეტია, თავი და ბოლო აკლია, მაგრამ მაინც საინტერესოა. გინდათ, გიამბოთ? — წიგნი დახურა და ისევ ჯიბეში ჩაიდო.

— არა. რად მინდა! — მიუგო ეოლ სორიმ.

— გაწყვეტილი წინადადებით იწყება. „...წასვლის წინ ჭაბუკს დაუბარა: აჰა, შენ ეს დიდებული სასახლე აურაცხელი სიმდიდრით და აუწერელი სილამაზით. შენი იყოს და, როგორც გინდა, ისე მოიხმარე. ოღონდ ერთი გახსოვდეს: სხვენში რომ პატარა შავი ოთახია, იმას ნუ გააღებ, თუ არ გინდა, უბედურებას გადაეყარო“. იცით, ეს რას ნიშნავს?

— არა. არ ვიცი.

— სიმბოლოებია. სასახლე სამყაროა. ჭაბუკი, ვისაც ეს სასახლე ჩააბარეს, ადამიანია. პატარა, შავი ოთახი კი წარსულია და მისი გაღება არ შეიძლება.

— ადამიანი ბუნების ხელია. — მიუგო ეოლ სორიმ. — ბუნება კი ისეთს არაფერს ჩაიდენს, რომ საკუთარი ხელით მოიკლას თავი.

ეს ეოლ სორის რწმენა იყო. ჩემი აზრით, სწორედ ამ რწმენას ეფუძნებოდა მთელი მისი სიმშვიდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მოხუცმა უარ დენმა გაიცინა.

— მე ჩემი მითქვამს და თქვენ, რაც გინდათ, ის ქენით. ნუ ჩაყოფთ ჭუჭყიან ხელს წმინდა წყაროში, თორემ გვიანღა იქნება თითზე კბენა.

ამ სიტყვებით ისევე სწრაფად გავიდა, როგორც შემოვიდა.

ამის შემდეგ ექსპერიმენტის დამთავრებამდე აღარც გამოჩენილა (როგორც მოგვიანებით გამოირკვა, თავის მუზეუმში ყოფილა ჩაკეტილი).

საპროტესტო დემონსტრაციებიც შეწყდა.

როგორც იქნა, ექსპერიმენტის დღე დადგა.

დილის ხუთ საათზე უკანასკნელი შემოწმება დამთავრდა და დიდი კრატერი სის მთის წვერზე, ეგრეთ წოდებული სასტარტო ჭა, რომელშიაც ხომალდი იყო მოთავსებული, ჰერმეტულად დაიხურა. ავტომატები გამოითიშა, ფუსფუსი მიწყდა. ყველამ, ვინც ექსპერიმენტის მომზადებაში ვმონაწილეობდით, მთავარ დარბაზში მოვიყარეთ თავი.

ექვს საათზე სტარტის ნიშანი მიეცა. საკონტროლო ეკრანის თეთრი შუქი შეირხა, წრიულად დატრიალდა და მოელვარე სპირალად იქცა. მერე ეს სპირალი, თითქოს მისი წაწვეტებული ბოლო რაღაც ძალამ შეისრუტაო, წაგრძელდა, სიღრმეში შეცურდა და სიბნელეში დაინთქა.

ხომალდი სივრცეს გასცდა და დროის მეექვსე საფეხურში შევიდა.

პლანეტას დაუყოვნებლივ ვაცნობეთ, რომ დემატერიალიზაციამ წარმატებით ჩაიარა და მოგზაურობა დაიწყო.

ეოლ სორიმ გამოგვიცხადა, ცხრა საათამდე (ესე იგი იმ დრომდე, როცა ხომალდი აწმყოში უნდა დაბრუნებულიყო) თავისუფალი ბრძანდებითო, მაგრამ ალბათ თვითონაც იცოდა, რომ ეს განცხადება წმინდა წყლის ფორმალობა იყო. ცხადია, დარბაზიდან ფეხი არავის მოუცვლია. რვაასი წელია კაცობრიობა ამ დღეს ელოდა და, როცა, ბოლოს და ბოლოს, რვაასი წლის დაუღალავი ძიება, უძილო ღამეები, მომქანცველი შრომა სასწორზე დაიდო, როცა წინ ბოლო სამი საათიღა იყო და ამ სამ საათს უნდა გადაეწყვიტა, რას მივაღწიეთ რვაასი წლის შრომით, ვის ეყოფოდა ნერვები დარბაზიდან გასულიყო!

დრო ნელა, ტაატით გადიოდა.

ყოველი წამი ლოდინით იყო გაჟღენთილი.

დარბაზში სიჩუმე იდგა.

ყველანი გულმოდგინედ და ამაოდ ვცდილობდით გარეგნულად მაინც შეგვენარჩუნებინა სიმშვიდე. ერთადერთი, ვინც ამას ახერხებდა, ეოლ სორი იყო, რადგან ეოლ სორიმ არა მარტო თეორიულად იცოდა, არამედ მთელი არსებით სწამდა, რომ ის კარი, რომლის გაღებაც შეიძლება, უნდა გაიღოს.

ცხრა საათი რომ დაიწყო, ნელ-ნელა საკონტროლო ეკრანის წინ მოვიყარეთ თავი.

ახლა ყველა თვალი ეკრანს მისჩერებოდა.

უკანასკნელი, უსასრულოდ გაჭიანურებული წუთებიც მიილია.

ცხრა შესრულდა.

დარბაზში გულისცემაც აღარ ისმოდა.

და უცებ ეკრანის სიღრმეში თეთრი წერტილი გამოჩნდა. წერტილი დიდი სისწრაფით წამოვიდა. ჯერ მოელვარე სპირალად იქცა, მერე გაიშალა და მთელი ეკრანი თანაბარი, თეთრი შუქით გაივსო.

იმავ წამს დარბაზს შრიალით გადაუქროლა ამოსუნთქვის ხმამ.

ერთბაშად საოცარი მოდუნება ვიგრძენი (დარწმუნებული ვარ, ყველას ასე დაემართა). თითქოს მთელი სხეული წამერთვა.

მერე ხელს ვართმევდით ერთმანეთს და ისე ხმადაბლა ვლაპარაკობდით, თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქოს გვერდით ვიღაცას ეძინა და გვეშინოდა, არ გაგვეღვიძებინა.

— მოგილოცავთ! — მშვიდად თქვა ეოლ სორიმ და გამოძახების მწვანე ღილაკს თითი დააჭირა. —ჩართეთ სასტერილო აპარატი!

მოდუნება წამსვე გაქრა და ყველაფერმა ძველებური, საქმიანი, მეცნიერული იერი მიიღო.

ტექნიკური კავშირის ეკრანზე მართვის ავტომატი გამოჩნდა.

— სასტერილო აპარატი ჩართულია.

— კეთილი. აცნობეთ პლანეტას, რომ ექსპერიმენტის ტექნიკური ნაწილი წარმატებით დამთავრდა.

ავტომატი გაქრა.

ეოლ სორი ჩვენ მოგვიბრუნდა.

— ახლა კი ყველამ დავისვენოთ და საღამოს შვიდის ნახევარზე საკონფერენციო დარბაზში შევიკრიბოთ. შვიდზე კარანტინი დამთავრდება და, ვინ იცის, რა თავსატეხს გაგვიჩენს ჩვენი მოგზაური.

ესა თქვა და პირველი თვითონვე გავიდა დარბაზიდან.

მაგრამ იმ დღეს დასვენება არ გვეწერა. თავსატეხი კარანტინის დამთავრებამდე გაჩნდა.

თერთმეტის ნახევარზე ყველანი გაგვაღვიძეს და „განსაკუთრებული ვითარების გამო" (როგორც მორიგე ავტომატმა ეკრანიდან გვითხრა) კვლავ მთავარ დარბაზში მიგვიწვიეს. იქ საზოგადოებრივი ცენტრის წარმომადგენელი გველოდა. მას შეშფოთებული სახე ჰქონდა და ლაპარაკის დროს ხმა უთრთოდა. აშკარა იყო, რაღაც უსიამოვნო ამბავი მოეტანა.

როცა ყველანი შევიკრიბეთ, მან თქვა ის, რამაც შემდეგ, გვარიანად გვიან და ოდნავ დამახინჯებული სახით მოაღწია ჩვენამდე, ჩემო ტკბილო ძმაო, და რამაც ასეთი (ჩემი აზრით, ზედმეტად პათეტიკური) წერილი მოგაწერინა. მან თქვა, რომ ქალაქში თურმე ხმები დარხეულა, თითქოს ქრონონავტ იუპეს სამეცნიერო ცენტრის მითითება დაერღვიოს და წარსულთან ცოცხალი კონტაქტი დაემყარებინოს.

ეს ჭეშმარიტად მეხის გავარდნას ჰგავდა. ფაქტიურად ერთადერთი დირექტივა, რომლის დაცვასაც სამეცნიერო ცენტრი ყოველგვარ ვითარებაში და ყოველგვარი ღონით მოითხოვდა ქრონონავტისაგან, იყო სრული ჩაურევლობა წარსულის ყოფაში, სრული პასიურობა. გამორიცხული უნდა ყოფილიყო არა მარტო ყოველგვარი კონტაქტი, იქნებოდა ეს ფიზიკური, აკუსტიკური, ვიზუალური თუ ტელეპატიური, არამედ ყოველგვარი აქტიური მოქმედებაც, რომელსაც შეეძლო რაიმე ზეგავლენა მოეხდინა და რაიმე ცვლილება გამოეწვია. ცენტრს კარგად ესმოდა, რომ საკუთარ წარსულში უმნიშვნელო ცვლილებების შეტანაც კი შეიძლებოდა ისეთ ჯაჭვად ასხმულიყო და ისეთ ბიძგად გადაქცეულიყო, რომელიც, კაცმა არ იცის, რა კატასტროფას დაატეხდა თავს აწმყოს. სწორედ ამას გულისხმობდა მოხუცი უარ დენი, როცა გვიკიჟინებდა, საკუთარ წინაპარს ნუ მოკლავო.

სამეცნიერო წრეებში თავს არიდებდნენ ამ პრობლემაზე ლაპარაკს, რადგან იგი იმდენად ფანტასტიკური და აბსურდული ჩანდა, რომ მის შესახებ მსჯელობას არავითარი აზრი არ ჰქონდა, სანამ პრინციპულად არ დადგინდებოდა, შესაძლებელია თუ არა ის კონტაქტი, რომელსაც ასე კატეგორიულად ვუკრძალავდით ქრონონავტს. როგორც ჩანს, გულის სიღრმეში ყველას გვჯეროდა, რომ იუპეს რემატერიალიზაცია ისეთ განზომილებაში მოხდებოდა, რომელსაც რეალურ წარსულთან შეხების წერტილი არ აღმოაჩნდებოდა და ამრიგად კონტაქტი თავისთავად გამოირიცხებოდა.

და აი, უცებ ირკვევა (ყოველ შემთხვევაში ქალაქში ხმები დადის), რომ წარსულთან კონტაქტი არათუ შესაძლებელია, არამედ ჩვენმა ქრონონავტმა ისარგებლა კიდეც ამ შესაძლებლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანი მეხდაცემულებივით ვიდექით. პირველი, როგორც მოსალოდნელი იყო, ეოლ სორი მოეგო გონს. საკონტროლო აპარატს მიუჯდა და საქმეს შეუდგა. ჯერ სასტარტო ჭის ჰერმეტიზაცია შეამოწმა. ჰერმეტიზაცია აბსოლუტური გამოდგა. მერე მოსინჯა იუჰესთან კავშირის დამყარების ყველა შესაძლო გზა: ელექტრომაგნიტური, ტელეპატიური, ემოციური. ბოლოს ყველაზე მძლავრი აზრთაღმნუსხველი აპარატი-ინფორმატორი ჩართო. პასუხი ერთი იყო: ქრონონავტი სრულ იზოლაციაში იმყოფებოდა და მასთან არავითარი კავშირი არ არსებობდა.

რა უნდა გვეფიქრა ამის შემდეგ გარდა იმისა, რომ ქალაქში ცრუ ხმები გავრცელდა? თანაც ამ დასკვნის სასარგებლოდ ლაპარაკობდა არა მარტო ის ფაქტი, რომ ხომალდთან კავშირის დამყარება შეუძლებელი გამოდგა, არამედ მრავალი სხვა გარემოებაც, რომელთა შორის უმთავრესი შემდეგი იყო: როცა ყველა ტექნიკური პრობლემა გადაიჭრა და დღის წესრიგში კანდიდატურის შერჩევა დადგა, ასტეროიდების დიდმა საბჭომ დაავალა დედამიწის დარგობრივ-სამეცნიერო ცენტრებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ცენტრსა და მანქანურ ცენტრს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოედგინათ ხუთ-ხუთი კანდიდატი. დიდი საბჭო ვარაუდობდა, რომ მათგან აარჩევდა იმას, ვინც ყველაზე ხშირად გამეორდებოდა წარმოდგენილ სიებში. ეს ძალზე საიმედო მეთოდი იყო და ყოველგვარ შემთხვევითობას გამორიცხავდა. უკლებლივ ყველა ცენტრმა უპირველეს კანდიდატად დაასახელა იუჰე. ცენტრთა ასეთმა ერთსულოვნებამ იმთავითვე გაფანტა ყველა ეჭვი. მაგრამ დიდმა საბჭომ იუჰე მაინც გამოიძახა და, სანამ გამგზავრების დასტურს მისცემდა, თვითონვე შეამოწმა ყოველმხრივ საფუძვლიანად.

ასე რომ, თუ წარსულში რაღაც ისეთი ძალა არ მოქმედებდა, რომელიც მეცნიერებისათვის უცნობი იყო, იუჰეს დირექტივა არამც და არამც არ უნდა დაერღვია. და თუნდაც ერთი წუთით დაგვეჯერებინა ის, რისი დაჯერებაც ყოვლად წარმოუდგენელი იყო, განა იუჰე სამეცნიერო ცენტრს გვერდს აუვლიდა და პირდაპირ ქალაქს აცნობებდა თავისი დანაშაულის ამბავს?

ერთი სიტყვით, ჩვენ მტკიცედ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ქალაქმა უნებისყოფობისა თუ რაღაც სხვა მიზეზის გამო ჭორი მოიგონა და ახლა თვითონვე ეშინოდა ამ ჭორის.

შიში თანდათან იზრდებოდა. ქალაქის ემოციურ შკალაზე ისარი სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა და მალე კრიტიკულ წერტილს მიადგა. მაშინ საზოგადოებრივ ცენტრთან შეთანხმებით გადაწყდა ეოლ სორის, როგორც ექსპერიმენტის ხელმძღვანელს, სიტყვით მიემართა ქალაქისათვის.

ეოლ სორიმ მშვიდად, აუღელვებლად აცნობა მოსახლეობას სამეცნიერო ცენტრის შეხედულებები, აუხსნა ის მოტივები, რომელთა გამო ქალაქში გავრცელებული ხმები არ შეიძლებოდა მართალი ყოფილიყო, ილაპარაკა იუჰეს მტკიცე ხასიათსა და მაღალ დისციპლინაზე და ცოტათი დატუქსა კიდეც ქალაქის მკვიდრნი ხელაღებული და დაუფიქრებელი უნდობლობის გამო. ბოლოს თხოვა შეეკავებინათ თავიანთი ემოციები და დალოდებოდნენ საღამოს შვიდ საათს, როცა კარანტინი დამთავრდებოდა და ყველაფერს ნათელი მოეფინებოდა.

ძნელი სათქმელია, სიტყვამ უფრო იმოქმედა ხალხზე თუ ეოლ სორის სიმშვიდემ. ყოველ შემთხვევაში, ქალაქი ნელ-ნელა დაცხრა, ემოციურ შკალაზე ისარი დაბლა დაეშვა და შუადღისას ნორმას მიუახლოვდა.

სამწუხაროდ, ეს იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა. ნაშუადღევს ისარმა მკვეთრად იწყო აღმა სვლა.

ჯემალ ქარჩხაძე
დრო

ეროვნული

საღამოს ექვს საათზე ქალაქი პანიკამ მოიცვა.

ეოლ სორიმ კიდევ ერთხელ სცადა ხალხის დაშოშმინება, მაგრამ ამჯერად არაფერი გამოუვიდა. შესაძლებელია, საკუთარ თავში ვეღარც იპოვა იმდენი სიმშვიდე, რომ სხვებისთვის გაენაწილებინა.

ამ დროს ვიღაცამ ვერ მოითმინა და თქვა, მოხუცი უარ დენი ორი დღეა მუზეუმშია ჩაკეტილი და გარეთ არ გამოდისო.

უარ დენის სახელი მთელი დღის განმავლობაში უხმოდ ტრიალებდა ჰაერში. ასეთ დროს მისი ჩრდილში დგომა ყველას გვაეჭვებდა. მაგრამ თქმას ვერიდებოდით, თითქოს იდუმალი შიში გვქონდა იმისა, რომ ხმამაღლა თქმით ეს ეჭვი რეალურ ხიფათად გადაიქცეოდა. არადა ახლა, როცა ქალაქი ღელავდა, უარ დენის პასიურობა მართლაც საეჭვოდ მოულოდნელი იყო. გულში ყველა დარწმუნებული ვიყავით, ამ მოჩვენებით პასიურობაში ასაფეთქებლად გამზადებული ნაღმი იდო. და ეს პასიურობა უფრო საშიში გვეჩვენებოდა. გვერჩივნა უარ დენი ქალაქში ყოფილიყო სხვებთან ერთად და თავისი ალოგიკური სენტენციები ტყვიასავით დაეშინა სამეცნიერო ცენტრისათვის. მისი არყოფნა თითქოს რაღაც დამატებით ეჭვს აჩენდა და ხიფათის მოლოდინს ამძაფრებდა.

ქალაქში აუწერელი რამ ხდებოდა.

შვიდის ნახევარზე საკონფერენციო დარბაზში გადავედით, სადაც უკვე იკრიბებოდნენ ისინი, ვისაც იუჰეს პირველ ინფორმაციაზე დასწრების უფლება ჰქონდა.

ჩუმად შემოდიოდნენ, უსიტყვოდ უკრავდნენ თავს დამხვდურებს და უხმაუროდ იკავებდნენ თავიანთ ადგილს.

შვიდს აღარაფერი აკლდა, როცა მოხუცი უარ დენიც მოვიდა. იღლიაში წიგნი ჰქონდა ამოჩრილი, თვალები უციმციმებდა. სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა, ხმამაღლა მიესალმა ყველას (რაც მდუმარე დარბაზში შემაშფოთებელ დისონანსად გაისმა) და პირდაპირ ეოლ სორისაკენ გაეშურა.

— კიდევ ერთი მონაკვეთი გავშიფრე! — კმაყოფილი კილოთი უთხრა და თითი იღლიაში ამოჩრილ წიგნს დაუკაკუნა.

— ნახეთ, ქალაქში რა ხდება? — უთხრა ეოლ სორიმ. მის ხმაში და გამომეტყველებაში წამით ისეთი რაღაც მომეჩვენა, თითქოს უარ დენს შველას თხოვსო.

უარ დენი რისი უარ დენი იქნებოდა, ასეთი ფსიქოლოგიური ნიუანსებისათვის ყურადღება მიექცია!

— ქალაქში? — კითხვითვე უპასუხა. — ქალაქში პესიმისტური განწყობილებაა. — მაგრამ, ეტყობა, რაღაცამ მაინც მიიქცია მისი ყურადღება. წამით შეყოვნდა და ეოლ სორის დააკვირდა. — თქვენ გგონიათ, იუჰემ მართლა იცელქა იქ, წარსულში, თავის მამა-პაპასთან? — მერე ასევე ერთბაშად შეიცვალა კილო. — სხვათა შორის, განზრახული მაქვს ამ დღეებში დემონსტრაცია მოვაწყო და წიგნის რეაბილიტაცია მოვითხოვო.

ამ დროს კავშირის ეკრანი აინთო.

კარანტინი დამთავრდა.

იუჰე რომ შემოვიდა, გატრუნულ დარბაზს შრიალით გადაუარა რაღაც ხმამ, რომელიც გაკვირვებასაც ჰგავდა, შიშსაც და შეშფოთებასაც.

იუჰეს გაფითრებული სახე ჰქონდა, თვალებში კი უცხო შუქად ჩასდგომოდა ფიქრიანი, მეოცნებე გამომეტყველება.

და ამ შეუსაბამობაში იყო რაღაც არსებითი და ნიშანდობლივი მოულოდნელობა.

იუჰემ თავი დაუკრა ყველას და მისთვის განკუთვნილი ადგილი დაიკავა.

ჰაერი დაძაბული სიჩუმით დაიმუხტა.

ეოლ სორიმ დააპირა (ჩემი აზრით, ძალთა უკანასკნელი დაძაბვით) ისე წაეყვანა სხდომა, ვითომ ქალაქში არავითარი საშინელი ხმები არ ყოფილიყო გავრცელებული, მაგრამ როგორც კი ლაპარაკი დაიწყო, დარბაზში ვიღაცამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხმამაღლა და გარკვევით წამოიძახა, ჯერ ის დავადგინოთ, მართალია თუ არა, რომ ქრონონავტმა წარსულის ბინადრებთან ურთიერთობა გააბაო.

ეოლ სორი წამით დაიბნა, მერე მიხვდა, რომ სხდომის ჩვეულებრივად წარმართვაზე ახლა ფიქრიც არ შეიძლებოდა, და მოლოდინის თვალით გადახედა იუჰეს, რითაც წამოძახილს ოფიციალური შეკითხვის უფლება მიანიჭა.

მაშინ იუჰემ ოდნავ ასწია თავი, დარბაზის მრგვალ, თაღოვან ჭერს შეხედა და თქვა:

— მართალია.

დარბაზს გაურკვეველმა ზრიალმა გადაუარა.

მერე ყველაფერი ერთბაშად ამოძრავდა. ყველანი წამოიშალნენ. მთელი დარბაზი ტორტმანებდა. და ამ ქაოსში აზრის ნატამალი არ ჩანდა. ირგვლივ შიში დაქროდა და პანიკას თესავდა. ქალაქის საუკეთესო შვილების თავყრილობა უგუნურსა და ბნელ ბრბოს დაემსგავსა.

ეოლ სორი გაშეშებული იდგა. დარბაზის შეკავება არც უცდია. იდგა და სახეზე აუტანელი სევდა ეწერა. არც შიში, არც მრისხანება, არც გაკვირვება. მხოლოდ სევდა.

უცებ საერთო ღრიანცელი უარ დენის მკივანა ხმამ დაფარა:

— შეჩერდით, მოაზროვნეებო!

შეძახილი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ დარბაზი მოწყვეტით შეჩერდა და წამით სიჩუმე ჩამოვარდა. უარ დენმა ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა.

— კარგად კი გარბიხართ, მაგრამ აზრი რომ გრჩებათ? — აქ თვითონ შეყოვნდა მცირე ხნით და განაგრძო: — შევიცადოთ ცოტა, ბოლომდე გავერკვეთ ყველაფერში და, თუ გაქცევაა, მერე გავიქცეთ. ან კი რა აზრი აქვს გაქცევას? განა უგუნურება არ არის სივრცეში გარბოდე და იმის პრეტენზია გქონდეს, რომ დროს გაურბიხარ? ჯერ ვნახოთ, იქნებ არც ისე წვიმს, როგორც ქუხს.

უარ დენი დაჯდა. ეოლ სორიმ მადლიერი თვალით გახედა, მაგრამ მოხუცი მისკენ არ იყურებოდა, ჩვეულებისამებრ ცმუკავდა და მოუსვენრად აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით.

დარბაზში კვლავ სიწყნარე ჩამოვარდა.

ეოლ სორიმ ნეიტრალური კილოთი თქვა:

— მოვისმინოთ იუჰეს ინფორმაცია.

იუჰე წამოდგა.

— მთავარ კითხვას უკვე ვუპასუხე, — დაიწყო მან. ცოტათი ღელავდა. სახე გაფითრებული ჰქონდა, თვალები კი უცნაურად უბრწყინავდა. — ისიც შემიძლია დავუმატო, რომ მზად ვარ მივიღო ყოველგვარი სასჯელი, რასაც კი თქვენ, ან სისტემის უმაღლესი ხელისუფლება გადამიწყვეტს. მაგრამ ეს მოგზაურობა რომ ათასჯერ განმეორდეს, მე ალბათ ათასჯერ ჩავიდენ იმას, რაც ჩავიდინე. ახლა კი, ნება მიბოძეთ, უშუალოდ ინფორმაციაზე გადავიდე. მოგზაურობის პირველი პერიოდის შთაბეჭდილება არსებითად ემთხვევა შესავალ ექსპერიმენტებში მონაწილე ქრონონავტთა შთაბეჭდილებებს. ამიტომ ამ მონაკვეთს მოკლედ შევეხები. გარდამავალი მომენტი, როდესაც ხომალდი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გასცდენოდა სივრცეს — დროის მეშვიდე საფეხურს — და დემატერიალიზაციის სფეროში არ შესულიყო, მოგონებაში დარჩა, როგორც სხეულის საამო მოდუნების მოუხელთებელი განცდა. ამ მყისიერი მომენტის შემდეგ ერთბაშად აღმოვჩნდი ისეთ სამყაროში, რომელიც ახლა უცხო და უჩვეულო მეჩვენება, მაშინ კი, იქ, რაკი სხეულთან ერთად მეხსიერებაც განქარდა და ყველაფერი, რაც სტარტამდე არსებობდა, ცნობიერების მიღმა დარჩა, იგი ერთადერთი იყო. ხოლო ერთადერთი, მოგეხსენებათ, არ შეიძლება ჩვეულებრივი და ნაცნობი არ იყოს. ეს არის რეალური ფორმების, რეალური იდეებისა და რეალური ფერების სამყარო, სადაც ცნობიერება უშუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალოდ, გრძნობის ორგანოების გარეშე აღიქვამს ობიექტს. მე ამ სამყაროში დავფრინავდი. შესავალ ექსპერიმენტებში მონაწილე ქრონონავტები ამ „ფრენას“ სიზმრისეულ ფრენას ამსგავსებენ. ჩემი აზრით, ეს პარალელი ზუსტი არაა. სიზმრისეული ფრენა სივრცეში ფრენაა, დემატერიალიზაციის შემთხვევაში კი იგი იდეის განცდაა, რადგან სივრცე არ არსებობს. სივრცე არ არსებობს. რაც შეეხება დროს, დრო ობიექტურად არ აღინუსხება, მაგრამ ცნობიერებას შემორჩენილი აქვს ბუნდოვანი ცოდნა მისი არსებობის შესახებ. ასე დავფრინავდი აზრებს, იდეებს, სიმბოლოებს შორის (ეს ტერმინი, ისევე როგორც ყველა სხვა ტერმინი, რომლებიც სივრცეს უკავშირდება, დემატერიალიზაციის პირობებში აღნიშნავს განცდას და არა ადგილმდებარეობას) და ბევრი რამ, რაც აქ საიდუმლოებაა, იქ ცოდნა იყო. სამწუხაროდ, ხელახალი მატერიალიზაციის შედეგად ამ ცოდნას ბურუსი ფარავს და ისევ საიდუმლოებად აქცევს. ფრენის შემდეგ კვლავ დადგა მყისიერი გარდამავალი პერიოდი. რამდენადაც საამო იყო სხეულის მოდუნება პირველი გარდამავალი პერიოდის დროს, იმდენადვე მტკივნეული იყო ამჯერად განზომილებათა შეგრძნება და მძიმე სხეულის განცდა. მაგრამ ეს პროცესიც მოუხელთებლად სწრაფია. ცნობიერებასა და სამყაროს შორის მყისვე ჩადგა გრძნობის ორგანოები. იდეის ერთადერთობა მატერიის ერთადერთობამ შეცვალა და მე კვლავ სივრცეში აღმოვჩნდი. ეს სივრცე, ცხადია, იგივე სის მთა იყო, სადაც მოგზაურობა დავიწყე, და მე ჩემი ხომალდით მის წვერზე ვიმყოფებოდი, დიდ კრატერში. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ მას ადამიანის ხელი ჯერ არ შეხებოდა და, საერთოდ, ეტყობა, მე ვიყავი პირველი სულიერი, რომელიც ამ კრატერში მოხვდა. შესაძლებელია, სწორედ ამ წუთიდან დაიწყო ჩემი უცნაური გარდაქმნა, რომელიც (მე ამას ძალიან მკაფიოდ ვგრძნობდი) წარსულში ყოფნის სამივე საათს გრძელდებოდა. ყოველ შემთხვევაში, მე დიდხანს ვიდექი ხომალდის ილუმინატორთან, თვალმოუშორებლივ შევცქეროდი კრატერის მონაცრისფრო და მოწითალო ნაშალი ქვის კედლებს და ისეთი განცდა მეუფლებოდა, რომელიც გულისძგერის საამო აჩქარებას იწვევდა. ზემოდან კრატერს ქუდივით ეხურა ღრმა და გამჭვირვალე ლურჯი ცა. პირველმა მღელვარებამ რომ გამიარა, თეთრი, დამცველი სამოსი ჩავიცვი, როგორც ამას დირექტივა მოითხოვდა, თავზე ფილტრის ელექტრომაგნიტური სალტე დავიდე, ინფორმატორი-უნივერსალი ავიღე, ლუკი გავაღე და ჩემს სიცოცხლეში პირველად დავადგი ფეხი ნამდვილ მიწას. ინფორმატორი ჩავრთე და, რაკი დავრწმუნდი, მთაზე და მის ახლო-მახლო ადამიანის ჭაჭანება არ იყო, კრატერიდან ზემოთ ავედი... ცხადია, დღევანდელი დედამიწა, სქელ, დამცველ გარსში მოქცეული და ლამაზად მოპირკეთებული, თავისი ოპტიმალური კლიმატითა და ერთგვაროვანი ტემპერატურით, სრული ურბანიზაციითა და ნატიფი არქიტექტურით, სადაც ყოველი ნაგებობა, ყოველი ქუჩა, ყოველი ხაზი ერთ საერთო აზრს, ერთ საერთო ჰარმონიას ემორჩილება, სადაც უფაქიზესი ფორმები და ფერთა რბილი შეხამება მოქალაქეთა მშვიდ, თანაბარ მაჯისცემას უზრუნველყოფს, სადაც ბუნებრივი ფლორის ველური თვითნებობა შეცვლილია ხელოვნური, უჭკნობი და უხრწნელი მცენარეულობით, რომლებიც ისეა განლაგებული, რომ მსოფლიო არქიტექტურის აზრი და სახე გამოკვეთოს, დღევანდელი დედამიწა თავისი სისუფთავითა და სიჯანსაღით, თავისი მკვებავი აბებით, რომელთა უნაშთოდ გახსნამ და ათვისებამ გამომყოფი ორგანოები რუდიმენტებად აქცია და ამით კულინარიის ისტორიულად რთული პრობლემა სისუფთავის ერთიან ნორმაში მოათავსა, დღევანდელი დედამიწა თავისი აზრისმიერი სილამაზით, ფორმის ზეიმით, შეუვალი მათემატიკური

ჰარმონიით, დედამიწა, სადაც ინტელექტი ქმნის გარემოს, ცხადია, მშვენიერების იერარქიაში გაცილებით მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე ძველი, საკინძეშეხსნილი, ბანჯგვლიანი დედამიწა უწესრიგოდ მიმობნეული მცენარეული საფარით, უფორმო კლდეებით, ზნელი ნაპრალებით, ტალახით, მტვრით, ტემპერატურული კონტრასტებით, სიბინძურით, ქაოსით, ხრწნით, სადაც ინტელექტი ჯერ კიდევ გარემოზეა დამოკიდებული. ყოველივე ეს კარგად ვიცოდი და ახლაც კარგად ვიცი, მაგრამ ახლა ისიც ვიცი, რომ ჩვენი ცოდნა ტვინისმიერი ცოდნაა, უნაკლო და ერთმნიშვნელოვანი ლოგიკური ცოდნა, როცა კაცს სილამაზე კი არ მოგწონს, არამედ გესმის, და რომ ამას გარდა, თურმე არსებობს დიდი და ღრმა ემოციური ცოდნაც, რომელსაც პირველყოფილი, ხელუხლებელი ბუნებრიობა იძლევა. მე ერთიანად შეძრული ვიდექი მთის წვერზე. ქვემოთ ერთ მხარეს გადაშლილიყო ვრცელი, მოწითალო უდაბნო, რომელიც დასალიერთან ცას უერთდებოდა. მეორე მხარეს მოჩანდა მუქი მწვანე ტყეები და ხასხასა მინდვრები. შორს, კიდევ უფრო ქვემოთ, ხეხილის ბაღებში ჩაკარგულიყო პატარა სახლები, რომელთა მრგვალი სახურავები ისე ციმციმებდნენ კრიალა დილაში, როგორც მაღლა მაცქერალი დედამიწის თვალები. აღმოსავლეთით, ჰორიზონტთან ნელა ამოცურდა ვეება მზე და ქვეყნიერება უწვრილესი სხივების ბადეში გაეხვია. უდაბნო ახლა ოქროსფრად ლაპლაპებდა. მინდვრებზე ნამი აბრჭყვიალდა, მერე თანდათან აორთქლდა, მზიან ჰაერს მსუბუქ ბინდად დაედო და მისი მკვეთრი ელვარება საამოდ შეარბილა. მე მონუსხული ვიდექი, გული გაჩქარებით მიცემდა და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს შორეული კოსმიური მოგზაურობიდან მშობლიურ პლანეტაზე დავბრუნდი. მაგრამ ამ პირველი შეხვედრის გაოგნებამ ჯერ კიდევ ვერ შეარყია ტვინში ფესვგადგმული ინსტრუქცია. ბურანიდან მალე გამოვერკვიე, აპარატი-ინფორმატორი ავილე და თავდაღმართს დავუყევი. მართალია, ინდივიდუალური საფრენი კი ავიკიდე ზურგზე, მაგრამ აქედან ფეხით ჩასვლა ვამჯობინე. რაც უფრო ქვემოთ ვეშვებოდი, მით უფრო ხშირი ბალახითა და ბუჩქნარით იყო მიწა დაფარული. ქვედა კალთაზე, მზით განათებულ მაღალ ბალახში, მარდად დაძვრებოდნენ ნაირ-ნაირი მწერები. ტყეს რომ მივუახლოვდი, ჭიკჭიკი შემომესმა. ასეთი ხმა სიძველეთა მუზეუმში მქონდა მოსმენილი და მივხვდი, რომ ჩიტები გალობდნენ. მალე დავინახე კიდეც. ხეებზე ისხდნენ და მღეროდნენ. მივუახლოვდი თუ არა, აფრინდნენ და სხვა, უფრო შორეულ ხეებზე გადაინაცვლეს. მე მივაბიჯებდი დაბურულ ტყეში, სადაც მზის სხივები გაჭირვებით აღწევდნენ, მაღლით ჩიტების გალობა მომყვებოდა და, რაც უფრო ღრმად შევდიოდი ამ ჯადოსნურ ზღაპარში, მით უფრო აშკარად ეცლებოდა ფეხქვეშ ნიადაგი ჩემს ინსტრუქციას, ჩემს მისიას, ჩემს გონიერებასა და ტექნიკურად სრულყოფილ საუკუნეს. როგორც კი ტყეს გავცდი, აპარატის ტალღები ადამიანთა საცხოვრებელ ზონას მიწვდა. მე, როგორც ინსტრუქცია მავალებდა, აქ შევჩერდი, რათა მოსალოდნელი შემთხვევითი კონტაქტი თავიდან ამეცილებინა. ერთი ბუჩქი შევარჩიე, რომელსაც ბუსუსებითა და პატარ-პატარა ეკლებით დაფარული გრძელი, მიწაზე გადაფენილი ღეროები ჰქონდა, აპარატი მის ძირში ჩავდე და თვითონაც იქვე ჩამოვჯექი. აპარატის მახვილი სმენა და ყოვლისმხილველი თვალი განურჩევლად ჰკრებდა ყოველგვარ ცნობებს და მეხსიერების ფირფიტაზე აღნუსხავდა. პატარა სოფელი საკუთარ თავს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა ზანტი გადაძახილ-გადმოძახილით და საქონლის ბღავილით ამჟღავნებდა. როგორც აპარატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაცემებიდან ჩანდა, აქ ხალხს ტექნიკაზე და ცივილიზაციაზე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა. მიწას პრიმიტიულად ამუშავებდნენ, პირუტყვს აძოვებდნენ და ძირითადად იმით კმაყოფილდებოდნენ, რასაც აქტიური ჩარევის გარეშე იძლეოდა ბუნება. ცხოვრების რიტმი იმდენად ნელი იყო, ურთიერთობები იმდენად მშვიდი და დინჯი, საქმიანობა იმდენად აუჩქარებელი, დაჯერებაც კი ჭირდა, რომ ჩვენი ბობოქარი ცივილიზაცია ამ მთვლემარე უძრაობამ წარმოშვა. უეცრად აპარატი სოფელს გამოეთიშა და უფრო ახლო რადიუსზე გადაერთო. აპარატმა ტყის გადაღმა, ბექობს ქვემოთ ვიღაც აღმოაჩინა, მიმღებ ტალღებს სწრაფად მოუყარა თავი მის ირგვლივ და ფირფიტაზე მისი ფიქრების აღნუსხვას შეუდგა. აქ მე პირველად დავარღვიე ინსტრუქცია. ინსტრუქციის თანახმად, დაუყოვნებლივ უნდა გავცლოდი იქაურობას, რათა აბორიგენთან შეხვედრას გავრიდებოდი. მე კი აპარატიც კი არ გამოვრთე. აპარატის გამორთვით ნაწილობრივ მაინც დავიზღვევდი თავს. მე თვითონ უცხო თვალისგან დამცველი სალტა მიფარავდა. მართალია, თეორიულად შესაძლებელი იყო თავად ამ სალტის ნათება შეემჩნიათ, მაგრამ პრაქტიკულად ასეთ მზიან დღეს არც ეს შანსი არსებობდა, აპარატი კი კარგად იყო ჩამალული ეკლიან ბუჩქში. მაგრამ მე აპარატი არ გამოვრთე, ხოლო ჩართული აპარატი, როგორც იცით, საკუთარი თავის ირგვლივ ისეთ ალისფერ ნათებას ქმნის, რომელიც შეუძლებელია ადამიანმა ვერ შეამჩნიოს. რატომ დავარღვიე ინსტრუქცია, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ ამ დროს ინსტრუქცია არ მომგონებია, მთელი ყურადღება მიპყრობილი მქონდა აბორიგენის ფიქრებისაკენ, რომელსაც აზრის ენაზე თარგმნიდა და აღნუსხავდა აპარატი. აი, ეს ფიქრები. — იუჰემ ინფორმატორი ჩართო და დარბაზში გაისმა აპარატის უსიამო, ჟღრიალა ხმა: „...მე ვიცი, რომ კაცი არ უნდა მოვკლა, მაგრამ სხვა ვერავინ დავაჯერე. ორმოცი წლის წინ რომ ის საცოდავი არ შემომკვდომოდა, იქნებ არც მე მცოდნოდა... ნუთუ უეჭველად უნდა მოკლა, რათა მიხვდე, რომ არ უნდა მოკლა? როცა სიმამრს ვუთხარი, კაცი არ უნდა მოკლა, თორემ შენი სული სამუდამო სატანჯველში ჩავარდება-მეთქი, გაუკვირდა და მკითხა, არც მტერი უნდა მოვკლაო? მე ვუთხარი, არა-მეთქი. თვითონ რომ მომკლასო? მე ვუთხარი, ის გირჩევნია, თვითონ მოგკლას-მეთქი. მტერი და მოყვარე ერთნაირად უნდა გიყვარდეს-მეთქი, შენს თავზე მეტად უნდა გიყვარდეს-მეთქი. სიმამრი დაფიქრდა და მითხრა, რაკი ასეა, უეჭველად უნდა მოვკლაო. რატომ-მეთქი, ვკითხე. თუ ჩემს თავზე მეტად მეყვარება, ის არ მირჩევნია, მე დავასწრო და ჩემი სული ჩავარდეს სამუდამო სატანჯველშიო. სიმამრი ჭკვიანია, მაგრამ თავი იმაზე უფრო ჭკვიანი ჰგონია, ვიდრე სინამდვილეშია. ამიტომ ვერ მიხვდა, რომ მტერი სიყვარულით არ უნდა მოკლა. სხვები მით უფრო ვერ მიხვდებიან. აქ ვერავინ მიხვდება. რაღაც უცხო ხმა მეუბნება, რომ ამას მხოლოდ ჩემი მოძმეები და ნათესავები თუ გაიგებენ, ისინი, ვინც უცხო ქვეყანაში დავტოვე და იქ აუწერელ ტანჯვაში ცხოვრობენ. საბრალო ჩემი მოკეთეები, ჩემი სისხლი და ხორცი! უცხო ხმა ორმოცი წელია მიბრძანებს, დავბრუნდე მათთან. უცხო ხმა მეუბნება, რომ მხოლოდ მე შემიძლია გავათავისუფლო ისინი მძიმე უღლისაგან, გავარიდო ტანჯვასა და შეურაცხყოფას, გამოვიყვანო იმ წყეული ქვეყნიდან, ვაპოვნინო სადმე მყუდრო ადგილი ნოყიერი მიწით, ტყითა და წყლით, დავასახლო, დავაფუძნო, მამა-პაპათა სულების მოსახსენებლად სამსხვერპლო ავაგებინო და ისე ცხოვრება ვასწავლო, რომ ერთმანეთი არ დახოცონ, ერთმანეთი არ გაქურდონ, ერთიმეორის ცოლზე გული არ შეუვარდეთ... ორმოცი წელია ვაპირებ წასვლას და ვერ წავსულვარ. იმიტომ რომ ლაჩარი და სულმდაბალი ვარ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქ კარგია. ცხვრის მწყემსვა იოლია. სიმამრის ქალიშვილი თბილია და საამო. ცხოვრება მშვიდი და უხიფათოა... ზოგჯერ უცხო ხმა უცხო ძალით ამივსებს სხეულს, სული მწარედ ამტკივდება ჩემი ხალხის ტკივილით და უმტკიცესი გადაწყვეტით გადავწყვეტ ავიყარო და წავიდე იქ, დიდი მდინარის პირას, სადაც ჩემიანები იტანჯებიან. ასეთ დროს სურვილი დაუძლეველი და ყოვლისმომცველია... მაგრამ როგორც კი მოქმედებაზე მიდგება საქმე, მუხლთ მეკვეთება, სხეულში სიძაბუნე შემომეპარება და შიში მიპყრობს. ორმოცი წელია ასე ვიტანჯები. ასე ვიწვი ორ ცეცხლშუა. ფიქრები მაწამებენ და ძვლებს მიღრღნიან. ძარღვები მაწყდება და გულიდან სისხლი მდის... ლაჩარი ვარ და სულმდაბალი. ორმოცი წელია ვთვალთმაქცობ და თავს ვიტყუებ, ვითომ მართლა მიყვარს ჩემი საბრალო ხალხი. სინამდვილეში მხოლოდ საკუთარი თავი მიყვარს. მშვიდი და უხიფათო ცხოვრება მიყვარს. სიმამრის კალთისქვეშ თბილად და მყუდროდ ყოფნა მიყვარს. ეტყობა, ადამიანი სულის წამებას უფრო იოლად იტანს, ვიდრე ხორცის წამებას, თორემ იქ ისეთი რა უნდა შემმთხვეოდა, რომ ამ ორმოცი წლის აუტანელ ტანჯვაზე უარესი ყოფილიყო! ჩემი სილაჩრე სიკვდილის შიშია. ჩემი სულმდაბლობა კი ის არის, რომ ვერც წავსულვარ და ვერც უარი მითქვამს წასვლაზე. ყოველ დილით, უთენია, სხეულში უცხო მოლოდინი შემომიძვრება და ამ უკაცრიელ გორაკზე ამომიყვანს. ასე მგონია, ერთხელაც იქნება აქ, ტყის პირას, ვიღაც დამიძახებს, ვიღაც მაღალი და უხილავი, ვინც ერთ დროს ჩემს დიდ მამა-პაპას ასწავლიდა გზას, შიშს გამბედაობით შემიცვლის, სულმდაბლობას — რწმენით. ვინ იცის, იქნებ სწორედ დღეს... სწორედ ამ დილით...“ ოუჰემ აპარატი გამორთო და განაგრძო: — ამ სიტყვებზე თვითონაც გამოჩნდა. აღმართი ამოათავა და ბექობზე ამოვიდა. საშუალო ტანის კაცი იყო, ჩაფსკვნილი და ბეჭებგანიერი. თეთრი თმა-წვერი ჰქონდა, ხელში ჯოხი ეჭირა და ნელი, მაგრამ ფართო, გაშლილი ნაბიჯით მოდიოდა. შუბლზე ნაოჭები ეყარა. სახე მასიური ჰქონდა, ცხვირი — მოგრძო, ნიკაპი — მრგვალი. დიდრონი, გადმოფენილი ქუთუთოების ქვემოდან იმზირებოდა ღრმა და საოცრად სევდიანი თაფლისფერი თვალები. მოდიოდა აყვავებულ მინდორზე და, ფიქრებში ღრმად ჩაფლული, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენს შორის ოცი-ოცდახუთი მეტრიღა დარჩა, აპარატის ალისფერი შუქი ერთბაშად მოხვდა მისი მხედველობის არეში. კაცი მოწყვეტით შედგა, აპარატის შუქს დააკვირდა, მერე გაკვირვებული და დაინტერესებული ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა, მაგრამ ათიოდე მეტრზე ისევ ისე მოწყვეტით შედგა, თვალები შიშით აევსო, ხელები წინ გამოიშვირა, თითქოს ხიფათისაგან თავის დაცვას ლამობსო, მერე ერთი გულგამგმირავად შეჰყვირა, ძირს დაემხო, თავი ბალახებში ჩარგო და ზემოდან ხელები დაიფარა. მე აპარატის მეშვეობით ვუთხარი, ნუ გეშინია-მეთქი. მაგრამ ჩემმა ხმამ უფრო შეაშინა. მთელი სხეულით შეკრთა და კიდევ უფრო მოიკუნტა. მაშინ მე რაც შემეძლო მკაცრი და შეუვალი ხმით ვუბრძანე, ადექი-მეთქი, და, როცა ჩემს მბრძანებლურ კილოს მონუსხულივით დაემორჩილა და აცახცახებული წამოდგა, უკვე წყნარად ვუთხარი: „ნუ გეშინია, ახლო მოდი“. მან შიშით, გაუბედავად გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი, თან ჩავარდნილი ხმით ლუღლუღებდა: „ჩემო ბატონო... ჩემი დიდი მამა-პაპის ბატონო... ძლიერო და დიდებულო...“ მე ამ პირმოთნეობამ გამაღიზიანა და დავუტიე: „ასე როგორ უნდა დაგთრგუნოს შიშმა!“ — მერე განვაგრძე: „მე ისა ვარ, ვისაც ყოველ დილით ელოდები აქ, ამ ტყის პირას, ვინც შიში გამბედაობით უნდა შეგიცვალოს და სულმდაბლობა —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რწმენით. კმარა ყოყმანი და ვიშვიში. გახწი დიდი მდინარის პირას და დაიხსენი შენი მოძმეები და ნათესავები!“ ამის გაგონებაზე იგი ისევ მუხლებზე დაეცა და აპარატის ალისფერ ნათებას შეჰღაღადა: „ნუ ინებებ, ბატონო! მე რისი დამხსნელი ვარ, შენს სახელს ვენაცვალე!“ მაშინ მე დავუყვავე, დავამშვიდე და ყოველმხრივ ვეცადე დამერწმუნებინა, რომ მუდმივ ყოყმანსა და თვითგვემას ერთხელ გაბედვა სჯობდა. მან დამიჯერა, მაგრამ, რაკი ჩემი კეთილგანწყობილება დაინახა, ვაჭრობა დამიწყო. ყასიდად უარობდა და ნაირნაირ მიზეზებს იგონებდა. ჯერ ენაბლუობა მოისაბაბა და, თუმცა სინამდვილეში ენას სულ ოდნავ უკიდებდა, იძულებული შევიქენი ბიომაგნიტური სეანსი ჩამეტარებინა. მერე მითხრა, ნება მომეცი შენი სახელით მივიდე, თორემ ისე მე, ერთ საწყალსა და უბირ კაცს, ვინ რას დამიჯერებსო. ამაზე რომ დამითანხმა, მითხრა, თუ არ მეტყვი ვინა ხარ, ისე როგორ მივალ შენი სახელითო. მე ცოტა გავბრაზდი და უკმაყოფილოდ მივუგე, ვინცა ვარ, ისა ვარმეთქი. ეტყობა, ჩემი ხმის კილომ შეაშინა, ყოველ შემთხვევაში, აღარ ჩამძიებია. სამაგიეროდ ახლა სხვა მხრიდან შემომიარა. რამე ნიშანი თუ არ გამატანე, ისე ვინ დამიჯერებს, რომ შენი გაგზავნილი ვარო. მე სხვა უფრო თვალსაჩინო საშუალება არაფერი მქონდა, ამიტომ ჯოხი გამოვართვი, ინფორმატორი-აპარატის ბუდიდან სათადარიგო ატომმარეგულირებელი რგოლი ამოვიღე, ჯოხს ჩამოვაცვი და ვუჩვენე, მზის პირდაპირ სხივებთან ურთიერთობისას როგორ კარგავდა ჯოხი სიმკვრივეს და როგორ ხდებოდა დრეკადი. მას ჯერ შეეშინდა, მერე კი კმაყოფილი დამრჩა. მე რჩევა-დარიგება მივეცი იმის შესახებ, თუ როგორ აჯობებდა თავის დაჭერა იქ, უცხო ქვეყანაში, რათა მისი განზრახვა დრომდე და ვადამდე არ გამჟღავნებულიყო და ადგილობრივ ხელისუფალთ არ ჩავარდნოდა ხელში, და გავისტუმრე. მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ერთი წამით აზრად არ მომსვლია, რომ ისეთ რამეს ჩავდიოდი, რაც აკრძალული მქონდა... კაცი რომ თვალს მიეფარა, მე ხომალდში დავბრუნდი. ნახევარი საათის შემდეგ უკუმოქმედების იმპულსიც ჩაირთო.

იუჰე გაჩუმდა და დაჯდა.

დარბაზში სამარისებური დუმილი იდგა.

ყველას გვესმოდა, რომ იუჰეს წინდაუხედაობა შეიძლებოდა ისეთ მეხთატეხად დასტყდომოდა აწმყოს, ყველაფერი აღეგავა პირისაგან მიწისა.

გაშეშებულები ვისხედით და ეოლ სორის მივჩერებოდით. მაგრამ ეოლ სორი თვითონაც გაშეშებული იჯდა და საკუთარ ხელებს დასცქეროდა.

დარბაზში მძიმედ იწვა ყოვლისდამთრგუნველი, პანიკური შიშით დამუხტული დუმილი და ეს დუმილი, რაც დრო გადიოდა, მით უფრო აუტანელი ხდებოდა.

ამ დროს მოულოდნელად ხითხითი გაისმა. ხითხითი თითქოს სადღაც შორიდან წამოვიდა და ნელ-ნელა მოახლოვდა. ხალხი შეკრთა, მოიკუნტა და კიდევ უფრო მეტად გაშეშდა. მერე თანდათან გონს მოეგენ და გაფითრებული სახეები მოხუცი უარ დენისაკენ მიატრიალეს. ეოლ სორიმაც ასწია თავი და შეშფოთებული მზერა უარ დენს მიაპყრო.

უარ დენმა კი ხითხითი შეწყვიტა და იუჰეს ჰკითხა:

— ერთი ეს მითხარით, იუჰე, ფეხთ რატომ გააჰდევინეთ იმ კაცს?

— იმიტომ რომ ტყავის წაღები ეცვა, გრძელზეწვიანი. იმ წაღებით რომ აპარატის დამუხტულ ველში შემოსუ... — აქ იუჰე ერთბაშად შედგა, თითქოს სიტყვა პირზე შეახმაო. ჯერ უარ დენს მიაჩერდა. მერე ეოლ სორის გახედა, მერე დარბაზს მოავლო დაბნეული მზერა და ისევ უარ დენს შეხედა. — განა მე ვთქვი, რომ იმ კაცს ფეხთ გავახდევინე?

— არა, არ გითქვამს, — მიუგო უარ დენმა.

— მაშ... თქვენ... მაშ... საიდან.. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუპე განცვიფრებული მისჩერებოდა უარ დენს და ხმას ვერ იღებდა.

უარ დენი წამოდგა.

— იმან, ვინც სამყაროს განაგებს, კიდევ ერთხელ გაიცინა ჩვენს გულუბრყვილობაზე. ერთი ტყუილი უკვე გამოაშკარავდა. ჩვენს მეცნიერებს მრავალი ღამის გატეხვა მოუწევთ, რათა ახალი ტყუილი მოიგონონ იმის შესახებ, თუ რა არის დრო. — უარ დენმა წიგნი გადაშალა და ეოლ სორის უთხრა: — აი, ის მონაკვეთი, რომლის წაკითხვა ამ ორი დღის განმავლობაში მოვახერხე: „ხოლო მოსე თავის სიმამრ იოთორს, მადიამელთა ქურუმს, ცხვარს უმწყემსავდა. ერთხელ, როცა ფარა ტრამალზე მოუდიოდა, მიადგა ღვთის მთას — ქორებს. აქ მას ცეცხლმოდებულ მაყვლის ბუჩქში უფლის ანგელოზი მოევლინა. მოსემ, რა იხილა, მაყვლის ბუჩქს ცეცხლი ეკიდა და არ იწვოდა, თქვა: ეს რა საკვირველი ხილვაა! მივალ, ერთი, და ვნახავ, რატომ არ იწვის ბუჩქი. ღმერთმა რომ მისკენ მომავალი მოსე დაინახა, დაუძახა: მოსე, მოსე! მოსემ მიუგო: რა არის? ღმერთმა უთხრა: ფეხთ გაიხადე, ეგ ადგილი, შენ რომ დგახარ, წმინდა მიწაა. მერე უთხრა: მე ვიხილე, თუ რა გასაჭირი ადგას ჩემს ერს ეგვიპტეში, მოვისმინე, როგორ შეჰღაღადებენ თავიანთ მჩაგვრელებს და შებრალებას შესთხოვენ, გავიგე, რა მძიმე განსაცდელში არიან. და აი, მოვედი, რომ შენ გაგგზავნო ეგვიპტის ფარაონთან. შენ უნდა გამოიყვანო ჩემი ერი ეგვიპტიდან. მოსემ უთხრა: ვინა ვარ მე, რომ ფარაონთან მივიდე და ისრაელები ეგვიპტიდან გამოვიყვანო! ღმერთმა უთხრა: მე ვიქნები შენთან. მოსემ უთხრა: რომ მკითხონ, ვინ არის ის, ვინც გამომგზავნა, სახელად რა ქვია, რა ვუპასუხო? ღმერთმა უთხრა: მე ისა ვარ, ვინცა ვარ. და ასევე უპასუხე, ვინც არის, მან გამომგზავნა-თქო“.

ასე მოხდა, ჩემო საყვარელო ძმაო, ეს ამბავი, რომელსაც შენ აგრერიგად შეუშფოთებიხარ და დაუინტერესებიხარ. უარ დენმა რომ კითხვა დაამთავრა, ყველანი კიდევ დიდხანს ვიყავით გაოგნებული. არსებითად ახლაც გაოგნებულები ვართ. მაგრამ ახლა უკვე შევეგუეთ იმ აზრს, რომ ჩვენი წარმოდგენა დროის შესახებ, რომელიც ასე მყარი და ძირმტკიცე გვეგონა, ხუხულასავით დაგვემხო თავზე. შევეგუეთ და ვცდილობთ მის ადგილას ახალი წარმოდგენები დავამკვიდროთ. მართალია, ჩვენი ახირებული უარ დენი ამას ერთი ტყუილის მეორე ტყუილით შეცვლას ეძახის, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება, ჩემი აზრით, კარგია, რადგან აზრს აღმოჩენებისაკენ უბიძგებს. ერთი სიტყვით, ოპტიმისტებად ვრჩებით. რაც შეეხება ქრონონავტიკას, ახალი ექსპედიცია სამი კაცის შემადგენლობით უკვე მზადაა წარსულში გასამგზავრებლად. ექსპედიციის ხელმძღვანელად დანიშნულია იუპე.

სხვა რა მოგწერო? ძმურად გეხვევი და გკოცნი.

მოუთმენლად ველი შენს წერილს. ყველაფერი დაწვრილებით მომწერე. განსაკუთრებით მაინტერესებს ორგანზომილებიან არსებათა, ეგრეთწოდებულ ელემინთა ამბავი.

შენი და მუდამ შენი ლუკე.

(წერილი შედგენილია მესამე წელთაღრიცხვის 2779 წელს, ანბანურ-პირობითი თარგმანი შესრულებულია მეორე წელთაღრიცხვის 1979 წელს).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ქვლივიძე

პოეტური პროზა

●

აგეკვიატება უჩვეულო სახელი ემი ვატანაბე (ციგურებზე მოსრიალე 14 წლის იაპონელი ქალიშვილი, ტელევიზორში რომ ნახე) და დადიხარ მთელი დღე და ამ სახელს იმეორებ და თვითონაც არ იცი— რა გიხარია.

●

სიყვარული ყოველთვის მარტო ისაა, რაც არი და სხვანაირი არც შეიძლება იყოს. ნუ ვიგონებთ რაღაცას!

●

სუყველა სიკვდილისაკენ მივდივართ, მაგრამ ფეხს ვითრევთ. შენ კი რატომღაც აჩქარდი და გაიქეცი. რა მიგარბენინებდა?

●

კაცი რომ ავად გახდება, ღმერთო ჩემო, რა ამბავი ატყდება ხოლმე: ექიმი, ნათესავი, მეგობარი, ნაცნობი, მტერი თუ მოყვარე — ყველა თავს ევლება, წამლებს ასმევენ, უვლიან, ეფერებიან, ღამეებს უთევენ, არაფერს აკლებენ, ოღონდ კი მოარჩინონ, გამოახედონ, ქვეყანას დაუბრუნონ...

მავან-მავანი კი ავტომატის სასხლეტს თითს დააჭერს და ერთ წამში, თვალის ერთ დახამხამებაში, ამდენი ყურადღების ღირსი არსება...

მიტოვებული სოფელი

ეზოებიდან ჩამიჩუმი არ ისმის.
მხოლოდ ხეები, ცნობისმოყვარე ბავშვებივით,
ღობეებზე გადმოყუდებულან და გზას გასცქერიან:
იქნებ ვინმემ გამოიაროსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადების დღე

ადრე აქ ყოველ წელიწადს ჩერდებოდა მატარებელი, ახლა კი სადგური, ეტყობა, გაუქმებულია და მატარებელი შეუჩერებლად მიმაქანებს დასასრულისაკენ.

●

ხან, კალმახივით, სიტყვის ბადეში იხლართები, ხან სიტყვის კედელს შუბლით აწყდები და ვერაფრით ვერ გასულხარ სიტყვების მ ი ღ მ ა — ცოცხალი წარმოდგენების ოკეანეში.

აეროპორტი

მაგნეტურ ჭიშკარში გაგატარებენ და იარაღი ან რკინის ნაჭერი თუ გაქვს სადმე დამალული, წითელი ნათურა აინთება და ზარი დაირეკება...

ჯიბეები ამოვიბრუნე, — მაინც გაისმის ზარის წკრიალი!

„ამ კაცს ან რ კ ი ნ ი ს ნებისყოფა აქვს, ანდა იარაღზე უარესი რაღაც უდევს თავშიო", — იფიქრებს ვიღაც.

მინიატურები

№-6

შენ თავი მოგაქვს, თითქოს დიდი იყო მხარჯველი,
და გაიძახი: „ყველას უნდა სიკეთე ეყოს!"
თან კი შიშისგან სულ კანკალებ, რომ არვინ ხელჰყოს
შენი კუთვნილი
პაწაწინა
ნამცხვრის ნაჭერი!

სიცოცხლე

ხან ძველი ხარ, ხან კი ისევ ახალი ხარ,
თან ნაცნობი, როგორც ძველი ჩვეულება...
დედამიწის საყმაწვილო სახადი ხარ
თუ ბებერი მატერიის სნეულება?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაპლინი

პატარა კაცის დიდი ქომაგი — ჩარლი
ამბობს: „სიკეთეს არ გასვლიაო ყავლი!“
და თავის ყოველ კინოსურათით ცხადყოფს,
რომ სიკეთის ხე ისევ დაისხამს ნაყოფს.

პარადოქსი

ელვის პრესლი — გარდაცვლილა ა რ ი ტ მ ი ი თ,
მოპკლებია მომღერალთა კლანს...
მოდი შენ და, ნუ იდარდებ, ნუ იტირებ:
რიტმის მეფეს — არიტმია კლავს!

●

ყველაფერს ვგეგმავდი,
        ვზომავდი,
                ვითვლიდი,—
მეგონა ვიყავი ბრძენი ან დევგმირი...
რას წარმოვიდგენდი, თუ ჩემი ცხოვრება
ვიღაცას წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი!

დალოცვა

სულ მოგწყვეტიათ ყველას კისრები,
ქართული სუფრის მოხალისენო!
ისეთ ხ ვ ა ლ ი ნ დ ე ლ დღეს ეღირსენით,
ზ ე გ სიხარულით რომ გაიხსენოთ!

შვილიშვილს — პატარა ანიკოს

ასე მგონია, ბეწვზე ჰკიდია
და ჩამომწყდება გული საცაა!
შემართული ვარ, როგორც მინდია,
შენ საალერსოდ და დასაცავად!

ჩემო პატარა მინდვრის ასულო,
ყელზე მაბიხარ ცინცხალ მძივებად...
შენი ახაკით ვზომავ საწუთროს
და არსებობა მიხანგრძლივდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ჯავახიშვილი

ხ ვ ა ლ...

მირიან რობაქიძე თავჩაქინდრული იჯდა მტვრიან ტროტუარზე თავის ჰიშკრის წინ და ვერ დგებოდა, მშველელი კი არსაიდან ჩანდა: შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო. ხელმეორედ სცადა ვინმეს დაძახება და კვლავ ამაოდ: ხმა წართმეული ჰქონდა, ჰაერი ბეჭქვეშა ჭრილობიდან გამოსდიოდა.

თავბრუ დაეხვა, იგრძნო, როგორ ელეოდა თანდათან ძალა. თბილი, წებოვანი სითხით გაჟღენთილი პერანგი უსიამოვნოდ მიჰკრობოდა წელზე. ხელი მოისვა და თითები თვალებთან მიიტანა, მაგრამ სიბნელეში ფერი არ ჩანდა და ვერ დაიჯერა, რომ სისხლისგან იცლებოდა.

„ვინ უნდა ყოფილიყო?“ — აეკვიატა ფიქრი, — ნუთუ ვერ გავიგებ, ისე მოვკვდები?!...“ ერთხანს აწვალა ამ უპასუხო კითხვამ და მერე უცებ მიანება თავი, ათასი სხვა ფიქრი აერია დაბინდულ გონებაში. სიზმარეული სისწრაფით, უწესრიგოდ ცვლიდნენ ერთმანეთს წარსულის მკაფიო სურათები და მომავლის ბუნდოვანი ვარაუდები, ბოლოს კი უქმად გატარებული წლების შეგრძნებით გამოწვეული სინანულის მწარე და მტკივნეული განცდა უმწეოდ აფართხალდა მომაკვდავის მისუსტებულ გულში.

შორიდან გარკვევით მოისმა მამლის ყივილი. მერე კიდევ და კიდევ, სულ სხვადასხვა მხრიდან. რა უნდოდა ამდენ მამალს ამ შუა ქალაქში, ძნელი სათქმელია. რას გაუგებს ამ ცხოვრებას კაცი?!

●

— ბიძა! მაშ ვარიანტი არ არსებობს, რომ სამი დამიწერო? — საიდანღაც ჩაესმა მირიანს ყურში.

გაახსენდა, რომ ეს დილას იყო, უნივერსიტეტში, მისაღები გამოცდების საპროტესტო კომისიაზე. ასე მიმართა მას ერთ-ერთმა თმაგაბურძგნილმა აბიტურიენტმა, რომელიც იურიდიულზე აბარებდა. წითლად აჭრელებული მისი თხზულება იმჟამად მათ შორის მაგიდაზე იდო.

არ გაკვირვებია, რადგან ამისთანა ტიპისაგან უარესსაც ელოდა. „ვარიანტი არ არსებობდა“ და უარის ნიშნად ცივად გააქნია თავი, მერელა ახედა და კიდევ ერთხელ ყურადღებით შეათვალიერა სკამის ზურგზე უტიფრად მკლავგადადებული ყმაწვილი. მერე კვლავ მის ნაწერს ჩახედა და სისხლი აემღვრა. ილია და აკაკი თეთრგვარდიელთა ლიდერები იყვნენო, თერგდალეულთა ნაცვლად ჰქონდა ყმაწვილს საიდანღაც გადაწერილი და ჩასაჭრელად, სხვა რომ არაფერი, ესეც კმაროდა. სამიანზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

— მღუპავ, ბიძაჩემო?! — ხმა ჩაეხლიჩა აბიტურიენტს.

— მე ბიძაშენი არა ვარ! წესიერად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილაპარაკე! — მშვიდად უპასუხა მირიანმა.

— კაი, აბა! კარგად ბრძანდებოდე, პატივცემულო! — კბილებში გამოსცრა ყმაწვილმა და სახე ბოროტად დაიღრიჯა.

მირიანს მარცხენა მკლავი აექავა, კრიჭა შეეკრა, ჩვეულებისამებრ, დასამშვიდებლად დახუჭა თვალები და როცა გაახილა, მის წინ აღარავინ იყო. ფანჯრისკენ გაიხედა.

თბილისში აგვისტო მძვინვარებდა, მირიანის უსაყვარლესი თვე. უკვირდათ ხოლმე, რა ნახე აგვისტოში საყვარელი, ისიც ქალაქშიო. პასუხად სდუმდა, ულვაშებში ეღიმებოდა და არავის უტყდებოდა, თუ რა „ნახა". არადა, ნახა და უყვარდა, კაცია და გუნება. ან კი როგორ არ ყვარებოდა სიცხით გათანგული ქალაქის დაცლილი ქუჩებისა და ლივლივა ალმურში გახვეული უკაცრიელი ეზოების იდუმალება, ან თუნდაც მიწაში ღრმად ჩამჯდარი თავისი ბინის მაცოცხლებელი სიგრილე და ან ის სასიამოვნო, მომთენთავი გაბრუების განცდა, რომელიც რატომღაც მხოლოდ თბილისში და ისიც მხოლოდ აგვისტოში ეუფლებოდა?!..

გვიან თუ მალე, ეს გამოცდებიც დამთავრდებოდა, ყველა სადღაც გაიკრიფებოდა, გამომცდელებიცა და აბიტურიენტებიც, გამარჯვებულნიცა და ხელმოცარულნიც. კიდევ უფრო დაიცლებოდა ქალაქი და მამადავითის თავზე ხვალ უთუოდ ღვთაებრივად წყნარი დილა გათენდებოდა. ასეთ დილას თბილისელ კაცს ჰგონია ხოლმე, რომ თითქოს ყოველივე ცუდი, ადამიანის წვრილმანი თუ კაცობრიობის მსხვილმანი საზრუნავი და სადარდებელი ამ წმინდა მთის გადაღმა რჩება. და ნუთუ შეიძლება ამ ილუზიით არ ინებივროს კაცმა? ხოლო თუ იგი ორი კვირა მაინც გრძელდება, უკეთეს დასვენებაზე ხომ ფიქრიც ზედმეტია, რის სოჭი, რა ბიჭვინთა, გაგიგონიათ?!

დილაობით, როცა უნდა, მაშინ ადგება, მაგრამ თითქოს ჯიბრზე, ადრიანად გაეღვიძება. ჩავა პლეხანოვზე. რა კარგია ამ დროს გულმოდგინედ დაგვილი, სუფთა ქუჩები! შევა ძველ ველოტრეკთან რომ საშაქარლამოა, ცხელ კაკაოს თუთქავს, რამეს მიაყოლებს და ამით უამრავი დრო დაეზოგება. სწორედ ის ძვირფასი, თავისუფალი დრო, რომლის ფლანგვაც ჭამა-სმაზე ნაღდად აფსუსია. მერე, მარჯანიშვილის მოედანზე მეტროსკენ ჩაუხვევს. ვიდრე ძირს ჩააღწევს, უნდა თუ არა, მაინც გაექცევა თვალი და ესკალატორით ამომავალი ხალხის სახეებს დააკვირდება. რანაირ გამომეტყველებას არ იხილავს აქ, რამდენ დარდს, რამდენ სასოებას, რამდენ სიკეთესა და ბოროტებას, რამდენ სილამაზესა და სიმახინჯეს ეზიდება ეს დაუღალავად მოძრავი კიბე. მერე ეს ყველაფერი ქუჩებში ილვრება, შენობებში შედის. უკვე ცხება და ქალაქი იწყებს დაცარიელებას.

რუსთაველზე მაინც მუდამ ბევრი ხალხია, ძირითადად ტურისტების ხარჯზე. დაძრწიან ფეხშიშველები, გულმოღეღილები, ქალს კაცისაგან ვერ გაარჩევ, დიდს — პატარასაგან. თვალებს აცეცებენ, ერთნაირი ყურადღებით შესცქერიან ქაშუეთის ჩუქურთმებსა და ტროლეიბუსის აწყვეტილ ბიგელს, ქურთი მეეზოვე ქალების ეროვნული ჭრელი კაბები სპექტაკლისამოსი ჰგონიათ, და ცხადია, მოსწონთ; ვიტრინებში გამოყრილი ბრჭყვიალა ნივთები კი ჭედური ხელოვნების შედევრებად მიაჩნიათ და ერთმანეთს ხელიდან გლეჯენ...

გვერდს აუქცევს ამ ჭურში მჯდართა ბრბოს და თავს შეაფარებს ოპერის პირდაპირ წიგნების დიდ მაღაზიას, რომლის ერთ-ერთ გამყიდველსაც კარგად იცნობს. გამოვა მერე კარგი წიგნით ხელში და ცხოვრებაც ოდნავ უფრო საამური მოეჩვენება. თუ ნაცნობი არ დახვდა, დაღონებული გაუყვება საყვარელ ქუჩას, რომლისკენაც ხშირად უწევს გული, მაგრამ ვერ იცლის ხოლმე, ან შეგნებულად იკავებს თავს, რადგან იცის, უეჭველად ვინმეს იხეთს გადაეყრება, ვისი ნახვაც არასოდეს არ

ენატრება. აი, თუნდაც, აივენგო ჭეჭიას. მისი მარწუხებიდან თავის დაღწევა ერთობ ძნელია. არც აინტერესებს, უსმენს მას ვინმე თუ არა, მოყვება ამ მთისას, იმ მთისას, ყველაზე ყველაფერი იცის, უინტიმურეს წვრილმანებიანად. მსმენელს ისეთი შეგრძნება უჩნდება, თითქოს მის წინაშე ადამიანს კარტოფილივით ფცქვნიან, აჰა, უკვე შიგნეულობამდე მივიდა საქმე...

— აღარ შემიძლია! — ხმამაღლა წამოსცდება მირიანს უნებურად.

— თბილისში დარჩენა, არა? — მიუხვდება ყოვლისმცოდნე ჭეჭია.

— ჰო... — სასოწარკვეთილი დაეთანხმება მირიანი და ეს ფიქრი საგზლად წაჰყვება: რად ჩნდება ქვეყნად ასეთი დროისმჭამელი ხალხი? რად იბადება? ჭირი ისაა, სხვის დროს რომ ჭამენ, თორემ თავისი გახარჯონ, რამდენიც ენებოთ, ვისი რა საქმეა?!

არა, ნამდვილად აღარა ღირს რუსთაველზე გავლა, რაღა დროს ეგაა?! მირიანის ხნის ხალხი ყველა საქმითაა დაკავებული, ყველა სადღაცაა ჩამჯდარი, ზოგი შინ, ზოგი მანქანაში, ზოგი კაბინეტში, ზოგიც... ციხეში. მხოლოდ დროისმჭამელნი დაყიალობენ აღმა-დაღმა და მირიანსაც ამიტომ ხვდებიან. რა არის ამაში გასაკვირი? არაფერი. და მაინც ებრალება თავი: კიდევ ერთხელ არ გამართლდა მისი იმედი. პირველივე თავისუფალ დღეს რომ ასე დაისჯება კაცი, მერე რა იქნება?! სჯობს, კვლავ ძველ უბნებს შეაფაროს თავი, დაბრეცილ შუკებს, ვიწრო ქუჩაბანდებს, აი, როგორიც ხარფუხშია, როგორიც ჩუღურეთში ან მთაწმინდაზე...

●

რაღაცამ დაუფრთხო მირიანს ფიქრი, თურმე — სიჩუმემ, ასეც ხდება ხოლმე.

მიმოიხედა.

აუდიტორია ცარიელი იყო.

ნუთუ გამოცდები მას აღარ ეხებოდა?! ვერაფრით ირწმუნა.

ფანჯრისკენ გაიხედა. შუადღე აუდიტორია დგარიყო, ცხელი, უსაშველო.

ადგა. ქაღალდები აკრიფა, წიგნში ჩააწყო და დერეფანში გავიდა, სადაც, სიბნელის მიუხედავად, საზეიმო განწყობა დახვდა: მსუბუქი ნაბიჯებით მიმოდიოდა ხალხი, მხიარულად ულიმოდა ყველა ერთმანეთს...

— მომილოცავს! — მიაძახა მირიანს ჭიჭიმ და გვერდით ჩაურბინა.

ჭიჭი, ანუ მანანა ჭიჭინაძე, მირიანისა არ იყოს, საგამოცდო და საპროტესტო კომისიების წევრი გახლდათ ერთსა და იმავე დროს. ამ პატარა, ფერმკრთალმა ქალიშვილმა ყველა გააოცა, ისე ვაჟკაცურად გადაიტანა თავისი სუსტი მხრებით მისაღები გამოცდების მთელი სიმძიმე. ის კი არა და, აგერ, სირბილის თავიც შერჩენოდა.

— რას მილოცავ, გოგო? — დაუფიქრებლად მიაყოლა კითხვა მირიანმა, მაგრამ ჭიჭი აღარსად ჩანდა.

მერელა მიხვდა, რასაც ულოცავდნენ: ცხადია, გამოცდების დამთავრებას.

— რა, არ არის მისალოცი, თუ? — შესცინა მას მერაბმა და ხელი ბეჭებზე მოუთათუნა, — როდემდე უნდა იყო, ბიჭო, ეგეთი ბოთე?!

მერაბ ქავთარაძე მიმღები კომისიის თავმჯდომარე იყო. ყველაზე მეტად დაჩაგრული და დატვირთული კაცი. ისედაც ტანმორჩილი, ამ ზედატვირთვას, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, მთლად დაეჩიავებინა და მირიანის გვერდით მართლაც საცოდავად გამოიყურებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც ის აღმოჩნდა მოთავე სადმე ქალაქგარეთ საზეიმო სადილის ნაუცბათევი გამართვისა. ყველამ ხალისიანად დაუჭირა მხარი. მსწრაფლვე შეგროვდა ფული, მოლარედ, ჩვეულებისამებრ, ჭიჭი დაინიშნა... და აი, მხიარული ხალხით სავსე მიკროავტობუსმა მალე უკან მოიტოვა წყნეთის აღმართები, გაივაკა და სამადლოსკენ აიღო გეზი. მირიანს

დავით ჯავახიშვილი
ხვალ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმც კი ეზარებოდა დღეს ქეიფი, მაგრამ უარის თქმაც არ დასცალდა, ისე უცებ შეაგდეს მანქანაში. იჯდა ახლა სადღაც ბოლოში მიჭეჭყილი და კვლავ თავის ფიქრებს მისცემოდა.

შუადღისას, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მუდამ შინისაკენ მიუწევდა მირიანს გული. ისე ეგონა, თითქოს ყველა, ვინც უყვარს, ვინც უყვარდა ან როდისმე ეყვარებოდა, ერთად ელოდა მას იქ. მივიდოდა ამ უცნაური მოლოდინით სავსე და ერთხელ კიდევ რწმუნდებოდა მის შეუძლებლობაში. სამაგიეროდ ხვდებოდა ის, რაც უყვარდა: გრილი მყუდროება და სიძველის მათრობელა სუნი.

ამ რაიონს ძველად ოქროს უბანი რქმევია და მისთვის დღესაც ეს სახელი ჰქონდა შერჩენილი. ფიქრში გართული შორ გზას ირჩევდა მისკენ და ვერც იგებდა, ისე ამოჰყოფდა ხოლმე თავს სადმე სოლოლაკში ან ორთაჭალაში. თავისი მეგობრის, ბიძინა ლომიძის გამო უყვარდა მირიანს ეს უბნები და, საერთოდ, ძველი თბილისი. ვინ მოთვლის, რამდენჯერ ჩამოსულან ერთად ფეთხაინის ქვის კიბით, რამდენჯერ გაუვლიათ პურის მოედანი და მერე გოგირდის აბანოებისკენ გაუწევიათ. სიონი, ანჩისხატი, მეჩეთი, სინაგოგა მათი საყვარელი ადგილები იყო. ბიძინა უნაკლოდ ფლობდა ყველა „თბილისურ“ ჟარგონს და მირიანიც მასთან ერთად შინაურულად გრძნობდა თავს იმ ჭეშმარიტად ინტერნაციონალურ გარემოში, რომელიც იმ დროს არავითარ ქადაგებას არ საჭიროებდა.

მეჩეთი აღარ არის, აღარც ბიძინაა, მეტეხის ეზოდან კი სალამოობით არცთუ საუკეთესო ჯაზის გამყივანი ხმები მოისმის. მოდი და ნუ გეტკინება გული!

მძიმე ტვირთივით გადაჰქონდა ეს ფიქრი მირიანს მტკვრის მარცხენა მხარეს, აუყვებოდა მერე აღმა სანაპიროს და იქ, სადაც რიყე იყო ერთ დროს, კიდევ უფრო სტკივდებოდა გული. დიდი და არაფრისმაქნისი სკვერი ხვდებოდა მის ადგილას, ფულის საკეთებელი უცხოური ატრაქციონებით გადაჭრელებული. ჩუღურეთი მაღალი და უშნო სახლების უკან მიმალულიყო, მეტეხის ერთ დროს შეუვალი კლდე კი ორმაგ საავტომობილო გვირაბს გამოეშიგნა... ჩაესვენა ძველი თბილისის მზე, ჩაესვენა, რათა აღარასდროს აღარ ამოვიდეს.

დრო იყო, ბოლო მოღებოდა ამ უთავბოლო და უაზრო ხეტიალს, მაგრამ მირიანს ფიქრიც კი ენანებოდა ამაზე, ვერაფრით შელეოდა საყვარელ ქუჩებს. ჰაერი მონატრებოდა ამ გამოცდების გადამკიდეს, თუნდაც თბილისური, მტვრიანი და ცხელი. მიდიოდა ჩუმად, მიეხეტებოდა, ვის რას უშლიდა, თავის წილ მტვერს ყლაპავდა, სხვა ხომ არაფერი?! ფიქრიანი უახლოვდებოდა თავის კედლებდაბზარულ ბუნაგს, სადაც ხმის გამცემი არავინ ელოდა, გარდა მოჩვენებებისა, რომელნიც ღამღამობით სხვენის კიბეს აჰრიალებდნენ, დაძრწოდნენ სიბნელეში და თვითნებურად აღებდნენ ან ხურავდნენ ყველა მორყეულ კარს. ისინი მირიანის წინაპართა სულები იყვნენ, ისინი იფარავდნენ მას, მარტოს არ სტოვებდნენ და ხშირად სიზმრადაც კი ევლინებოდნენ. უყვარდა მირიანს მათი სათნო, დალაგებული სახეები, ხიბლავდა მათი დარბაისლური მიხვრა-მოხვრა და ჩაცმულობა, შურდა მათ თვალებში გამომკრთალი თავდადება და უანგარო ერთგულება დიდი საერო საქმეებისადმი. „ენაა ამჟამად და მუდამ მთავარი!“ — მკაცრად უქადაგებდნენ ხოლმე ისინი, — „კედლად აღუდექ ბარბარიზმების შემოჭრას! არ დაუშვა დიალექტიზმების სიჭარბე! ხმალამოწვდილმა იბრძოლე დედაენის შენარჩუნებისა და სიწმინდისათვის! იყავ ერთგული ამ მაღალი მისიისა, ვითარცა იაკობ!...“ დილამდე უგრძელდებოდა ზოგჯერ ეს უცნაური, პლაკატურ-პატრიოტული სიზმარი და მისი პათოსით დამუხტული მიიჩქაროდა მერე გამოცდებზე. და რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ უკვირდათ, როგორ აღშფოთებდათ ზოგიერთებს, თუკი წმინდანთა მარტვილობასა ან რომანტიზმის სათავეებზე მოსაუბრეთ, თუნდაც უცაბედად წამოცდენილ ერთადერთ „კაროჩესა“ ან „ვააბშჩესთვის“ გამომცდელი ულაპარაკოდ ორიანს უწერდა. რა ექნა, თუკი სხვანაირად არ შეეძლო. საბრალო აბიტურიენტები მის ხელში!

●

მიკროავტობუსმა „სამადლოს“ ეზოში შეუხვია, ქოხმახებივით ერთიმეორეზე მიჯრილი საზაფხულო კაბინეტების გასწვრივ თითქოს საპატიო წრე დაარტყა და გასასვლელთან შეჩერდა.

მირიანს კვლავ გაუწყდა ფიქრის ძაფი და იქაურობას სინანულით მოავლო თვალი.

ჯერ ადრე იყო, ხალხი ცოტა ჩანდა. მომსახურე პერსონალმაც ამიტომ თუ არ დააყოვნა სტუმრების შეხვედრა, ეზოში გამოეფინა უკლებლივ ყველა, დირექტორმაც კი იკადრა გამოჩენა. მეფისტოფელს ჰგავდა საოცრად, თმახუჭუჭა, ყურცხვირნიკაპწვეტიანი. გამოცდილი თვალით უმალ და უშეცდომოდ შეაფასა ახალი კლიენტები. ინტელიგენციააა, ამათ ვერაფერს გამორჩებიო, დაეწერა სახეზე, და მოჩვენებასავით გაქრა. ოფიციანტებსაც მყისვე დაეტყოთ გულგატეხილობა, თავაზიანად უთმობდნენ ერთმანეთს მომსახურების რიგს.

ეზოს კუთხეში მდგარი ბებერი თუთის ძირში, მრგვალ მაგიდას ათიოდე კაცი უჯდა, შიშველი, ბანჯგვლიანი ფეხები წყლიან ტაშტებში ჩაეყარათ და ასე ქეიფობდნენ. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს „სამადლოს“ საზაფხულო სიახლე ყოფილა.

ერთი მათგანი მირიანს თითქოს ეცნო, მაგრამ ვერ გაიხსენა, საიდან და, მეშლება, გაიფიქრა, დროზე აარიდა თვალი.

—ტაშტებს ხომ არ ინებებდით? — უიმედოდ იკითხა ოფიციანტმა, როდესაც ამ იდილიით ნირწამხდარმა ინტელიგენციამ უახლოეს კაბინეტს შეაფარა თავი.

— ტაშტებს არა და, აბაზანებს თუ მოგვიტანთ ყველას სათითაოდ, არ ვიტყოდით უარს! — თქვა მერაბ ქავთარაძემ და თავისი ხუმრობით კმაყოფილმა ცხვირსახოცით სათვალის წმენდას მიჰყო ხელი.

— ფული არ გეყოფათ, ბატონო, თვარა არც მაგია შეუძლებელი! — დამცინავად, წარბაწეული იღიმებოდა ოფიციანტი.

— რა იცი, კაცო, შენ, რომ არ გვეყოფა? — ვითომ გაცხარდა მერაბი, — საგამოცდო კომისიის წევრები გახლავართ, აგრე ნუ გვიყურებ! კაი მაყუთი გვაქვს რომ იცოდე, გადაღუნული!

ოფიციანტი აშკარად შეეჭვდა, ვეღარ მიხვდა, კვლავ ხუმრობდა თუ არა ეს „მაზალო“, სათვალიანი კლიენტი. ბოლოს მაინც დაჯერება არჩია, ყოველ შემთხვევისათვის, და ცქვიტად დაბზრიალდა.

— ისე, მაინც, რა ღირს თითო ტაშტი? — არ ცხრებოდა მერაბი.

— მანეთი, ბატონო!

— ორ-ორი მოგვიტანე სულზე, თითო მარჯვენა და თითოც მარცხენა ფეხისთვის! მოიცა, კაცო, გეხუმრები, მართლა არ გეგონოს!

გასაქცევად მზადმყოფ ოფიციანტს საბოლოოდ აებნა თავგზა.

ამასობაში შეუმჩნევლად შეიპარა ბინდი ბეთანიის ტყეში. შეუმჩნევლად გადაიქცა „სამადლოში“ ვახშმად სადილი. მერაბ ქავთარაძე აქაც თავმჯდომარეობდა და მალე ყველას გადასდო თავისი მხიარულების ვირუსი. მხოლოდ მირიანს აღმოაჩნდა საოცარი იმუნიტეტი. ამ პირველმა თავისუფალმა საღამომ სევდა მეტი მოჰგვარა, ვიდრე სიხარული. ვერც კარგმა ღვინომ გაჭრა, თუმც მართლაც სანაქებოდ იყო ჩაციებული, ვერც — ჭიჭის დაუფარავმა ყურადღებამ მთელი ვახშმის განმავლობაში. უფ-

რო და უფრო დაუმძიმდა გული, როგორც იცის ხოლმე ხშირად უმიზეზო, გაურკვეველმა უგუნებობამ, ვიდრე თავისთავად და უცებ არ გაიფანტება დილის ბურუსივით.

— რა მოგივიდა, ბიჭო, შენ? — ჩააცივდა ხუმრობის იშტაზე მოსული მერაბი, — ვერც ამ მშვენიერ საღამოს უნდა მოერიო მაგ მსოფლიო სევდას?

მირიანმა არაფერი უპასუხა, ნაღვლიანად გაუღიმა მხოლოდ.

საღამო კი მართლაც მშვენიერი იყო, გრილი, იასამნისფერი. საიდანღაც, ბეთანიის მხრიდან, ჭრიჭინობლის ობოლი ხმა ისმოდა. საკვირველი იყო, როგორ ვერ ახშობდა მას თანდათან მოზღვავებული და უკვე შეზარხოშებული ხალხის ღრიანცელი. „დედიანო, დარდიანო, შენს ეზოში დედიანო", — ჩახლეჩილი ხმით ბღაოდა ვიღაც მეზობელ კუპეში. „ოქროს გალიაში ჩასასმელი ხარ და ხელისგულზე სატარებელი..." — ისტერიულად ეჯიბრებოდა მას ვიღაც წვრილხმიანი. სადღეგრძელოებიც, სამწუხაროდ, მკაფიოდ მოისმოდა ყოველი მხრიდან. მირიანი უნებურად ისმენდა მათ და, ჩვეულებისამებრ, ხუთბალიანი სისტემით ცდილობდა თვითეულის შეფასებას. არაფერი გამოსდიოდა, სამიანი ვერავისთვის გაემეტებინა. უმეტესობა გაცვეთილ სისულელეებს ქადაგებდა, ზოგი — თავისებურს, მაგრამ სისულელე სისულელეა და ჩახუჩუჩება მას ბევრს ვერაფერს შველის. რა არის ჩვენს თავს ამ ბოლო დროს, რა გვემართება, ლამის სასოწარკვეთამდე მისულიყო მირიანი, რომელსაც უცებ გაუნათლდა გონება, მიხვდა, რაც იყო... „სისულელე მუდამ მყვირალაა და თავმომწონე, სიბრძნე, კი, პირიქით, თავმდაბალი და ხმადაბალი," — დაასკვნა ბოლოს და ცოტა გულს მოეშვა, უფრო ლაღად იგრძნო თავი, ღვინოც სასიამოვნოდ მოეკიდა უკვე. მერე თამარ მეფის ფრესკა გაახსენდა რატომღაც, ბავშვობისას ბეთანიის ეკლესიაში ნანახი. სადღეგრძელოს თქმაც კი მოუნდა ამ თემაზე, მაგრამ მყისვე გადაიფიქრა, სიყალბე და ლიტერატურულობა დაიბრალა თვითვე. დუმილი ოქროაო, გაიფიქრა, მაგრამ ოქროსაც მოყირჭება სცოდნიაო, ესეც გაახსენდა და წასვლა გადაწყვიტა, ვიდრე გუნება არ წაეხდინა ყველასათვის. ის იყო წამოდგომა დააპირა, რომ კაბინეტის კარში „აბა და, მოსულააას" ძახილითა და ბოთლების წკარუნით, წელში ოთხად მოკაკვული ოფიციანტი შემობარბაცდა.

— ეს თხუთმეტი ბოთლი ბატონ მირიანსა და მის მეგობრებს მოართვეს მეზობელი სუფრიდან! — განმარტა მან, რომელსაც ლანგარი მაგიდის კუთხეს ჩამოაყრდნო და, როგორც იქნა, სული მოითქვა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მირიანი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და დაიბნა, აილეწა, გაღიზიანდა. არაფერი ეჯავრებოდა ამაზე მეტად.

— რომელი სუფრიდან? — იკითხა უფრო უხერხულობის დასაფარად, ვიდრე ცნობისმოყვარეობის გამო.

— აი თუთის ძირას რომ სხედან, ბატონო! — მისამართი დააზუსტა ოფიციანტმა.

— კიდევ კარგი, ტაშტები არ გამოგვიგზავნეს! — თქვა მერაბმა, მაგრამ ეს უკვე ხუმრობის კილოს აღარ ჰგავდა.

ოფიციანტმაც ასე გაიგო.

— რა დროის ტაშტებია?! — თქვა მან, — სიგრილეა აწი!

— ჩვენ მივდივართ, ვინაა ნეტა ამის დამლევი!? — დაუფიქრებლად ჩაილაპარაკა მირიანმა და ზეზე წამოდგა.

ყველა უხმოდ და ერთბაშად წამოიშალა, თუმც ჯერ ადრე იყო, მანქანა უფრო გვიან ჰყავდათ დაბარებული.

— ჭიჭი, გაუსწორდი მეგობარს! — უბრძანა მერაბმა მანანას და სათვალე მოიხსნა, შუშებს დაათრთქლა.

იმის გამო, რომ მას ქალი უნდა გასწორებოდა, რომ ამ ქალს ჭიჭი ერქვა, ხოლო სამეფო ძღვენს სათანადო ალტაცება არ გამოუწვევია, ოფიციანტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბნეული იდგა და აქეთ-იქით პირდაღებული იყურებოდა.

მკრთალად განათებულ ეზოში, თუთის ძირში, დევების ღრეობა გრძელდებოდა.

მერაბის დანახვაზე მუქ, ზორბა ლანდებს ერთ-ერთი გამოეყო და შუქზე გამოვიდა. მრგვალ, კეთილ სახეს ქვემოდან მრავალნაკეციანი ღაბაბი უმშვენებდა. ჭიპამდე ჩახსნილ პერანგის ღილებს გზადაგზა იკრავდა და, მაძღარი კაცის კმაყოფილებით მოთენთილი, ნება-ნება მოქანაობდა.

— მგონია, ვეღარა მცნობთ, ბატონო მირიან!

ხმაც ნაცნობი აღმოაჩნდა, უფრო ზუსტად, ლაპარაკის კილო რაღაც აგდებული, სადღაც და როდისღაც ხშირად გაგონილი. ჰო, მაგრამ, სად ან როდის? ჰმ, ნუთუ?...

— დიახ, ბატონო, დიახ, საშა გახლავართ, ჭელიძე, თქვენი კლასის ამხანაგი!

... და მირიანს ყველაფერი წვრილად გაახსენდა, უსიამოვნოდ გააჟრჟოლა ტანში.

ჰო, ეს ნამდვილად „პადუშკა“ იყო, ბავშვობაშიც მუდამ მსუქანი და ლოყებღაჟღაჟა, ამჟამად კი ყოველგვარ საზღვრებს გადამცდარი ბღენძი. მისი სიმსუქნე იმ დროს ყველას აოცებდა, რადგან სამაგისო მართლაც არაფერი სჭირდა, უფრო — პირიქით. დედა არ ჰყავდა, მამა სადღაც მორგში მუშაობდა სანიტრად და სპირტის უზომო სმას იყო დღენიადაგ გადაყოლილი. მალე ისიც მოუკვდა და, თორმეტი წლისამ, საეჭვო ხალხში იწყო ტრიალი. ხან ტრამვაიში მოჰკრავდნენ თვალს ნაცნობები, ხან ტროლეიბუსში. ის მსუქანი ბავშვის მჭადივით მრგვალი, მიამიტი სახე და კეთილი ღიმილი ყველაზე ფრთხილ მგზავრსაც კი უეჭველად შეაცდენდა და სიფხიზლეს მოუდუნებდა. ამიტომაც, მისი მეტსახელი მალე არა მარტო კოლეგებში, მთელ ქალაქში გახდა ცნობილი. მერე უცებ გაქრა, იჯდა ალბათ სადმე. და მხოლოდ ამ სამიოდ წლის წინ მირიანმა ვიღაცის მონაყოლს მოჰკრა ყური სახინკლის ყაყანში: „პადუშკა“ რომ იყოო, განთქმული ოქროხელი, მეორე საავადმყოფოში მოყუჩებულა სამშობიარო განყოფილების მნედ, სხვა ათასგვარ მაქინაციებთან ერთად, მიტოვებული ბავშვებითაც ვაჭრობს და კარგა დიდ ფულებსაც ატრიალებსო. მართალი იყო თუ არა ეს საზიზღარი ამბავი, ალაჰმა უწყის, მაგრამ ის კი არ კმაროდა, რომ არ იყო შეუძლებელი?...

თითქოს ვიღაც დაეკიდა მკლავზე მირიანს და ჰაერში შეატოვებინა „პადუშკას“ გამოწვდილი ხელი. მერე თავისიანებს გახედა უმწეოდ, დამნაშავესავით. ისინი ამასობაში ეზოდან გასულიყვნენ და გზაზე ელოდნენ. ჭიჭი შეშფოთებული იყურებოდა მისკენ, ყოველ წამს გამოსაქცევად გამზადებული.

— რა მოგივიდა, ბიჭო, ხელსაც აღარ მართმევ? — სახიდან ღიმილის მოუშორებლად ჰკითხა „პადუშკამ“, — მმართებს რამე შენი?

მირიანმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— არც შენ გემართა აქამდე ჩემი! — კვლავ ტკბილი ხმით განაგრძო „პადუშკამ“, — მაშ რაშია საქმე? ღვინოც არ მიიღე, მოწამლული ხომ არ გეგონა?

მირიანი ხმას ვერ იღებდა, თითქოს ბურთი გაჩხროდა ყელში.

— მოკლედ... წავედი... — ამოღერღა ბოლოს ძლივსძლივობით, „პადუშკას“ ზურგი შეაქცია და ნელა გაემართა თავისიანებისკენ.

— მოიცა, ბიჭო! — მოესმა უკნიდან, — შენ ვინა გგონივარ?

— მომეშვი, „პადუშკა“, რას გადამეკიდე?! — არც შეჩერებულა, ისე უპასუხა.

— ეს როგორ გავიგოთ?

მირიანმა მხრები აიჩეჩა.

დავით ჯავახიშვილი
ხვალ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ ასე, არა? აბა კარგი! წინ იყური, თავს გაუფრთხილდი!..

მირიანმა ახლა კი მიხვდა: „პადუშკას“ სახეზე ღიმილი გამქრალიყო. მემუქრებათ, მიხვდა და მარცხენა მკლავი აექავა, კრიჭა შეეკრა. სკოლის დამთავრების შემდეგ კაცისთვის აღარ გაურტყია. თარსი ცაცია ჰქონდა, მწარე, მარცხიანი. გაურბოდა ხოლმე ჩხუბს. მაგრამ ამჯერად სხვა მიზეზით შეიკავა თავი, ფხიზლად შეაფასა ვითარება. მანქანის მოსვლამდე ჯერაც ადრე იყო, გზაზე სხვებთან ერთად, ჭიჭიც ელოდა... სისულელე იქნებოდა, სხვა არაფერი.

— ვინ იყო, ვინ აღმოჩნდა? —შეკითხა აღელვებულმა ჭიჭიმ.

— იყო რა, ერთი.. — უფრო მოეღუშა მირიანს სახე.

— რა ვიცი, ტკბილად კი მასლაათობდით, — ჩაიცინა მერაბმა.

— მოდი, ფეხით გავყვეთ, აქ ხომ არ ვიდგებით!? — სიტყვა ბანზე ააგდო მირიანმა.

ყველას ჭკუაში დაუჯდა ეს აზრი. ნელა გაჰყვნენ შავად მოპრიალე ასფალტს.

გზა ტყეში შედიოდა. გრილად შრიალებდა ორივ მხარეს ტევრი.

უკან, კიკეთის თავზე, სავსე მთვარე ამოდიოდა. ნათელი ღამე დამდგარიყო, კოჯრის ციხეს წვდებოდა თვალი.

თბილისის ზემოთ ცა ყვითლად ციალებდა, დაბლა კი დასიცხული ქალაქი ელექტრონის ოქროსფერ ბურუსში და ადამიანთა აუხდენელ ოცნებებში ჩაძირულიყო.

●

სიცოცხლე გაძნელდა თუ მირიანს ეჩვენება? ხელჩაქნეულობას სწამებენ მეგობრები. ერთი შეხედვით, მართლაც ასე მოჩანს: ცოლ-შვილი არ ჰყავს, სახლი ლამის თავზე დაენგრეს. თავისმართლებას დააპირებს ხოლმე ზოგჯერ, მაგრამ, დე, ეგრე იყოსო, მართლაც ხელს ჩაიქნევს ბოლოს.

არადა, ძნელია, გიხაროდეს სიცოცხლე, თუკი შენს უახლოეს მეგობართაგან უმეტესობა გვერდით აღარა გყავს... თუკი გვერდით მყოფთაგანაც ერთ-ერთს თეთრსისხლიანობით უკვდება შვილი... მეორეს ვერა და ვერ აუწყვია ოჯახური ცხოვრება და მისი ცოლყოფილნი, ფულებთან ერთად, სასიცოცხლო ძალებსაც წურბლებივით უმოწყალოდ სწოვენ... არც მესამეს აქვს ამ ბოლო დროს უკეთესად საქმე: ხშირად ითიშება. ვერავინ და ვერაფერი შველის... უფროსებიც, რაღაც ყველანი, ერთდროულად მობერდნენ და დაჩაჩანაკდნენ შენს ირგვლივ და ბავშვებსავით მოვლასა და პატრონობას საჭიროებენ...

რაღა გასაკვირია, რომ ამ ყოფითი „წვრილმანების“ ფონზე კაცის თვალში სწრაფად ხუნდება და უფასურდება თვით საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენები... დიდი ნებისყოფა და უდიდესი ოპტიმიზმი არის საჭირო, რათა ეს წვრილმანები დასძლიო და გადაიტანო. საკუთარი ოფლით მოპოვებული მცირევადიანი თავისუფლების დასაცავად რომ განუწყვეტელი, ყოველდღიური ბრძოლაა საჭირო, ეგ კიდევ არაფერი, მაგრამ ეს ბრძოლა უეჭველად აკრძალული ილეთების ხმარებას მოითხოვს: ცოტა ტყუილს, მცირე თვალთმაქცობას, წვრილმან ღალატს... მოკლედ, იმისთვის, რომ გაიმარჯვო, გულქვა უნდა იყო. ეს კი ყველას არ შეუძლია, და დადიან ქვეყნად, საბედნიეროდ, დამარცხებულებიც. მათი ცნობა არც ისე ძნელია, რაღაცით ჰგვანან ისინი ერთმანეთს, რაღაცით ყველასაგან განირჩევიან. მაგრამ ეს საზომი ერთობ უხეში და არაზუსტია. მის თანახმად, კაცობრიობა თითქოს ორ ნაწილად უნდა გაიყოს. და ვერც ერთში ვერ მოექცევა საწყალი კარო, აგერ მირიანს რომ ხვდება ხოლმე დღენიადაგ ეკლესიის წინ. დამდგარა ფეხებგაჩაჩხული და საქმიანად დასცქერის ტრამვაის ლიანდაგს, თან თავს იქექავს რაღაცით უკმაყოფილო და შეშფოთებული. უზარმაზარი თავი აქვს კაროს, დაჭყეტილი თვალები, მუცლამდე ჩაკიდებული მძი-

მე ნიკაპი და მობრეცილი, პატარა ტანი. მარცხენა მკლავზე, იდაყვსზემოთ, წითელი მჩვარი შემოუჭერია. დორბლიან, გადმობრუნებულ ტუჩებში მილიციელის სასტვენი გაუჩრია და ქშინავს ვეებერთელა, ნესტოებდაბერილი და კოჟრებიანი ცხვირით.

— ჰა, რა იყო, კარო? — როგორც ყოველთვის, ეკითხება ვიღაც გამვლელი, — რელსები ხომ არ აუყრიათ დივერსანტებს?

— არა, კაჩო! — პირიდან სასტვენის გამოუღებლად ჩიფჩიფებს კარო, — შულ გავაპრავერკე. მაინჩ იგვიანებშ, შამაძალო, მაიჩა, მოვიდეშ! — და მუშტს მუშტზე ირტყამს, თვალებს აბრიალებს.

ტრამვაი მართლაც არ ჩანს, არც ერთ, არც მეორე მხარეს. გაჩერებაზე მოგროვილ, სიცხისა და ლოდინისაგან ილაჯგაწყვეტილ ხალხში გამოცოცხლებაა, ყველას თვალები უცინის, ყველას უხარია, რომ კარი აქ არის. ვერც ვერვის გაამტყუნებ, ბეწვზეა თვითეული გადარჩენილი, მათ შორის მირიანიც. ეკლესიაც იქნებ იმიტომ დგას აქ, რომ დროდადრო შეხვიდე და ღმერთს მადლი სწირო ამ და, კიდევ არაერთ სხვა გადარჩენისათვის. ზოგი შედის კიდეც, ზოგი — არა, და განაგრძობს თვინიერად ლოდინს. როდისმე ტრამვაიც გამოჩნდება შორს, წითელი წერტილივით, ძლივს მოღოღავს, მოზოზინობს, კუც გამოასწრებს. კარო ვეღარ ითმენს, ცქმუტავს, ხტუნვა-ხტუნვით გარბის მის შესახვედრად, მერე უკან მოხტის, აჩემებულ ადგილს იკავებს, ხელს წინ მედიდურად იშვერს და გაბმულად უსტვენს. ტრამვაი ჩერდება და ვატმანის მორჩილებით აშკარად კმაყოფილ კაროს წამსვე მოულბება ხოლმე გული.

— აი, ეშე, შე კაი კაჩო! შადა ხარ აქამდიშ, პატრონი არა გყამშ? არჩ გრაფიკი იჩი, არჩ ნამუში, ეშ ხალხი მაინჩ არ გეჩოდება?

მერე გაისტუმრებს ტრამვაის და ეხლა თორმეტკაპიკიანი პამიდვრისთვის ხელჩართულ ბრძოლებში ჩაბმული [illegible]ასახლისების დასაშოშმინებლად ბოსტნეულის სარდაფისკენ გაეშურება. იქაც ყვირის, იქაც დორბლებს ისვრის:

— შლუში, კაკ ავჩარკი, კაჩო! ლამიშ ერთმანეთი ჭამონ!..

„უცნაური ვინმეა კარო, — ფიქრობს მირიანი, — ზოგჯერ ისეთს იტყვის, დაეჭვდები მის იდიოტობაში“.

ამ ფიქრით გართული გვიანღა ამჩნევს, რომ მათი ეზოს რკინის ჭიშკარი ახლად შეღებილი ყოფილა, და ხელიცა და ტანსაცმელიც შავად ესვრება. ეზოში შესულს შავი კატა გადაურბენს წინ. ხოლო საფოსტო ყუთში, გაზეთებთან ერთად, სასამართლოს უწყებაც დახვდება: მეზობლების უთავბოლო დავაში მოწმედ იძახებენ. სასიამოვნოა, ვერაფერს იტყვი.

ნირწამხდარი მოავლებს თვალს მისთვის მაინც საყვარელ ეზოს, რომელიც ამ ბოლო დროს მხოლოდ ზაფხულობით არის ასე წყნარი. აღარავინ ანჩხლობს წყლის ონკანთან დიდი კაკლის ძირას, არც ქართული აგურით მოფენილ გრძელ აივანზე ქვედა სართულზე, არც მეორე სართულზე ამავალ ლამაზრიკულებიან ხვეულ კიბეზე. სრული შეუსაბამობაა ამ ღვთაებრივ სიწყნარესა და სასამართლოს უწყებას შორის, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: ერთიც არის და მეორეც არის. მირიანს თანდათან გულს ნაღველი უვსებს. აგონდება აქ გატარებული ტკბილი ბავშვობა, აგონდებიან იმდროინდელი მეგობრები, რომლებიც იმავ დროს ნათესავებიც იყვნენ მისი და მეზობლებიც. იშვიათად ბედნიერი დამთხვევა იყო. ტოლებიც იყვნენ, ერთად იზრდებოდნენ, ერთად ოცნებობდნენ მომავლის გზებზე, ერთი გოგოც კი ყვარებიათ ზოგჯერ ერთდროულად... „რა არის ბავშვობა!“ — გაიფიქრებს მირიანი და მწარედ ეღიმება ხოლმე თავიანთ იმდროინდელ მიამიტობაზე. ერთიმეორის მიყოლებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკარგა სამივე, სულ სამ წელიწადში, გიორგი უკურნებელმა სენმა მოკლა, ვაჟა ზღვამ იმსხვერპლა, უფრო სწორად — სხვისთვის თავგანწირვამ; კახამ მთების სიყვარულს ანაცვალა ყველაფერი... რამდენი კეთილი საქმე დაიღუპა ამით, რამდენი კეთილი იმედი! ვინ იცის ეს მირიანზე უკეთ? არავინ, არავინ! წავიდნენ და დასტოვეს მარტო, დამსხვრეული იმედებისა და შერყეული რწმენის ანაბარა. მას შემდეგ აკოწიწებს ამ ნამსხვრევებს, ცდილობს, ყოველ შემთხვევაში. ცხადია, დღესაც ჰყავს მეგობრები, არანაკლებ ღირსეული და დიდბუნებოვანი ხალხი, მაგრამ ის მაინც სხვა იყო. სიყრმისდროინდელ ურთიერთობათა სისუფთავე შეუდარებელია და განუმეორებელი...

რარიგ გაზრდილა ვაჟას ჩარგული ვაზი! ციცქნა ძირი იყო, დღეს კი უკვე მეორე სართულზე ასულა და მთელი აივანი დაუჩრდილავს, მტევანსაც ბარაქიანად ისხამს, სიბერის მიუხედავად, ქალაქური რთველის პირობაზე. დღეს მას თედო ოყროშიძე დაპატრონებია, ურჯულო და ბოღმით სავსე კაცი. აგერ უკვე ათი წელია, რაც ის და მისი ანჩხლი ცოლი, ექთანი ნარგიზა, სოფლიდან ჩამოსახლდნენ, რაღაც თაღლითობით აუარეს კანონს გვერდი, ერთი კი მოიკიდეს მათ ეზოში ფეხი და იმ დღიდან მოყოლებული, გაფართოების ეშხით შეპყრობილნი, მთელი უბნის „მშვენებად“ იქცნენ. სოფლისაკენ გახედვაც აღარ სურთ, აღარ კადრულობენ, ქალაქად ცხოვრებას ამჯობინებენ თუნდაც უარეს პირობებში, და ამ პირობების გასაუმჯობესებლად დღენიადაგ გულმოდგინედ მეცადინეობენ: ან ვინმე მოკვდება მარტოხელა და წამსვე მის ოთახში შეიჭრებიან, ან ვინმეს „ზედმეტი“ ფართი აღმოაჩნდება და უმალ უჩივლებენ, შეედავებიან, არსებობას გაუმწარებენ. ეს იქცა მათი ცხოვრების აზრად და უკან არაფრის წინაშე აღარ იხევენ. პირადად მირიანს ჯერჯერობით არ შეხებიან, თუმცა რაღა არა, მათი წყალობაა სწორედ, ეროვნული ბიბლიოთეკა სასამართლოებში ასე ხშირად რომ იძახებენ.

— მოწმე რობაქიძე! — შეუბღვერს ხოლმე მოსამართლე, — დაახასიათეთ თქვენი მეზობელი თევდორე ოყროშიძე, მხოლოდ, რაც შეიძლება მოკლედ!

აღარ იცის, რა ქნას მირიანმა, როგორ მოიქცეს. თედოს დახასიათება ძალიან მოკლედ, სულ ერთი სიტყვითაც კი შეუძლია, მაგრამ სწორედ ის ერთი სიტყვა ხმამაღლა არ ითქმის, მით უმეტეს, სასამართლოზე. არც სულ გაჩუმების უფლება აქვს, როგორც მოწმეს, და აი, ისიც ახასიათებს. ცდილობს ცენზურულად ილაპარაკოს, თან ისე, რომ სიმართლე დიდად არ დაზარალდეს. ეს კი ძნელია და არც თუ ვინმეს ეპიტნავება მაინცდამაინც.

— საკმარისია! — აწყვეტინებს მოსამართლე, — თქვენ საქმის არსს დაშორდით!

„საქმის არსს“ ანუ დახასიათების ობიექტს, დანა პირს არ უხსნის, მირიანს სისხლიან თვალებს უბრიალებს. ასე იყო უკვე ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...

ეხლაც იგივე მზერა იგრძნო მირიანმა. თავი ასწია და ხედავს: დგას თავის აივანზე თედო ოყროშიძე და ისე დაჟინებით შესცქერის ეზოს შუაგულში შეყოვნებულ მირიანს, თითქოს აჯადოებს. „ვიცი, ვაჟბატონო, ხვალ რის თქმასაც აპირებ ჩემზე, მაგრამ დიდხანს არ შეგარჩენ!“ — ამბობს მისი ბოღმით სავსე მზერა. „იცი და იცოდე, ძალიანაც კარგი! ისიც იცოდე, პირში ქებას და ზურგს უკან სამარის თხრას რომ არ ვარ ჩვეული!“ — თვალებითვე უპასუხებს მირიანი. სულ რაღაც საშიოდ წამს გრძელდება ეს უხმო დიალოგი, და მერე, როგორც მუდამ, პირველი კვლავ თედო მოარიდებს მზერას, შებრუნდება თავის ბუნაგში, შევა და კაცთა მოდგმის ცივ სიძულვილს თან შეიყოლიებს... მოდი და ნუ დანაღვლიანდები კაცი, თუკი გიორგის, ვაჟას, კახას მაგიერ თედო ოყროშიძე გაგიხდება კარის მეზობელი. „რა უკუღმართო-

ბაა!“ — ნანობს მირიანი და კიდევ ერთხელ მწარედ ელიმება თავის ყრმობისდროინდელ გულუბრყვილობაზე.

— მირიან ჩემო, როგორ მოხდა, რომ გამოჩნდი? ხომ არ გამოგაგდეს? — მეორე სართულის აივნიდან ჩამოსძახის ქეთევან ლამბაშიძე, — ამოდი ერთი წუთით, როცა მოიცლი.

— მოვდივარ, პაპიდა, დღეს ადრე გამომიშვეს. — გულგამთბარი უპასუხებს მირიანი და ხვეული კიბით მიიჩქარის მისკენ.

ქეთევან ლამბაშიძე მირიანის პაპიდა არ არის, არც ალარავისი. გიორგისა იყო ერთ დროს და მას შემდეგ შემორჩა ეს სახელი. ასე ეძახის მას ყველა, დიდი და პატარა, მტერი თუ მოყვარე. ოთხმოცი წელი უსრულდება მალე, მაგრამ ხმელი აღნაგობისაა და საოცრად ჭარმაგად არის.

— როგორ ხარ, პაპიდა? ვიცი, ნაწყენი იქნები ჩემზე, მაგრამ, რა ვქნა, რომ ვერ ვიცლი? გამოცდების ბრალია, კი არ დაგივიწყე. — გამხდარ მხრებზე ფრთხილად ეფერება მოხუცს მირიანი.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, ჩემო! — უწყრება პაპიდა, არ უყვარს გულისამაჩუყებელი ცერემონიები, — შემოდი, თუ გცალია, თითო გავაბოლოთ.

შეუძღვება წიგნებით გამოტენილ პატარა ოთახში, დასვამს მაგიდასთან, წინ „ყაზბეგის“ კოლოფს დაუდებს, მერე კონსერვის ცარიელ ქილას მიუცურებს საფერფლის მაგიერ, თვითონ შავ თავშალს გადაიძრობს, თეთრ თმას გაისწორებს, ერთ დროს ალბათ ლამაზ, ოდნავ მოხრილ ცხვირზე სქელშუშიან პენსნეს მოირგებს და სალაპარაკოდ მოემზადება. უყვარს მირიანს პაპიდასთან საუბარი. ოც წელზე მეტია, შინიდან არ გასულა ქალი, და მაინც მასზედ უკეთ იცის ყველაფერი, რაც ხდება ქვეყანაზე. შუადღისთვის პრესა უკვე გადალეჭილი აქვს, მირიანისათვის საინტერესო მასალები — ამოჭრილი და თემატურად დახარისხებული, ძველისძველი ტელევიზორი ხომ მუდამ ჩართულია და პატარა ეკრანი ცარიელიც ხშირად ციმციმებს.

— არ ვარგა, პაპიდა, თვალებისთვის, გამორთე ხოლმე! — ურჩევს მირიანი.

— შენც ერთი, ნახე რაღა, ვის გაუფრთხილდე! — აგდებულად ამბობს პაპიდა და „მანსიანად“ აბოლებს პაპიროსს. — სჯობს, შენ თავს მიხედო, შენია მომავალი!

— ეჰ, პაპიდა, ჩემს მომავალს უკვე მიმავალი ჰქვია!..

— გაჩუმდი, რა დროს შენი ეგეთებია? ამ ხნის ქალი იმედითვარ სავსე და შენ რომელი ჯორჯ გორდონ ბაირონი მყავხარ, ასე რომ წუწუნებ?

პაპიდა პირწავარდნილი დემაგოგია: შავზე — თეთრიაო, იტყვის და მოკამათეს გულზე ხეთქავს ხოლმე. კამათი კი მეტისმეტად უყვარს და უაღრესად კმაყოფილი რჩება, თუკი იმდენს მოახერხებს, რომ თავის სათქმელს შენვე გათქმევინებს. ყველა ვერ უგებს მას ამ პატარა იშკილს და ხშირად ემდურიან მეზობლები, მაგრამ უპაპიდოდ დიდხანს ვერავინ ძლებს. მასთან საუბარი ერთ რამედა ღირს. ბევრი გაჭირვების მნახველია და მაინც ცუდს ვერავიზე და ვერაფერზე წამოაცდენინებ. მშვენივრად ესმის ყოველივე ამქვეყნიური და მიწიერი. ისიც, მაგალითად, რომ თედო ოყროშიძეს მის ოთახზე უჭირავს თვალი...

— კი, ჩემო, მართალია, მაგრამ... — ცბიერი ღიმილით ეთანხმება მირიანს, — რას იზამ, ეს ხომ მისი ბრალი არ არის? მოგეხსენება, ურბანიზაცია რთული და გარდუვალი პროცესია...

— რა შუაშია ურბანიზაცია? აქ მორალსა და ეთიკაზეა ლაპარაკი! კარგი, ეგრე იყოს, პაპიდა, მესმის, რის თქმაც გინდა, მაგრამ, ისიც მესმის, რომ ეს ურბანიზაცია ქალაქის მკვიდრთ მეტისმეტად ძვირად გვიჯდება! — ცხარობს მირიანი და სასამართლოს უწყებას იმოწმებს, — აი, ნახე, მეოთხედ მიმათ-

რევენ ამ ორი წლის განმავლობაში. მინდა ეხლა მე ეს?

— გინდა თუ არ გინდა, ესეც საჭიროა, ჩემო! რა ქნას აბა მოსამართლემ, უსაქმოდ იჯდეს?

— მოსამართლეს საქმეს რა გამოულევს?

— რა და, მეზობლებმაც თუ აღარ იდავეს ერთმანეთში, დიახაც გამოელევა საქმე, აი, რას ნიშნავს, ჩემო, გაზეთებს რომ არ კითხულობ. ბოლო დროს ტელევიზორისთვისაც ვეღარ იცლი. ამიტომაც არ იცი, რომ უფრო სერიოზული საქმეები ჩვენში აღარ ხდება, თუ არ ჩავთვლით ვიღაც ვიგინდარების კანტიკუნტ და უძლურ გამოხდომებს. — ამბობს პაპიდა და სხვადასხვა ზომის ამონაჭრების სქელ დასტას მარაოსავით შლის. — ნახე, რამდენი საინტერესო მასალა დაგიგროვე, ჩემო.

მირიანიც ართმევს, სხვა რა გზა აქვს, მაინც შეაჩერებს.

— კარგი, მოდი, კამათს თავი დავანებოთ, ამ სამყაროს ჩვენ ვერ გავასწორებთ. — ხმა ებზარება მოხუცს და მირიანის გაკვირვებას საზღვარი არა აქვს, ასეთი რამ პაპიდასგან პირველად ესმის. — დღეს სულ სხვა საქმეზე დაგიბარე, ჩემო. — დამარცვლით ამბობს იგი, თან უკვე მეორე პაპიროსს აბოლებს. — ერთი სიტყვით, ამ ოთახის ბედი სულაც არ მაღელვებს, მაგრამ, რაც შეეხება მამაჩემის არქივს, ცხადია, არ მინდა, რომ თედოსა და ნარგიზას ხელში მოხვდეს. ამიტომ... — ხელს მაგიდაზე არტყამს და წამით ჩაფიქრდება.

პაპიდას მამა, კაკი ლამბაშიძე, წარსული საუკუნის გამოჩენილი მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე იყო. მირიანის სახლის ჩამოღლეტილ ფასადს მისი მემორიალური დაფა ამშვენებს, რაზედაც თედო იყროშიძეს არა ერთხელ უთქვამს, ე რა ქეშტი აუკვრიათ, ნეტა რად უნდათო.

— ... ამიტომაც, — განაგრძობს პაპიდა სიტყვებს შორის დიდი პაუზებით, — ხვალიდან, ჩემო, მე და შენ არქივს სერიოზულად უნდა მივხედოთ, ვიდრე თაგვებს მთლიანად არ შეუჭამიათ. ჯერ მოვაწესრიგოთ, დანარჩენზე მერე ვიზრუნოთ. გიორგი აღარა მყავს, შენ ფილოლოგი ხარ, სხვას ამ საქმეში ვერავის ჩავრევ. რას იტყვი, ჩემო?

ჰოი, საოცრებავ! ნუთუ მირიანს ეს არ ეჩვენება? რა ხანია გიორგის ხსენებაზეც კი პაპიდას დიდრონ და ღრმად ჩამჯდარ თვალებში ცრემლი აღარავის დაუნახია. თვით ეს შეკითხვაც საოცრებაა. ვინ არ ყოფილა პაპიდასთან არქივის თაობაზე, ცნობილი მეცნიერებიც, სიძველეთა მოყვარულებიც. ძვირფასი მასალები ეგულებოდათ იქ. დიდი თანხაც კი შეაძლიეს, მაგრამ ახლოსაც არავინ გაიკარა, ბუნდოვანი დაპირებებით მოიცილა ყველა თავიდან. და აი, ეხლა მირიანს ანდობს და სთავაზობს ამ საპატიო, საინტერესო და არც მთლად ადვილ საქმეს. რას იტყვიო, ეკითხება თანაც. რა ეთქმის მირიანს თანხმობისა და მადლობის მეტი.

— ასეც ვიცოდი, — ამბობს პაპიდა და პენსნეს იხსნის, მერე თავის უძირო ჯიბეებში ცხვირსახოცს ეძებს, — ეს „ყაზბეგიც“ სულ გააფუჭეს, თვალებს მწვავს, ჩემო...

— ოღონდ ხვალ ვერა, პაპიდა, — ისე ეუბნება მირიანი, თითქოს ვერაფერს ხვდებოდეს, — ხვალ სასამართლოზე ვარ წასათრევი.

— კარგი, ჩემო, ზეგიდან იყოს, მაგრამ მეტს ნუღარ გადავდებთ, თორემ ვინ იცის, როდის რა მომივა.

— პაპიდა, პაპიდა! — უსაყვედურებს მირიანი, — რომელი ჯორჯ გორდონ ბაირონი მყავხარ, ასე რომ წუწუნებ?!

— ჰმ, სიტყვაზე დამიჭირე, არა? — იცინის პაპიდა, — კარგია, კარგი!

რბილად მიგორავდა წყნეთის დაღმართებზე მიკროავტობუსი. ჩაბნელებულ სალონში მხიარული ყაყანი იდგა. დროდადრო სიმღერაც გაისმოდა, მრავალხმიანი და შეხმატკბილებული.

მირიანი კვალვ ბოლოში, ვიღაცისა

და ჭიჭის შუა ჩაჭყლეტილიყო. ხმას არ იღებდა. არასდროს შეეძლო სიმღერა, თუ გულით არ ემღერებოდა.

ასე გამოიარეს ბაგები, ვაკე და ვერესაც მალე გამოსცდნენ.

ვეებერთელა გამომთვლელ მანქანას ჰგავდა სასტუმრო „ივერია", ხშირ-ხშირად ინთებოდა და ქრებოდა შუქები აქა-იქ მის ფანჯრებში, თითქოს ვიღაც გოლიათი ბოროტისა და კეთილის მარადიული ბრძოლის სადღეისო შედეგს აჯამებსო.

ცხელი, დახუთული ღამე ჩამოწოლილიყო მამადავითის ხუჭუჭა კალთებზე. არ ეძინა ქალაქს. მკრთალად განათებულ ქუჩებში უაზროდ დახეტიალობდა დასიცხული, ძილგატეხილი ხალხი.

მანქანა გრიბოედოვის ქუჩის ძირას შეჩერდა.

— ხომ გამაცილებ? — ჰკითხა ჭიჭიმ მირიანს, როცა დანარჩენებს ოდნავ ჩამორჩნენ.

— რა თქმა უნდა! — გაუკვირდა მირიანს, — მაინც ერთი გზა გვაქვს.

— ისე არ გამაცილებდი? ჩააცივდა ჭიჭი, თვალებში შეხედა.

ღვინის ბრალიაო, გაიფიქრა მირიანმა, მხრები აიჩეჩა და ნაღვლიანად გაუღიმა ჭიჭის:

— რატომაც არა, შენისთანა გოგოს გაცილებაზე ვინ იტყოდა უარს...

— უღრმესი მადლობა ამ დათვური ქათინაურისათვის! — გაიბუტა ჭიჭი.

მერაბს არ გამოპარვია მათი ხანმოკლე განმარტოება და ჩუმი საუბარი.

— მგონი კიდევ ერთი საბჭოთა ოჯახი ისახება აგერ, ჩვენს თვალთა წინ!— გამოაცხადა მან, — ვაშა, ამხანაგებო, ვაშა!

სწორედ ამ დროს აინთო რეკლამა მზა ტანსაცმლის მაღაზიის თავზე და ვიდრე ჩაქრებოდა, წითლად გაანათა ყველაფერი ირგვლივ. ჭიჭი აშკარად გადარჩა ამით.

მირიანს არ სწყენია მეგობრის თამამი ხუმრობა, თუმც არც გახარებია მაინცდამაინც. არც უხერხულობას შეუწუხებია დიდად, სულერთი იყო, თითქოს მისთვის ყველაფერი. გადაღლილი ვარო, დაიმშვიდა თავი, მაგრამ ვერც ამით მოიცილა განურჩევლობის ეს უსიამოვნო განცდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წავედით, მაინც ერთი გზა გვაქვს, — გაუმეორა გაბუტულმა ჭიჭიმ.

ირიბად გადაჭრეს დაცარიელებული პროსპექტი ტელეგრაფის ახალ შენობასთან და ოპერის ბაღამდე ხმა აღარ გაუციათ ერთმანეთისთვის. აკაკის ძეგლთან ჭიჭიმ ნაბიჯს შეუნელა, მირიანს გვერდულად ამოხედა და ჩურჩულით ჰკითხა:

— რა მოგივიდა, მითხარი, რატომა ხარ ასეთ გუნებაზე?

— როგორ გუნებაზე? — არ გატყდა მირიანი.

— შენც კარგად იცი, ტყუილად რად მალაპარაკებ?

მირიანს მოუნდა თქმა, გეჩვენებაო, მაგრამ დაეზარა, მერე კი ჭიჭის ჭროღა თვალების წრფელ მზერას წააწყდა და ვერ გაუძლო, ენა არ მოუბრუნდა ტყუილის სათქმელად.

— მითხარი, —არ მოეშვა ჭიჭი, მკლავზე მოეფერა საოცრად გრილი ხელით.

— აბა, რა გითხრა, ჭიჭიკო, გენაცვალე? გაიხედ-გამოიხედე, ჭკვიანი გოგო ხარ, თვითონაც მიხვდები...

— არ მინდა მიხვედრა! — თქვა აღელვებულმა ჭიჭიმ, — მე მინდა, რომ ბედნიერი იყო!

— იფ, რა ცოტა რამ გდომებია! — ჩაეცინა მირიანს, — რად გინდა? იმიტომ ხომ არა, რომ არავინ გყავდეს ირგვლივ უბედური?!

— თუნდაც მაგიტომ.

— ჩვეულებრივი ალტრუიზმია. კარგი იქნებოდა, სხვებსაც აწუხებდეს, მაგრამ სად არის? მაშ, გამოდის, რომ ჩემზე უბედური სხვა ვერავინ ნახე?

— ნუთუ არ გეზარება, მირიან, ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისულელეების ლაპარაკი? — სერიოზულად თქვა ჭიჭიმ და მირიანიც გატყდა, გულახდილად უპასუხა თავისდაუნებურად:

— მეზარება, მანანა, საშინლად მეზარება! ყველაფერი მეზარება უკვე!

— რა ყველაფერი?

— ბრძოლა, მანანა, ბრძოლა, პირველ რიგში! მერე — ამ ბრძოლის ხერხები: თავის გამოჩენა, თვალთმაქცობა, გულგრილობა... მოკლედ, ყველაფერი, რის გარეშეც არსებობა თითქმის შეუძლებელია. ამის აღიარება არავის უყვარს, მაგრამ, ხომ ასეა?!

— გადაღლილი ხარ! — მკაცრად დაასკვნა ჭიჭიმ, — ექიმს უნდა ეჩვენო! ერთს ვიცნობ, ხვალვე მივიდეთ, თუ გინდა.

— აჰა, დიაგნოზიც უკვე დასმულია! — ჩაიცინა მირიანმა, — არა, არ მინდა შენ წარმოიდგინე!

—რატომ, გეშინია?

— რისი, მანანა? არაფრისაც არ მეშინია, უბრალოდ, არ მცალია.

— კარგი, ამას თავი დავანებოთ! — შესთავაზა ჭიჭიმ — მაგრამ მაშინ ეს მითხარი: ცოლს რატომ არ ირთავ? არც ამისათვის გცალია?

— ვითომ ეს გამოსავალია? გინდა ამ კითხვაზე ლექსით გიპასუხო? —გაეღიმა მირიანს.

— მინდა... — დაუფიქრებლად უპასუხა ჭიჭიმ, — მუდამ მიყვარდა შენი ლექსები.

— წუხელის დავწერე რატომღაც, თითქოს გულმა მიგრძნო, რომ დღეს უკვე გამომადგებოდა.

— ჰო, მიდი, მიდი! — აგდებულად გაამხნევა ჭიჭიმ.

მირიანმა ღრმად ჩაისუნთქა, ჩაახველა და თქვა:

— ჯერ მცირე კომენტარი: ლექსი დაწერილია ნახევრად ხუმრობით, ოცდაათი წლის პოეტის მიერ, მისაღებ გამოცდებსა და სასამართლო პროცესებს შორის. მაშ ასე!

ლურჯ ოცნებათა ნანგრევების ქვეშ
თავისუფლებამ სული დალია...
აღარაფრისთვის, აღარაფრისთვის
აღარაფრისთვის აღარ მცალია.
როგორც ქუჩაში გამოყრილ ნაგავს
ზევით და ქვევით დაათრევს ქარი,
ისე მატარებს ცხოვრების ნება,
არ გამაჩნია გზა საკუთარი.
აღარა მხიბლავს თოვლის სითეთრე,
აღარ მაბრუებს სურნელი კომშის,
ხან ცუდ ფიქრების ტყვეობაში ვარ,
ხან სამსახურში, ხან აღმასკომში.
ყოველ ნაბიჯზე იმედის ბროლის
მსხვრევის ხმა მესმის, ქრება მშვენება.
რჩება ტკივილი ქცეული გულად
და დაბერილი ფეხზე ვენებად.
ლურჯ ოცნებათა ნანგრევების ქვეშ
თავისუფლებამ სული დალია,
აღარაფრისთვის, აღარაფრისთვის,
თვით სიკვდილისთვის აღარ მცალია.

ჭიჭი ერთხანს ჩუმად იყო, მერე დაფიქრებულმა თქვა:

— ლექსების საწერად რაკი გცალია, ესე იგი სტყუი! ისე მშვენიერი რამ დაგიწერია, ბევრი იფიქრე?

— საკმაოდ. ოცდაათი წელი და ცხრამეტნახევარი წუთი. — უპასუხა მირიანმა.

— ეჰ, ისევ სისულელეებზე გადავედით! — სინანულით ჩაილაპარაკა ჭიჭიმ, — რად უჭირთ ადამიანებს გულახდილობა?

— იმიტომ, რომ საჭირო არ არის. ალბათ იმიტომ.

— ნუთუ შენც ასე ფიქრობ? მართლა?

— იძულებული ვარ. სხვა გზა არა მაქვს!

— გაქვს! — მტკიცედ თქვა ჭიჭიმ,— აი, მოვედით! აგერ ჩემი სახლი!

— ვიცი, — გაუკვირდა მირიანს, — პირველად ხომ არ ვარ?

— მარტო ვარ, დედა და მამა ზღვაზე ისვენებენ.

— ესეც ვიცი... — დაიბნა მირიანი, — რატომ მეუბნები?

— ჰოდა, თუ იცი, შემოდი და დარჩი! — ჭიჭის ხმა უთრთოდა, სადაცაა, ატირდებოდა.

— რა მოგივიდა, მანანა? — შეშფოთდა მირიანი.

გივი თორაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ხუციშვილი



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა საშინელება ყოფილა, მირიან, მარტოობა! როგორ უძლებ, ბიჭო?!

— შევეჩვიე, ჭიჭი, მართალი რომ გითხრა, შემიყვარდა კიდეც...

— მერე და, ეს ნორმალურია? იმიტომ ხარ, არა, ასე მხიარული? ვერაფერსაც ვერ შეეჩვიე, მირიან, სტყუი, კიდევ ერთხელ სტყუი!

ჭიჭი ტიროდა, ჭიჭი! ამას როგორ იფიქრებდა კაცი?!

— დაწყნარდი, მანანა, შენი ჭირიმე! არც ისე მარტო ვარ, როგორც შენ გგონია, ათასი ვინმე მახვევია ირგვლივ...

— ეს უარესია: მარტოობა ამოდენა ხალხში! მოდი ვცადოთ, იქნებ ერთად უფრო გაგვიადვილდეს... არავითარ პირობებს არ გიყენებ, არაფერს არ გთხოვ, ერთი რამის გარდა: იყავ ბედნიერი! როგორც გინდა, სულ ერთია ჩემთვის...

— გებრალები, მანანა? ამასაც მოვესწარი?

— არა, გეფიცები, არ მებრალები! მებრალება ის, რაც იკარგება შენში... შემოდი, ნუ ჯიუტობ!

— ეს სიჯიუტე არ არის, მანანა, ჩემო! მე ძველი ყაიდის ადამიანი ვარ, რასაც შენ მთავაზობ, ხუმრობა არ არის. მართალი გითხრა, არ მოველოდი, თუმცა ბევრჯერ მიფიქრია შენზე, მაგრამ ისე არა, როგორც ჩვეულებრივ... გახსოვს გალაკტიონის ერთი ძველი ლექსი? „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი, ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი, მიუწვდომელი, როგორც ედემი". დღეს ვერ შემოვალ, ნუ გამიწყრები. ხვალ. კარგი?

— კარგი! — თქვა მანანამ, — გელოდები! — თითის წვერებზე აიწია, მირიანს თვალებში შეხედა, დიდხანს, დაკვირვებით, მერე უცებ გატრიალდა და უხმოდ გაქრა ქუჩის სიბნელეში.

სიზმარი გათავდა.

მირიანმა თითქოს ეხლაღა გაახილა თვალი. მარტოდმარტო იდგა იგი წყალსაზიდის ვიწრო, კიბეებიან ქუჩაზე, რომელიც სანაპიროსკენ ჩადიოდა. ამ უცნაური ქუჩით ერთ დროს მტკვრის წყალს ეზიდებოდნენ მეთულუხჩეები...

გაბრუებული დაუყვა დაღმართს.

რაღაც ახალი იწყებოდა ხვალ ამ ქუჩიდან მის ძველ ცხოვრებაში. ვინ იცის, იქნებ ჭიჭი არ ცდებოდა? იქნებ მართლაც გაადვილებოდათ ამ ქუჩასავით დატეხილ და ოღროჩოღრო გზაზე ერთად სიარული?!

ამ ფიქრით გავიდა მირიანი სანაპიროზე. აქაც სრული სიცარიელე დახვდა, რაღაც არარეალური, დაუჯერებელი. მთვრალივით მიდიოდა, არც შეუმჩნევია, როგორ გაიყოლია ჭადრის ჩრდილში მდგარი მორიგე მილიციელის ეჭვიანი მზერა.

ხიდზე გადასვლისას, ჩვეულებისამებრ, ჩაიხედა მტკვარში: ვარსკვლავებით იყო ავსებული მტკვარი.

მარქსის მოედანზე ერთადერთი მოძრავი ლანდი შენიშნა, კამოს ქუჩისკენ მიდიოდა ნელა, ირიბად კვეთდა მოედანს და როცა მირიანს გაუსწორდა, მიმზიდველი გარეგნობის ქალი აღმოჩნდა, ცისფერთვალა, ხორბლისფერთმიანი. ორი მძიმე ჩემოდანი ეჭირა ხელში, იღლიებში ტანსაცმელი ჰქონდა ამოჩრილი და ძირს მისთრევდა გრძელი შლეიფივით. ცალი თვალი ჩალურჯებული ჰქონდა და, როცა ესეც შეამჩნია, ყველაფერი ნათელი გახდა მირიანისათვის. დღეს განსაკუთრებით შეეცოდა ქმრის მიერ ნაცემი და ამ შუაღამისას შინიდან გამოგდებული ახალგაზრდა ცოლი. მიხმარება შესთავაზა ბარგის წაღებაში, მაგრამ წინასწარვე ცხადი იყო, რასაც იფიქრებდა ქალი. არც გაკვირვებია, ამიტომაც, პასუხად რომ ცივი უარი მიიღო, მხოლოდ გული დაწყდა ადამიანთა უიმედო უნდობლობაზე. აღარ ჩააცივდა, აზრი არა ჰქონდა, რადგან ჭიჭის გარდა, არ ეგულებოდა ქვეყანად თუნდაც ერთი ადამიანი, ვინც ნამდვილად დაი-

ჯერებდა მის ამწუთიერ კეთილ განზრახვას.

გზა განაგრძო. პირველად უხაროდა შინ დაბრუნება ისე ძლიერ, როგორც სოფლად გატარებული არდადეგების შემდეგ ბავშვობაში. ეკლესიის დანახვაზე ძველებურად აუჩქროლდა გული. როგორ უყვარდა ერთ დროს მის გრილ და გუგუნა თაღებქვეშ დგომა. აყლაყუდა, რკინისკბილება დარაჯსაც არ ეპუებოდა, თუმც მისი სახელის გაგონებაც კი შიშის ზარსა სცემდა მთელი უბნის ბიჭებს. კროკმიტენი ერქვა რატომღაც, სრულიად უცხო და გაუგებარი სახელი. რა ხანია მოკვდა კროკმიტენი და მირიანს აღარავინ უშლიდა ხელს, მაგრამ ერთხელაც კი არ შესულა მას შემდეგ რატომღაც. ნუთუ იმიტომ, რომ მორწმუნე არ ერქვა? რა სისულელეა! რწმენა და ურწმუნობა, ბოლოს და ბოლოს, პირჯვრის გადაწერით არ განისაზღვრება. ხვალვე აუცილებლად შევა, თუნდაც მხოლოდ ბავშვობისდროინდელ მიძინებულ განცდათა ერთი წამით გასაღვიძებლად. პეპიც სიამოვნებით შეჰყვება ალბათ, ისეთი გოგოა. ცხადია, შეჰყვება.

— მირიანს სიცოცხლე! — მოესმა რიხიანი მისალმება და ძლივს გამოფხიზლდა, — საიდან მოდიხარ ამ შუაღამისას?

— ოჰ, ნოდარ, გამარჯობა! სეირნობთ? — კითხვითვე უპასუხა ნაცნობს და მის წაბლისფერ პოინტერს კოპიან თავზე მოეფერა.

მწერალი ნოდარ კაპანაძე მთელ უბანში განთქმული მონადირე იყო, განთქმული თავისი ჭირვეული ძაღლებითა და, მათი გადამკიდე, უთავბოლო ღამის სეირნობით. განსაკუთრებით კატების პატრონებში გახლდათ პოპულარული. მისი რექსას შიშით ღამე კატა ახლომახლოს ვერსად გაიჭაჭანებდა. ახლაც, აქამდე თვინიერად მდგარი მეძებარი უცებ შურდულივით მოწყდა ადგილიდან და გავარდა სვანეთის უბნის მიმართულებით, ჩანს, საკბილოს მოჰკრა სადღაც სიბნელეში თვალი.

— ეჰ, წავედი, წავედი, ვინ გალაპარაკებს? — მოასწრო თქმა ნოდარ კაპანაძემ და ძაღლს გაეკიდა.

მირიანი კვლავ მარტო დარჩა და მადლი დაადევნა გაქცეულ მეძებარს ამ ჩაშლილი საუბრისათვის. „ხვალ!" — გაიფიქრა ისევ და რაღაც უცნაური დამოკიდებულება გაუჩნდა ამ უბრალო ცნებისადმი. ცოტა დროღა რჩებოდა ხვალამდე. ასტრონომიულად უკვე იყო კიდეც იგი, მაგრამ ის მზიანი დილა, ის ხვალინდელი დღე, რომელსაც თურმე უკვე მოუთმენლად ელოდებოდა, ჯერ კიდევ შორს, მიუღწევლად შორს მოეჩვენა. დროის გაორების ამ უჩვეულო შეგრძნების გარდა, კიდევ ერთი ახალი ცვლილება შეამჩნია საკუთარ თავში: კაცთმოძულე არასდროს ყოფილა, მაგრამ ახლა განსაკუთრებით უყვარდა ყველა და ყველაფერი, ნაცნობიცა და უცნობიც, სულიერიცა და უსულოც, კეთილიცა და თვით ბოროტიც კი... დიდი ძალისა და იმედის მომცემი გამოდგა ეს ყოვლისმომცველი სიყვარული. ირგვლივ გამეფებული წყვდიადის მიუხედავად, ეზოს ჭიშკართან მისულმა თვალისმომჭრელი ნათელი იხილა საკუთარ სულში და უმალვე იგრძნო უეცარი მოზღვავება დაუოკებელი ენერგიისა, რომლის მიმართვასაც მხოლოდ და მხოლოდ სიკეთისაკენ, ხვალიდან უკვე ველარაფერი დაუდგებოდა წინ.

მაგრამ თვითონ „ხვალ" ჯერ არ დამდგარიყო.

იქამდე კიდევ ბევრ წყალს უნდა მოესწრო ჩავლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ბაძაღუა

●

წინ უსასრულო სინათლეა
და ახლაც გჯერა
რომ შეიძლება დამშვიდებით დახუჭო თვალი,
რომ შეიძლება დამშვიდებით მიუგდო ყური,
შეყვარებული ვარსკვლავების ღამეულ ჩურჩულს
და სიხარულით ათრთოლებულ ხელისგულიდან —
მოვიდეს ვიღაც და პურივით აკრიფოს რწმენა.
წინ — უსასრულო სინათლეა
და ახლაც გჯერა
რომ შეიძლება იცხოვრო ასე:
წყალივით ჩუმად,
წყალივით მშვიდად.

●

ჩემი გაწვრთნილი სიყვარული შემოდის მშვიდად
ნათელ ოთახში,
მორიდებით და ფეხაკრეფით წვება ლოგინში,
დაღლილ ბაგეს ეალერსება,
ეალერსება უთეთრეს ნეკნებს
და უცნაური ნეტარებით გამთბარ ტუჩებზე
ჩვეულებრივად იძინებენ სიტყვები:
„ჩუმად“,
„მიყვარხარ“,
„არა!“,
„გესმის?“,
ეს მერამდენედ
ჩემი გაწვრთნილი სიყვარული წვება ლოგინში.

●

ისე ვიბრუნებ დაკარგულ წუთებს,
თითქო მიწიდან ამომქონდეს ძვირფასი განძი
და სათითაოდ ვუვლიდე და ვეფერებოდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისე ვიბრუნებ დაკარგულ წუთებს,
თითქო მდუმარედ შევყურებდე ფირს, რომელზედაც
აღბეჭდილია ჩემი ცრემლები.

როგორც მდინარე, სათავისკენ შემოქცეული
თავჩაღუნული მივაბიჯებ წარსულისაკენ,
და ხელმეორედ ვიწყებ ცხოვრებას
მოგონებათა ლამაზ კედლებთან.

●

მე გავიფიქრე რა ადვილია ლექსების
წერა,
როდესაც გტკივა ღამის სიჩუმე.
მე გავიფიქრე: რა ადვილია
სიყვარული,
როდესაც თმების სუნიც
გაბრუებს.
მე გავიფიქრე: რა ადვილია
სიკვდილი,
როდესაც ასე გიყვარს
სიცოცხლე.

სიმარტოვე

მე ახლა გისმენთ,
სწორედ ახლა გისმენთ სუყველას,
მე ახლა მესმის,
სწორედ ახლა მესმის ჩურჩული
განცვიფრებული ბაგეების
და სწორედ ახლა
მეზრდება ბეჭზე წყვილი ფრთები
და სწორედ ახლა
გაღიმებული მივაბიჯებ
სინათლისაკენ.

●

ჩვენ გამოვდივართ სიყვარულის მუზეუმიდან
და გაქვავებულ ფიტულების
წუხილით ვცხოვრობთ.
ჩვენ გვიკვირს, როცა ბავშვი ტირის შუაღამისას
და მთვარის სხივებს ელაციცება.
ჩვენ გვიკვირს, როცა დედაკაცი ბრუნდება სახლში
და კოცნის ნაცვლად ცრემლებს ითხოვს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძალიან ცოტა და მლაშე ცრემლებს.
ჩვენ გვიკვირს, როცა შეყვარებულ სხეულებს
ვუმზერთ
და გვეშინია მათ თვალებში გამკრთალ სინათლის,
ჩვენ გვიკვირს, როცა წამწამები ტირიან წყნარად,
სიმარტოვეში, არაფრის გამო...

ჩვენ გვიკვირს, გვიკვირს... ო, როგორ გვიკვირს...

●

ის იდგა ბნელში და მთვარის სხივზე
უცახცახებდა ლამაზი მხრები;
და მე უბრალოდ ვგრძნობდი
სიჩუმეს,
ისე უბრალოდ და მომხიბლავად,
როგორც თითები გრძნობენ
საყვარელ
სხეულს და თვალებს მშვიდად
ვხუჭავდი.

მე არ შემეძლო რომ მემსახურა
ამ ცრემლებისთვის, ანდა მოგონილ
და გამარჯვებულ სიყვარულისთვის.
მე არ შემეძლო რომ მემსახურა
და უჩვეულო, როგორც ზღაპარში,
როგორც ძალიან ლამაზ ზღაპარში,
ის იდგა თეთრი და უეცარი...
ის იდგა თეთრი და ირწეოდა,
როგორც ჭაობის სუსტი მცენარე.

●

მე ველი სიტყვებს,
როგორც სინათლეს,
ისინი ჩემში კანკალებენ და
მეძახიან,
ისინი ჩემში კივიან და ითხოვენ
შველას,
ვით ცეცხლმოდებულ ოთახიდან
უმწეო ბავშვი.

მე ველი სიტყვებს,
ვეფერები შუბლზე, ბაგეზე,
ვკოცნი და თვალებს ცრემლები
მიწვავს,

ვეალერსები შიშველ თმებზე
და ვიბადები —
როგორიც მსურდა ვყოფილიყავ
ანდა სიზმარში
ვიხილე ერთხელ,
მხოლოდ ერთხელ
და მე მივდივარ,
და მე მივდივარ სიტყვებისკენ,
როგორც ქალისკენ,
რომელიც უკვე აღარ გიყვარს, და
მის გარეშე
სიცოცხლე მაინც არ შეგიძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სახელები

ლამარა ღონღაძე

დაიბადა 1947 წელს, ქვიშხეთში. დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი. მუშაობს ამავე ინსტიტუტში რეჟისურის კათედრაზე უფროს ლაბორანტად.

დიდი კაშკაშა მზე

არ გაუხდია, პირდაპირ დაწვა და თვალები დახუჭა. თვლა დაიწყო, უნდოდა ფიქრებისთვის დაეღწია თავი.

ყოველდღე სულ უფრო და უფრო ხშირად ტკენდნენ გულს.

ზოგჯერ ისიც ცუდად ხდიდა, როცა ისინი გაცინებულები და მოთვინიერებულები მოდიოდნენ, — იძულებას გრძნობდა და ეს აწუხებდა.

გამარჯვებამ სიყვარული დააკარგვინა და ახლა ამ დაკარგული სიყვარულის გამო ხანდახან ეშინოდა კიდეც.

დრო ბევრი არ ჰქონდა. ერთ საათში უნდა გასულიყვნენ. საბარგო მანქანით წელან თვითონვე გააგზავნა დეკორაციები. ასეთი ჩვეულება ჰქონდა — ყველაფერს თავად აკეთებდა.

სახლში სიჩუმე იყო. — სიჩუმე გეჩურჩულებათ!..

ეს სადაური სიჩუმეა! — უფრო კივილს ჰგავს, სიჩუმის თავზარდამცემ კივილს! — უცებ დაგატყდება თავზე და მორჩა, ვერაფერს მოუხერხებ. ჯერ იგრძნობ, როგორ გაიტვრინება იქვე, შენს ახლოს, კუთხეში, გადმოინაცვლებს კარადის ქვეშ, შემოძვრება საწოლში, ჩასრიალდება გულისპირში, შემოგეჭდობა მკერდზე და მარწუხივით გაგქაჩავს, სულს შეგიგუბებს, ცნობას წაგართმევს, სმენას დაგიხშობს...

ცდილობ გაექცე, გათავისუფლდე, იწყებ ხელების ქნევას, იცინი!.. ტირი!.. ხტუნავ!.. ცეკვავ!.. სსს!.. ჩჩჩ!..

ისევ შიში გეუფლება, გგონია, რაღაც გამოგეპარა!.. გინდა გაიგონო, უმცირეს ჩქამს მოჰკრა ყური, თუმცა იცი, ეს უარესად დაგზაფრავს. ელოდები, რაღაცას ელოდები!..

შენში ჩაბუდებული სიჩუმე კი ჰკუისშემშლელად ხარხარებს.

ჰოდა, გაურბოდა კიდეც მარტო დარჩენას. — სადამდე ირბენ!

ათი წელი სრულდებოდა, რაც ამ სახლის დიასახლისი იყო. გაეღიმა, — დიასახლისიც თვითონ იყო და მამასახლისიც!

მარტო ცხოვრობდა, ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც უნდოდა და ყველაფერს ისე წყვეტდა, როგორც თავად მიაჩნდა სწორად...

ვიღაცამ დააკაკუნა.

მიხვდა, ამ სახლის კარს ერთადერთი კაცი ვერ აღებდა თავისუფლად.

— შემოდი! — არ ამდგარა, ოდნავ შესწორდა.

ღია კარში ახალგაზრდა კაცი აისვეტა და ერთ წამს ასევე დარჩა. ახლეტილი იყო. ერთი შეხედვით მაღალიც, თუმცა არც ისე გრძელი წვივები ჰქონდა!

უბიწო, დანდობილი ღიმილით შეხედა ქალს.

— არ ავდგები! — მოუბოდიშა, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგონა სახლში წახვიდოდი, დაისვენებდი.

— ვერ წავედი.

— უნდა წასულიყავი. დღეს დაიღლებოდი, ამხელა გზაც წინ...

ვერ იქნა და ვერ მოიშალა ძიძის კილო.

— პირველად ხომ არ არის.

— მეათე წელია...

— დიდი დრო გავიდა, რამდენი იმედი გვქონდა, რამდენს ველოდით ამ წლებისგან!

— იმედი, იმედი, იმედი... მოიხუდავდა...

— ჩვიდმეტი წლის ლაწირაკი ვიყავი მაშინ!

— მე ოცდახუთის... ოცდახუთი წლის ქალბატონი! პირველად რომ ასე მომმართეს აღარ ვიცოდი, სად შემერგო თავი.

— მაინცდამაინც არ იბნეოდი!

— ბევრ დროს ვანდომებდი. ჩემში ეჭვი არ უნდა შეგპარვოდათ!

— ასეც იყო, მაგრამ...

— რა?!

— იმდენად გვჯეროდა შენი, ზოგჯერ გვძულდი კიდეც! — ყველაფერს ჩვენზე უკეთესად აკეთებდი!

— ვალდებული ვიყავი, თქვენ მე მებარეთ.

— აუცილებელი არ იყო, თავზე გადაგვყოლოდი!

— გულწრფელად ვაკეთებდი.

— ჩვენც გვავალდებულებდი!

— არ მესმის?

— აუცილებლად უკეთესები უნდა ვყოფილიყავით!

— ძალიან კარგები იყავით.

— რა უნდა გვექნა!

— გვიყვარდა ერთმანეთი, გვჯეროდა.

— იმედი ჰქონდათ.

— მერე?

— მობეზრდათ და ათი წლის წინათ მიტოვებულ ტყავს დაუბრუნდნენ. ნამდვილი ცხოვრებით მოუნდათ ცხოვრება, ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით.

— ეს შეეძლოთ გულისტკენის გარეშე გაეკეთებინათ.

— დაიღალნენ.

— შენ, შენ არ დაიღალე?!

— მე შენი შემოთავაზებული ცხოვრებით არასოდეს მიცხოვრია. ჩემში გაცოცხლებდი ისეთს, როგორსაც გხედავდი.

— ბედურასავით უმწეოსა და სათუთს, არა?!

— სითბოსა და სიყვარულისთვის გაჩენილ ქალს, რომელსაც ცოდვად არ ვუთვლიდი დიდი ენერგია რომ ჰქონდა და კუთვნილზე მეტ სითბოს სთავაზობდა სხვებს.

პირდაპირ შეხედა ვაჟს. უსაშველოდ დიდი თვალები ჰქონდა. თვალები ფართოდ გაეღო და მიშტერებოდა.

მოკრძალება და მორიდება არ აკლდა, ხანდახან მორცხვიც კი იყო, მაგრამ იმდენად ხშირად უხდებოდა დამოუკიდებლობა, რომ ასეთი მაცდური რაღაცებისათვის დროს ვეღარ პოულობდა.

ვაჟს ცისფერი, ნათელი თვალები ჰქონდა.

ქალს გულთან ახლოს სულ ოდნავ შეუღხვა რაღაც.

— მგონი გაგიჟდი!

— ვიცი!

— ხანდახან ისე მინდა, ვინმემ მკითხოს „რატომ“? თითქოს ყველაზე ჭკვიანი ვიყო!

— მე ხშირად გეკითხები!

— ვიღაცას უთქვამს, ქალი ხან ერთს რომ ამოუდგება გვერდით და ხან მეორეს, ნუ გაამტყუნებ — მეგობარს ეძებსო!

— ვეძებ ადამიანს, ვეძებ ადამიანს, რომ მიწამებს და სამუდამოდ ჩემში დარჩება!..

— მიყვარს, როცა იცინი!

— სიცილი ერთადერთი ფუფუნებაა, რომელიც ადამიანს გააჩნია! საშინლად მომწონან ადამიანები, რომლებსაც სიცილი უყვართ და შეუძლიათ!

ლამარა ლონდაძე
მოთხრობები

— ცუდ ხასიათზე რომ ვარ, ვგრძნობ, როგორ ვბერდები და ვმახინჯდები, მე კი მინდა ჯანსაღი, ლამაზი და სიცოცხლით სავსე ვიყო...

— და მე...

თითები სწრაფად მიაფარა ტუჩებზე. ვაჟმა აკოცა და გაბრწყინებული თუ გასხივოსნებული თვალები სადღაც უშორეს კუნჭულებში ჩაანათა.

ქალს არც უფიქრია, ეს ისე, თავისთავად გააკეთა. როცა მიხვდა, ისევ მოაცილა ხელები და ბავშვივით სადღაც, მუხლებშუა ჩამალა. „ალბათ სასაცილო ვარ, ჩემი კეკლუცობით, — გაიფიქრა, — რაღა დროსია!“ — შესწორდა. არა, სულაც ჩამოხტა ტახტიდან, იქვე ჩამომჯდარ ვაჟს გვერდი აუქცია და ოთახში წრიალს მოჰყვა.

ბავშვობაში შავტუხა და პუტკუნა იქნებოდა, ახლა შავგვრემანი, მკერდსავსე და მრგვალთეძოიანი, ჯიშიანი ქალი იყო.

— ამ ხნის მაინც არ ვიყო!

გაიცინა კიდეც და ყველაფერი, მაგრამ თითქოს თვითონვე კეპავდა რაღაცას საკუთარ სხეულში.

— აბა!

საოცრად თვითდაჯერებული ჩანდა.

— გული სიხარულით არ აევსებათ დედაშენს და მამაშენს!

— გინდა ჩვენები მოვიდნენ შენთან?

— მინდა, რომ თავი დამანებო!

უთხრა ისე, არც კი დაფიქრებულა.

— მამაჩემი მოვა.

— იქნებ ქორწილიც გადაგვეხადა! მოვიწვევდით ხუთას კაცს, დიდ გრიალგრიალს გავაჩაღებდით. რა სანახავი ვიქნები ფატაწამოსკუპებული შენს გვერდით!

ხმაში ტკივილი შეეპარა. — ქალი იყო!

— თუ იტყვი, გადავიხდით კიდეც.

ტელეფონმა დარეკა.

ქალი ყურმილს მიწვდა.

— დიახ...

საათს დახედა.

— კეთილი, ახლავე გამოვალ. არა, არ მინდა, ფეხით მოვალ.

ვაჟს შეხედა. იმ კუთხეში იდგა, სადაც ქალის ფეხსაცმელები ეწყო. ბოლოს, მოტრიალდა და ქალის წინ გაჩერდა, ჩაიმუხლა.

ფრთხილად ამოხედა. ქალს გაეცინა. უხერხულად აუწეწა სწორი, ჩამოზრდილი თმა. ის კი არა, ერთბაშად რაღაც სიმშვიდეც დაეუფლა თითქოს. მადლიერი იყო ამ კაცის.

ფეხსაცმელები გამოართვა და თვითონვე ჩაიცვა.

— გმადლობთ!

— ქურქს ჩაიცმევ თუ პალტოს?

ქურქი ისე ჩააცვა, არ შეხებია. სწრაფად გატრიალდა კარისკენ.

ქალმა იგრძნო და ესეც დაუმადლა.

ავტობუსში მძღოლის ზურგს უკან დაჯდა. ნელა დაიძრნენ.

ვაჟი კიბის საფეხურზე, კართან გაჩერდა. დაკვირვებით იყურებოდა წინ.

წინ დაუსრულებელი გზა იყო, გუდრონმოსხმული ან მოკირწყლული კი არა, მიხვეულ-მოხვეული, ოღროჩოღრო გზა, რომელიც ყოველი მოსახვევით მაცდურად გპირდებოდა დასასრულს. მთავარია, გაუძლო, მთავარია, ყოჩაღად, ნირშეუცვლელად მიხვიდე იქამდე!..

მიხვიდოდი და ისევ ახალი მოსახვევი, ისევ თითქოს სიმძიმისაგან ჩაზნექილი მიწა და ისევ იმედი...

არავინ ლაპარაკობდა...

ათი წელი იარეს ამ გზაზე, ათი წელი ილაპარაკეს — იმედი ალაპარაკებდათ, მოსახვევის დასასრულისა და რაღაცის შეცვლის იმედი.

ეგონათ, ერთ მშვენიერ დღეს ასე მიადგებოდნენ რომელიმე მოსახვევს, ისიც დასრულდებოდა და წინ დახვდებოდათ დიდი, კაშკაშა მზე, თვალუწვდენელი საუცხოო გზა, ნაყოფით დახუნძლული ხეები, მოთვინიერებული და ალერსივით სასურველი ზღვა და ათინათებული სამყარო.

ათი წელი ელოდნენ ამას. ათი წელი იმედით ამაღლებული ადამიანები იყვნენ.

ეს კი არაფერს შეპირებია. როგორღაც თავისთავად მოხდა ასე. მას სჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდა და ესენიც დააჯერა. მას უყვარდა და მათაც ისწავლეს სიყვარულით ცხოვრება. მას უნდოდა სხვისი ტკივილის თანაზიარობა და ისინიც იყოფდნენ ამას.

ხანდახან მასაც უნდოდა შარაზე გამოსვლა, მაგრამ ბევრს კი არაფერს მოითხოვდა, სულის მოთქმა სჭირდებოდა.

მანქანა თამამად მიიწევდა წინ. საკუთარ ძალას დანდობილი მუხლმაგარი ვაჟკაცის სითამამით მართავდა მძღოლი საჭეს.

მთის ძირში კი არ მიდიოდნენ, როგორც ზღაპარში, ცხრა მთას გადაუარეს ზევიდან და მეათეს ისე მოექცნენ თავზე.

სოფელი თითქოს პირდაპირ მიწიდან ამოსულიყო.

გეგონებოდა, მიწამ გაჯავრებულ გულზე გავარვარებული სითხის მაგივრად ეს აქა-იქ გაფანტული სახლები ამოტყორცნა ამ სიმწვრეზე. მერე მისი სიმაღლე შემურდა და ვეებერთელა მთები მიახერგა ჩასაქოლავად, მაგრამ ოი, ვაგლახ! — ვეღარ შეწვდა თავისსავე ნამოქმედარს და ახლა, დაწყნარებულს და შეგუებულს, ქვეყნისხელა მზე დაენთო მათ თავზე მოწყალების და გულუხვობის ნიშნად.

ჰოდა, ასე შემორჩენია დღეებს, თვეებს, წლებს და საუკუნეებს ეს პატარა სოფელი.

ასე გადარჩენია მტერსა და მოყვარეს, შურსა და სიყალბეს, უკეთურსა და ბოროტს, ბნელსა და მრუდეს ეს პატარა სოფელი სადღაც, ცხრა მთას იქით.

თვითდარწმუნებულის მშვიდი მაჯისცემით მიფიცხებია მზის გულს და თანმიმდევრულად, დაჟინებით წერს კაცობრიობის ისტორიის პატარა ნაწილს.

ბავშვები გემს აღევსებული დელფინებივით გამოჰყვნენ ავტობუსს.

უკან მსხდომნი სკამებზე შესწორდნენ. უკმაყოფილებით თუ დაქანცულობით დაჭიმული სახეებიც გადაეწმინდათ თითქოს. ფანჯრის მინები წინ გასწიეს და თავები გადაყვეს. ბავშვებს შესცინეს.

წინ მჯდომსაც გაეხსნა სახე. ცოტა სული მოითქვა. ამ ბოლო დროს ერთგვარ შიშს გრძნობდა მათი გუნება-განწყობილების გამო.

— შეხედეთ, შეხედეთ, სკამები თვითონვე მოაქვთ! — ასმათი კიოდა. ბატივით ხმა ჰქონდა.

გულმოდგინე სტუმარივით მასაც ყველგან ყველაფერი უკვირდა. ძალიან ცდილობდა, ცუგრუმელა და საყვარელი ყოფილიყო. იქნება გამოსვლოდა კიდეც, ცოტა მეტი ჭკუა რომ ჰქონებოდა.

ავტობუსი კლუბთან, ბოსლის მსგავს გრძელ შენობასთან გაჩერდა.

ბავშვები ისევ ეზიდებოდნენ სკამებს. პირველი გადმოვიდა. წელი სტკიოდა და ხანდახან ოფლსაც ასხამდა, მაგრამ ცდილობდა მათ დასანახად ყოჩაღად ყოფილიყო. არც ის უნდოდა, ამ ბავშვებს შეეტყოთ უგუნებობა. ის კი არა, იქნება სიცხეც ჰქონდა, მაგრამ ბავშვებს ნამდვილად არ აინტერესებდათ ეს.

არც იმას დაგიდევდნენ, ის გოგონა, რომელსაც მთავარი როლი უნდა ეთამაშა, ნახევრად შიშველი რომ უნდა გამოსულიყო გათოშილ სცენაზე, არც იმას, ერთს რომ ახველებდა და მეორეს სულაც არ ჰქონდა საამისო ხალისი, ტაშფანდურა გაეჩაღებინა მათ წინ.

არც იმას კითხულობდნენ, ეს შავგვრემანი ქალი ძლივსღა რომ ამაგრებდა სადავეებს, რათა საბოლოოდ არ აეწყვიტათ ამ განსაკუთრებული ჯიშის ადამიანებს, რომლებსაც ისინი არტისტებს ეძახდნენ.

დარბაზში რომ შევიდა, რამდენიმე მსახიობი უკვე მიჯდომოდა შუაში გაჩაღებულ შეშის ღუმელს და გაფარჩხული თითებით იგერიებდნენ მოწოლილ სიმხურვალეს.

ვაჟი არსად ჩანდა, მაგრამ ქალი მაინც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველ წუთს გრძნობდა მის სიახლოვეს.

ბავშვები ხმაურით აწყდებოდნენ მიკეტილ კარს. მათი შემოშვების დრო იყო.

მსახიობები უწადინოდ გაიკრიფნენ გვერდით ოთახში, კარი თვითონ გაალო.

ასამდე რვა-ათი წლის ბიჭი და გოგო და ათიოდე მოზრდილი ადამიანი შემოიკრიბა.

სულ სამი გვარი ცხოვრობდა სოფელში.

— რა გვარის ხარ, პატარა ბიჭო?

ეს პატარა ბიჭი დიასამიძეა, იქით — ბერიძე, მესამე ტაბატაძეა.

დარბაზში ხელმოკლეობის რაღაც მომქავო სუნი დატრიალდა.

ძვირფასი სუნამოს ყალბი მაცდურობა ჯერ არ დაუფლებია არც ბავშვებისა და არც დიდების უმწიკლო სხეულებს.

მოყირჭებული სხეულების ეს სატყუარა არასოდეს დასჭირდებოდათ მათ, რათა ლტოლვა ეგრძნოთ...

აქ არც ამ დღისთვის შეკერილი კაბების შარიშურია და არც კბილებდაკრეჭილი თავების რევერანსები.

შეშის ღუმელის გასწვრივ გრძელ სკამებზე ჩამომსხდარან პატარა გოგო-ბიჭები, ხანდახან ცხვირს სახელოთი იწმენდნენ და ჭკვიანი, მშვიდი, ღირსებით სავსე თვალებით შეჰყურებენ მცირე, თოჯინური წარმოდგენისათვის სამყოფ ერთი ბეწო ჩარჩოში მოქცეულ სივრცეს, საიდანაც დიდ საოცრებას მოელიან.

და ქალმა მათ თვალებში აშკარად, ხელშესახებად დაინახა ის დიდი კაშკაშა მზე, რომელიც მათი სოფლის თავზე ენთო...

წინ კი ისევ გზა იყო. დაუსრულებელი, გუდრონმოსხმული ან მოკირწყლული კი არა, მიხვეულ-მოხვეული გზა, რომელიც ყოველი მოსახვევით მაცდურად გპირდებოდა დასასრულს.

იყო და არა იყო რა!

ხალხი ჯგროდ შემოხვეოდა ქვაფენილს ჩახუტებულ სხეულის ნაწილებს.

ეს სხეული იმ ქალს ეკუთვნოდა, მეხუთე სართულზე რომ აძვრა, რათა პირდაპირ ქვაფენილზე დანარცხებულიყო. თითქოს მთელი ცხოვრება სიმაღლიდან ვარდნა არ იყოს, უთავბოლო და მტკივნეული ვარდნა არარაობისაკენ...

ვიღაც გამვლელმა, რომელსაც, ეტყობა, იმის დროც არ ჰქონდა, რომ გაჩერებულიყო, საცოდავად გახედა უსირცხვილოდ გამომზეურებულ სხეულის ნარჩენებს და ოხვრასთან ერთად დაუტოვა შეჯგუფულთ:

— რა უბედურებაა ადამიანად ყოფნა თუ ისიც არ შეგვიძლია ვიგრძნოთ, როდის შემოგვყურებს ადამიანის გაცინებული თვალებიდან სიკვდილი!.. ალბათ ისიც ჩვენსავით იცინოდა, სვამდა, ჭამდა, ფიქრობდა და... თურმე რას ფიქრობდა!

ირგვლივ ისმოდა: — რატომ, რისთვის, როგორ, როდის, საიდან?!.. კითხვები, გაუთავებელი კითხვები...

არადა, განა ისეთი რა მოხდა? — ყოველ წუთს არ ცვივიან ასე ზაფხულის ლურჯ ღამეებში ციდან ვარსკვლავები?!.

და ოი, საოცრებავ! თურმე გვერდით რომ ადამიანი გვიზის, მასზეც იმდენივე ვიცით, რამდენიც იმ ვარსკვლავზე ჩვენს თვალწინ რომ გაქრება ხოლმე ღამეულ სივრცეში.

იყო და არა იყო რა!..

მაგრამ ჯერ ხომ იყო?!

ის დღეც ჩვეულებრივად დამთავრდა.

ვერა და ვერ მოაწესრიგა მაგიდა, საკუთარი ცხოვრების არ იყოს, უფერულ ეპიზოდებად რომ გაბნეულიყო განვლილ გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი უწესრიგოდ ეყარა: გახსნილი ჩანთა, სათვალე, — კარგა ხანია რაც ხმარობდა, — თორმეტფურცლიანი, ლურჯყდიანი რვეულები, საწერი ქაღალდები არ უყვარდა — გაქათქათებული ცხვირსახოცები, დაცლილი მუდმივი კალმები, მურაბიანი ქილა, გადაშლილი წიგნი, გვარიანად შელახული სატელეფონო ცნობარი — გამუდმებით სადღაც რეკავდა...

რომ ვთქვათ, მისი წარსული სულაც არ იყო საიდუმლოებით მოცული. უბრალოდ, გარშემომყოფებმა ცოტა რამ იცოდნენ მასზე. საფუძვლიანად არც არავინ დაინტერესებულა. თავად უყვარდა ხოლმე რაღაც ბუნდოვანი ამბების მოყოლა ბოროტ ადამიანებზე, რომლებმაც ცხოვრება წაართვეს. მაგრამ ნათქვამს ახლა ვინ ენდობა! — თუმცა, ასე არ იყო ყოველთვის! — იაგომ რა ამბავი დააწია ერთი ცხვირსახოცით! — საბუთი უნდა ყველაფერს.

ამას ცხვირსახოცის ნაგლეჯიც არ გააჩნდა. არც გაემტყუნებათ, როცა მაინცდამაინც გული არავის უკვდებოდა მის მონაყოლზე.

ვის ცალია სხვისი მოთქმისათვის!

ახლა მარტო იყო, სულ მარტო.

დილიდანვე მოიშალა. ყველაფერი ისე ნაცნობი და მოსაწყენი იყო, ტკივილს გრძნობდა.

შემოდგომის საღამოს ბინდი იდგა. ქინძლავდა კიდეც. ასე იცის, მთელ დღეს მზე არ დაგენახვება და მერე ისე უცებ ჩამობნელდება, თითქოს არც გათენებულიყოს.

ერთი სიტყვით, ისეთი ამინდი იყო, განსაკუთრებით რომ მოგინდება ვინმეს გვერდით ყოფნა. ერთბაშად მოგინდება და ვერაფერს მოუხერხებ. მზე რომ გამოანათებს, მაშინ იქნებ სისულელედაც მოგეჩვენოს, მაგრამ ასეთ ამინდში თავს ვერაფერს მოუხერხებ. მარტო ყოფნა სულს გაგიმწარებს, ისე გეტკინება.

ჰოდა, ამასაც ტკიოდა, მით უმეტეს, მზესა და სიცხეშიც გრძნობდა ამას.

საქმეც არაფერი ჰქონდა. სანამ ხალხი ფუსფუსებდა, კიდევ, ჰო, შეწუხებული სახით ქაღალდები გადაჰქონდა ერთი უჯრიდან მეორეში. დრომ რომ მოაწია და თითქმის ყველა ერთბაშად გაიკრიფა, უჯრებში ფუთფუთს თავი მიანება და იჯდა ასე უსაქმურად.

იცოცხლე, ენერგია კი ჰქონდა. საქმე რომ გამოჩენილიყო, ერთ კვირას არ მოხუჭავდა თვალს.

აბა იმათ კი არ ჰგავდა, ახლანდელ ჭიამკვდარა დედებს, ბავშვის საწოლთან ძილად რომ არიან მივარდნილები.

ერთი ბავშვი ჰყოლებოდა!

კაცები? — ეჰ, ეგენიც რაღაც უნდილები გახდნენ; დიდი მედგარი და შეუვალი მათთან არასოდეს ყოფილა, მაგრამ რად გინდა, თავი არავინ გამოიდო, როგორც წესი და რიგი იყო.

როგორ უნდოდა, ვიღაც ისე გამოდევნებოდა, სულის საძირემდე ჩაჰყოლოდა, როგორ უნდოდა! — ვერავინ მიხვდა, რომ უკან გადადგმული ერთი ნაბიჯი გაქცევა კი არა, პოვნის, შეერთების გახელებული სურვილი იყო.

ადამიანებიც როგორღაც შემოეფანტნენ, ვერ ააწყო ურთიერთობა. როგორ არ ცდილობდა, მაგრამ მაინც ვერავისთან გრძნობდა თავს შინაურულად.

ერთ ხანს სცადა სახლში მაინც შეექმნა სასიამოვნო ატმოსფერო. შემორჩენილ ძველ მეგობრებს და ახლად შეძენილ ნაცნობებს მოუყარა თავი, ერთიორი თანამშრომელიც ჰყავდა.

ტორტი თვითონ გამოაცხო. მუსიკაც იყო, სანთლებიც, სასმელიც. იცოცხლე, იმათ იმხიარულეს!

თავადაც დალია. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ საშინლად მოუსვენრად ეძინა იმ ღამეს, დილით კი უკმარისობის გრძნობისაგან კინაღამ დაიშალა.

მერე ის იყო, ყველაფერს მოეშვა.

იქნებ სწორედ მაშინ გაიფიქრა ამის შესახებ!..

რას გაიგებ?

ეჰ, არც ამაში გაუმართლა — დედა

მაინც ჰყოლებოდა გვერდით! როგორ მოუვლიდა, იზრუნებდა, მიეფერებოდა, გაუჯავრდებოდა კიდეც, გაებუტებოდა!... ზოგჯერ, როცა ასე უსაშველოდ მოენატრებოდა სითბო, ხელებს მოხვევდა და შუბლს მკერდზე მიადებდა, მიეკვრებოდა... იქნება ზურგიდანაც მოხვეოდა.

ერთ წუთს ცხადად იგრძნო დედის რბილი მხრები თავის მკლავებში, მისი თმის რაღაცნაირი მოტკბო სურნელი და გული ჩაწყდა.

მაგიდის უჯრა შესწია და წამოდგა. ოთახში სიარულს მოჰყვა. მუხლისთავები წინ ჰქონდა გამოწეული და ნაბიჯს რომ ადგამდა, თითქოს საპირისპირო მიმართულებით რაღაცას უმიზნებდა.

მუცელზე მოისვა ხელი. შესამჩნევად ჩამრგვალებოდა და მოფამფალებოდა — თითქოს დაფეხმძიმებულს, შვილის მაგივრად სიბერე ჩასახოდა, რომლის მშობიარობა უთუოდ გადაიყოლებდა.

მარტო სახის ფერი შერჩენოდა ძველებური. კანი ნაზი და სიფრიფანა ჰქონდა. მაღალი ყელი დედაბრის ლოყასავით ჩამოჭკნობოდა.

კი არ ნანობდა, მაგრამ ხანდახან კონცა მაინც ენატრებოდა. ზოგჯერ როცა კინოში ასეთ რამეს ნახავდა, წითლდებოდა, ყელში ხრინწს გრძნობდა და თვალს აქეთ-იქით აფეთებდა. ეს შინაბერას დამორცხვებული წრიალი იყო.

რომ გათხოვილიყო! — ამ წუთს სჯეროდა კიდეც ოჯახი ჩაუხშობდა, არა, სულაც არ ჩაუსახავდა იმ აუტანელ ზიზღს თუ სიძულვილს, რასაც რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ხშირად გრძნობდა გარშემომყოფთა მიმართ.

გული თითქოს დაჭიანებული ჰქონდა, შიგნიდან დაფქული. ვიღაცას მანამდე წაეღო მისი სიჯანსაღე, სანამ მის მოვლას და საიმედოდ დაცვას ისწავლიდა.

საერთოდ არ იყო გულბოროტი. უკანასკნელ დრომდე არც მაინცდამაინც სიძულვილის ძალება უგრძვნია.

ეცინებოდა კიდეც თავის თავზე, ისედაც კარგა ხანს შემორჩა სურვილი, ყოველი მეორე გაეჩერებინა და მიუვარხარო, ეთქვა. ახლა ეზარებოდა, თორემ პირველივე შემხვედრს უკივლებდა: — თქვენ შეუბრალებლად მომექეცით, მე მძულხართ!..

შიშილმა შეაწუხა.

კარგი იყო ახლა სახლში წასვლა, საღაც თბილი კერძი დახვდებოდა. ბავშვები სიხარულით შეეგებებოდნენ: ანდა სულაც ატირებულები, ნაჩხუბრები და აწრიალებულები შეხვდროდნენ, ოღონდ ყოფილიყვნენ. ქმარიც დაბრუნდებოდა სამსახურიდან. დაღლილი, მაგრამ შინ მოსვლით ბედნიერი. უფრო გვიან ქსოვას დაიწყებდა. ანდა სულაც ბავშვებთან, შვილიშვილებთან ითამაშებდა. რამდენს იცინებდნენ ბავშვები! თავადაც ბევრს იცინებდა... ძალიან მოილხენდნენ...

იქნებ სულაც დღეს რომელიმე მათგანის დაბადების დღე ყოფილიყო. ქვეყნის ბავშვებს მოუყრიდა თავს. — ნაცნობებსაც და უცნობებსაც. ასე უფრო ესიამოვნებოდათ მათ. ერთმანეთს გაიცნობდნენ, შეეჩვეოდნენ — ვინ იცის, მერე ვინ სად შეხვდებოდა ერთმანეთს, ჰოდა, ცუდიც რომ ნდომებოდათ, მაინც არ გააკეთებდნენ.

მასაც გაიხსენებდნენ, საყვარელ, სათნო ბებიას, რომელმაც სიყვარული ასწავლათ. სიყვარულს კი მართლა ასწავლიდა. ისე კი არა, თავად ეყვარებოდა ძალიან და ბავშვებიც ისწავლიდნენ. ბავშვები ყველაფერს ადვილად სწავლობენ!

სხვას არც არაფერს ასწავლიდა, სიყვარული ეცოდინებოდათ და მორჩა, ყველაფერს ადვილად გადაიტანდნენ...

ყველაფერი ისე დატოვა. გასაღები აიღო, დარაჯს დაუბარა, მოვბრუნდებიო და არც შეუხედავს, ისე გავიდა.

კაფე იქვე იყო.

ფანჯრის ახლოს დაჯდა. ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა, გარდა საჭმლისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც ახლა გემრიელად შეჭამდა; ვერ ახერხებდა. ძალიან ჰქონდა მოწამლული გუნება.

მომტანმა იცნო და შემოჰლიმა. ფართო პირი და შორიშორს ჩამჯდარი კბილები ჰქონდა.

ჭამამ ცუდად დაამძიმა. შიმშილის გრძნობა მაინც შერჩა.

ოთახში რომ დაბრუნდა, მოწევა მოუნდა. არ უყვარდა, მაგრამ ახლა მოუნდა.

ის კი არა, იფიქრა, თუ მიშველის ეს მიშველისო! — მოსარჩენი ფული არასოდეს ჰქონია, მაგრამ კარგ სიგარეტებს აუცილებლად იყიდდა ხოლმე. ასეთი ჩვეულება ჰქონდა, უყვარდა კარგი სიგარეტების ყიდვა. კოლოფების მიხედვით არჩევდა, თუ კოლოფი მოეწონებოდა, კარგი იყო!

სამი ცალი ზედიზედ მოსწია. ვერაფერი უშველა.

— შენ ისევ აქა ხარ?

დარაჯი იყო. ასე უზრდილოდ იცოდა ლაპარაკი.

— ჰო, აქა ვარ.

— არ წახვედი!

— საქმე მაქვს. გიშლით?

— თუ გინდა, მთელი ღამე დარჩი. როდის წავიდე, ერთი სული მაქვს.

— კარგია არა, სახლი?!

— კარგი და კარგს იტყვი! ერთ რამედ ღირს. ამდენი მუშაობაც არვარგა.

— შრომა ალამაზებს ადამიანს! — არ იყო ამის ხასიათზე, მაინც თქვა. ასეთ რამეებზე ვერასოდეს ამბობდა უარს.

— ოჰ, შენც ერთი, ვირის სილამაზე ვინ თქვა!

— მასაც აქვს თავისებური სილამაზე!

— შენც რა იმასავით მელაპარაკები. ეგეთი რამეების არ მჯერა, მაშინვე ეჭვი მეპარება ხოლმე.

— ეჭვიანი ყოფილხართ!

გრძნობდა სულელობდა, მაინც ლაპარაკობდა.

— მერე როგორი! იმ წუთში ჩხრეკას ვიწყებ. უვიცი კი არა ვარ. ისეთ რამეებზე ვფიქრობ! ბარათაშვილის არ იყოს, პირდაპირ ბეჭებზე დავეცი! ღამღამობით ვკითხულობ ხოლმე.

— ლექსებსაც?

— რაც მომხვდება. სწორედ გუშინ ვკითხულობდი. უცებ სდექ!.. რას გამომაპარებს! მახინჯი შეიყვარეო, მეუბნება. რატომაც არა, მაგრამ აბა, ჯერ შენ სცადე-მეთქი! — არაო, მე ჭავჭავაძის ქალი მინდაო! მამა გიცხონდა, რუსეთს აქეთ რაც კაცები იყვნენ, მისთვის გიჟდებოდნენ. თავადაც მისი სიყვარულით არ მოკვდა?!

— ციებით მოკვდა.

— არ დაიჯერო. ისეთი ქალი რომ უარს გეტყვის, ციებაც შეგეყრება და ცხელებაც. ლექსებსაც იმიტომ წერდა — გამწარებული იყო!.. თავი კი არ მინდა მოგაბეზრო, ერთ-ორ სიტყვას ვეტყვი-მეთქი.

— თქვენ არ იღლებით, არ გწყინდებათ?

თავაზიანობისთვის ჰკითხა.

— მოწყენით ზოგჯერ მომწყინდება, მაგრამ კარგი რამე მოვიგონე. დირექტორის კაბინეტში ტელევიზორს ჩავრთავ ხოლმე და ვუცქერი. კარგია, ადამიანს რომ ხედავ!

— ადამიანები დღე არ გაბეზრებენ თავს?

— ზოგჯერ მაბეზრებენ, მაგრამ მაინც მათთან მირჩევნია.

კარი გაიხურა და გავიდა.

ტელეფონი მიიჩოჩა თავისკენ. ვინმესთვის მაინც ჩამოერეკა. — რა უთხრას? — გამარჯობა... რას შვრები... როგორ ხარ... სიახლე რა არის... არაფერი... არ დავკარგულვარ... დრო... ერთი წუთით მოცლა არა მაქვს... გამოვივლი, აუცილებლად გამოვივლი... აჰ, არა, საკმარისია, ახლა ადგება და... ჯერ მაგიდას აალაგებს... რას იტყვიან?! — ჯანდაბას, ახლა სხვებმა არჩიონ, ერთხელ მაინც მაგრად აურევს!

ლამარა ღოღაძე
მოთხრობები

სწრაფად მოწესრიგდა. წამოავლო ჩანთას ხელი და ქუჩაში ისე აღმოჩნდა, აღარც ახსოვდა, კარი დაკეტა თუ არა.

გარეთ ბნელოდა. სწრაფად მიდიოდა. ცრიდა. ესიამოვნა სისოვლის შეგრძნება. ვერხვის ძირში, ტროტუარის კიდეზე გაჩერდა. რამდენიმე მანქანამ შხუილით ჩაუქროლა. არც ერთიდან არ გამოუხედავთ. გული არ დაწყვეტია. გადაწყვეტილების გარკვეულობას თითქოს სულის ყველა კუნჭული გაენათებინა და შეუჩნეველი შუქ-ჩრდილების სათვალთვალოდ აღარ ეცალა.

წვიმამ თმა დაუსველა.

უყვარდა თავისი თმა. საღამოობით სარკის წინ თმას შიშველ მხრებზე ჩამოიშლიდა, ფეხებს სკამზე შეიკეცავდა და ნიკაპზე მუხლდაბჯენილი თითქმის მთლიანად გაეხვეოდა შიგ.

ამ დროს ხშირად უფიქრია, გაღებულიყო კარი, შემოსულიყო ის და ზურგიდან მოხვეოდა. მაგრად, მაგრად მოხვეოდა. ხელი შეევლო მისი მკერდისათვის, დაჯერებით, მტკიცედ. ვნებიან ტკივილად ჩაღვრილიყო მის სხეულში და თუნდაც ჯანდაბას იქით წაეყვანა...

ქუჩა გულისმომკვლელად უკაცრიელი იყო. წვიმა ფოთლებს მოჰყვებოდა და ახლა აქ უფრო სველდებოდა. თან მტვერიც და ჭუჭყიც ჩამოჰქონდა.

ისევ სიარულს მოჰყვა. გაახსენდა, ექიმები გვირჩევენ, როცა არჩევანი გაქვთ სიარულსა და დგომას შორის, სიარული ამჯობინეთ, რადგან ჯანმრთელობისათვის ეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე სიმძიმის გადატანა ერთი ფეხიდან მეორეზე და ერთი ადგილის ტკეპნაო!

ახლა ადგება და რამდენიმე მეტრს გატკეპნის.

მანქანის ჭაჭანება არ ჩანდა. რამდენიმე საყელოაწეულმა კაცმა კი ჩაუარა, მაგრამ ასე ხომ არ... მანქანა სხვაა, ჩაჯდები და... მერე?! — კარგად თავადაც არ იცოდა, მერე რა იქნებოდა. ამაზე უარესი რა უნდა ყოფილიყო!..

ხმაური შემოესმა. გული წამით სადღაც ჩაუქანდა, ხელის ერთი აქნევაც ეყო საჭირო. ჰო თუ არა!.. ჰო თუ არა!..

მანქანა გაჩერდა. კარი შიგნიდან გააღეს. ჩაჯდა. პირდაპირ ჩაჯდა.

— სად მიბრძანდებით, ქალბატონო?

არსადაც აღარ უნდა წაბრძანება. ტანსაცმელი სხეულზე მიეწეპა.

კაცი იცდიდა. ორმოცდახუთიოდე წლის სპორტული აგებულების მამაკაცი იყო. იქნებ ნაკლების ან მეტის? — ყავისფერი პიჯაკი და ვარდისფერი პერანგი ეცვა. რბილი სახის ნაკვთები და ოდნავ შეშუპებული თვალის უპეები ჰქონდა.

— ჩემსავით! — გაიფიქრა.

— სად გნებავთ, რომ მიგიყვანოთ, ქალბატონო?

— მე... სადაც თქვენ გნებავთ!

თვალები ისე წამოენთო, იფიქრა, ცოტაც და, ალი იფეთქებსო.

უმწეო თავგანწირვით ასკდებოდა მოასფალტებულ გზას წვიმის წვეთები, თითქოს ზეციდან წარმოგზავნილი ქინქლების ახალი და ახალი კოლონადები ყოფილიყვნენ.

იგრძნო, როგორ მისჩერებოდა კაცი. გული ლოდივით გლუვი გაუხდა.

კაცი გაღიმოიხარა. ხელი შეავლო მის ნიკაპს და თავისკენ მიაბრუნა. ისე ახლოს მიუტანა სახე, თითქოს კოცნას უპირებდა, მაგრამ მოეკუმა მკვრივი ბაგე და საქციელწამხდარ ქალს ჩასჩერებოდა. გარედან შემოსული სინათლე მკრთალად ანათებდა მის ხორბლისფერ სახეს. რაღაცნაირი საშიში ჩანდა.

მოულოდნელად გაათავისუფლა ქალის თავი, გასწორდა. ორივე ხელით ჩამოეყრდნო საჭეს, ნიკაპით ცერებს დაებჯინა და გარინდებულ-დაფიქრებული კარგა ხანს გაჰყურებდა წვიმიან ღამეს.

ქალი სუნთქვას არ იღებდა. სხეული ისე მომჩვაროდა, თითქოს ძვლები გამოეცალოს ვინმეს.

მამაკაცის ამ უხეშმა ხელის შევლებამ და უბოდიშო ჩაშტერებამ ყველა აქამდელი სიმწარე გადაავიწყდა. გაცეცხლდა, მაგრამ რა გაცეცხლდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოავლო ჩანთას ხელი და გაფაციცებით დაუწყო ძებნა სახელურს. მიაგნო, გადმოსწია, მაგრამ ისევ იგრძნო ხელის მტკიცე შევლება. კაცმა ადგილზე დასვა წამოსადგომად გამზადებული ქალი. გადმოიწია და ისე მიიჯახუნა კარი. კაცის მხარი ოდნავ შეუყოვნდა მის მკერდთან, იქნებ იმ მიზნით, რომ ასე მოეგერიებინა ქალის აფხაკურებული თავმოყვარეობა. ეს კია, ქალის მკერდი ერთ წამს მჭიდროდ მიეკრა მამაკაცის მხარს. ქალი სწრაფად მიიკუჭა კუთხეში. კაციც შესწორდა. თითქოს ორმა დაჭიმულმა სხეულმა ნაბული გააკეთა, სანამ ჰაერში კამარას შეჰკრავდნენ.

— ჰმ... ჰმ... კარგი... ესე იგი, ბევრი თავისუფალი დრო გაქვს და არ იცი, რა მოუხერხო!.. გინდა ცოტა წაიცელქო. კეთილი, მეც მიყვარს ხანდახან... დრო ბევრი არ მაქვს, მაგრამ ზოგჯერ გამოერევა თავისუფალი საღამოები, როგორც დღეს...

ქალი ცოცხალ-მკვდარი ეგდო. ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ ამ კაცს არ ელაპარაკა.

— რაო, საყვარელო, ნაცნობები უკვე უარს გეუბნებიან? ჩემი ცელქი გოგო! არც ისე ბებერი უნდა იყო. ან იქნებ!.. ჰა?!.. ასეთ რამესთან ხუმრობა არ მიყვარს. ექიმები საჭირო ხალხია, მაგრამ არასასურველი. ძალიან მოკრძალებული კი ჩანხარ! რომელმა ბიძამ აგკიდა? ფულიანი იყო ალბათ. რესტორანში საჭმელს გაჭმევდა და მერე ტყეში მიყავდი ხოლმე? თუმცა შენს ასაკში ბიჭები უფრო უყვართ! ვინმე ლლაპი იქნებოდა. ისევ მასთან ვერ წახვედი! თუ იფიქრე, ექიმების გარეშე მოაგვარებდი მაგ საქმეს? სისულელეა.

— ხომ არ გაგიჟდით! გააჩერეთ მანქანა!.. ახლავე გააჩერეთ!..

— ოჰო, შეგეშინდა! იქ ყველაფერს ჩუმად და უხმაუროდ მოაგვარებენ. არც ისეა საქმე, შენ რომ გგონია, ექიმები სულაც არ არიან ყბედები!

— გააჩერეთ, თორემ გადავხტები! თქვენ... თქვენ... როგორ მელაპარაკებით!.. მე... პატიოსანი ქალი ვარ!

— რა თქმა უნდა, პატიოსანი ხარ! სხვები მოგექცნენ უპატიოსნოდ, საზიზღრები! კარგი, კარგი, ფეთიანივით ნუ ტრიალებ, ჩემთან ავიდეთ. აბა სხარტად, ყოჩაღად ჩამოხტი, თავი უნდა მომაწონო!.. მიყვარს მოქნილი ქალები! პარდონ, ახლავე გავაღებ კარს. ასე, აქ ნუ დაეყუდები, ვერც ძალით აგიყვან. მე უკან გამოგყვები, როგორც დარბაისელ, შეხმატკბილებულ წყვილს შეეფერება!

— მე... მე... იცით... მე ძალიან...

— მიდი, მიდი!.. რა დროს ჭკუის ძებნაა. ან აქ სად უნდა იპოვო მაინცდამაინც. ასე, ახლა თუ გინდა, თქვი, რისი თქმაც გინდოდა.

ოთახში სინათლე ენთო. ქალმა ერთ წამს თვალები დახუჭა.

— მე... მე... ძალიან მარტო ვიყავი. დავიღალე!

— ოჰო, ყოჩაღ გგონია, მე დასასვენებელი სახლი მაქვს?.. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი მარტონი ვართ, და ყველანი პატიოსნები ვართ, ოღონდ ერთმანეთს ვერ ვუგებთ ხოლმე. ახლა გაიხადე და შედი სააბაზანოში, წყალი გადაივლე, ასე ვთქვათ ფიზიკური ჰიგიენა და სხვა და სხვა. მიყვარს წესრიგი და სისუფთავე.

ეს ხსნა იყო.

თითქოს ბედი დასცინოდა. საშინლად მოუნდა მარტოობა.

ძლივს შელასლასდა სააბაზანოში. კარი ჩაკეტა და თვალდახუჭული თითქმის უგონო მიეყრდნო კედელს.

მიწასთან იყო გასწორებული.

— ან იქნებ გვიან მოუვიდა ცხოვრებასთან შეხება?! რაღა დროს დაწყება იყო!

ხელები ზევით ასწია, თითქოს უნდოდა რამეს მოსჭიდებოდა. ხელის ზურგზე შეხება იგრძნო. თვალი გაახილა. სააბაზანოს ერთი კუთხიდან მეორემდე გაჭიმული თოკი იყო. ორთავე ხელი ჩას-

ჭიდა და გაწვდილ მკლავებს ჩამოადო თავი.

ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

„ემზადება!..“ — გაიფიქრა. ზიზღით შეეკუმშა სხეული. თოკი მაგრად ეკავა.

ერთბაშად მიიღო აზრმა გარკვეულობა. დაჭიმული სხეული განთავისუფლდა, თოკი ადვილად შესახსნელი ჩანდა.

— მიწად იყო და მიწად იქცაო!.. ამ კაცს რას ვერჩი!.. მე რას მერჩოდნენ!.. მოიფიქრებს რამეს არ დაიბნევა... ბოლოსდაბოლოს, რა მოხდება!

გონება გამწარებით ჩაბღაუჭებოდა აკვიატებულ აზრს.

— არავითარი ტრაგედია არ ხდება. გაქრები და მორჩა.

თოკი მაგრად დაქაჩა. კედელში ცერად გაჩხერილი ლურსმანი ადვილად ჩამოვარდა. ახლა მეორე მხარეს უნდა შეეხსნა.

— არც ჭექა-ქუხილით დაიქცევა ქვეყანა და არც მუსიკის გრგვინვით!

ისევ მიაყურადა.

— არა, ასე არ ივარგებს. ყოველთვის ვცდილობდი ისე მეცხოვრა, რომ ჩემს შემდეგ სიბინძურე არსად დარჩენილიყო!.. ეს კი... ამ კაცს რას ვერჩი!..

ხელები უგულოდ დაისველა, იქვე ჩამოკონწიალებულ პირსახოცს შეამშრალა და ოთახში დაბრუნდა.

უჩვეულო ენერგიას და სიმტკიცეს გრძნობდა.

კაცი უპერანგოდ გაშხლართულიყო ტახტზე. იყო რაღაც ამაზრზენი მთელ ამ ყოფაში.

„მარტოდ დარჩენილი ადამიანები მაიმუნებივით ურცხვად იქცევიან!..“ — გაიფიქრა. მერე იმას უთხრა.

— ახლა თქვენ შებრძანდით! თქვენც არ გაწყენთ ალბათ... პირადი ჰიგიენა და სხვა და სხვა. აბა, სწრაფად, წამოხტით!

კაცი სახეში შეაჩერდა. ქალი იმდენად თვითდარწმუნებული ჩანდა, გალამაზებულიყო თუ გაახალგაზრდავებულიყო კიდეც.

— კეთილი... მე ახლავე... ხუთ წუთში აქ ვარ. შენ აგერ წამოწექი... ან, როგორც გინდა...

მის ხმას სირბილე შეჰპარვოდა. სანამ კარს მიიხურავდა, კიდევ გამოხედა ქალს. მერე იქიდან წყლის ხმაური მოისმა.

სწრაფად წამოავლო ხელი ჩანთას. ფრთხილად მიხედა სინათლის ამარა დარჩენილ ოთახს და ამოსუნთქვასავით გასხლტა კარებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაშა ზვარელი

დაიბადა 1944 წელს, თბილისში. დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობს გამომცემლობა „განათლებაში“ რედაქტორად.

საფრთხე

რისთვის?! რატომ და რისთვის გამოვაჩინო სახე, რომელიც, ვინ იცის, რამდენი დღის ამოსუნთქვისა და ცრემლების შემდეგ, როგორც იქნა, საიმედოდ გადავმალე... იქნებ გგონიათ, ადვილია აუღელვებლად გაიყვანო დღე? დღე კი არა, საათი რომ საათია, მისი მშვიდად განლევაც გაუძნელდება უწვრთნელს... მე კი მშვიდად ვაბიჯებ, მშვიდად შევყურებ ირგვლივ მყოფთ და მოსალოდნელ საფრთხესაც მშვიდად ველოდები... როგორ მიხარის, დღის ბოლოს, უკვე ყოველივე რომ წარსულს ჩაბარდება, — მაგრამ არც ამ სიხარულს ვიმჩნევ, სიმარტოვეშიც კი არ ვაძლევ ღიმილის ნებას თავს... როცა იმ ხუთიოდე წლის წინანდელ ამბავს ვიხსენებ, ასე მგონია, სადღაც ამოკითხული ისტორია ამოტივტივდა ცნობიერებაში და სულ მალე, იმასაც დავივიწყებ, როგორც მრავალს, მსგავსსა და არასაჭიროს... არ ვიცი, შემთხვევითობის გამო, თუ ვისურვე და მოვიდა. მოვიდა და მერე ყოველი მომდევნო დღე ოცნებისეულს შევადარე... რა მეთქმის, ასეთი ვიყავი. ასეთი ვიყავი და ბრალსაც ვერავის დავდებ ჩემი მიამიტობისათვის... თქვენც გაგაკვირვებდათ მსგავსი სიტყვები რომ გაგეგონათ: „იცი, რას ვადარებ სამოთხეს? შორეულ პარიზს! იქაც ისეთივე ცხოვრებაა, როგორც პარიზში. სწორედ ამიტომ არ მეშინია სიკვდილის“... რა თქმა უნდა, ყოველ ლამაზმანს პარიზისაკენ მიუწევს გული. გ. ზ-მ ეს იცოდა, ამიტომაც შეძლო შორეული ახლობლად ექცია და ნაცნობი ქალაქი უცხო, ოცნებისეულ ქალაქად მომაჩვენა... თქვენ მეუბნებით, დანახვისთანავე შემიყვარდითო, ნუთუ მართლა კვლავ თექვსმეტი წლის მიამიტი გოგონა გგონივართ? ახლა საკუთარ ხელით მიჭირავს გული. როგორც მინდა იმოდენა სიმაღლეზე შემიძლია ავისროლო და მერე, ხელებს რომ გავიწვდი დასაჭერად, და მერე, ორივე ხელს რომ ჩავჭიდებ ამ ხის ნაჭერს, სრულებითაც აღარ დავნამავ ცრემლით.

სხვადასხვა მიზეზთა გამო

ბიჭბია ნება-ნება მიუყვებოდა ხოლმე შარას და ღიმილს აბნევდა. არაერთხელ დადევნებია უცნობისა თუ ნაცნობის ნათქვამი:

— რა ვაჟკაცი გაუზრდია მაგის გამზრდელსა, ქა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა გოგიას ბრალია, ერთ დღესაც იყო და გაიგონა:

— ე, ემხელა მუტრუკი რა უქმად დაიზლაზნება მიწაზე!

აბა, რა გოგიას ბრალია, ჩვენ თუ ზომა-წონისა არა გვესმის რა! აბა, რა გოგიას ბრალია, უცოლოდ რომ დადის! რამდენი ქალი გაუთხოვარი გადაბერდა,—ყველას ეგ ხომ არ წაიყვანდა? აბა, რა გოგიას ბრალია, მისი გულის მომკვლელი ახლა სხვას რომ უკლავს გულს: სამი მტირალა ბავშვი გაუჩენია და იმ ნუკრისთვალება გოგოს აღარა გავს, დაკოცნით რომ ველარა ძღებოდა. აბა, რა გოგიას ბრალია, ერთხელაც იყო და ჭალაში შემოხვდა, წვიმას შეაფარეს თავი და... სამივე ბავშვი მაგისაგან ჰყავს, მაგისაგან!

ჟამი გამოხდება, ბავშვები დაიზრდებიან. გოგია ხომ დაბერდება და დაბერდება, შესაძლოა, იმ ბავშვთაგან რომელიმე გოგიას დაემსგავსოს... მისი წილი შესარგები, სხვამ შეირგოს, იმანაც კიდევ სხვისი ჯეჯილი ახაროს. გასათხოვარი ქალები ჯერ მის გამზრდელს შეაქებენ, მერე ქოქოლასაც მიაყრიან, — მაგრამ სხვა ენაზე, უფრო ქალაქურზე.

კვლავ ჟამი გამოხდება, გადაბერდება გოგიას კიდევ რომელიმე შთამომავალი უცოლოდ, მაგრამ უკვე აღარავის გაუკვირდება.

აბა, რა იმისი ბრალია, აღარავის რომ გაუკვირდება, აღარავის!

ბოლომდე

„რა უნდა მეთქვა? ალბათ ისეთი არაფერი! ვიდრე შენამდე მოვიდოდი, გზა გრძელი იყო. იქით თუ აქეთ, დასაწყისამდე თუ სიცოცხლის ბოლომდე — შენზე ოცნებებით ვცოცხლობდი. ჩამოიქცა ცა, ჩამოიქცა და ნაწვიმარ ბალახზე სველ მიწაზე დაჩოქილს, ასე მგონია, ისევ შენთან მოვდივარ ამ ულრუბლო ზეცას რომ შევყურებ წვიმის შემდეგ“ — ასე მთავრდებოდა წერილი.

მხოლოდ ერთხელ გადაიკითხა, სევდიანი თვალებით შეხედა ქმარს და უკან დაუბრუნა.

— დახიე, არც უნდა გამოგეჩინა.

— ბოლომდე, სიკვდილამდე გწერდა, როგორც ჩანს.

— მართალია, მაგრამ ახლა რაღა?

— გაიხსენე, მხოლოდ გაიხსენე! იქნებ უკეთესიც იყოს, რომ გაიხსენო.

— საკმარისია, როდემდე?

— განა მე მინდა. ყოველდღე ვიხსენებდე? მხოლოდ ის ვიცი, არ შეიძლება არ ყვარებოდი. მე კი შემეძლება ბოლომდე მიყვარდე? სიცოცხლის ბოლომდე?!

ჩამობნელდა. ისინი ეზოში ისხდნენ კვლავ. შეზლონგზე წამოწოლილ ქალს ჩამქრალი სიგარეტის გადაგდება დავიწყებოდა.

კაცსაც, საღამოობით, დრო თუ ექნებოდა, როგორც დღეს, ცოლთან ერთად ეზოში უყვარდა ჯდომა. და ისიც, დღესაც, როგორც მრავალ ასეთ წინადღეს, [illegible] ლობეებით გამოკეტილ ყვავილებს გაჰყურებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხო სხეული

სკამებს ეხლებოდა, ერთჯერაც იყო, საწოლს გაკრა თეძო.

მერე ქალს ფეხიც დაუსხლტა ფარდაგზე და დაცემისასღა წაატანა ხელი. ემძიმა უკვე უცხოდ ქცეული სხეული. ჩაიჩოქა.

წინათ აკოცებდა, აკოცებდა და ყოველივე, არსებული და არარსებული, რაც კარგა ხანია თან სდევდათ, ორივესთვის დაკარგავდა ფასს. დროსაც! ყოველივე დარჩებოდა იქით, წარსულში, რომლის მსგავსი აღარასოდეს, აღარასოდეს განმეორდებოდა.

სხეული თრთოდა, — უჩვეულოდ ცივი მოეჩვენა, უღონო. ახლა შეეძლო თავისად გაეხადა.

— არა!.. — თქვა ქალმა.

ცოტაც რომ შეეცადა, ერთხანს კიდევ გაიგრძელებდა ხილვას.

აღარც გარინდებამ უშველა, ხაზი გაწყდა. თუმცა, კიდევაც რომ გაგრძელებულიყო, უხამსი ფინალი შერჩებოდა ხელთ. პირუტყვის ქცევა კი რა სალაპარაკოა, — სიყვარულიც რომ შეეძლოს, მაინც პირუტყვია და პირუტყვი.

პეიზაჟის დეტალი

თუკი სინდის-ნამუსს მიივიწყებ, რომელიც, მოგეხსენებათ, გახვრეტილი გროშიც კი არა ღირს, სიცოცხლე გაიოლდება. საუბედუროდ, ეს საქმე საკმაოდ საძნელოა, მაგრამ არც ისე საძნელო, იმედის პირველსავე გაცრუებისთანავე რომ მოიშალო.

წაკითხულს მოგახსენებთ, თორემ, აზრადაც არ მომსვლია, სურვილის საწინააღმდეგოდ როდესმე მაინც გადამედგა ნაბიჯი. იმის საპირისპირო მხარესაც კი, აღსრულება რომ ეწერა.

ყოველ კაცს ღმერთმა რაღაც განსაკუთრებული თვისება დააყოლა. ერთს რომ შეუძლია გააკეთოს, მეორე ვერაფრით შეიძლებს. თუნდაც, ჩემი ძველი ნაცნობი გ. გ. ავიღოთ მაგალითად. თუმცა, მაგალითი რა საჭიროა, განა ერთი და ორია მსგავსი?

ხომ ხედავთ, ძნელი ყოფილა სინდის-ნამუსიანობა. მეც კინაღამ [illegible] მათქმევინა. ისე კი, რა ჩემი საქმეა, ჩემს კერძ საჭმელს არ მიირთმევს და ჩემი ცოლიც არ უზის საყვარლად. ან საიდან დაიჯენდა, რაც არ მყოლია.

იმ ათასი კაცის სათქმელი რომ მათქმევინა, პირდაფჩენილი რომ შესცქეროდა იმედით ხვალინდელს, ერთს მაინც ვერ ვიტყოდი ჩემებურს.

ხუთჯერ ვცადე საკბილოს ხელის შევლება, მაგრამ, მერე აღმოჩნდა, პირველსავე შევლებისას შევხებივარ.

ასე უნდა მეცხოვრა, როგორც დღეს ვცხოვრობ, ეს ყოფილა ჩემი ბედი და სამდურავიც არ უნდა გამომეთქვა. ყოველი ცდა ზესვლისა, რომ არ გამცუდებოდა კიდეც, ვინ იცის, რას მომიტანდა.

ვზივარ ჩემს ჯიხურში და ყოველ მატარებელს, გვერდით რომ ჩამიქროლებს და დამცილდება, შურითაც კი აღარ ვაყოლებ თვალს: რამდენი ფულითაც არ უნდა იყოს გამოტენილი ყოველი ვაგონი, ვიცი, ჩემი წილი სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზით მოვა, — ყოველი მესამე კვირის დასაწყისში ჩამომირბენინებს. ფრთებით კოლუაანთ ვანო, ჩამომირბენინებს და დამიტოვს. წავა და მეც ჩემს ჯიხურში შევალ, გადმოვიღებ წნილის ქილას და ამ ორიოდე წითელ-წითელ თუმნიანებს თავიანთ ძმებს წავახურებ თავზე. მერე კვლავ გამოვალ კარში, ალმიან ხელს გავიშვერ და მთელს ქვეყანას დავანახებ, როგორ ადვილად ვცილდებით ერთს და მეორისკენ წასულნი სარკმლიდან გამოჩენილ პეიზაჟთა შორის ერთი ახალი ლაქის აღმოჩენაც კი აღარ გვძალუძს, და რა გასაკვირია, ეს ლაქა თუნდაც მუშში ჩაბღუჯული გახუნებული ყვითელი ფერის ალამი იყოს.

როგორ მოკლეს

ნანო შეჩერდა. იქიდან, სადაც მძიმე, რკინით შეჭედილი კარი გადაკეტეს, ნელა გამოგორდა კასრი, კასრს კაცი გამოჰყვა. ხანდახან წაჰკრავდა ფეხს. კასრიც მოგორავდა, მიმართულებას იცვლიდა. ვიდრე მასთან მოვიდოდა კაცი, შეჩერდა, კიდევ ერთხელ ამოარტყა წიხლი კასრს და გაუცინა.

— აქ რა დაგიკარგავს, თოჯინავ?

თეთრი ელვარებას მატებდა.

— ეჰეი, შენ, ჩემო კარგო, შენ გეუბნები, რა დაკარგე? თუ კი დაკარგე, ჩემთან იპოვნი.

ნანო შეჩერდა, კიდეც ჩაუვლიდა გვერდს კასრს, რომ არ მოგონებოდა, შეიძლება რამე გაეგო.

რკინის კიბემ გაიჭრიალა, თითქოს მისი ნაბიჯების ხმა იყო. არა! უცნობს ყურადღება არ მიუქცევია მათთვის, ეზოს კუთხეში მივიდა და სიბნელეში რაღაც გადააგდო. ნანოს არ დაუნახავს, მაგრამ მიხვდა, კონსერვის კოლოფი უნდა ყოფილიყო.

— აქ მხოლოდ მე ვარ, ჩემთან თუ მოხვედი, მადლობის მეტი რა გეთქმის.

უფრო ახლო მივიდა ნანოსთან.

ნანო ჯიხურის კედელს მიეყრდნო, ზურგით მიაწვა. თუ გააღწევდა, ზურგზე ცარცი შერჩებოდა მხოლოდ. აქამდეც უნდა დაენახა, ახლად რომ შეეღებათ. თუმცა, გზა გადაუკეტეს!

კაცი არ ეთქმოდა, ოცდაოთხი წლისა თუ იქნებოდა. საღებავებში ამოსვრილი ლურჯი წინსაფარი აეკრო.

— ეჰეი, არ მოგწონვარ, თოჯინავ? თუ ჩემი ჭუჭყიანი ხელებისა შეგეშინდა.

ნანო უფრო მეტად აეკრო ჯიხურს.

შემოსასვლელიდან ნაბიჯების ხმა მოესმა. კაცმაც გახედა. რკინის კიბეზე ორნი ადიოდნენ.

— აბა, იცოცხლე თოჯინავ!

ეს იყო სულ, შეტრიალდა და წავიდა.

რკინის კიბეზე ხმა ფეხების ბაკუნით მიხტოდა ზემოთ.

— ეჰეი! — დაუძახა და ინანა. თავისი სიტყვა არ იყო.

კიბიდან გადმოიხედეს. ცოლ-ქმარს ჰგავდნენ.

— რა გინდა? — რა გინდა?!

სერიოზული კაცი ჩანდა, ქალს კი „აბაჟურის“ მსგავსი კაბა ეცვა, კოპლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიანი, მოხატული. მეტს აღარც დაკვირვებია, გაახსენდა ცარცით ამოსვრილი ჯემპრი, მათკენ შეტრიალდა. კაცმა მაინც მოასწრო გასვრილ ზურგზე შეხედვა.

— ბადრი მინდოდა მენახა.

— ჩემთან ხომ არ დაგეკარგა, ძვირფასო?! — გადმოსძახა ქალმა და იმანაც შეათვალიერა, მუხლისთავზე ამოკემსილი შარვალი მოხვდა თვალში.

— წავიდა შენი ბადრი, წავიდა!

„წავიდა“, — გაიფიქრა ნანომ და გამობრუნდა. რკინის კიბე თვლემდა, ვიდრე ეზოს გაივლიდა და ქუჩაში გავიდოდა, არც შერხეულა.

„იქით კი რა? სკოლა?“

მერხი ცივი მოეჩვენა. იდაყვებით დაეყრდნო. თავისკენ გადმოზნიქა. ხელი რომ მოაცილა, ფიცრებმა დაგუდული ხმა გამოსცეს.

— აქ ვერავის ამჩნევ! — წამოიძახა გოგიმ, მერე ნატა ისევ თავისკენ მიიზიდა და თვალებში ჩახედა.

ნანო დერეფანში გავიდა. მორიგე მასწავლებელს რომ არიდებოდა კედელზე გაკრული დილის სკოლის მოსწავლეთა ნახატებს დაუწყო ცქერა.

— ჯემპრი ჩამოიბერტყე! — უთხრა მორიგემ და ჩაუარა.

დარაჯი შემოსასვლელში იდგა. ცემენტის იატაკზე ფეხებისათვის ფიცრის ნაჭრები გაეგო.

— ხიდირა ძია, გასვლა მინდა.

— რათა გოგო, ახლა არ მოხვედი? რაღას მოდიოდი... სკოლა კი არაა და...

აღარაფერი თქვა, ჩაუარა და დარაჯიც აღარ გამოკიდებია.

ქალაქში ჩამოღამდა და უცხო ეჩვენა. სახლები, ქუჩები ერთმანეთს მისდევდნენ. პირდაპირ, ხან მაღლა, სინათლეში თუ სიბნელეში, ერთიანი, უცხო მუშტივით შეკრული ქალაქი ტორტმანებდა.

რკინიგზის სადგურს გვერდი აუარა და გოგოლის ქუჩაზე გავიდა, სინათლეები მხოლოდ სახლებიდან გამოდიოდა. ისიც ფანჯრებიდან გამოსულ სინათლეებს ეტანებოდა. რკინის კიბეს ჩაუარა და ქარხნის ეზოში შევიდა. ჩაბნელებულ ჯიხურის მინებს იქით ვიღაცა ახველებდა, თითები აათამაშა კარზე.

— ვინ ოხერია! — გამოსძახეს იქიდან.

— ბადრი მინდოდა! — ხმადაბლა თქვა ნანომ. ხმა მინებს იქით მაინც შეაღწევდა.

— დამაცადე, ავდგე!

ერთხანს უცდიდა, მერე კვლავ აათამაშა თითები კარზე.

— შემოდი!

კარი გარეთ იღებოდა.

— ეჰეი! შენა ხარ? ადრე ხომ გითხარი, აქ რას დაეძებთქო.

— ბადრი მინდოდა.

წასვლა დააპირა.

— რაო, თოჯინა, გიღალატა?

ნანო შეჩერდა. კაცი გალიაში შემწყვდეულ გაქუცულ ლომსა ჰგავდა, გალია ერთობ პატარა იყო მისთვის. მხრებამდე ჩამოშვებული თმები აწეწოდა, მხრებზე გახუნებული „კოვბოი“ წამოესხა.

ოთახი ვეღარ იცნო, ქაღალდის მაგივრად მინებს ტილოს ფარდები მალავდა. ერთადერთ კედელზე, სადაც აქამდე მისი სურათი ეკიდა, ლაქასავით აჩნდა სუფთა კვადრატი.

— რა გიყო! — თქვა კაცმა და თვითონაც მიმოიხედა. აშლილ ლოგინს ზეწარი გადააფარა, და მიიპატიჟა: — ჩამოჯექი!

ნანო ჩამოჯდა. ისევ იმ ადგილს შეხედა, სადაც თავისი სურათი ეგულე-ბოდა: „ალბათ წაიღო“, გაიფიქრა და შვება იგრძნო: „კიდევ ვახსოვარ“.

— ხშირად დადიოდი აქ?

— ხშირად!... ველარც ვიცანი, ისე შეგიცვლიათ აქაურობა.

— ეჰეი! ბევრმა წყალმა ჩაიარა, ორი დღეა აქა ვარ.

— სურათი თან წაიღო?

— წაიღო, წაიღო, თოჯინა!

— არაფერი უთქვამს?

— თქვა, მაგრამ აღარ დამამახსოვრდა, მთვრალი ვიყავი.

— სულ არაფერი?

— ეჰეი... რაღაც მაგონდება. ვგონებ იმას ამბობდა, გული მტკივაო. გულ-ზე კი არ იდებდა ხელს, არა, ისე ამბობდა. თითქოს სული ეხუთებოდა, რაღაც ვერ გაეგო და ამას ამბობდა. მურაზას შემოწყრა, კარგი კაცი არ უნდა იყოო, უთხრა. მე კი არა... მე დათო მქვია!

— ნანო.

— ეჰეი, თოჯინა, მართლაც და კარგი სახელი გქვია.

დათო დაბალ, გასაშლელ სკამზე ჩამოჯდა, საწოლის ქვევიდან ჩემოდანი გამოათრია. თავი რომ ახადა, ნანომ სახურავზე გაკრულ სურათს შეხედა. სუ-რათი ფერადი იყო, ქალს ხელში ბავშვი ეჭირა. ქალის უკან, ქვის კედელში გა-ჭრილ ვიწრო სარკმელში ღრუბლებით დაფარული ცა მოჩანდა.

— ჩემი სურათებია, — წითელი, ხავერდგადაკრული ალბომი ამოიღო. — სურათების გადაღება ბავშვობიდანვე მიყვარდა. ალბომი გადაშალა, მისკენ შეატრიალა და პირველ ფოტოს ატაკა თითი.

— ეს, ხუთი წლისა რომ ვიყავი, მაშინდელია.

პატარა ბიჭი ლობესთან იდგა. გრძელი და ულამაზო პალტო ეცვა, ეტყო-ბა თავისი არ უნდა ყოფილიყო.

— აქ კიდევ, მესამე კლასში რომ ვიყავი.

თითი სურათის კუთხეში დაადო. მინდორზე ოცდაათამდე ბიჭი შეეკრიბათ, შუაში მაღალი, მოხუცი ქალი ჩაესვათ.

რამდენიმე ფოტოსურათზე მოხუცი ქალის სახე გამეორდა, ყველაში პირ-დაპირ იყურებოდა, ტუჩები მჭიდროდ მიეჭდო ერთმანეთზე.

ალბომი ნახევრად რომ გადაფურცლეს, პასპორტში ჩასაკრავი პატარა ოთხკუთხედი სურათები მომრავლდა, მერე იქით — სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი ბიჭების.

— ესაა ჩემი ცხოვრება. ეს კი ბოლო სურათია: — თქვა და გაიცინა, — რომ ვიღებდი, ღიმილი ვერა და ვერ შევიკავე, მიხაროდა, ჯარს ვამთავრებდი. მეჩქარებოდა წამოსვლა, თითქოს და ვინმე მელოდებოდა. მშობლები, გოგო, სახლი.

— შენი მეშინოდა! — უთხრა ნანომ. — კედელთან რომ მიმიმწყვდიე, გახ-სოვს?

— ეჰეი! ჩემი ყველას ეშინია.

— ხოო?

ფარდა გადასწია და ეზოს გახედა, შემოსასვლელში, რკინის კიბესთან ძა-ღლი იჯდა, ზევით, მეორე სართულიდან გამოსულ ხმაურს უგდებდა ყურს.

— დაბერდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანომ დათოს შეხედა. სევდიანი თვალები ჰქონდა.

— მიყვარდა, ორი წელიწადი მიყვარდა, მაინც წავიდა.

— დაბრუნდება, თოჯინა, აბა შენგან სად წავა.

— უჩემოდ წავიდა.

— ეჰეი, თვალებს იტკენ! ცრემლი რა ჩვენი საქმეა. ის უნდა ტიროდეს, რომ უშენოდ წავიდა, წავიდა და დაგკარგა.

— წავიდა!

— შენ დაგკარგა.

— მე დამკარგა?

უკაცურ ეზოში ძაღლი ძველ ადგილზე იჯდა.

— მე დამკარგა? — გაიმეორა ნანომ და წამოდგა.

დათო ისევ ცარიელ ეზოს გაჰყურებდა, ნანო რომ გავიდა ჯიხურიდან, ხელი დაუქნია.

— ეჰეი, ლამაზო თოჯინა! — ესღა გაიგონა.

ძაღლს ჩაუარა, ძაღლმა ერთი წამით გადმოხედა და ისევ იმ ფანჯარას მიაპყრო მზერა, საიდანაც ქალის აჩქარებული ლაპარაკი მუსიკის ხმას ფარავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან სანიკიძე

წიგნი მეოთხე

კარი მეცხრე

მჭედელნი „უცხო თესლთა“ ისტორიისა

> ჩვენ არაფერი დაგვრჩენია, თვინიერ საჭურველისა და სიმამაცისა.
>
> ქსენოფონტი

აზმა პირველი

ვისთვის კვდებიან ქართველები?!

მძიმედ, ჭირვეულად იფურცლება ცოდვამადლით დატვირთული და დამძიმებული მატიანე საქართველოსი.

(სავანგებოდ ალესილი „უქარქაშო ხმლებითაც“ ძნელდება სისხლით და ცრემლით დალტობილი ფურცლების ერთმანეთისაგან დაშორება).

მეთვრამეტე საუკუნე გამოჩნდა.

ისევ ბოროტი, უკეთური ფეხით შემოდის ახალი ასწლეული საქართველოს ჟამსაბრუნავში.

ქართული მიწა-წყალი ისევ არის დაწინწკლული ცალკერძოულ „საქართველოებად“:

ქართლი,

კახეთი,

იმერეთი,

სამეგრელო,

გურია,

აფხაზეთი,

მესხეთი — თურქეთის საფაშო-„ვილაიეთი“ ისევ ჩაჭედილა „დაპანტული“ საქართველოს ყელსა და ქარიბღას შორის, — აღმოსავლეთ საქართველოს ირანულ-ყიზილბაშური ავთვისებიანი მარწუხები ჩასჭიდებია, სამხრეთსა და დასავლეთს — თურქულ-ოსმალური.

ისევ შემოგვცქერიან ადამიანთა გვამებით დარეცილი საომარი თალპიონები.

ისევ უამრავი „გულწითელა“ ფრინველი ფრინდება ქართული მდინარეებიდან.

ისევ ჰზარავს მზერას და სმენას კივილი შვილწართმეული ქართველი დედისა და უმძიმესი კაეშანი გაყიდული ქართველი ბავშვისა.

სისხლით გალეშილმა XVII საუკუნემ ყოფნა-არყოფნის სასწორზე დაგდებული საქართველოს ახალ ასწლეულს მიაშავა და თვითონ უმძრახად და უკანმოუბრუნებლად დაინთქა „გარდასულ ჟამთა“ წიაღში.

„ჯერჯეროვბით...“

ხრმლის სიფოლადეს სპარსთასა ჟამი რამ მოხვდა ლბობისა.
ხმა დაუმდაბლდათ, მოულბათ სიტყვის თქმა ამაყობისა

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ

„მთავარი საქართველო“ მაინც იყო (და არის) ქართლი და ჩვენც, საყვარელო მკითხველო, ისევ ქართლის თავგადასავლით ვაწვავგრძოთ თხრობა.

ჯერ გავიხსენოთ წინარე წიგნში ნაამბობი:

მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს ქართლის ტახტთან ორი მეფე აღმოჩნდა, სამტროდ ხმალაღმოხდენილნი — გიორგი მეთერთმეტე და ერეკლე პირველი — ბაგრატიონთა მუხრანულ და კახურ შტოთა წარმომადგენელნი. ამ უცნაური „ორიანობის“ მიზეზებიც ახსოვს მკითხველს: გიორგი მეთერთმეტემ სპარსული უღლისგან თავისი ქვეყნის გათავისუფლება მოინდომა; ერანის მბრძანებელმა შაჰ სულთან ჰუსეინმა გიორგი გადაყენებულად გამოაცხადა და მის ნაცვლად ქართლის „ვალის“ ტახტზე ერეკლე პირველი („ნაზარალი-ხანი“) გამოგზავნა. გიორგიმ ქართლის ხელმწიფობა არ დათმო და ბრძოლა „დაყენებულ“ და „გადაყენებულ“ მეტოქეთა შორის ოთხ წელიწადს გაგრძელდა.

1696 წელს გიორგი მეთერთმეტე ისფაჰანს ჩავიდა და შაჰს შეურიგდა.

შაჰ სულთან ჰუსეინმა დიდის ამბით მიიღო და „შეიტკბო“ დიდი ქართველი მხედარი და მხედართმთავარი. მან ყველაფერი დაივიწყა, რაც კი „ამპარტავან გურგინ-ხანს“ ერანელი „უფროსი ძმებისათვის“ ვნება მიეყენებინა. დაივიწყა და დაიკუზოვა, რადგან იმჟამად არავინ ისე არ სჭირდებოდა ჰუსეინ შაჰს, როგორც გიორგი...

დღე და ღამე აუღებელი სუფრა გაეშალა ჰუსეინს გიორგის „სადიდებლად“. ისევ „ქართული ყაიდით და ნაქცეურობით“ გაეწყოთ ყოველივე სპარსელებს. მონადიმენიც უმეტესწილ ქართველნი იყვნენ — უნებურად თუ „ნებიერად“ სპარსეთს გადახვეწილნი. გიორგის განუშორებლად გვერდით უსხდნენ ძმები — ლევან და ლუარსაბ, და ძმისწული — ქაიხოსრო ლევანის ძე. აქვე იყვნენ: გიორგი არაგვის ერისთავი, ზურაბ ზურაბიშვილი (მეფის მხლებლები), სეხნია ჩხეიძე (ისტორიკოსი), დავით ქსნის ერისთავი, პაპუნა მუხრანბატონი და თამაზ ორბელიანი (სამივე ქირმანის ციხეში ეყარა და გიორგი მეფემ გამოაშვებინა შაჰს); თამაზ ორბელიანის ძენი — კაცია და მამუკა, დავით აბაშიშვილი, ვახტანგ ციციშვილი, პაპუნა ციციშვილი, და ყანდაჰარის ხანი ზურაბ ყაფლანიშვილი.

იყო სმა, ზმა და სიმღერა. თვითონ შაჰ ჰუსეინი „კარგი აზნაურშვილი იყო“, მაგრამ მაინც ყველა დაეჩრდილა გიორგი მეფის ღრმააზროვან სიტყვას, მახვილგონიერებას, „მაღალ ხუმრობას“ (რა ეხუმრებოდა მისი დაქცეული სამშობლოსა და ამოწყვეტილი ოჯახის პატრონს!). ქართულ ჰანგს დაეკნინებინა სპარსული ბაიათი (რა ემღერებოდათ სამშობლოს წყურვილით გულადუღებულ ხიზნებს?!)...

ერთ დღეს ქირმანიდან ფაიქები მოიჭრნენ და შაჰს აცნობეს: ბელუჯთა ტომები ისევ არ გვასვენებენ, გვაოხრებენ და გვაწიოკებენო.

შაჰ ჰუსეინმა ისევ გააწყობინა სანადიმო სუფრა, ისევ მოიწვია გიორგი, „დახუდა მოცინარითა პირითა და დაისვა ახლოს თავისა“. კარგად რომ შეღვინიანდნენ, შაჰმა გიორგის სავსე ყანწი გაუწოდა, მუხლზე ხელი დაჰკრა და უთხრა: ჩემო ძვირფასო მამავ და ძმაო, ვადავწყვიტე ქირმანის ბეგლარბეგად დაგნიშნოო.

გიორგიმ მაშინვე ცივი უარი სტკიცა.

შაჰ ჰუსეინი ვითომც „ძლივს მიხვდა“ ამაყი ქართველის უარის მიზეზს და უმალვე უთხრა:

„აჰა, ქართლის მეფობის შემდგომ ქირმანის ბეგლარბეგობას მიწუნებ, არა?“

გიორგის არაფერი უპასუხნია, ისე უსიტყვოდ და სულმოუთქმელად გამოსცალა ყანწი

შეუჩნდა და აღარ მოეშვა შაჰი გიორგის. მკლავებში აფრინდებოდა, მხრებზე და მკერდზე ელაციცებოდა და ეხვეწებოდა: ჯერ ქირმანის ბეგლარბეგობა იკმარე და მალე ისეთ წარჩინებას მოვიძლვნი, რაიც შენს სულსა და გულს უსაზღვროდ გაახარებსო.

ბოლოს და ბოლოს „ქვემდგომი“ „ზემდგომს“ უნდა „ვასტეხოდა“ და გიორგიც დასჯერდა „ჯერჯერობით“ ქირმანის ბეგლარბეგობას.

უსაზღვროდ გაიხარა შაჰმა. ღვინოს მიეძალა და სტუმარსაც მიაძალა. მთელი დღე ატრიალეს ყანწები ჰუსეინმა და გიორგიმ. „ორივე დიდად დაითვრნენ: ხან ყაენი დაუსხემდა ღვინოსა, ხან მეფე“.

თანამესუფრეთა ორივე მხარემაც — სპარსელებმა და ქართველებმა — ძალიან მოილხინეს ხელმწიფეთა „ვარიგებისა“ და „შერიგების“ გამო.

მეორე დღეს გიორგის სპარსელი ბეგლარები და ხანები ეახლნენ, ძვირფასი საჩუქრები მიართვეს და ბეგლარბეგად „დაწინაურება“ მიულოცეს.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ
ᲣᲥᲐᲠᲥᲐᲨᲝ ᲮᲛᲚᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვაი თქვენ, რამეთუ ქართველები მოვიდნენ!“

გიორგი მეფე ქირმანში თვითონ მაინც არ წავიდა და მასზე მინდობილი საბეგლარბეგოს სამმართველოდ ნაიბად (მოადგილედ) შაჰს თავისი ძმა ლევანი დაანიშვნინა.

წავიდა ლევან ვახტანგის ძე ქირმანს. ოთხი ათეული ქართველი თან გაატანა გიორგიმ ძმას, მათ შორის — დავით აბაშიშვილი და სეხნია ჩხეიძე.

(სეხნია ჩხეიძე — მამაცი მხედარი და ნიჭიერი მემატიანე, ლევანის ვაჟების — ქაიხოსროსა და ვახტანგის თანაშეზრდილი იყო. გამორჩევით თავის კბილა ქაიხოსროს ემეგობრებოდა სეხნია).

ოცი დღის ჭენების შემდგომ მივიდნენ ქართველები ქირმანს. სიხარულით და ზეიმით შემოეგებნენ ქირმანელები. უმამაცესი და უკეთილშობილესი ქართველები გამოუგზავნია მწყალობელ შაჰს ჩვენს საშველადო!

მეთორმეტე დღეს ლევან ბატონიშვილს სპარსელმა მალემსრბოლებმა მტრის ახალი შემოსევის ამბავი მოუტანეს: ბელუჯები მ ი რ ხ ო ს რ ო - შ ა ჰ ი ს წინამძღოლობით ბანდარის ქვეყანას დაესხნენ და აოხრებენო.

ლევანმა ამხედრება ბრძანა. თექვსმეტი დღე-ღამის ჭენების შემდგომ მიატანეს „ქანუდინარსა, სამძღვარსა ბანდარისასა“.

მზვერავებმა ამბავი მოარბენინეს: ბელუჯთა ორი სარდალი, ორი ათასი მეომრით და ნაძარცვით დატვირთული, ერთი კლდის ძირას არის დაბანაკებულიო.

ორი ათასი მეომარიო? ორი ათასი, საერთოდ, არ არის ბევრი, მაგრამ ამჯერად დიახაც დიდი ძალა იყო, რამეთუ ლევან ბატონიშვილს სულ, „ავ-კარგათ“, მხოლოდ ექვსას ორმოცი მეომარი ჰყავდა და ისიც, — აქედან მარტო ორმოცი კაცი იყო ქართველი.

მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო და მაშინვე დასძრა ლევანმა ჯარი. მხნედ მიდიოდნენ, „სიხარულით“, „ვითარცა ქორწილსა შინა წვეულნი“.

წელში გაიშალნენ და მხრებში გაიმართნენ მეომრები...

სიცხიანი უდაბნო დაძლიეს და მიმწუხრისას მიაღწიეს ბელუჯთა ბანაკს.

კლდის ძირას აქლემები შემოეწვინათ ბელუჯებს, თვითონ კლდეზე დალაგებულიყვნენ. მტერი მოსვლისთანავე შენიშნეს ბელუჯებმა, მაგრამ არაფრად ჩააგდეს: ჯერ ერთი, ძალიან ცოტანი არიანო და მეორეც — სპარსელები ხომ მრავალჯერ მიგვიტყეპია და მიგვიწყვეტიაო.

ლევანმა რაზმი კლდეს მიაყენა და დააბანაკა.

არც ერთ მხარეს უძილობით თავი არ შეუწუხებია: ლევანი შეტევაზე გადასვლას დილით აპირებდა, ბელუჯებს კი საერთოდ არ ეშინოდათ „სპარსელი ცხვრების“ თავდასხმისა, არც ღამით და არც დღით.

ღამე რომ მიიწურა და რიჟრაჟი ამოიწურა, ბელუჯთა მხრიდან გუშაგი გადმოდგა და გადმოსძახა:

„სპარსელებო, თქვე საბრალოდ აშენებულნო, რამდენჯერ დაგამარცხეთ, რამდენჯერ ქონება წაგართვით, რამდენჯერ სისხლი და ძმარი გადინეთ, ახლა კიდევ ვინ მოგაცდუნათ, ამ დილაადრიან სიკვდილს რომ შეგყაროთო?!“

ლევანის რაზმიდან სპარსელი გუშაგი დაწინაურდა საპასუხოდ. ჯერ ერთი მაგრად შეუკურთხა და ისე შესძახა:

„ბელუჯნო, მოვიდა რისხვა თქვენს-ზედა, მობრძანდა საქართველოს ვალი ლევან, რომელსაც თან ახლავს ჯარი ქართველთა — კაცის-მჭამელთა!“

ქართველებს სიცილი აუტყდათ. სეხნია ჩხეიძე იძახდა: რა ჯარი, რის ჯარი, — ოციოდე ქართველი ვართ და „კაცის ჭამა“ კი არა, თითოს თითო ქათმის შეჭმაც არ შეგვიძლიაო!

მაგრამ იმ შეძახილმა — „ქართველები მოვიდნენო!“ — სწორედ რომ „დიდი ჭმუნვა“ და შიში ჩამოაგდო ბელუჯთა ბანაკში... რა გაეწყობოდა, — გაქცევას მაინც დახვედრა ამჯობინეს და მაშინვე თოფის სროლა აუტეხეს საომრად აღძრულ ქართველთა და სპარსელთა გუნდს.

სეხნია ჩხეიძემ ურჩია პატრონს, — დავქვეითდეთ და ცხენებს ამოვეფაროთო. ლევანს გაეცინა, „ეგ რა საკადრისიაო“, — შესძახა და თოფისა და ისრის სროლა უბრძანა ჯარს.

კლდის ქვემოთ, მცირე ბორცვის მიღმა, სამი ბელუჯი ჩასაფრებულიყო და სწორედ მათ გაეხსნათ მიბრჯნილი ცეცხლი ქართველებისკენ. სამიზნედ თეთრ ცხენზედ ამხედრებული ლევანი აერჩიათ ბელუჯ მსროლელებს. ფარი უფარა სეხნია ჩხეიძემ ბატონს. ტყვიამ ფარი გაგლიჯა და სარდლის მარქაფა ცხენს სასიკვდილოდ მოხვდა კისერში.

ლევანის რაზმში სპარსეთის დიდვეზირის შვილი იყო — ჯ ა ფ ა რ - ბ ე გ ი, მამაცი ჭაბუკი. იგი დაწინაურდა თავისი მცველებით და მეაბჯრეებით. იმ ბორცვს მიეჭრა, ორი ბელუჯი იქვე განგმირა, მესამე გაექცა. მოკლულთა თავები მთავარსარდალს მოართვა ჯაფარ-ბეგმა. ლევანმა შეაქო ახალგაზრდა გმირი. ხოლო ქართველი სარდლის ქება დიდი ჯილდო იყო სპარსელი მეომრისთვის.

თოფისა და ისრის სროლა შუადღემდე გაგრძელდა.

საშუადღეოზე ლევანმა ჯარს იერიში უბრძანა, „აწ ვნახოთ ვაჟკაცობა თქვენიო!“ — შეჰყივლა, ცხენს ქუსლი ჰკრა და მტრისკენ გაფრინდა ისრის სროლით. სამი ბელუჯი ჩამოაგდო ზედიზედ ისარ-განწონილი, მერე ხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ამოაგელა და — „ზენაარმან ღვთისამან, ასე შეერია შიგა, როგორც ლომი თხათა შიგა გარეულიყო“.

ლევანის გვერდით დიდის შემმართებლობით იბრძოდა სეხნია ჩხეიძე. მისვლისთანავე თვითონაც სამი ბელუჯი დააწვინა ერთიმეორეზე.

ერთი ბელუჯი მიეპარა ბრძოლაში თავმიცემულ ლევანს. თოფი უფეთქა, მაგრამ დაუცდა და ტყვიამ იდლიის ქვეშ წამოსასხამი გაუხვრიტა ბატონიშვილს. მოუსწრო სეხნია ჩხეიძემ და იღლიიდან იღლიით შუბზე ააგო ბელუჯი.

მზის დასალიერზე ბრძოლა დასრულდა. ბელუჯთა ჯარი განადგურებული იყო. მხოლოდ მცირენი გაქცეოდნენ სიკვდილს. დახოცილებს სპარსელებმა თავები დაჰკვეთეს. ათას ხუთასი თავი შეგროვდა. ლევანის რაზმიდან ას ორი მეომარი აღმოჩნდა მკვდარი.

ქანუდინარს მობრუნდნენ გამარჯვებულნი და „ნაშოვარით ავსებულნი“. იქ მირ-ხოსრო-შაჰის დახვედრას ელოდნენ, მაგრამ ბელუჯთა ბელადს მისი სარდლების მარცხი უკვე შეეტყო და გაქცეულიყო, „ქართველთა შიშით“ შეპყრობილი.

ლევან ბატონიშვილმა თვითონ „აღარ ინება“ გამოდევნება და ორასი რჩეული მეომრით სეხნია ჩხეიძე ჩაუყენა კვალში გაქცეულებს.

წამოეწია სეხნია ჩხეიძე მირ-ხოსრო-შაჰს „მანიჟავის ღელეზედა“. წამოეწია და ასი კაცი დაატოვებინა. თვითონ ბელუჯთა მეფემ ძლივს გაასწრო სიკვდილს.

მახარობლად შაჰ ჰუსეინთან და ძმასთან — გიორგი მეფესთან ლევანმა ისფაჰანს გაგზავნა ჯაფარ-ბეგი. თვითონ კი, თანმხლები ჯარით, ქანუდინარიდან ისევ ქირმანს გაეშურა.

ქირმანს რომ ერთი დღის სავალზე დაუმანძილდნენ, შაჰ ჰუსეინის წარმოგზავნილი ფაიქები შემოეგებნენ აქაფებული ცხენებით. შემოეგებნენ და შაჰის მადლობა, დალოცვა და ძღვენი მოართვეს — ძვირფასი ხალათი, მურასა ხმალი და ოქროთი დარახტული ბედაური.

ქირმანსაც მიატანეს და გამოეგებნენ ქართველებს დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ერი და ხოჯა-მოლა. ლევან ბტონიშვილს და მის თანამემამულეებს მუხლებში უცვივდებოდნენ, მათ ცხენებს მკერდს უკოცნიდნენ და გაჰკიოდნენ ცად ამწვდენი ხმით:

„კურთხეულ არს ღმერთი, რამეთუ ჩვენად მეშველად გამოგაჩინათ და დაგვიხსენით მტერთა ხელთაგან!“

„გამოაჩინე ლომგულობა შენი!“

მაისის თვეში გიორგი მეფე ეწვია ქირმანს ქართველთა ამალით.

დიდის სიხარულითა და სიყვარულით შეიყარნენ ძმები.

ერთი თვე მოათიეს ქირმანელთა „სიყვარულსა და პატივში“, ნადიმობასა და ნადირობაში. თვის თავზე ახალი საომარი წვევა მიიღეს ქართველებმა: ამჯერად ბელუჯები და ავღანელები გაერთიანებულან და წამოსულან სარბევად, საძარცვავად, სისხლის საღვრელად. ცეცხლით და რკინით გამოუვლიათ ქამანი, ქაშანი და „პასუხის მიმცემი არავინ დახვედრიათ“. შაჰს სპარსელთა მხედრობა გაეგზავნა მტრის შესაკავებლად, მაგრამ სულ ერთიანად აუწყვეტიათ ის მხედრობა ავღანელებსა და ბელუჯებს.

ახლა გიორგი მეფეს სწერდა შაჰ სულთან ჰუსეინი:

„დამირბიეს ქვეყანა და ამამიწყვიტეს ლაშქარი, წამოვიდნენ ქვეყნისა შენისაკენ, გამოაჩინე ლომგულობა შენი და ნუ გაუშვებ მაგათ უზიანოთო!“

შაჰის თხოვნა და ბრძანებაც აღარ სჭირდებოდა გიორგის, რამეთუ ისედაც „წესი იყო მისი: სითკენაც მტერი გამოჩნდის, უომარი არ გაუშვის“.

მზვერავები აფრინა გიორგიმ. ნაზვერავიც მალე მოუბრუნდა — სისტანისაკენ მიდის მტერი რბევითა და ოხრებითო.

ქირმანელთა ჯარი შეჰყარა გიორგიმ, სარდლად ლევანი უჩინა და მტრის მისაწიერად აფრინა. თვითონაც მეფე უკან მიჰყვა ქართველთა რაზმით. ექვსი დღის შემდეგ ქალაქ ბამში მოიყარეს თავი ძმებმა. მტერი შორს წასულიყო, სამხრეთისაკენ. ისევ დაიძრნენ ძმები და ოცი დღე-ღამე შეუსვენებლივ აჭენეს ცხენები. როგორც იქნა, წამოეწივნენ მტერს. ქალაქ ფირიქეს მახლობლად, ორ კლდოვან მაღლობთა შორის დაეცათ ბანაკი ბელუჯებსა და ავღანელებს.

საშინელი სიცხე იდგა. გარშემო თონესავით მცხუნვარე უდაბნო თახთახებდა. ქართულ წყაროს ნაჩვევი მეომრები ისეთ წყალს სვამდნენ, „ამას ბრძანებდით, მლაშე თევზის წვენი არისო“.

მეფემ დილა-ალიონისთვის დანიშნა ბრძოლა. წინა ღამით სისტანის ხანი მოვიდა ჯარით და გიორგის ეაჯა — მეწინავედ მე მიმიშვი მტერზე საიერიშოდო. გიორგი დათანხმდა და დილით ადრე, სანამ ქართველები ლოცვას ჩაათავებდნენ და ზიარებას მიიღებდნენ, სისტანელი სპარსელები საომარი ნაღარების ბაგაბუგითა და გამაყრუებელი ყლავილით დაეცნენ ბელუჯთა ბანაკს. ძლიერად კი შეუტიეს. ცხენებიდან გადახტნენ და ხმალდახმალ დაეტაკნენ დამხვდურებს. ქართველ მეომართაგან ბევრს „სათაკილოდ დაურჩა“ სისტანელთა წინ გაშვება, — ვაითუ, მათ გაიმარჯვონ და გამარჯვება ჩვენს ჯობნაში ჩაითვალონო. გიორგიმ მკაცრი დატუქსვით ძლივს შეიმაგრა საომრად შეწკიპული ქართველობა. თქვენი დროც დადგებაო, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებდა მეფე და მართლაც დადგა „ის დრო“. სისტანელები დამარცხდნენ. ისინი ბელუჯებმა ძირს ისე ჩამოჰყარეს, „როგორცა მაღლიდამ ხელით კაცმა ქვა ჩამოაგდოს“.

იერიში ბრძანა გიორგი მეფემ. ჯერ ლევან ბატონიშვილი გაგზავნა ქირმანელთა ჯარით და „ზოგი ქართველით“. მეორე მხრისკენ თვითონ გაქუსლა მეფემ ქართველთა გუნდით....

„გაჭირდა ომი, გაიყვანა ცხენი მეფემა, დაიგრგვინა ვითარცა ცამან, დაუძახა ქართველთა: „აწ ვნახო ჭაბუკობა თქვენიო!“

საშინელი ხმალთაკვეთებით მიაწვნენ მტერს ქართველები.

უკვე აალწია გიორგიმ ერთი მაღლობის თხემზე.

ლევანიც მოექცა თავზე მოპირდაპირე გორას.

ორივე მაღლობიდან დაეშვნენ ქართველები და შიგ შუა ბანაკში ჩაუხტნენ ბელუჯებს.

დადგა უმძიმესი ჩეხვა და სისხლისთხევა.

თავგანწირულად იბრძოდნენ ბელუჯები, მაგრამ მაინც დაიჯაბნეს ქართველებმა.

ქართველთა სიმამაცით გულმოცემულმა სპარსელებმა უწყალოდ ჰხოცეს დამარცხებული მტრები.

ბრძოლა ის იყო თავდებოდა, როცა ერთი ზორბა ანაგების ბელუჯი მიუხტა სეხნია ჩხეიძეს და ბარძაყში დაუსისწორა ხმალი. ქარქაშმა დაიხსნა სეხნია, მხოლოდ ქარქაშის ბოლო წარკვეთა ხმალმა. მოეშვა ქართველს ბელუჯი და ორი სპარსელი მიაწვინა ერთიმეორეს ელვა-მოქნევით. მაშინვე ბრძოლასაც თავი მიანება და უდაბნოს მისცა თავი სირბილით.

ის იყო, ზურაბ ზურაბიშვილი მიეახლა ლევან ბატონიშვილს გამარჯვების მისალოცად. ლევანმა ის გაქცეული ბელუჯი დაანახვა: „უცქირე იმ ერთ კაცს, ლამის გაგვექცესო“.

„მე მზად გახლავარ სამსახურადო“, — შეაგება ზურაბიშვილმა.

„არა, თავი ანებე, რამეთუ ომისგან შენც დამაშვრალი ხარ და ის გაქცეულიც უკვე შორს არისო“, — უთხრა ლევანმა.

მაინც არ დაიშალა ზურაბ ზურაბიშვილმა და გამოეკიდა გაქცეულს.

მაგრამ სანამ ზურაბიშვილი დაეწეოდა, მანამ ერთმა ქირმანელმა ცხენოსანმა გადაუჭრა გზა ლტოლვილს. დაუხვდა ბელუჯი ქირმანელს, ხმლის მოქნევაც დაასწრო, მარცხენა ბეჭი ჩამოათალა, ფეხში დასწვდა, „როგორც კატა ისე ცხენიდამ ჩამოიღო“, თვითონ იმ ცხენს მოახტა და, „ასე ბრძანებდი, შავარდენსავით გაფრინდაო“.

ზურაბ ზურაბიშვილს ნაომარი ცხენი დაჰქანცვოდა და აღარ შეეძლო გმირი ბელუჯის გამოდევნება. შემობრუნდა „მიუწევარი“ და რას ჰხედავს: თურმე ოთხი ბელუჯი კიდევ გამოქცევია სიკვდილს ბრძოლის ველიდან, უკან თხუთმეტი ცხენოსანი სპარსელი მოსდევს ხმალთა სტვენით და შხუილით; შემოუბრუნდა ოთხი ქვეითი ბელუჯი თხუთმეტ ცხენოსან სპარსელს, შეუტიეს და უკუაქციეს; ახლა ეს ოთხი კაცი მისდევს ამოსაწყვეტად თხუთმეტ მხედარს!

შუბი გამართა განცვიფრებულმა ზურაბ ზურაბიშვილმა და გზა ჩაუჭრა თხუთმეტის მდევარ ოთხეულს. მივარდა და მეწინავე ბელუჯს აძგერა შუბი და შუბ-ნაძგერალი მომდევნოს დაატაკა. ორივე ძირს დაენარცხა. წამსვე მესამეს მიუშვა შუბი, თანაც ისე მძლავრად, რომ, „თქვენმა მზემა, გავლო შიგა და მიწას დააბა იგი კაცი“. შუბი გადაემსხვრა ზურაბიშვილს და უკვე მიშველი ხმალი ეჭირა ხელში. მეოთხე ბელუჯმა დაასწრო, ცხენს ქვეშ შეუვარდა და ქვემოდან შემოუქნია ხმალი. ავჟანდაზე უსაზმნოდ გაიწკრიალა ფოლადმა. ცხენი ასკუპა ზურაბიშვილმა, შემობრუნდა და თავში უჭირა ხმალი ბელუჯს. უჭირა და „ჩაჰკვეთა კისრამდის“.

მოვარდა ის გაქცეული თხუთმეტი სპარსელი, ალტაცებული ჟღავილით მიესივნენ დახოცილ ბელუჯებს, თავები დაჰკვეთეს, ზურაბიშვილს მიურბენინეს და გამარჯვებაც მიულოცეს.

ზიზღი ძლივს დაითრგუნა ქართველმა. წარკვეთილი თავების მიღებაზე ცივი უარი თქვა — თქვენთვის დამითმია, რადგან თქვენ გეკუთვნით, ჭეშმარიტად გამარჯვებულებს, მე კი ისე წამოგეშველეთო!..

დღე მიიდრიკა. უკანასკნელ ბელუჯ-თავების კვეთით იყვნენ სპარსელები გართულნი. ნაომარ ქართველებს საშინელმა წყურვილმა გაახსენათ თავი. წყალი არსად იყო — არც „ქართლის წყარო“ და არც „მლაშე თევზის ნარეცხი“. თქვა სისტანის ხანმა: მე ვიცი წყარო ორი ალაჯის მანძილზეო. შესხდნენ ქართველები ცხენებზე და გაჰყვნენ სისტანელს ალმოდებულ უდაბნოში.

სიხარულით მოაჭენებდნენ ცხენებს ქართველები, — ეგონათ, „ქართლის წყაროს მსგავსი იქნებისო“. მივიდნენ სისტანის ხანისგან დაგულებულ ადგილას. ეძიეს, მოიძიეს და — „ღმერთმან თქვენს მტერს მისცეს, ის წყარო იყო, ასეთი მარილი ედვა ნადინარსა მის წყლისასა, თავმან თქვენმან, კურდღელი მოიკლვოდა: წყალი იყო მწარე მარილისაგან“; ზოგს მწარე სიცილი აუვარდა, ზოგმა სისტანელს შეუკურთხა, მაგრამ რას გააწყობდნენ!

ის ღამე იქ გაათიეს. დილით სპარსელებმა გიორგი მეფეს წინდლით დახოცილ ბელუჯთა თავები მოუტანეს, სულ — შვიდას სამოცი თავი...

მზვერავები მოცვივდნენ და ნაზვერალი მოართვეს მეფეს: „უკან კიდევ ჯარი მოდისო“. თურმე წინა დღეს მარტო ბელუჯები ამოეწყვიტათ, ხოლო მათი მოკავშირე ავღანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლში ცალკერძო გზით წამოსულან, ნაშოვრით დატვირთულნი და საომრად დასილაღებულნი.

ჯარი აღძრა გიორგი მეფემ.

ავღანებს უკვე გადმოელახათ უდაბნო და კლდოვან მაღლობზე მოესწროთ ნაძარცვის დაბინავება და საომრად გამზადება.

სიცხით გაფატრული მზე მდუღარეს აფრქვევდა დაბრიყვებულ დედამიწას.

გარს შემოადგნენ ქართველები და სპარსელები ავღანთა ბანაკს. ატყდა თოფების ბათქაბუთქი და ისართა სტვენა-წივილი. მზის დასალიერზე, „აგრილებისას", გიორგიმ ჯარი დააქვეითა, ერთი თვალი მოავლო და მათრახივით გადაჰკრა:

„იცოდეთ, სალაღობოდ არ მიმყავხართო!" — და პირველი შეუხტა ხმალშემართული ნათოფარ-ნაისრალი მტრის ბანაკს.

მიჰყვნენ ქართველები, შემდგომ — სპარსელები.

სალამოურელე შემოტევას ავღანელები აღარ მოელოდნენ და გულჩუკენად შეეგებნენ ქართველთა ხმლებს.

ავღანთა ბანაკიც სრულად ასწყვიტეს და მათი ნადავლიც დაინადავლეს.

ის ღამე ნაომარ ადგილზე გაითენეს. დილით სპარსელებმა მეფე გიორგის ხუთას ორმოცი ავღანელის წარკვეთილი თავები მიართვეს.

გიორგის ბრძანებით, ცალკე ბელუჯთა და ცალკე ავღანთა თავებისაგან მინარეთის მსგავსი ორი კოშკი აღმართეს, თითოეული ოცი წყრთის სიმაღლისა.

(ქართველთა მეფეც აჰყოლია „თათრულ ყაიდასა" და ნაქცეურობას!)...

სისტანის ხანი აღარ მოეშვა ქართველებს, ნაომარ ადგილთაგან ორი დღის სავალზე, თავის „სახანო ქალაქში" მიიწვია, „თავგამოდებით" უმასპინძლა და გამოისტუმრა.

ქირმანისაკენ მოდიოდნენ. ძალიან უჭირდათ უწყლო და ურწყულო უდაბნოების გადმოლახვა. „თავმან თქვენმან, თხუთმეტს დღეს ცხენს ბზე არა ჰქონია". მაინც ლაღად მოდიოდნენ, რამეთუ „სასიხარულო დიდი ჰქონდათ, თავად გამარჯვებისა და მერმე ამიტომ, იმ ალაგების ნახვისათვის, ის ალაგები გზითაც არავის გაევლო, არამთუ საომრად ვინ წავიდოდა".

ერთი თვის უდაბნოური ოდისეის თავზე მოაღწიეს ქირმანს. დედაბუდიანად გამოცვივდნენ ქირმანელები და მიეხვივნენ „მათ მხსნელ ქართველებს". ყველა — დიდი და პატარა, ქალი და კაცი — მიილტვოდა ქართველი მეფის ფერხთა სამთხვევად.

„კურთხეულ არს ღმერთი, რამეთუ თქვენ, ქართველნი, მაგისთანა კაცნი დაუბადებიხართ და ჩვენთვის გამოურჩევიხართო!" — ბღაოდა ხალხი.

გზიდან ისფაჰანს შიკრიკი გაეგზავნა გიო-რგის, — ბელუჯთა და ავღანთა განადგურების ამბებს ატყობინებდა შაჰს.

თურმე ცას ეწია სიხარულით შაჰ სულთან ჰუსეინი. მაშინვე მალემსრბოლნი აფრინა ქირმანისკენ და მიართვეს გიორგი მეფეს ერანის ხელმწიფისგან „წყალობა და დამადლება დიდი, თაჯი და ჯიღა მურასა, ხმალი და ხანჯალი, შემკული თვალითა და მარგალიტითა, ცხენი ოქროითა უნაგირითა, თეთრად ორი ათასი თუმანი, ხალათი მძიმე სიასამურის ქათიბითა". დანარჩენ ქართველებსაც ებოძათ შაჰის ნაძღვნევი „ინამი და ხალათი".

მშვიდობა სუფევდა ერანის ცისგვამში, „ქართველთა ლომგულოვნების წყალობით"...

„უცხო პურის მთხოვნელთა"

1701 წელს ლევან ბატონიშვილი შაჰმა გაიწვია ქირმანიდან ისფაჰანს. მისვლისთანავე მიიღო ერანის ხელმწიფემ ქართველი გმირი. „მხიარულისა პირითა", გვერდით დაისვა და დაწვრილებით გამოჰკითხა ამბავი ძმისა — „დიდებული გურგინ-ხანისა" — და ბელუჯთა და ავღანთა განადგურებისა. ლევანმაც მოახსენა ყოველივე, „რაც ოდენ ხელმწიფეს მოეხსენებოდა".

გაიხარა შაჰ სულთან ჰუსეინმა, „დაჯდა ნადიმად და შექმნა სიმხიარული, უბოძა თავისის ხელით ღვინო" ქართველ გმირს, ხოლო ნადიმის განსრულების ჟამს შაჰმა გამოაცხადა „ყველაზე მთავარი": დღეიდან ლევან ბატონიშვილი, შაჰ-ყული-ხანის სახელით, დანიშნულია ერანის მდივანბეგადო!

ესოდენ დიდი სახელმწიფოებრივი „სახელო" ერანის მბრძანებლის საგანგებო პატივის, ყურადღებისა და „ქართული ერთგულებისათვის" უსაზღვრო მადლიერების გამოხატულება გახლდათ.

ლევან ბატონიშვილი, ვითარცა მდივანბეგი და „ხელმწიფის საქმეთა გამგებელი", „უმაღლესი მრჩეველი" და „მაჯულთუხუცესი", შაჰის კარზე შინაური ადამიანი შეიქნა. კარგადაც „მოირგო" და „მოიხმარა" ნიჭიერმა და ჭკვიანმა კაცმა შაჰის „მარჯვენა ხელობა".

ერთ დღეს ლევანმა შაჰ ჰუსეინს მოახსენა: „ჩემი შვილი შენი ყული გახლავს და სხვის საბატონოში პურის რატომ უნდა ითხოვდესო?! მიყავ წყალობა და, რაც ქართლში მანამდე საუფლისწულო მქონია, ჩემი შვილისთვის მიბოძეო".

შაჰისთვის ვასაკები იყო: მდივანბეგი მას „მეორე ვაჟის" — ვახტანგის შესახებ უგდებდა სიტყვას (ხოლო უფროსი ძე — ქაიხოსრო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკი ურანშნ თან ახლდა მამას)*. ვახტანგ ლევანის ძე მაშინ იმერეთს იყო ცოლ-შვილით და სწორედ ამას გულისხმობდა ლევანი ოხმაგურად ნათქვამში — ჩემი შვილი სხვის საბატონოში პურს რატომ უნდა ითხოვდესო. ახლა ლევანი „მომგებიანად" არ თვლიდა (ან შეიძლება არც ესმოდა) იმის გახსენებას, რომ ქართლელი კაცისათვის იმერული პური უფრო „ნაკლებ მათხოვრული" იყო, ვიდრე სპარსული... მთავარი გახლდათ „ქართლის საუფლისწულოთა" დაბრუნება და ამ გზით ქართლში „ფეხის მოკიდება".

შაჰ ჰუსეინმაც უყოყმანოდ აღასრულა „საყვარელი მდივანბეგის" თხოვნა. ბრძანება გაუგზავნა ქართლის მაშინდელ მეფეს — ერეკლე ნაზარ-ალი-ხანს — ვახტანგ ლევანის ძე სასწრაფოდ დააბრუნე იმერეთიდან ქართლშიო.

მკითხველს წინარე წიგნიდან ახსოვს, რომ მეფე გიორგი მეთერთმეტემ თავისი ერთადერთი ვაჟის, ბაგრატისათვის საცოლედ აირჩია ჩერქეზთა ბატონის ასული რ უ ს უ დ ა ნ ი, მაგრამ რაკი ბაგრატი სპარსულ ტყვეობაში დაიღუპა, გიორგიმ თავისი სარძლო ცოლად შერთო ერთგულ, ნიჭიერსა და მამაც ძმისწულს — ვ ა ხ ტ ა ნ გ ლევანის ძეს. ქორწინება მოხდა ხარაგოულში. მერე გიორგი მეფე სპარსეთს გაემგზავრა, ხოლო ვახტანგი იმერეთს დარჩა. ეს მოხდა 1696 წელს. მას შემდეგ ვახტანგი და რუსუდანი იმერეთში ცხოვრობდნენ. აქ მათ შეეძინათ ვაჟი, სახელად — ბ ა ქ ა რ ი...

და აი, „იმერული პურის მთხოვრობის" მეხუთე წელს (1701), ვახტანგ ლევანის ძეს ეძლეოდა საშუალება „მშობლიურ ქართლში" დაბრუნებისა.

სასწრაფოდ აღასრულა მეფე ერეკლე პირველმა სპარსეთის ხელმწიფის ბრძანება. კაცი აფრინა ხარაგოულს.

სწორედ მაშინ ვახტანგთან მობრუნდა მისგანვე რუსეთს გაგზავნილი ზ ა ლ ი ა შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი და არჩილ მეფის შათირი ჰ ა მ უ კ ა. არჩილი თავის საყვარელ ძმისწულს რუსეთში იწვევდა.

ვახტანგს არჩევანი შეექნა: საით წასულიყო — რუსეთს თუ ქართლს?

იმერელმა წარჩინებულებმა ქართლში წასვლა ურჩიეს.

წამოვიდა ვახტანგი ცოლ-შვილით. მოვიდა ალს, სადაც მას ერეკლე მეფისგან უვნებლობა შემოჰფიცეს ევდემოს კათალიკოსმა და სპასპეტმა ლუარსაბ ყაფლანიშვილმა. ალიდან წავიდა და დადგა სურამს.

ვახტანგის მოსვლით „შეექნათ ერთგულთა სიხარული და ორგულთა წყენა". თვითონ ერეკლე მეფეს ქართლის გამგებლობის სამეტოქეოდ არც ვახტანგი „ედარდებოდა" და არც სხვა ვინმე, რადგან მას, როგორც ჩემს მკითხველს ახსოვს, ქართლი საერთოდ „არ ენაღვლებოდა", არამედ ქართლის „ვალიდ" შაჰისგან იძულებით გამოგზავნილი „ნაზარ-ალი-ხანი" ისევ და ისევ „მშობლიური კახეთის" ტახტის დაუფლებაზე ოცნებობდა. ამიტომ ერეკლემ გულწრფელი სიხარულით მიიწვია ვახტანგ ლევანის ძე კოჯრის სასახლეში, მიიწვია და, „რა ნახა, დასდვა პატივი შვილურად, და შეიყვარა ძმათ და შვილად, უბოძა საბოძვარი მრავალი და ხმალი მურასა, შეარტყა წელსა მისსა, ნახევდიან ლხინსა და უკუ-ჰყრიდიან".

ქართველებს საქართველოსთვის „არ სცალიათ"

1703 წელს ერანის ხელმწიფემ, შაჰ სულთან ჰუსეინმა „საბოლოოდ მოაგვარა" ქართლ-კახეთის საქმეები. მან აღასრულა „საყვარელი ქართველი მეფეების" დღენიადაგი ნაოცნებარი: ერეკლე ნაზარ-ალი-ხანი ქართლიდან კახეთის მეფედ „გადაიყვანა", ხოლო ქართლის უმაღლესი ხელისუფლება ისევ გიორგი მეთერთმეტეს „დაუბრუნა".

სულ მალე კი გამოირკვევა, რომ არც ერეკლეს უნდა ეღირსოს კახეთის მიწაზე ფეხის დაბიჯება და არც გიორგის მოესწრება ქართლის წყაროს წყლით დარწყულება ერანულ-უდაბნოური მწყურვალებით ადუღებული გულისა.

ერეკლეს ბრძანება მოუვიდა — კახეთის გამგებლობის მისაღებად ისფაჰანს გამოცხადდიო. ერეკლე „სიხარულით" შეუდგა ხპარსულ „შაჰ რას" („შაჰის გზას").

ხოლო მანამ შაჰ სულთან ჰუსეინმა ქირმანში მდგარ გიორგის რაყამი გაუგზავნა: ამიერიდან შენ ხარ ქართლის მეფე-„ვალიც", სპარსეთის უმაღლესი მთავარსარდალიც და ბეგლარბეგიც ქირმანისა, ყანდაჰარისა და გორიშკისაო.

მთავარი აქ თურმე ყანდაჰარის გამგებლობა და მოვლა-პატრონობა ყოფილა, რამეთუ ისევ მოიწევდნენ ავღანელნი ცოფიანი იერიშებით აღმოსავლეთიდან. უკანასკნელად თ ა მ ა ზ ს ა რ დ ა ლ ი შეჰკვდომოდა ქართველთა გუნდით ყანდაჰარის კედლებთან მ ი რ ს ა მ ა ნ დ ა რ ი ს სარდლობით მოიერიშე ავღანთა ჯარებს. ახლა გიორგი მეფეს — ყანდაჰარის ახალ მბრძანებელს ავალებდა შაჰი „მისი საბეგლარბეგოს" დაცვას ავღანთა შემოტევებისაგან.

* ლევანი ორჯერ იყო ნაქორწინევი და ჰყავდა რვა შვილი. პირველი ცოლისგან, თ უ თ ა ქაიხოსრო გურიელის ასულისაგან ჰყავდა: ქაიხოსრო, ვახტანგი, დომენტი და ხვარამზე; მეორე ცოლისგან, თ ი ნ ა თ ი ნ გიორგი ავალიშვილის ასულისაგან — იესე, სვიმონი და თეიმურაზი. ერთი ვაჟიც ხარჭისგან ჰყავდა ლევანს, სახელად — როსტომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ, გიორგი მეფე ყანდაჰარს უნდა წასულიყო დაუყოვნებლივ, ხოლო „მისი სამეფოს“ — ქართლის სამმართველოდ დროებით (სანამ გიორგი ყანდაჰარს „მოუვლიდა“), ვითარცა „ნაიბი“ („მოადგილე“) გაემგზავრებოდა მისი ძმა ლევანი.

მაგრამ ლევანი ხომ ერანის მდივანბეგია?!

არა უშავს რა, — ლევანი გიორგის „ნაიბად“ გაეშურება ქართლის სამმართველოდ, ხოლო მის ნაცვლად ერანში მდივანბეგად დარჩება ლევანის უფროსი ძე — ქ ა ი ხ ო ს რ ო.

ვიმეორებ: ყველა ეს „გადანაცვლებანი“ არის „დროებითი“ — მანამ, სანამ გიორგი მეფე ყანდაჰარისა და ავღანელების „საქმეებს მორჩებოდეს“...

ქირმანში მდგარ ქართველებს „შეექნათ სიხარული ქართლის შოვნისათვის“, მაგრამ ყანდაჰარს წასვლის მოწყენა... რა გაეწყობოდა: ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე ქართლში კი არა, ქართული მიწიდან კიდევ უფრო შორს, აღმოსავლეთით, ავღანისტანში უნდა გადაქუხებულიყო.

სპარსეთს მიმავალი ერეკლე მეფე და ქართლისკენ მომავალი „ნაიბი“ ლევან ბატონიშვილი ერთმანეთს შეეყარნენ თავრიზში, — „შეიყარნენ ერთად, გარდაეჭვდენ ერთმანერთსა, დახვდენ ძმურად, დაპატიჟეს ერთმანერთსა, ნახეს ლხინი სიმხიარულისა, მიართვეს ერთმანერთსა მისართმევი“.

მალე გაიყარნენ. ერეკლეს ისფაჰანს ეჩქარებოდა, „მწყალობელი შაჰის“ ხელით კახეთის სამეფო ინსიგნიების მისაღებად და მალე „სანეტარო კახეთში“ დასაბრუნებლად, ხოლო გიორგი მეფის ძმასა და „ნაიბს“ ქართული მიწის ძახილი უჩქარებდა ნაბიჯს...

ერანის „ხელმწიფე მხიარულად დახუდა“ ერეკლეს. კახეთის მეფობა ერთხელ კიდევ დაუდასტურა და „დამატებით“ სამეფო გვარდიის ყულარაღასობაც უბოძა. მაგრამ იქვე დასძინა შაჰმა მოულოდნელად: ვითარცა სპარსეთის ყულარაღასი, შენ ჯერჯერობით სპარსეთს უნდა დარჩეო, ხოლო კახეთის სამმართველოდ შენს ნაცვლად შენი ვაჟი დ ა ვ ი თ ი მ ა მ-ყ უ ლ ი-ხ ა ნ ი გაემგზავრებაო.

დიდი პატივი დაუდევს შაჰ სულთან ჰუსეინს ერეკლესათვის: პირადად — კახეთის მეფობა და სპარსეთის ყულარაღასობა, უფროსი ვაჟისთვის — კახეთის „ნაიბობა“, გინა „ჯანიშინობა“, ხოლო უმცროსი ძისთვის, კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს თ ვ ი ს — ისფაჰანის ტარუღობა.

მაშ, ისევ ქართველებს უჭირავთ ერანის უზენაესი „სახელონი“ — მთავარსარდლობა (გიორგი), ყულარაღასობა (ერეკლე), მდივანბეგობა (ლევანი) და ტარუღობა (კონსტანტინე).

მაგრამ ვერც გიორგი და ვერც ერეკლე — მეფენი „უმთავრესი საქართველოებისა“ — ჯერჯერობით საქართველოსკენ ფეხს ვერ მოდგამენ, „ჯერჯერობით“ მათ იკმარონ „ქართველ მეფეთა“ ტიტულები, რამეთუ „ჯერჯერობით“ მათ „არ სცალიათ“ საქართველოსთვის...

. . . .

ვახტანგ ბატონიშვილი ქართლის ჯარით ტაშირს დაუხვდა სპარსეთიდან მომავალ მამას.

რიგრიგობით მიდიოდნენ ქართლელნი, ეახლებოდნენ და მუხლს უკოცნიდნენ ამხედრებულ ლევანს, და ისევ უკანვე დგებოდნენ, ვახტანგისგან მიჩენილ ადგილს. ბოლოს ვახტანგიც მიეახლა მამას. ლევანი ცხენიდან გარდახდა და გადაეხვია ერთმანეთს თხუთმეტი წლის უნახავი მამა-შვილი...

ტფილისი დიდის ამბით შეხვდა გიორგი მეფის ძმასა და მოადგილეს — „მოეგებნენ მოქალაქენი სიხარულითა დიდითა, შექნეს სიხარული დიდი და გარიგება ქართლისა“.

ხოლო, „გარიგება ქართლისა“ ლევანმა და ვახტანგმა ისევ ძველ ქართულ სახელმწიფოსამართლებრივ საწყისებზე აღადგინეს. ამით ერეკლე პირველის „უცხო პოლიტიკური ღონისძიებანი“ ხელიერთპირად გაუქმდა და აღმოიფხვრა.

„ქება-მიუწვდომელი“

იმავე 1703 წელს გიორგი მეფემ შემოუთვალა ლევანს, ერთი ათასიოდე ქართლელი მეომარი გამომიგზავნე ქირმანსო. ლევანმაც შეჰყარა ქართლელთა ათასეული.

სარდლად უჩინა ვ ა ხ უ შ ტ ი ყ ა ფ ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი (სახელოვანი სულხან-საბა ორბელიანის ძმა) და გაუგზავნა მეუფე ძმას.

სიხარულით შეხვდა გიორგი თანამემამულეთა ჩასვლას. „მოაგება მეფემ ვინც ვინ ქართველნი დარჩომილიყო, ქნა მეჯლიში თალარსა ქირმანისასა, ნახა ლხინი და მისცა საბოძვარი მრავალი“.

მომდევნო 1704 წელს ლევანმა გიორგისთან სეხნია ჩხეიძე გაგზავნა მდიდარი ძღვენით. ძალიან ეამა მეფეს გამოცხადება ერთგული მეაბჯრისა, მამაცი მეომრისა და ნიჭიერი მემატიანისა.

სეხნია ჩხეიძის ჩასვლიდან ერთი თვის თავზე, 1704 წლის მაისის დამდეგს, გიორგი მეფე ქირმანიდან ყანდაჰარისკენ გაემართა.

ოციათასიან სპარსულ მხედრობას მეწინავე ძალად ორი ათასი ქართველი მიუძღოდა.

ისევ სიცხე — სხეულის დამადნობელი.

მძვინვარე მზით მოთახთახე უდაბნოები.

ყური ვუგდოთ თვითონ სეხნია ჩხეიძეს: „გავებით ბაიბანსა (უდაბნოსა) გორგისასა;

მაგრამ სიცხის ამბავი რის შესადარებელი მოგახსენო, ან გაძლება ქართველებისა! მზემან ღვთისამან და თავმან პატრონისა ჩემისამან, ზარბაზანი იდვა სევანის (კარის) წინა, ტყვია გააპტყელეს და დასდვეს ზარბაზანსა ზედა და ორ საათს, შუადღეს უკან, სიცხემ ტყვია დაადნო. თვითონ მეფე სევანში იჯდა და შიგან იდგა ალაჩური საისა, ედგა გვერდსა საწერელი, მიახლო ხელი და ამოილო მაკრატელი, ასე გაცეცხლებულიყო, თავმან მისმან, ხელი ველარ გაუყარა ქაღალდის წასაჭრელად“.

გიორგი მეფე ჯარისკაცთა წინაშე ალექსანდრე მაკედონელს ედარებოდა უდაბნოური პაპანაქების დაძლევაში. „ეს ლომებრი კაცი“ ყოვლის დამადნობელი მზის ქვეშ, ცხენით თუ ფეხით ისე მიაბიჯებდა, „სახეზე ფერსაც კი არ იცვლიდა“. ესე „იყო წესი“ გიორგი მეფისა: „როიცა სამწუხარო საქმე იყვის, მაშინ უფრო გამხიარულდის“. „ჩემგან ქება არ გაეწყობოდა, რადგან ქება-მიუწვდომელი იყოო“, — წერს მეფის სივაჟკაცით აღტაცებული და განცვიფრებული სეხნია ჩხეიძე...

ყანდაჰარსაც მიატანეს.

გამოეგება ხალხი და ჯარი ყანდაჰარისა ქართველ ხელმწიფეს. ავღანელთაგან დაშინებული აქაური მმართველი — მ ა ს ულ-ხ ა ნ ი მუხლებში ჩაუვარდა გიორგის, — მადლობა ალლაჰს, თქვენი თავი რომ მოგვივლინა მხსნელად და პატრონადო.

„როგორც ქირმანის ქვეყანა მოარჩინაო მტერთა ხელთაგანო, ღვთით ისე ჩვენც გვიშველის ქართველი მეფე და მისი ქართველობაო“ — ბღაოდა ავღანელთაგან ნაოხარი ხალხი.

ქალაქში ზარ-ზეიმით შევიდნენ. ძალიან მოეწონათ ქართველებს ყანდაჰარი. ცადატყორცნილი ციხეები, სამრიგოვანი, მაღალი და სქელი გალავნური კედლები, ოთხი მხრით მძლავრი კარიბჭენი, ქალაქის შუაგულში ბრწყინვალე სრა-სასახლე („ნარინჯის სასახლე“) და მშვენიერი ბაღები. წინა მხრიდან ქალაქს ხანდაკი ერტყა, უკან ფართო მინდორი და შემდგომ — ოდრიკალად შემოროგებული პიტალო კლდენი.

მაგრამ ყანდაჰარიც საშინელი სიცხით დაუხვდა „ღვთისაგან მხსნელად მოვლენილ“ ქართველებს. ისევ ჩავიხედოთ სეხნია ჩხეიძის მატიანეში: „ქალაქი ცხელი, საღამო ჟამს ასეთი ქარი მოვიდის ცხელი, რომ პირს ვერ შეაქცევდნენ, ეს მინახავს — აქაურის სიცხისაგან კვერცხი სპილენძის თეფშზე გათქვეფილი და დახრწული, მზისგან შემწვარიყოს და ცხის სალს კლდეზე პური მიეკრას და გამომცხვარ იყოს“...

* * * * * * *

მოსვლისთანავე ბრძანებანი დაგზავნა გიორგი მეფემ ავღანისტანში: ყველა, ვინც ჩემს მორჩილად თავს მიიჩნევს, დაუყოვნებლივ მეწვიოს, რამეთუ მივანიჭო მათ ღირსნი პატივნი, ხოლო უკეთუ ურჩნი აღმოჩნდებიან, უწყალოდ განადგურდებიან პირითა ჩემი მახვილისაგან!

„ამისნი მსმენელნი მოვიდნენ ყოველნი ძღვნითა დიდითა წინაშე მეფისა და დაიმორჩილნა სრულიად და მეხარკე-ჰყვნა“.

ქართველი მეფე საქართველოდან შორს, უცხო ქვეყანაში იწყებდა მეფობას, — მკაცრად, სასტიკად, სამართლიანად.

. . . .

ქაბულიდან ინდოეთის მეფის ძემ გიორგის მდიდარი ძღვენი გამოუგზავნა და მშვიდობიანობის ჩამოგდება სთხოვა, — „რამეთუ ჰგონებდა იგიცა მისვლასა მეფისასა“ მასზე სამოდ.

გიორგიმ ინდოელის ძღვენი და წერილი შაჰს გამოუგზავნა.

ამისთვის შაჰ სულთან ჰუსეინი „ფრიად მადლიერი იქმნა“, ინდოელის ძღვენი და, თავის მხრივ, „სხვანი უმეტესნი საძღნოცა“, ყველაფერი ერთად გიორგის გამოუგზავნა და ნება დართო — შენ თვითონ შენის ნებით იქონიე ურთიერთობა ინდოელებთანო.

ამის შემდეგ კიდევ მეტად „მისანდობელი იქმნა“ მეფე გიორგი შაჰისათვის.

და ამის გამო „შურობდნენ ამას ყიზილბაშნი“.

შურობდნენ!...

ბედისწერას ერქვა — „მირ-ვეის“

ალი ალაგზნის მცირემან ნაბერწყალმან და ნაკბენმანცა კნინმან იქედნისამან სასიკვდინენი სენნი განმზადებულ ყვნის.

ეფრემ მცირე

მამის მაგივრად ისფაჰანში მდივანბეგად „დროებით“ დატოვებული ქაიხოსრო ლევანის ძე ჭეშმარიტი სახელმწიფო კაცი გამოდგა. მართლაც ყოფილა ეს ახალგაზრდა ქართველი „ცოდნის იადგარი“. იგი „ასე გაუძღვა ერანის მდივანბეგობას, რომე დიდი და მცირე გააკვირვა“. შაჰმა ქაიხოსრო ძალიან დაიახლოვა და „სდებდა პატივსა უშურველსა“.

მაგრამ 1705 წელს შაჰ სულთან ჰუსეინმა მაინც გაიძახა ლევანი ქართლიდან სპარსეთს.

ლევანმა ქართლის „ჯანიშინად“ ვახტანგი დატოვა და თვითონ, კიდევ ერთი ძის — ი ე ს ე ს თანხლებით, ისფაჰანისკენ გაქუსლა.

შაჰს ძალიან მოეწონა იესე ბატონიშვილი, „სიმხნე და სიმშვენიერე მისი“, და მაშინვე გადაწყვიტა: ეს ჭაბუკი ბიძამისს, გურგინხანს გამოადგებაო და, მცირე ხნის „გამოხდომის“ შემდგომ, გაგზავნა კიდეც ყანდაჰარს..

გიორგი სიხარულით და სიყვარულით შეხვდა ძმისწულს. ქართველთა და ყიზილბაშთა ჯარი შეაგება და ზარ-ზეიმით შეიყვანა ქალაქში. დიდი მეჯლისი გაუმართა და უამრავი საბოძვარით აავსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . .

დაუდგრომელი და დაუწყნარებელი ცხოვრებით ცხოვრობდა და განაგებდა გიორგი მეფე უცხო ქვეყანას. მხოლოდ უზომო შიშითა და სისასტიკით შეეძლო საუკუნეების სიგრძეზე ველურ მტარვალობაში ნაზარდ ქვეშევრდომთა დამორჩილება და ლათრგუნვა. ამიტომ ბოროტებას ბოროტებით ჰკურნავდა „თათრობითა და თათრობაში“ გამწვარებული მეფე. ზოგჯერ გაურჩებულ სოფელ-ქალაქებს ჯარს გაუსევდა და ააწიოკებინებდა, — „ზოგი კლდესა გარდაყარის, ზოგი ცოცხალი დამარხის, ზოგთა კბილები დაამტვრის და თავზე დაარჭვის“.

გამორჩეული სიმკაცრითა და თავაშვებულობით ექცეოდნენ ყანდაჰარელებს ყიზილბაშები. ისინი იტაცებდნენ და ისაკუთრებდნენ ყველაფერს — მოძრავს და უძრავს, სულიერსა და უსულოს. ყანდაჰარშიო — წერს ისტორიკოსი ი ო ს ე ბ ქ ა რ თ ვ ე ლ ი — „ვაჟები და ქალიშვილები უკვე აღარ მიეკუთვნებოდნენ თავიანთ მამებსა და დედებს, ცოლები აღარ ეკუთვნოდნენ ქმრებს, ვაჭრები აღარ იყვნენ თავიანთი ფულისა და საკუთრების ბატონ-პატრონნი და მოსახლეთაგან არავინ იყო დარწმუნებული, შეეგებებოდა თუ არა იგი ცოცხალი ხვალინდელ დღეს“.

დაშინდა ქვეყანა.

და რაკი დაშინდა, კიდევაც „დაწყნარდა...“

. . . .

გიორგი მეფე „ჭეშმარიტი ქართველი“ იყო.

და ყოველ შაბათ დღეს მხოლოდ ქართველებთან ჰქონდა შეხვედრა, ნადიმი, სიმღერა, ზმა, სმა და სამშობლოს დარდით და სურვილით აშლილი „ცრემლების ლესვა“.

მაგრამ გიორგი მეფე „ჭეშმარიტი თათარიც“ იყო და ყოველ სამშაბათს მხოლოდ თათრებს ხვდებოდა, მათთან ნადიმობდა და „თრიაქდებოდა...“

ასე მიდიოდა საწუთრო მეფე გიორგი მეთერთმეტისა უცხო და უარშიო ქვეყანაში: „სამართლობდის, განისვენებდის, ნადირობდის, შეექცეოდის“....

. . . .

ჯერჯერობით ავღან ბელადთაგან ისევ მ ი რ - ს ა მ ა ნ დ ა რ ი გამოსჩანდა ყველაზე ძლიერად, გამორჩეულად და სახიფათოდ. გიორგი მეფის ყანდაჰარს მისვლამ დიახაც დააფრთხო და დააშინა მირ-სამანდარი, მაგრამ მაინც საეჭვო ჩანდა, დიდხანს დარჩენილიყო იგი ეგზომ „წყნარი“, „ბედს შერიგებული“ და „ჩაჩუმქრული“.

ფხიზლად ადევნებდა თვალს გიორგი მეფე ავღანთა ბელადს.

ერთ დღეს მეფეს მირ-სამანდარის მოციქული ეახლა ძვირფასი ფეშქაშით და უმდაბლესი თხოვნით: „რადგან ღმერთს შენთვის ძლევა მოუცია და სახელოვანი ხელმწიფე ამ ქვეყნის გამოჩენილხარ, მიყავ წყალობა და ნახვა შენი მადლისა, რაც ოდენ შენაცოდვარი მე ამ ქვეყანას მიქნია, შემინდევ, მოგართვა ხარჯი, რაც ოდენი დამკლებია“.

მოვიდეს, მეჩვენოს და გადავწყვიტავთ, — ბრძანა პასუხად გიორგიმ.

მართლაც მოვიდა ყანდაჰარს მირ-სამანდარი თანამებრძოლთა ჯარით. ბიძაშვილი და თანაშემწე თან ახლდა — ქ ა ლ ა - ხ ა ნ.

ეახლნენ ქართველ ხელმწიფეს, მდიდარი მისართმეველი მიართვეს, იარაღი აიყარეს და წინ დაულაგეს, მიწაზე თავდამხედ დაენარცხნენ, ფეხები დაუკოცნეს და სიკვდილამდე ერთგული ყმობა შეჰღაღადეს.

მოიწონა გიორგიმ მირ-სამანდარი და ქალა-ხანი, „კარგ სანახავნი, მხნე ვაჟკაცნი“. შეუნდო და აპატია „გარდასული შეცოდებანი“, ერთგულების ფიცი მიიღო, ხარკის ძლევაზე პირობა დაადებინა, ერთი თვე „ისტუმრა“, იმსახურა „როგორც ყმანი მისნი“, და გაუშვა.

ამჯერად უტყუარი გამოდგა მეფის გუმანი: მირ-სამანდარმა სამუდამოდ აიღო ხელი ბრძოლაზე. სამუდამოდ ქართველი მეფის — „ლომი გურგინ-ხანის“ — ერთგული ყმა დარჩა ავღანთა ბელადი.

ჯერჯერობით არ ღალატობდა გიორგი მეფეს ალღო, გეში და გუმანი.

. . . .

მაინც აჯანყდნენ ავღანელნი, — მირ-სამანდარის გარეშე და „მის ჯინაზე“ აჯანყდნენ.

გიორგიმ ძმისწული, იესე ლევანის ძე გაგზავნა ქართველ ცხენოსანთა და ქვეით სპარსელთა ჯარით.

ორი მხრიდან დაეცა თავს იესე ბატონიშვილი ავღანთა ბანაკს — „ზეითად“ ქართველებით და „ქვეითად“ სპარსელებით. „შეიქნა ომი ფიცხელი, თქვენმა მზემა და თავმა მისმა, იმ დღეს ბატონიშვილი იესე გენახათ, ამას ბრძანებდი, კაცთა შვილი ამისთანა რა ინახებოდა! გაიმარჯვეს, ამოსწყვიტეს, ცათა ღმერთი შეარისხეს, გამობრუნდნენ გამარჯვებულნი“.

გაიხარა გიორგიმ კიდევ ერთი გამარჯვებით, ძმისწულის სიმამაცით და საზრიანობით. უხვადაც დააჯილდოვა ახალგაზრდა სარდალი — „უყო მეჯლიში, შეარტყა წელთა ხმალი მურასა და მისცა ვექილობა“. საბოძვარი მიუგო ყველას — „დიდსა“ და „მცირეს“, ვინაც ბრძოლაში თავი გამოიჩინა.

. . . .

ერთბაშად ამოიმართა გიორგი მეფის თვალსარბიელზე ავღანთა კიდევ ერთი ბელადი — მ ი რ - ვ ე ი ს ი (ეს სახელი არაბულიდან ქარ-

თულად ითარგმნება ვითარცა „თავადი ლომის ბოკვერი“).

ჯერჯერობით მხოლოდ მისი ნიჭიერებისა და სიმამაცის ამბები სმენოდა გიორგის.

ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ავაზის სიმსუბუქით და ლუციფერის იდუმალებით უახლოვდებოდა იგი გურგინ-ხანს.

„უსაზღვრო ერთგულების“ მეტი ვერაფერი ამოეკითხა ამ კაცში ქართველი მეფის ფხიზელ თვალსა და სალმასურ გონებას.

კიდევაც „გამოსცადა“ იგი გიორგიმ.

აზარის სულთანი დ ა ქ ე ზ აჯანყებულიყო და იმ აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნა მეფემ ახლად დაახლოებული ავლანი.

წავიდა მირ-ვეისი, აჯანყებულნი გაანადგურა და მათი სულთანი ბორკილგაყრილი მოჰგვარა მეფეს.

ძალიან გაიხარა გიორგიმ. მირ-ვეისს „უბოძა საბოძვარი და შემოსა სამოსლითა კარგითა“.

„საბოლოოდ“ დაიჯერა გიორგიმ მირ-ვეისის „გულწრფელი ერთგულება“.

მაგრამ სულ მალე იგრძნო, რომ მწარედ მოტყუვდა.

მირ-ვეისი აღმოჩნდა უალრესად ცბიერი, მზაკვარი და ქვეგამხედვარი. უტყუარი ცნობები მოართვეს მსტოვრებმა გიორგის: მირ-ვეისი თეთრი კბილით იცინის და შავი გულით მოქმედებს, იდუმალ შეთქმულებებს აწყობს, ავლანელ ტომებს სააჯანყოდ ამზადებს!

გიორგიმ მაშინვე შეიპყრო მირ-ვეისი.

ორგულთა და ქვეგამხედვართა დასჯა აკი „სპარსული ყაიდით“ და ნაქცეურობით იცოდა გურგინ-ხანმა: სიკვდილი თავის მაგდებინებით, კლდეზე გადაჩეხვით ან ცოცხლად დამარხვით.

და საოცარი ის არის, რომ „არც ერთი სიკვდილისთვის“ არ გაიმეტა გიორგი მეფემ სამომავლოდ ეგზომ საშიში და სახიფათო კაცი!

მხოლოდ ამით დაკმაყოფილდა: მირ-ვეისი — ეს „ბოროტი მანქანა“ — შეიპყრო, ისფაჰანს გაგზავნა და შაჰს შეუთვალა:

„ესე კაცი აღმოჩნდა გარდასულ არეულობათა და უწესოებათა გამომწვევი და სულისჩამდგმელი; ახლაც უარშიობს თავაშვებული; დააკავეთ და არასგზით არ გამოუშვათ, თორემ იგი გახდება ისეთ ახალ არეულობათა მიზეზი, რომლებიც შეიძლება დიდად სახიფათონი აღმოჩნდნენ სახელმწიფოსთვის“.

ქართველი მეფის ეს სიტყვები „თავის დროზე“ წინასწარმეტყველური გამოდგება, მაგრამ შეცდომა უკვე ამ „წინასწარმეტყველებამდე“ იყო დაშვებული.

შეცდომა თვითონ გიორგი მეფისა.

შეცდომა, რომელსაც ერქვა სიკვდილისაგან განტევება მირ-ვეისისა

ხოლო ასეთი შეცდომა, „განვების წესით“, ნიადაგ საბედისწერო უნდა შეიქნეს უწინარეს ყოვლისა იმისთვის, ვინც იგი ჰპირებდა დაუშვა.

გიორგიმ არ იცოდა, რომ (იქნებ, გაჩენის წუთიდანვე) მის ბედისწერას სახელად ერქვა სწორედ — „მირ-ვეის“!

. . . .

მირ-ვეისი რომ „მოიშორა“, გიორგიმ რაღაცნაირად უზრუნველად იგრძნო თავი. თითქოს აღარ იყო „შეჭირვება გულსა მისსა“. ხაფრთხის ალლო და გერში სავსებით მოეშალა. ავლანელთა ყრუ დრტვინვასა და ქლავილს ძაღლის ყეფადაც არ აგდებდა. მარტო ციხიონი ჩაიტოვა ქალაქში, ქართველთა გუნდი მცველად დაიყენა, ხოლო უმეტესი საომარი ძალა — სპარსელთა მხედრობა, სულ დაშალა და დაითხოვა სამსახურიდან.

ბედისწერის ჩარხი კი „მწარედ“ ბრუნავდა.

შაჰის ნაიბი, გინა — მოადგილე

1707 წლის თებერვლის დამდეგს გიორგი მეფემ სეხნია ჩხეიძე ქართლის მოლარეთუხუცესად დანიშნა, საბოძვარით აავსო და საქართველოში გასამგზავრებლად გაამზადა. ძმისთვის — ლევანისთვის ფარჩის ქსოვილებსა და ფულად ათას თუმანს ატანდა გიორგი ერთგულ თანამებრძოლს; ძმისწულის — ვახტანგ „ჯანიშინისთვის“ — ორი ყათარი* აქლემი, დატვირთულნი „მოფენილობით“ (ნოხებით), ფარშით, ოქროს ზარნიშიანი თოფით, მოოქროვილი იარაღით, ძვირფასი ქვებით შემკული საპირისწამლით.

სეხნია ჩხეიძე საქართველოში ჩასვლამდე ისფაჰანს უნდა სწვეოდა და შაჰისთვის ცალკე ძღვენი და მისართმეველი მიერთმია. მაგრამ სწორედ სამგზავრო სამზადისის ჟამს შეიტყვეს, რომ შაჰ სულთან ჰუსეინი, უზარმაზარი ამალითა და მთელის ჰარამხანით, ქალაქ მეშჰედში ჩამოსულა აქაურ „წმიდა ადგილთა“ მოსალოცავად.

ლევან მდივანბეგი და მისი ძე ქაიხოსროც თან ახლავან თურმე შაჰს.

სხვა გზა აღარ იყო, — სეხნია ჩხეიძეს დასავლეთის ნაცვლად ჯერ ჩრდილო-დასავლეთისკენ, მეშჰედისკენ უნდა აეღო გეზი. ასედაც მოხდა. გაზაფხულზე ჩხეიძემ მეშჰედს მიატანა. „ტკბილად“ შეხვდა შაჰი გურგინ-ხანის მოციქულსა და მდიდარ მისართმეველს.

ლევანის, ქაიხოსროს და სეხნიას „აუწერელი“ შეხვედრა ხომ აღარ „აღიწერების...“

იმავე 1707 წლის 9 ივნისს ჩაფარი მოიჭრა ისფაჰანიდან საზარელი და საშფოთარი ამბით: ერანის სატახტოში აჯანყება აფეთქებულა, სა-

* ყათარი — სტრატული — „ჯორით შვიდეული“ (საბა). მაშასადამე, გიორგი მეფეს ვახტანგისთვის გაუგზავნია თოთხმეტი (ორი ყათარი) დატვირთული აქლემი.

შინელი შიმშილი მძვინვარებს, დამშეულ ხალხს შაჰის სასახლის ალაყაფი ქვებით დაუნგრევია და ჩაუქოლია; ყველაზე „თავხედნი“ შაჰის ტახტზე აბას-მირზას აყვანას მოითხოვენ!

ეს სწორედ მეტისმეტი ყოფილა!

აბას-მირზა შაჰ ჰუსეინის ძმა იყო და ციხეში იჯდა. „სპარსული ყაიდის“ მიხედვით, ტახტზე ასული ყოველი შაჰი თავის ძმებს, ბიძებსა და ბიძაშვილებს ან ჟლეტდა, ან თვალებს თხრიდა და ციხეში ჰყრიდა, მაგრამ ჰუსეინი „კეთილი გულის“ კაცი გახლდათ და მან თავისი ძმა — აბას-მირზა არც მოკლა, არც თვალები ამოხადა; მხოლოდ ციხეში ჩასმა აკმარა. ახლა ასე გამოდის — შემცდარა „გულკეთილი შაჰი“!..

ფიქრისა, ჭმუნვისა და ცინგლის დრო აღარ იყო. სასწრაფო ზომები უნდა მიეღო ხელმწიფეს.

მთავარი მაინც ის არის, ქართველები რომ ახლავან უკიდურეს საფრთხეში ჩავარდნილ სპარსელ გვირგვინოსანს. ამიტომ არ უნდა შეშინდეს იგი!

ქაიხოსრო ლევანის ძეს დაადგა თვალი შაჰ ჰუსეინმა.

ქაიხოსრო — „ცოდნის იადგარი“, მამის მაგივრად სახელმწიფოს მდივანბეგობა რომ ისე ქვეყნის „გასაკვირველად“ წარმართა, მამაცი მხედარი, ნიჭიერი მეთაური, „ბრძოლათა შიგან გულს სრულად შემტევებელი, მრავალკეცთა რაზმთა შემაძრწუნებელი და მძებნელი სახელისა და მეომრობისა“, და, რაც მთავარია, — ისფაჰანისთვის ცნობილი, გავლენიანი და „საყვარელი“ ადამიანი.

მაშინვე შაჰ ჰუსეინმა ქაიხოსრო გამოაცხადა თავის ნაიბად (შაჰის მოადგილედ!) და ტარულად, მიანიჭა „განუსაზღვრელი რწმუნებანი“ — სავსებით დამოუკიდებელი სამართლის წარმოებისა და სიკვდილით დასჯის უფლებანი. მისცა ქართველთა გუნდი — მათთან სეხნია ჩხეიძეც — და აფრინა ისფაჰანისკენ.

მეშჰედიდან ისფაჰანამდე ორმოცი დღის სავალი გზაა მარჯვე ცხენოსნისათვის.

ხოლო ქართველებმა თორმეტ დღეში გაიქროლეს თითქმის ათასი კილომეტრი გზა.

ქაიხოსრომ კარგად იცოდა, რომ ხალხის აჯანყების სანთელს შანდლად კუჭი ედგა და სხვა არაფერი.

კუჭი ცარიელია — კაცი ჯანყდება, კუჭი მაძღარია — კაცი წყნარდება.

ქაიხოსრომ ისიც იცოდა, ისფაჰანს რომ პური საკმარისად ჰქონდა, მაგრამ „ვიღაცის ძლიერი ხელი“ დაპატრონებოდა პურის მარაგს.

ეს იყო სახელმწიფოს უმაღლესი მოხელე — პირველი ვეზირი — ეთიმადოვლე („სახელმწიფოს ბურჯი“, გინა „სახელმწიფოს ნდობა“). სწორედ ეს „სახელმწიფოს ბურჯი“ ანგრევდა თურმე სახელმწიფოს. მას ქალაქში შემომავალი მთელი პურის მარაგი თავისად გაეხადა და საგანგებოდ დარჩეული ვაჭარ-აგენტების საშუალებით სისხლის ფასად ჰყიდდა.

დიდი იმედით შეხვდა ხალხი „ცნობილი და სიყვარულმოხვეჭილი“ ქართველი უფლისწულის გამოჩენას სატახტოში. „რა შევიდა ქალაქსა შინა, შეიქნა სიხარული დიდი“.

მისვლისთანავე მიხვდა ქაიხოსრო, საიდანაც მოედინებოდა წყარო ბოროტებისა. მაგრამ სახიფათო ჩანდა ერთბაშად პირველ ვეზირზე იერიშის მიტანა. ამიტომ იგი, თითქოს ეთიმადოვლეს ავკაცობისა არაფერი იცოდა, ისე დაერია მის აგენტებს, ვაჭრებს, გადამყიდველებს. დაერია ნამდვილი „სპარსული ყაიდით“ და ნაქცეურობით: ხალხის წინაშე დამნაშავეს მუცელზე ფატრავდა და შიგნეულს აურევინებდა, ან დუქნის დარაბაზე ყურით აჭედებდა, ან კიდევ, როგორც ხარს თუ ცხენს — შიშველ ფეხისგულებს ნალიათა და ლურსმნით უჭედავდა!

იჭექა და წამოვიდა პური ქალაქში. „თქვენმა მზემა, მეორე დღეს გენახათ ქუჩა-და-ქუჩა ხვარბლით აივსო“. ბეღლები, დუქნები და ბაზრები დაალებინა დღითაც და ღამითაც ქაიხოსრომ. თხუთმეტ ღამეს იყო ღიად ბაზარი. ფეხით დადიოდა ქალაქში ქაიხოსრო, ვინმე ფიგინდარახავით, რათა თავისი თვალით ეხილა ყოველივე — სიმართლე ყიდვა-გაყიდვისა, სისწორე სასწორისა, სიპატიოსნე ალებ-მიცემობისა. დადიოდა და „ხედვიდა“, რათა „არათუ ვინმე დააშაოს რამე“.

„შეიქნა ისფაჰანში სიმშვიდე და იეფობა“.

ერანის სატახტო ქალაქი გაძღა, დამშვიდდა და დაწყნარდა.

ქაიხოსროს სახელზე ლოცულობდა ხალხი.

ფეხებში ეგებოდნენ და „ლოცვიდენ შიმშილის მორჩენისათვის“.

ქაიხოსრომ მეშჰედში ჩაფარი აფრინა და ისფაჰანში სრული წესრიგის აღდგენის ამბავი შაჰს შეატყობინა.

შაჰ სულთან ჰუსეინი მიწაზე ველარ მაგრდებოდა სიხარულით.

ცალკე ათასი თუმანი, ცალკე „შესამოსი მძიმე“ და ცალკე კიდევ „მადრიელობა“ გაამზადა „საოცარი“ ქართველი ბატონიშვილისთვის.

„სიტყვის კონას“ რომ კითხულობდა...

არავინ იცის, ედო თუ არა რაიმე წილი მირ-ვეისს ისფაჰანის არეულობაში, მაგრამ შემდგომ კი საცნაური შეიქნა, „ხაერთოდ“, რა ძლიერად მოქმედებდა ავღანთა ცბიერი ბელადი.

ისფაჰანში მისვლისთანავე დაყნოსა მირვეისმა სასახლის კარის განწყობილებანი და

ეროვნული

უმალვე იგეშა, რომ შაჰის უმაღლეს მოხელეთა შორის გიორგი მეფისადმი უფრო შური, შიში და მტრობა სუფევდა, ვიდრე თანადგომა, პატივისცემა და სიყვარული. მართლაც აშკარად „შურობდნენ ყიზილბაშნი“ ქართველ ხელმწიფეს.

გიორგი მეფის მტრების მოთავესაც მაშინვე მიაგნო მირ-ვეისმა. ეს ყოფილა სასახლის კარის უმაღლესი გამრიგე და ბაზიერთუხუცესი ფ ა თ ჰ-ა ლ ი-ხ ა ნ ი (წარმომავლობით ლეკი), რომელიც შემდგომში ერანის პირველი ვეზირი — ეთიმადოვლე უნდა შეიქნეს.

ესეც არ დაგვავიწყდეს: ავლანელ ბორკილოსანს უკან უამრავი საჩუქარი და ფულად ოცდაათი ათასი თუმანი მოსდევდა.

სხვა რაღა იყო საჭირო? ქრთამი, შური და სიძულვილი ერთ კავშირში — ქართველი მეფის წინააღმდეგ!

ფათჰ-ალი-ხანმა მფარველობაში აიყვანა ქართველი მეფისგან „უსამართლოდ შევიწროებული“ ავლანელი „კეთილშობილი გმირი“, გინა — „თავადი ლომის ბოკვერი“ (მათს სიახლოვეს უეჭველად იმანაც შეუწყო ხელი, ორივენი რომ სუნიტები იყვნენ).

იკრიბებოდნენ ფათჰ-ალი-ხანის სახლში გიორგი მეფის მოშურნენი და მესისხლენი და ბჭობდნენ, როგორ მოეღოთ ბოლო კაცისთვის, რომელიც „ერთნაირად მტრობდა“ ავლანსაც და სპარსელსაც.

ბოლოს გიორგის მტრებმა იმდენი ჰქნეს, რამდენჯერმე შაჰთანაც მოახერხეს მირ-ვეისის შეყვანა. სატახტოში უფრო ფრთხილად და მზაკვრულად ლაპარაკობდა ავლანთა ბელადი. იგი ვითომც გულწრფელი პატივისცემითა და სიყვარულითახსენებდა გიორგი მეფეს, აქებდა მის ღირსებებს, ნიჭსა და სიმამაცეს, მაგრამ ხშირად საუბარს ისე გადაგრეხდა, მსმენელს ბოლოს და ბოლოს უნდა ეფიქრა: ის, ვინც დღეს ერთსა და იმავე დროს მფლობელობს საქართველოს, ქირმანსა და ყანდაჰარს, შაჰის ერთგულ ქვეშევრდომად უფრო ჩაითვლება თუ მის მეტოქედ და მოქიშპედ?! მერე, იმასაც ნურავინ დაივიწყებს, რა თავგამოდებით ებრძოდა საქართველოდან სპარსეთს ჩამოსვლამდე გიორგი მეფე სპარსელთა ჯარებს!..

და შეუჩნდნენ შაჰ სულთან ჰუსეინს — გავათავისუფლოთ და გავუშვათ თავის ქვეყანაში უდანაშაულო და ერთგული მირ-ვეისიო.

შაჰს ყოყმანი შეუდგა. ეს კარგი ნიშანი იყო. მირ-ვეისმა გიორგი ვითომც დაივიწყა და შაჰს სთხოვა, მექაში გამიშვი სალოცავადო. შაჰი დათანხმდა.

წავიდა მექაში მირ-ვეისი. ილოცა ქააბას — „ღვთაებრივ ქვაზე“ და დიდხანს ეთათბირა ისლამიტური სამყაროს უმაღლეს ქურუმს. ეთათბირა და მიიღო ნება და კურთხევა სალვთო ომისა „ურწმუნო ქართველების“ წინააღმდეგ, რომლებიც „ჩაგრავენ ნამდვილ მორწმუნეებს — ყანდაჰარელებს“.

ისფაჰანს დაბრუნდა მირ-ვეისი და წარუდგინა შაჰს მუსლიმანური რელიგიის საჭეომპყრობელის მოწოდება „სალვთო ომისა“ ქართველთა წინააღმდეგ.

ისევ მიეხვივნენ ქართველთა მოძულენი შაჰს — გაუშვი თავის სამშობლოში ეს „ღვთისნიერი კაციო“.

შაჰი მეშჰედში წავიდა და იქაც მისდიეს ხვეწნა-მუდარით, — უბრძანე გურგინ-ხანს, დაიბრუნოს და შეირიგოს ეს ყოვლად უცოდველი მირ-ვეისიო.

ყოველივე ამას ზედ დაერთო კიდევ ერთი „ძლიერი შემთხვევა“, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა მირ-ვეისის ბედიც, გიორგი მეფის იღბალიც და, ასე გასინჯეთ, სპარსეთის მომავალიც.

სპარსეთს ჩამოვიდა რუსეთის ელჩი, სომეხი ხალხის რჩეული შვილი — ი ს რ ა ე ლ ო რ ი, რომელსაც ჩამოსვლისთანავე რაღაც საიდუმლო „მი-მო-სვლა“ გაუმართავს გიორგი მეფესთან.

ეს სავსებით საკმარისი შეიქნა, მირ-ვეისს, ფათჰ-ალი-ხანსა და მათ მომხრეებს მთელს სპარსეთში ხმები დაეგდოთ: ქართველთა მეფე თანაქრისტიან რუსებთან და სომხებთან რაღაც სპარსეთის საწინააღმდეგო კავშირს ჩარხავსო!

„ვის შეუძლია დაიჯეროს ქართველების ერთგულება? — ამბობდა მირ-ვეისი — განა საეჭვოლია, რომ ისინი თავისი ნებით არ ემორჩილებიან სხვა რჯულის ქვეყანას? განა დაგვავიწყდა მათი მრავალგზისი ცდა გადაედგოთ სპარსეთის იმპერიის უღელი ამავე გურგინხანის მეთაურობით, რომელიც ახლა სპარსეთის იმპერიის სამი პროვინციის გუბერნატორია!“

ნურც ის დაგვავიწყდება, გურგინ-ხანის უფროსი ძმა რომ რუსეთშია და იქ პეტრე პირველთან ეძებს დახმარებას; რუსეთის არმიებსაც ხომ შეუძლიათ კავკასია გადმოლახონ, ქართველებს ხელი მისცენ და სპარსეთს ბოლო მოუღონ. „გურგინ-ხანიც ხომ გულით ქრისტიანია!“

უეჭველად ასე მოხდება:

ქართველები და სომხები ერთმანეთს შეეკვრებიან (როგორც ეს ადრეც „სჩვეოდათ“) და რუსეთის დახმარებით სპარსეთისგან თავს დაიხსნიან, და ამ დიდ „საქრისტიანო ბრძოლაში“ მთავარ ძალად „საქართველოს მამაცი მცხოვრებლები“ იქნებიან, ხოლო მთავარ გმირად უეჭველად გიორგი მეფე ეყოლებათ მონიშნული!

(ეს კი სწორედ სიმართლეს ჰგავდა).

უეჭველად გამოვიწვიოთ გურგინ-ხანი ყანდაჰარიდანო, — შეაპარა შაჰს რომელიღაც „მოთათბირემ“.

ეგ არ ივარგებს, გურგინ-ხანი ხმალს იში-

შვილებს და თავისი ქართველებით მონღოლებს და ინდოელებს შეუერთდებაო, — თქვა მეორემ.

ამიტომ ყველაფერს სჯობია, ისევ მირ-ვეისი დავაბრუნოთ თავის სამშობლოშიო, — თქვა მესამემ.

და შევარიგოთ მირ-ვეისი გურგინ-ხანსო, — იქედნური სიცილით დაასკვნა მეოთხემ.

. . . .

ქართველები უაღრესად უდარდელნი და უილაჯონი არიან მსტოვრობასა და ჯაშუშობაში.

. . . .

მეფე გიორგი თალარში იჯდა და სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონას" კითხულობდა თავდავიწყებით.

გიორგი და სულხან-საბა ბიძაშვილ-მამიდაშვილი იყვნენ (გიორგის დედა როდამი სულხან-საბას მამიდა იყო).

სულხან-საბა მაღალი სულის, განათლებისა და მამულიშვილობის მქონე ბატონიშვილთა შორის იზრდებოდა.

გიორგის გამორჩევით უყვარდა გასაოცრად ნიჭიერი და სათნო ბიძაშვილი; მფარველობდა, ზრუნავდა, აქეზებდა.

სწორედ გიორგის დაჟინებული დავალებით შეადგინა სულხან-საბამ „სიტყვის კონა". კიდევაც დაეწერა: „გიორგი მეფემ მიბრძანა ამისი ხელყოფაო".

დაეწერა „სიტყვის კონა" და ძმისთვის — ვახუშტი ყაფლანიშვილისთვის გაეგზავნა ყანდაჰარს (მკითხველს ახსოვს ზემორე ნათქვამი: ვახუშტი ყაფლანიშვილი სათავეში ედგა იმ ათას მეომარს, ლევან ბატონიშვილმა რომ გაუგზავნა გიორგის ქართლიდან). მაგრამ ვახუშტი მოულოდნელად გარდაცვლილიყო და ველარ მიესწრო მისთვის ძმის საჩუქარს.

ახლა გიორგი კითხულობდა „სიტყვის კონას" — საოცარ, პოეტურად დაწერილ ლექსიკონს.

კითხვა დაასრულა.

დიდი, ზეციური სინათლე დასცემოდა სახეზე მეფეს.

არსებით ისევ საქართველოში გადასახლებულიყო.

(ეს მერამდენედ?!).

დაჯდა. საწერანი გაიწყო და შეუდგა წერას:

„ჩემო სანახავად სანატრელო ძმაო, ბატონო სულხან! მრავალი მოკითხვა მომიხსენებია. ლექსიკონი გამოგეგზავნა და ნეტამც იმას მოსწრებოდა, ვისთვისაც გამოგეგზავნა! მე ის მიამებოდა, შენმა მზემა, ასრევ მიამა და გავეწყევ, რომე თათრულს წიგნზედ მივდგარვარ და კადეც ვისწავლე, ლამის ის გამაშობინოს ამისმა კითხვამა. ბევრი შენდობა მითქვამს და კიდევ გეტყვი შენდობასა. დიაღ კარგი წიგნია და კარგადაც გავეწყევ. ახლა ამ წიგნში ზოგი რამ ქართული სიტყვა არის, ვერ შემიტყვია, ვერ შემიტყვია. თუ ამას კაის ხელად დამიწერინებ და გამომიგზავნი, კარგი იქნება. ეს წიგნი არის, შენთვის კიდევ გექნება. ამაზედ გარდმომიწერინე. დიაღ დაგიმადლებ..."

ხელი გაუჩერდა.

მწარე ფიქრებმა ჩაითრიეს გიორგი.

უსაშველოდ მოეძალა „ქართული ნაღველი".

უცებ უფროსი ძმის არჩილის წერილიც გახმიანდა მის გონებაში: „ჩემო ორისავე თვალის სინათლევ და გულის სიმხიარულევ, ჩემო დამტირებელო ბატონო გიორგი და ბატონო ლევან!" — სწერდა რუსეთიდან არჩილი უმცროს ძმებს.

დამტირებელოო?!

ეჰ, ვინ იცის, ვინ ვის დაიტირებს!

. . . .

მეშჰედიდან ფაიქი მოიჭრა და შაჰ ხუსეინისგან გამოგზავნილი ოქროვანი ხალათი და რაყამი მოართვა მეფეს.

რაყამში ეწერა:

„მირ-ვეისი უბრალოდ ვსცანით და შევირიგეთ, ვინძლო ჩვენი გადაწყვეტილება მართებულად მიიჩნიოთ, მირ-ვეისი თქვენც მართლად ჩათვალოთ, შეირიგოთ და თქვენს სამსახურად დაიბრუნოთ!"

?!...

რა გაეწყობოდა!

მიიღო და შეირიგა მირ-ვეისი გიორგი მეფემ.

საშიშარი და საფრთხურიც არაფერი უგრძვნია, რადგან მის წინაშე მუხლებზე დაცემული მირ-ვეისის თვალებიდან უბრალო, მორჩილი და ბედს შერიგებული მონა იმზირებოდა და სხვა არაფერი.

(ისედაც — ქართველი კაცი ხომ ყოვლად უვარგისი და უსუსურია, ვითარცა მსტოვარი და ჯაშუში).

მხოლოდ ის გაუკვირდა მეფეს, შაჰის კარზე მისი სიტყვა რომ გააცუდეს.

DEUS EX MACHINA

ზეცა ჰხედავს ჩემი ხალხის თვალებით,
ზეცა ისმენს ჩემი ხალხის ყურებით.

ფან ვენ-ლან

წელიწადნახევარი გავიდა „შერიგებიდან".

მირ-ვეისი ისეთ ძაღლურ ერთგულებას იჩენდა, გიორგის სავსებით ამორეცხოდა გულიდან მისდამი „ოდინდელი" წყენა და ეჭვი.

ერთი სიტყვით, ლომს მწერის არსებობაც დავიწყნოდა და ლომის მომაკვდინებელი „მწერული შხამიც".

ლევან სანიკიძე
უქარქაშო ხმლები

. . . .

1708 წელს გიორგი მეფემ თავისი ძმისწული, იესე ლევანის ძე ქირმანის სამმართველოდ გაგზავნა და მის ნაცვლად ყანდაჰარს მეორე ძმისწული ჩაიყვანა — ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ლუარსაბის ძე (ხარჭის ნაშობი).

იმავე წელს გიორგიმ იერუსალიმს, გოლგოთისა და ჯვრის მონასტრის „სახსრად“ და შესამკობად, გაგზავნა ორი ათასი თუმანი და „სხვანი მრავალნი შესამკონი“.

დიდი „საბუთი“ უნდა მისცემოდა მირ-ვეისს: გიორგი მეფე ქრისტიანობას არ იშლიდა!

მერე, ოქონის განთქმული ხატი, ჯვარნი და სანაწილენი, — რომლებიც ადრე, საქართველოში ყოფნისას, გიორგის მესხეთიდან გამოქცეულმა ქართველმა ჩამოუტანა — ახლა მეფემ საქართველოშივე გაგზავნა, ვახტანგ ჯანიშინთან.

(თითქოს რაღაც წინათგრძნობა აწუხებდა მეფეს: ამ ქართულ წმინდა ნივთებს მაინც ეღირსოთ ქართულ მიწაზე დაბრუნებაო...).

. . . .

მირ-ვეისმა დიდი, საგანგებო ნადიმი გაუმართა „თავის მეუფეს“.

გიორგიც ეწვია გულდანდობილად „ერთგულ ქვეშევრდომს“.

მაშინ იხილა მეფემ მასპინძლის ასული, ქალი კალმით ნახატი.

„გარდარეულად მოესურვა“ ეს ქალი გიორგის. მოესურვა და სთხოვა დამოყვრება მირ-ვეისს.

დამოყვრებაო?! გიორგი მეფე ასულს ცოლად მთხოვსო?! ლამის ჭკუა დაჰკარგა მირ-ვეისმა „სიხარულით“.

მაგრამ ვაითუ, ცოლად კი არა, ხარჭად უნდა ჩააგდოს თავის ჰარამხანაში მეფემ „ულირსი ყმის“ ქალი?! ამიტომ მცირე დროს ითხოვს მასპინძელი „მოფიქრებისთვის“.

დიახ, მოფიქრებისთვის!

. . . .

პირდაპირ საბედისწეროა ქართველთა „დამახასიათებელი სისუსტე“ — უდარდელობა და უილაჯობა მსტოვრობასა და ჯაშუშობაში.

. . . .

გამთენიისას მირ-ვეისი მოიჭრა სასახლეში და მეფეს აცნობა: ფირინების ტომი აჯანყებულა ჩვენს წინააღმდეგო!

(ქართველთაგან არავინ იცოდა, რომ ფირინები თვითონ მირ-ვეისის ნიშანზე აჯანყებულიყვნენ!).

„ადრეც ვამბობდი, ფირინების საზიზღარი მოდგმა უნდა ამოწყდეს და ამოიძირკვოს-მეთქი“, — ყვიროდა მირ-ვეისი „გულწრფელი“ ლანძღვით და თათხვით.

გიორგი მეფემ მირ-ვეისი „დაამშვიდა“ და ძმისწული ალექსანდრე ლუარსაბის ძე იხმო სასწრაფოდ. ქართველთა ჯარი (სულ ათასი კაცი) ჩააბარა და ფირინთა ბუდეების ახაოხრებლად და დასანგრევად აფრინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი წარჩინებულ ქართველთა მცირე ამალით ქალაქში დარჩა.

უსაზღვრო სიხარულმა აათრთოლა გული მირ-ვეისისა.

. . . .

მირ ვეისს ნადიმი გაუმართავს, საგანგებოდ გიორგი მეფის საპატიოდ, საპატიოდ კი არა, — უფრო საქორწინოდ, ან „წინასაქორწინოდ“, რამეთუ „დარწმუნებულა“ მირ-ვეისი — გიორგის ხარჭად კი არა, ცოლად მიჰყავდა მისი ასული.

თავს ევლებიან ავღანელნი დიდებულ სტუმარს. „ყველაფერი მთართვეს, რისი მირთმევაც კი შეიძლებოდა. ყველა ცდილობდა უოფილიყო პირველი, ქართველი სტუმრისადმი ყოველნაირ სამსახურში... საუცხოო ღვინო განადდა“.

უკვე დიდი სასმურებით მიაწვნენ ღვინოს.

სვამენ ქართველები, მწყურვალედ, დაურიდებლად, უდიერად.

ნადიმი (თუ ქორწილი) შუაღამემდე გრძელდება.

ქალაქიდან სამი ვერსის მანძილზე დგანან ავღანთა ჯარები და მათი ბელადის — მირ-ვეისის ნიშანს ელიან.

ქართველები კი ჯერჯერობით ღვინოში იხრჩობიან.

(ღვინოში, და არა სისხლში — ჯერჯერობით).

ნადიმი აბარბაცდა, აიშალა და გაიყარა.

ღვინით ხელდარეული ქართველები ერთმანეთს შორდებიან და ცალკერძოულად ბრუნდებიან თავიანთ კერძოულ საცხოვრებლებში.

(მათ არ იციან, სამუდამოდ რომ დაშორდნენ ერთურთს)...

მეფე გიორგი მარტოდმარტო შედის სასახლეში...

. . . .

მესამედ იყივლა მამალმა.

ავღანთა რაზმეულები ერთსა და იმავე ჟამს მიადგნენ ძილში ჩაძირულ ქართველთა ცალკერძოულ სადგომებს.

ორმოცდაათ-ორმოცდაათი ავღანი მეომარი თითოეული ქართველის სიცოცხლის ჩასაქრობად!

ასკაციანი რაზმი „უოვლისმპყრობელი ქართველი მეფის“ შესამუსრავად!

. . . .

კარის ზრიალმა და თოფის გრიალმა წამოაგდო ფეხზე გიორგი მეფე.

ძილს გამოეხსნა და აიწვართა პერანგის ამარა.

მშვილდი და კაპარჭი აიტაცა წამწამისად.

რვაჯერ მოასწრო ისრის გასროლა.

რვაჯერვე გაისმა მომაკვდავის ბღავილი დალეწილი კარის ზღურბლზე.

ისრები რომ შემოეხარჯა, ხმალგამართული

ეკვეთა უკვე ხანთიობოში შემოჭრილ მტრებს.

ზედიზედ დასცა სულგავარდნილი, ვისაც მიუხდა და ვინაც მოუხდა.

„თოფებიო!“ — გაისმა ბღავილი მირ-ვეისისა.

სასახლის ჭერი ჩამოაქცია საშინელმა გრიალმა.

იატაკი შეაზანზარა მძიმე დაცემამ.

წამსვე სამარისებური მდუმარება ჩამოწვა.

ალიონის მკრთალმა სხივმა ზლაზვნით გაათრია ნათოფარი წამლის ნისლი კარებმორღვეულ სანთიობოდან.

სისხლით დატბორილ იატაკზე ათი-თორმეტი მკვდარი გამოიკვეთა — ზოგი მკერდში ისარდარჭმული, ზოგიც ხმლით შუა გაჩეხილი.

ცალკე ეგდო ვეება გვამი, ტყვიის ცეცხლით დაცხრილული და დაბალთული.

ეს იყო გიორგი მეთერთმეტე, მეფე ქართველთა.

. . . .

მიეჭრა მირ-ვეისი, დალეწილი მკერდი მოუჩხრიკა და... ქრისტეს ჯვარცმამ იელვა ქართველი მეფის მეწამულ მკერდზე!

იქვე, სარეცლის სასთუმალქვეშ ბიბლია გამოჩნდა — ფსალმუნზე გადაშლილი.

აღტაცებული ღმუილი აღმოხდა მირ-ვეისს.

სხვა საბუთები რაღა საჭირო იყო ქართველი მეფის „ღალატის“ დასამტკიცებლად! შაჰსა და ქვეყანას მაჰმადიანობას ეფიცებოდა, ხოლო სულით და გულით ისევ ქრისტიანად დარჩენილა!

ჯვარი ააგლიჯა მკერდიდან მოკლულს, ბიბლიაც აიტაცა და მალემსრბოლი იხმო.

მიჰქროდა ფაიქი ისფაჰანისკენ და მიჰქონდა ქრისტიანული ნივთები გიორგი მეფისა და წერილი მირ-ვეისისა.

ავღანთა ბელადი ირანის ხელმწიფეს სწერდა:

„აჰა, დახედე და დარწმუნდი, როგორ გაცდუნებდა მეფე ქართველთა!“

. . . .

ქალაქი მირ-ვეისის ჯარებით ავსებულიყო.

დახოცილ ქართველთა გვამები გამოათრიეს და ყანდაჰარის შუაგულ მოედანზე დაჰყარეს.

გიორგის უზარმაზარი ცხედარი ზემოდან დააწვინეს, ხალხის და ჯარის „თვალსასეიროდ“.

მირ-ვეისი ცხენზე აღიმართა, — სიტყვა უნდა ეთქვა ხალხისათვის.

სიჩუმე ჩამოწვა.

მირ-ვეისს მზერა წაართვა მის წინ დარეცილმა ვაჟკაცმა.

დიდხანს დასცქეროდა შეგრძნებული და განლიგებული „ცითმოვლენილ ქართველ გმირს“.

როგორც იქნა, გამოერკვა, გიორგისკენ ხელი გაიშვირა და ხალხს შესძახა:

„აი, ხელმწიფე გურგინ-ხან, იგი უკვე აღარ არსებობს ცოცხალთა შორის; ქართველი კაცი, ერთადერთი სპარსელთა შორის, რომელმაც ღირსეულად დაიმსახურა სახელი ჭეშმარიტი მხედრისა, ხელმწიფისა და ვაჟკაცისა“.

. . . .

იდგა 1709 წლის 21 აპრილი, დიდი ხუთშაბათი.

აღსრულებულიყო გიორგი მეთერთმეტე — უკანასკნელი „დიდი გიორგი“ (გიორგი ჭყონდიდელის, გიორგი მთაწმინდელის, გიორგი მესამის, გიორგი მეოთხე ლაშას, გიორგი მეხუთე ბრწყინვალისა და გიორგი სააკაძის შემდგომ).

ასე დასრულდა მისი სახელით, გამორჩეული „გიორგი-შვიდეული“ საქართველოს ისტორიაში.

აღსრულებულიყო მეფე ქართლისა, „გენერალისიმუსი სპარსეთის ჯარებისა“, ბეგლარბეგი ქირმანისა, ყანდაჰარისა და გირიშკისა — ერთდროულად სამშობლო საქართველოს თავდადებული გმირიც და მისი სამშობლოს მოსისხლე „უცხო თესლთა“ ისტორიის მჭედელიც.

აღსრულებულიყო „მეფე მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და ტანითა („ძლიერი გოლიათებრ“), შვენიერ-ჰაეროვანი, პირმხიარული, ენატკბილი („ასეთი სიტყვა ჰქონდა, მტერნი მოყვრად შეცვალის“), უხვი და მრისხანე, მოისარ-მოასპარეზე უებრო, სამხედროთა საქმეთა სრული და ხელგამომავალი“.

იმდროინდელი აღმოსავლეთის უდიდესი გენერალი და პოლიტიკოსი.

თავისი დროის ქართული ენის დიდი მესიტყვე, ქართული მწიგნობრობის თავკაცი და მეცენატი, თვითონაც მწერლობაში ხელგაწაფული (მისი თხზულება — „თხრობანი სულთა და ხორცთანი ურთიერთას, თქმული საქართველოს მეფის გიორგის მიერ“).

გადაეგო უშვილძიროდ, თვისტომთაგან დაუტირებლად. ქართული ცრემლით დაურწყულებელი შეერთო მისი სხეული უცხოსა და უმადურ მიწას. მისი საჭირისუფლო ზარი იყო მოსისხლეთა ნერვიული ყლავილი, უკანასკნელ ხმალთა წკრიალი და სიკვდილის მაცნე თოფთა გრიალი. მხოლოდ ტანსაცმელი და იარაღი დაიტირეს ორმოცდღიანი დატირებით ქართველებმა ტფილისში — ვახტანგ ქართლის გამგებელმა, სამეფო დარბაზმა, ერმა და ბერმა.

გადაეგო ყველაზე მწარე ტრაგედიით — სამშობლოდაკარგული კაცის ტრაგედიით.

(აკი უცხო სამყაროში ჩადენილ უდიდეს გმირობასაც ადგილობრივი უმადურობისა და უფასურობის მიწა ეყრება უმეტეს წილად!).

უცნაური იყო მისი წუთისოფელი: დიდმა მამულიშვილმა საყვარელ სამშობლოს საკუ-

თარ წიაღში მოღვაწეობისას ვერ მისცა იმდენი მადლი და სიკეთე, რამდენიც უცხოეთში მოღვაწეობით და უცხოელთათვის თავის გაწირვით. ამიტომაც უიღბლო ჩანს მისი გმირობა... განა ვისმეს გაეგებოდა (ან გაეგება?!), რომ მისი უებრო სიქველე და თავგანწირვა უმადურ „უცხო თესლთათვის" უცხო მხარეში, მაინც დიდ მადლად გამოადგა მის ღვიძლ სამშობლო საქართველოს?! სწორედ მისმა დიდმა და ვრცელმა „მაგნიტურმა არემ" გაითრია და „ჩაითრია" საქართველოს მოსისხლე სპარსეთის ხარბი თვალ-ყური აღმოსავლეთ ერანსა და ავღანისტანს, ხოლო მასვე ჟამს გიორგის ძმისწულმა, დიდმა მამულიშვილმა ვახტანგ მეექვსემ დრო დაიხელთა და მისი დიდი ბიძისგან „გათრეული" ერანის ზურგს უკან მშობლიური ქართლი მკვდრეთით აღადგინა, ააღორძინა და ააყვავა.

განა ყოველივე ეს გიორგი მეთერთმეტის „უიღბლო გმირობის" მადლი არ იყო?!

განა მისი „უიღბლობა" მისივე სამშობლოს ფეხბედნიერ „იღბლად" არ მოევლინა?!

დაიბადა 1651 წელს, იმეფა 18 წელიწადი, აღესრულა 51 წლისა.

საქართველოდან შორს, უცხო ცის ქვეშ, ცხელ უდაბნოში განზავდა ქართული მიწისა და წყლის მონატრული მხურვალე გული.

„ასეთებთან ბრძოლა არ ძალგვიძს"

ჩემო მკითხველო, გიორგი მეფემ რომ აჯანყებული ფილირების წინააღმდეგ ალექსანდრე ლუარსაბის ძის მეთაურობით ქართველთა ათასეული გაგზავნა, — იქ დიდი ბრძოლა მოხდა. ქართველებმა აჯანყებულები მძიმედ დაამარცხეს, ხელახლა დახარკეს, ნადავლი აიღეს და გამობრუნდნენ.

გიორგი მეფესთან მოიჩქაროდნენ, მის „საამებლად" და „სალხენად".

მირ-ვეისიც მზად იყო ქართველ ათასეულთან შესახვედრად.

სამი დღე გასულიყო გიორგი მეფის მზაკვრული სიკვდილიდან.

ხოლო ქართველებმა ჯერ არაფერი იცოდნენ, ისე ლაღად და გულდანდობილად მოაჭენებდნენ ცხენებს.

ყანდაჰარის უმაღლესი ციხე-გოდოლიდან ავღანმა გუშაგებმა შენიშნეს ქალაქისკენ მომქროლავი ქართველი მხედრები და მაშინვე მირ-ვეისს აცნობეს.

დატრიალდა მირ-ვეისი. მისი ბრძანებით, ქართველთა გუნდს ზარბაზნები დაუმიზნეს, სათოფე მანძილზე მოუშვეს და მიბრჯნილი ცეცხლი გაუხსნეს.

ხელი მოეცარათ ავღან მეზარბაზნეებს.

ქართველებმა ცხენები [illegible] და უკუიქცნენ.

უმალვე მიხვდნენ, რომ ყანდაჰარში მათი ბატონობა „რაღაცის გამო" დამხობილი იყო.

სად იყო და სად არა, სამი თუ ოთხი სპარსელი გამოჩნდა, ქართველებთან მიცვივდნენ და გიორგი მეფის სიკვდილის გარემოებანი დაწვრილებით შეატყობინეს.

უსაზღვრო წუხილმა, ბოღმამ და შურისგების ცეცხლმა აღავსო ქართველთა გულები.

ალექსანდრე ბატონიშვილმა იცოდა, რომ მარტო წუხილითა და ბოღმით ათასი კაცი (თუნდაც ათასი ქართველი), ავღანთა ჯარებითა და ზარბაზნებით გატენილ ყანდაჰარს ვერ აიღებდა. ამიტომ გადაწყვიტა, გირიშკისკენ დაეძრა და იქაურ ციხე-სიმაგრეში გამაგრებულიყო.

მეგზურობა სპარსელებმა აღუთქვეს.

მაგრამ არ დააცალათ მირ-ვეისმა.

იგი ერთბაშად გამოიჭრა ქალაქიდან ხუთი ათასი მეომრით.

ქართველებმაც ნადავლი შორს მოისროლეს და ხმლები იშიშვლეს.

მაშ, ხუთი ათასი ავღანელი და ათასი ქართველი!

რა გაეწყობა, — აკი ყოველთვის ასეთი „სწორ-სწორობით" გადიან ბრძოლაში საქართველოს შვილები!

უმძაფრესი ხმალთაკვეთებით დაეძგერნენ ერთმანეთს.

ლესურად ჩასთიბეს ქართველებმა მეწინავე ავღანელნი.

უკუიქცა მირ-ვეისი.

ალექსანდრემ ერთხანს სდია გაქცეულებს, მერე შემობრუნდა და გირიშკისკენ განაგრძო გზა.

იმ დღეს ერთხელ კიდევ დაეცა თავზე მირ-ვეისის ჯარი ქართველებს. ისევ უკუაქციეს ქართველებმა მტერი. ისევ განაგრძეს გზა გირიშკისკენ.

დღე მიიყარა.

უკუნმა ღამემ შთანთქა ქვეყანა.

თითქოს მხარი აეშალათ წყვდიადში ჩაძირულებს.

უტყუვრად გირიშკისკენ მივდივართო, — ირწმუნებოდნენ მეგზურნი.

ნაშუაღამევს დაღლილ-დაქანცული და უნაგირებზე ჩაძინებული ჯარი რომელიღაც ციხე-სიმაგრის კედელს მიადგა.

ეს გირიშკი არისო, — თქვეს მეგზურებმა და კედელში დატანებულ კარს მიაწვნენ.

კარი თითქოს სტუმრებს ელოდა — მაშინვე გაიღო.

ქართველები შევიდნენ დანდობილად და ანგარიშმიუცემლად.

შევიდნენ და მიხვდნენ, რომ სადღაც მდიდრულ, ხეხილოვან წალკოტში აღმოჩნდნენ.

ალექსანდრემ მეგზურები იხმო, — უნდა ეკითხა, ეს სად მოვედითო.

მეგზურები არ ჩანდნენ. ეძიეს, მაგრამ ვერ მოიძიეს.

კარებს დაეძგერნენ და კარები უკვე დაკეტილი დახვდათ.

კედლებს მიღმა საომარი საჭურვლის ჩხარი გაისმა.

რიჟრაჟიც ჩამოდგა და უმალვე ყოველივე საცნაური შეიქნა: მოღალატე მეგზურებს ქართველები ღამეული გზებით, გირიშკის ნაცვლად, ისევ ყანდაჰარს მოუყვანიათ და ქალაქში უცნობი, კუტი კარით შეუტყუებიათ.

წალკოტის გარშემო ქვის მაღალი კედლები იყო. კედლებს გარშემო ავღანთა ჯარი გამწკრივებულა, საომრად ჩასილალებული.

მირ-ვეისმა შუამავალი შემოუგზავნა ალექსანდრეს: იარაღი ჩაგვაბარეთ, მაჰმადიანობა მიიღეთ და, ვინათგან თქვენს ვაჟკაცობას პატივს ვცემთ, ნებას მოგცემთ, აქვე, ყანდაჰარს დასახლდეთ და „დაშენდეთო“.

ქართველებმა ცივი უარი შეუთვალეს.

ავღანები არ ეშვებოდნენ.

საელჩო ჭიდილს ღამემ მოუსწრო. მირ-ვეისმა ქართველებს „მოფიქრებისთვის“ მეორე დღემდე აცალა.

მაგრამ ქართველებმა აღარ „აცალეს“: შუაღამისას კედელი გაარღვიეს, ავღანთა საალყო სალტე ხმლებით გასჩეხეს და წყვდიადში გაუჩინარდნენ.

ცისკარმა წვერი ჰკრა და წამოეწივნენ ავღანელნი გაქცეულებს.

შემოუბრუნდნენ ქართველები.

შეიბნენ.

უკუიქცნენ მდევრები.

ისევ გაქუსლეს გირიშკისკენ ქართველებმა.

კვლავ „მრავალგზის მოეწია სპანი მირ-ვეისხანი“, მაგრამ ყოველთვის პირველ შემოქცევისთანავე დაიფრენდნენ ქართველები.

ყანდაჰარის წყალი გადალახეს ქართველებმა და ერთბაშად მოპირდაპირე ნაპირზე უზარმაზარი მხედრობა ამოიმართა — თხუთმეტი ათასი ავღანი!

სხვა რაღა გზა იყო და თავდავიწყებით დაეძგერნენ ქართველები.

ლეკურად ჩაუყვნენ და ჩასთიბეს წინა მწკრივები.

ისევ დაუდედლა გული „ქართულმა ღვთისრისხვამ“ ავღან მეომრებს. ისევ შებრუნდნენ და გაიქცნენ. სდიეს და მუსრეს ქართველებმა ცხვრის ფარად ქცეული „მხედრობანი“.

რვა დღე-ღამე გაგრძელდა ბრძოლანი, მეტევანი და უკუქცევანი, ყანდაჰარიდან გირიშკისკენ მიმავალ გზებზე. თორმეტჯერ დაამარცხეს და გააქციეს ქართველებმა მირ-ვეისი. რამდენიმე ათასეული მეომარი გაუწყვიტეს და გაუხეიბრეს.

უკანასკნელად გირიშკის წყალთან სცადეს კიდევ ერთი იერიში ავღანელებმა.

ქართველებმა ცხენდაცხენ გადალახეს მდინარე და უვნებლად გააღწიეს მეორე ნაპირს.

მხოლოდ ერთ უცხენოდ დარჩენილსა და ჭრილობით დასუსტებულ ქართველ მეომარს მოუსწრეს მეწინავე ავღანელებმა.

ასეთ რაიმეს არავინ ელოდა და, — ელვასავით მოიქნია ხმალი ქართველმა, წინარე ავღანს უჭირა და აბჯრიანად შუაგაპობილი ძირს დაანარცხა, წამსვე მის ცხენს მოახტა და მდინარეში გადაეშვა.

სახტად დარჩენილ ავღანელებს მანამ განძრევაც არ გახსენებიათ, სანამ ქართველმა მეორე მხარეს არ გააღწია და თავისიანებს არ შეუერთდა.

ამ საოცარი ამბის დამსწრე მეომრებმა მოკლულ ამხანაგს ქართული ხმლით შუაგაჩეხილი ჯავშანი გახადეს, მირ-ვეისს წინ დაუდეს, გაღმა გასული ქართველებისკენ ხელი გაიშვირეს და დაურიდებლად უთხრეს:

„ისეთებთან ბრძოლა, როგორიც ქართველები არიან, არც ჩვენ ძალგვიძს, არც სხვა ვინმე ადამიანთა მოდგმას!“

ხმა არ ამოუღია გიორგი მეფის ჯალათს.

. . . .

ქართველები გირიშკის ციხეში შევიდნენ და შეიკეტნენ.

აქედან ალექსანდრე ბატონიშვილმა ყოველივე დაწვრილებით შეატყობინა შაჰ სულთან ჰუსეინს.

ხოლო, სანამ ალექსანდრეს შიკრიკი შაჰთან მიაღწევდა, შაჰი საპასუხოდ რაიმეს მოისაზრებდა და მოიზრახავდა, მანამ „დაუცხრომელმა მანქანამან მირ-ვეისმან“ ცამეტი ათასი მეომარი მიაყენა გირიშკს, ალყაში ქართველთა მოსაქცევად.

მაგრამ მტრის ალყად გამართვას დაასწრო ალექსანდრე ბატონიშვილმა. განთენიაზე ჯარი გამოიყვანა და შევარდენივით დაეცა დამენათევ ავღანთა ლაშქარს.

ისევ აიწყვიტეს და აწყვიტეს ქართველებმა მარადჟამს დაბრიყვებული მტერი. უამრავი ავღანი შეაკვდა ქართულ ხმლებს. მირ-ვეისის მხედრობის მცირე ნაფლეთებმა გაასწრეს სიკვდილის წრეწირს.

სულ გამხეცდნენ ქართველები.

დახოცილ ავღანელთ თავები დაჰკვეთეს და კოშკები ააგეს!

უთავოდ დაგდებული გვამები გაატყავეს და ტყავები ბეჟან რატიშვილის ხელით ერანის შაჰს გაუგზავნეს „უცხო ფეშქაშად“.

უქართველებოდ არ ძალუძთ

გიორგი მეფის სიკვდილმა და მირ-ვეისის უეცარმა აღზევებამ თავზარი დასცა ს[illegible]

გიორგი მეფის მოძულე და მოქიშპე ერანის ლაჟეთავიან მესვეურებს.

ახლა მიხვდნენ, რომ მირ-ვეისი უფრო ერანის „ბედისწერა“ ყოფილა, ვიდრე „სანატრელი“ ქართველი მეფისა.

მეტი საშველი მაინც აღარ იყო, ან ლაჟე ტვინის ჭკუეტა რა შედეგს მოიტანდა! ომს თავიდან ვერ აიცდენდნენ და გადაწყვიტეს ამ „ერთხელ მაინც“ ეცადათ „უქართველობოდ“ ომის გამართვა მოსისხლე მტერთან.

შაჰ სულთან ჰუსეინმა აჯანყებული ყანდაჰარის წინააღმდეგ ჰერათის ხანი გაგზავნა თხუთმეტი ათასი ცხენოსანი ყიზილბაშით.

„მე ქართველებთან ომი მიჭირს, თორემ ყიზილბაშები ჩემი ცხვრები არიანო“, — გაეცინა მირ-ვეისს და ისევ ხუთი ათასი ავღანელი იკმარა თხუთმეტი ათასი სპარსელის წინააღმდეგ.

იკმარა და გამოუხტა ყანდაჰართან მოახლოებულ მტერს.

სპარსელები პირველი დატაკებისთანავე დაფრთხნენ და დაიფანტნენ. ავღანელები დაერივნენ და თითქმის ერთიან ამოსწყვიტეს უთავბოლოდ გაქცეულთა ნაფლეთები.

ასე სამარცხვინოდ გასრულდა „უქართველობოდ“ ბრძოლა სპარსელებისა.

მაშ, ისევ საჭირო იყო ქართველი სპასალარი და ტრადიციული „წინამბრძოლობა ქართველთა“.

ანუ საჭირო იყო შემცვლელი მზაკვრულად მოკლული გიორგი მეფისა — „ვალი“ ქართლისა, ბეგლარბეგი ქირმანისა, ყანდაჰარისა, გირიშკისა და სხვათა და სხვათა.

გიორგის „მაგივრობა“ ყველაზე მეტად ალბათ მის ძმას ლევანს დაშვენდებოდა, მაგრამ ლევანი უკვე ცოცხალთა შორის აღარ იყო, — იგი მოულოდნელად გარდაიცვალა, გიორგის სიკვდილიდან ორმოცის თავზე.

გიორგისა და ლევანის შემდგომ სპარსელებს ლევანის უფროსი ძე — ქაიხოსრო ჰყავდათ თვალში აყვანილი. არც ტყუვდებოდნენ ერანის გონებასუსტი მესვეურები: ქაიხოსრო ნიჭით, სიმამაცითა და სივაჟკაცით დიახაც ღირსეული მემკვიდრე იყო სახელოვანი ბიძისა და მამისა.

და შაჰ სულთან ჰუსეინმა ქაიხოსროს ჩააბარა: მეფობა ქართლისა („გურჯისტანის ვალი“), მთავარსარდლობა ერანისა და ბეგლარბეგობა თავრიზისა და ბარდისა.

ხოლო დანარჩენი „სახელოები“ შაჰმა ასე გაანაწილა: ქართლის ჯანიშინობა, ანუ ქაიხოსროს მოადგილეობა დაუტოვა ისევ მის ძმას — ვახტანგს, ქირმანის ბეგლარბეგობა მისცა მესამე ძმას — იესეს და ისფაჰანის ტარუღობა — მეოთხე ძმას როსტომს (ლევანისა და ხორეშის ნაშობს).

ამნაირად — ყველა „სპარსულ-ქართული სახელო“ ძმებმა ბაგრატიონ-მუხრანბატონებმა გაინაწილეს.

ამნაირადვე — რაკი ქართველები „თავის ადგილზე“ დგანან, სპარსელებს საიმედოდ სანაღვლებლად რაღა დარჩენიათ!

. . . .

ქართლის ახალმა მეფემ, ქაიხოსრომ (1709-1711 წწ.), თავის მოადგილეს — ვახტანგს ჯარი მოსთხოვა ერანს გასაგზავნად. ვახტანგ „ჯანიშინმაც“ შეჰყარა ათას ხუთასი ქართლელი მეომარი, უსარდლა პ ა პ უ ნ ა მ უ ხ რ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი და გაუგზავნა ძმას ერანში.

1710 წელს ქაიხოსრო ყანდაჰარისკენ გაემართა.

ოცდაათ ათას ერანელს წინ მთავარ, „უტყუარ საიმედო ძალად“, ათას ორასი ქართველი მიუძღოდა.

ქირმანელთა ჯარს ქირმანის ბეგლარბეგი იესე ბატონიშვილი სარდლობდა, ქაიხოსროს ნახევარძმა, სპარსელთაგან ალი-ყული-ხანად წოდებული.

ყანდაჰარისკენ მოლაშქრეებს შეუერთდა გირიშკში მდგარი, ავღანელებთან სახელოვნად ომგადანახადი ქართველთა ათასეული, ალექსანდრე ლუარსაბის ძის (ქაიხოსროს ბიძაშვილი) მეთაურობით.

ყანდაჰარის ახლოს, ზებილის გადასასვლელზე, შემოეგება მირ-ვეისი ავღანთა უზარმაზარი მხედრობით ქაიხოსროს და მის ჯარს.

ბრძოლა ისევ ქართველებმა გახსნეს.

შუაგულს თვითონ მთავარსარდალი ქაიხოსრო მიუძღოდა, მარჯვენა კერძს — იესე, მარცხენას — ალექსანდრე.

პირველ დატაკებისთანავე გაექცნენ ავღანელნი ქართველთა შეტევას.

გამოედევნენ ქართველები.

მიჰყვნენ სპარსელები.

გაქცეულთა შორის ალექსანდრე ბატონიშვილმა მირ-ვეისი შეიცნო და გამოენთო თავდავიწყებით.

გაქცეულმა კლდოვან ციხეში შეასწრო და გაუჩინარდა.

ალექსანდრეც მიჰყვა, მაგრამ სპარსელები მიცვივდნენ და აღარ გაუშვეს: მირ-ვეისი „მანქანი“ არისო, გვატყუებს, მირ-ვეისის სახით მოგვევლინაო, თორემ ნამდვილი მირ-ვეისი სადღაც, სხვა მხრიდან გვიმზადებს თავდასხმასო; ამიტომ არ გაბრიყვდე და არ შეჰყვე იმ „მოჩვენებას“ სამალავში, თორემ შენც დაიღუპები და ჩვენც დაგვღუპავო!

ალექსანდრეს არ სჯეროდა ყიზილბაშთა ზღაპრისა, მაგრამ ქაიხოსრომ მაინც ხელი აალებინა „მანქანიერი მოჩვენების“ დევნაზე. მთავარსარდალმა საჭიროდ აღარ ჩათვალა ასეთი „რისკი“, რადგან მას იმდღევანდელ ბრძოლაში გამარჯვების კვერთხი უკვე ხელთ ეპყრა.

დღე მიიდრიკა. დაღამდა.

ტყვეობას გადარჩენილმა მირ-ვეისმა ყანდაჰარის კედლებში შეაღწია.

ქაიხოსრომ ჯარები ალყად შემოარტყა ყანდაჰარს.

მირ-ვეისის ძმამ, იერ-მაჰმადმა, მოალყე მტრის სპარსული ნაწილები დაიგულა, შუაღამისას ქალაქიდან გამოიჭრა და თავს დაესხა უკიდურესი თავზეხელაღებულობით.

სპარსელები მოიერიშე მტერს ძაბუნად შეხვდნენ და ბრძოლას გაექცნენ, უგზოუკვლოდ და უკანმოუხედავად.

სამრად წამოჰყარა ქაიხოსრომ ქართველები, შუაში ჩაუხტნენ გაქცეულ სპარსელებსა და გამოდევნებულ ავღანელებს.

ქართველები მოვიდნენო?!

უკუქცევის ნაღარა დასცა იერ-მაჰმადმა. ავღანელებმა ქართველებს ზურგი აჩვენეს, ისევ ქალაქის კედლებში შეცვივდნენ და შეიკეტნენ.

ის ღამე რომ მიიყარა და დილა შემობრძანდა, ქაიხოსრომ ქართველთა ჯარი აიყოლია და ყანდაჰარის კედლებს მიადგა. იმედი ჰქონდა, რომ მირ-ვეისი კარს მომდგარი მტრის ხილვისას თავს ვერ შეიკავებდა და გარეთ გამოიჭრებოდა, გაშლილ ველზე სამრად.

მაგრამ ქალაქი სდუმდა. შიგნიდან ჭაჭანება არ ისმოდა. ქართველებმა, მთავარსარდლის ბრძანებით, ქალაქის კედლების გასწვრივ ცხენები დაათოხეს, მათრახების ტკაცატკუცი და ყიჟინა ასტეხეს, მაგრამ ისევ ყოველივე ამაო გამოდგა. მტერი სავამოწვევო ანკესს არ წამოეგო და სიმაგრის გარეთ არ „გამოტყუვდა“.

გასაგები იყო: ავღანთა ბელადი ქართველებთან პირისპირ შეტაკებას უფრთხოდა და გაურბოდა.

„გაწბილებული“ შემობრუნდა მთავარსარდალი მთავარ ბანაკში.

მცირე ხანი დაითმინა და მერე შარბაშარის სულთანს უბრძანა, ახლა შენ გადი შენის ჯარითო.

გავიდა ყიზილბაში სარდალი ყიზილბაშთა მხედრობით, და როგორც კი ყანდაჰარის კედლებს მიუახლოვდა, მაშინვე გამოიჭრა კარიბჭიდან მირ-ვეისი ავღანთა ჯარებით.

გამოიჭრნენ ავღანნი და საშინელი ღრიალით მიესივნენ სპარსელებს — „თავის ლუკმა ცხვრებს“.

მართლაც, ცხვრის ფარასავით გამოექცნენ ყიზილბაშნი ავღანელთ. მორბოდნენ და ეჩეხვინებოდნენ ხელშეუბრუნებლად.

უბრძანა ქაიხოსრომ იესეს და ალექსანდრეს — გადით და ჩასჭერით ბრძოლაო.

ხმალი იწვადა ორივე ბატონიშვილმა და ცხენები ისხლიტეს ქართველებმა.

ისევ შუა ჩაუხტნენ ქართველები მდევრებს და დევნილებს.

წამით შედგა და შედედდა ავღანთა ლაშქარი.

მაგრამ უკვე აღარც ქართველთა დარიდებას აპირებდა ბრძოლის ცეცხლით შეპყრობილი მირ-ვეისი.

„ნამდვილი ომი“ გაჩაღდა.

ერთხანს „შენივთებულად“ და „შედედებულად“ სჩეხდნენ ერთმანეთს.

მაინც დაიკალთავეს და ისევ ლესურად ჩაჭკაფეს ქართველებმა ავღანთა მეწინავენი.

ალექსანდრე ბატონიშვილმა მირ-ვეისის ძმას იერ-მაჰმადს გულში შუბი აძგერა და სულგავარდნილი მოსწყვიტა უნაგირს.

რომელიღაც ქართველმა ხმლით შუა გააპო იერ-მაჰმადის ვაჟი.

იკადრა გაქცევა მირ-ვეისმა.

მიჰყვნენ ქართველები.

ბოლოს „აოტნე! მირ-ვეიზი და მოსრნეს სიმრავლითა, რამეთუ კართა ზედა ციხისათა მოსჭრიდიან თავთა“.

ისევ შეასწრო მირ-ვეისმა გალავანს შიგნით.

ქართველები „შემოიქცნენ გამარჯვებულნი“, ავღანთა წარკვეთილი თავებით დატვირთულნი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები ბამზე

ფოტორეპორტაჟი სპარტაკ ჯანიაშვილისა



ის ურჩევნია მამასა, შვილიც აჯობდეს მამასა!

მამა-შვილი კიშა და გოგიტა ნადირაძეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ქართველი დაიბადება, ყველგან საქართველოა!

„С корабля на БАМ“ —

ასე ხუმრობენ ნია გრუზინსკაიას მკვიდრნი პირველ ქართველ ბიჭუნაზე, რომელიც ბამზე დაიბადა.

დედა-შვილი ლენა და ოთარ ბარაბაძეები

ბანი გვითხარ, ბამელებო!

ქართველი მომღერლები ბამელებთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაო, დითა ხარ ძლიერი!

გამელი მოსწავლეები, დები ხათუნა და ქეთინო გელიტაშვილები

გამელების „წუთშესვენება“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკვევი

ჰენრი კობიძე

კავკასიონი გულს იხსნის

თბილისიდან ქუთაისის წამოსულებმა ბალიათაში შევისვენეთ.

ბალიათა ერთ-ერთი ულამაზესი საავარაკო ადგილია დიდი ლიახვის ხეობაში. აქაურობა მინერალური წყლებით არის განთქმული და ზაფხულობით უამრავი დამსვენებელი ჩამოდის. ოღონდ ერთია — აქ სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ბაზა არ არის და ჩამოსულები კარვებში ცხოვრობენ. ბალიათაში მინერალური წყლის ჩამომსხმელი ერთი პატარა ქარხანა მოქმედებს და რამდენიმე ადგილობრივი მაცხოვრებელი სახლობს.

...ისე, რა სჯობს აქაურობას — ფერდობებს შეფენილი წიწვოვან-ფოთლოვანი ტყეები, ანკარა წყაროები, მთის ჰაერი, ქვევით მოჩხრიალე ლიახვი და განთქმული ბალიათას მინერალური წყალი.

...საგზალი ამოვალაგეთ, სახელდახელოდ გავშალეთ სუფრა და ის იყო საუზმეს უნდა შევდგომოდით, რომ მთის ციცაბო ბილიკზე ჩამომავალი ყმაწვილი ქალი შევნიშნეთ. გაგვიკვირდა — საიდან მოდის, ნუთუ აქაურია?

— აქვე, ზემოთ, სოფელია, — აგვიხსნა ჩვენმა თანამგზავრმა, უფრო სწორად მასპინძელმა, № 13 საგვირაბო რაზმის მთავარმა ენერგეტიკოსმა, ანზორ ტყეშელაშვილმა, — სოფელიო, ვამბობ, თორემ ორიოდე ოჯახიღა თუ იქნება, დანარჩენები ბარში ჩამოსახლდნენ. ეს გოგონა, ალბათ, ჯავაში მიდის...

ვიცოდით აქაურთა ჩვეულება — მთიელი ქალი უცხოებს არ დაეწვეოდა, მაგრამ მაინც მივიპატიჟეთ. გოგონამ ღიმილით გადაგვიხადა მადლობა და თავისი გზით გასწია.

ნასოფლარები და თითქმის გაუკაცრიელებული სოფლები ბევრია ლიახვის ხეობაში. უგზოობამ აიძულა აქაურები მიეტოვებინათ სამკვიდრო და სხვაგან, უფრო მოხერხებულ ადგილებში დასახლებულიყვნენ. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. აქ ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებული სოფელი ვანელია; ვანელი შედარებით ახლოს მდებარეობს რაიონულ ცენტრთან, მაგრამ მაინც უჭირთ აქაურებს, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, როდესაც ზოგჯერ ორი-სამი მეტრის სიმაღლის თოვლი დაეფინება გზას.

ზამთარ-ზაფხულ მომაჯადოებელია მდინარე დიდი ლიახვის ხეობა. მწვანედ ახავერდებული თვალშეუდგამი მთები, ფოთლოვან-წიწვოვანი მცენარეების უსიერი ტყეები, ალპური და სუბალპური იალაღები, ჩქერალებიანი ჭიუხები... ყველა ხეობიდან შაბიამნისფერი მდინარეები და ნაკადულები მოჩუხჩუხებენ და დედა ლიახვს ერთვის...

დიახ, თვალწარმტაცია დიდი ლიახვის ხეობა და ეს ბუნებრივი რესურსებით მდიდარი მხარე ხალხის კეთილდღეობას უნდა დაუქვემდებარდეს. აქ საუკეთესო პირობებია სამთო მეცხოველეობის განვითარებისათვის, მშრომელთა დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი კერების, პიონერული ბანაკების, ტურისტული ბაზების მოსაწყობად. და, რაც მთავარია, ნასოფლარები ისევ სოფლებად უნდა იქცნენ...

ახლა ყველასათვის ნათელია, თუ რაოდენ არასასურველი შედეგი გამოიღო მთის სოფლების აყრამ და ბარში ჩამოსახლებამ. მაგრამ დღეს ამაზე დავა და მტყუან-მართალის ძებნა ვერაფერში წაგვადგება. სათქმელი ითქვა, გასაკიცხი გავკიცხეთ და ახლა იმას უნდა ვსდიოთ, თუ რა კეთდება მთის საკეთილდღეოდ, როგორია მისი ხვალინდელი დღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა, გზა, გზა! — ადამიანთა მთავარი საზრუნავი ეს ხასიცოცხლო პრობლემა საუკუნეების განმავლობაში იდგა დღის წესრიგში და ამჟამად — მით უმეტეს.

...მძლავრი მექანიზმები შებმიან კლდოვან ქანებს, იგება ხიდები, კოლექტორები, მშენებლები წინ მიიწევენ. 36 კილომეტრზე უნდა გაიყვანონ გზა ჯავიდან კავკასიონის მთავარ ქედამდე. შემდეგ ამ ქედის ერთ-ერთი მთაგრეხილი უნდა გაიბურღოს და ჩრდილოეთისაკენ გაგრძელდეს ტრასის გაყვანა.

დიახ, ამ რამდენიმე წლის წინ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გადაწყდა ხამოცკილომეტრიანი ავტოსაგზაო მაგისტრალის გაყვანა ჯავიდან ალაგირის მიდამოებამდე (სოფელ ბურონამდე). ეს გზა უმოკლესი მანძილით დააკავშირებს ჩვენს რესპუბლიკას ჩრდილოეთ ოსეთთან და რუსეთის ქალაქებთან.

დიდძალი სამუშაოები შეუსრულებია „სევკავდორსტროის" სამხრეთ უბანს (უფროსი ლევან ქორთიევი), თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი.

მთავარი მაინც გვირაბია, პირველი გვირაბი კავკასიონის ქედზე, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მისი სიგრძე 3,6 კილომეტრი იქნება.

ამ გვირაბის მშენებლებთან პირველად როდი მივდივართ, აქ ბევრჯერ ვყოფილვართ. მოწმე ვართ იმისა, თუ რა გაჭირვებით ეზიდებოდნენ გვირაბმშენებლები ცხინვალიდან სოფელ ზემო როკამდე საჭირო მექანიზმებს, მოწყობილობებს, სამშენებლო მასალებს. ამ მიმართულებით პიონერული გზის გაყვანა თვით გვირაბმშენებლებს მოუხდათ...

მოდი, თავიდან მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

გადაწყდა აღნიშნული გზის გაყვანა და მისი ტექნიკური პროექტი ერთობლივად შეიმუშავეს „ლენგიპროტრანსის", „სოიუზდორპროექტის", „ლენმეტროპროექტის" და „ენერგოსეტპროექტის" ინსტიტუტების კოლექტივებმა, ხოლო მუშა-ნახაზები კავკასიის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა „კავგიპროტრანსმა" შეადგინა.

საულელტეხილო გზის ერთი მონაკვეთი კი, როგორც აღვნიშნეთ, გვირაბს წარმოადგენს. სწორედ ამ გვირაბის მშენებლობა დაევალა თბილგვირაბმშენის სამმართველოს კოლექტივს.

ლენინის ორდენოსანი თბილგვირაბმშენის კოლექტივი (სამმართველოს უფროსი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვიქტორ გოცირიძე) ჩვენი დედაქალაქის მეტროპოლიტენის გარდა სახალხო მეურნეობისათვის მეტად საჭირო მრავალ ობიექტს აგებდა და აგებს თბილისში თუ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. საავტომობილო გვირაბის აგება მეტრომშენებლობისათვის ახალი ხილი როდი იყო. მათ მიერ გაყვანილ ასეთ გვირაბებს ნახავთ ბზიფ-რიწის გზაზე, დარიალის ხეობაში, რიკოთის გადასასვლელთან, თბილისში (მეტეხის ავტოსაგზაო მაგისტრალი) და ასე შემდეგ. მაგრამ როკის გვირაბი ერთობ მიუდგომელ ადგილას მდებარეობს. ამიტომ საჭირო გახდა ახალი სამშენებლო ორგანიზაციის შექმნა და ცხინვალში ჩამოყალიბდა № 13 საგვირაბო რაზმი, რომელსაც გვირაბმშენებლობაში გამოცდილი ინჟინერი გივი ყიფიანი ჩაუდგა სათავეში. 25 წელია გ. ყიფიანი თბილგვირაბმშენში საქმიანობს და მიწისქვეშა მაგისტრალების გაყვანის საქმეს ხელმძღვანელობს. მან მხარში ამოიყენა ამავე კოლექტივში აღზრდილი კადრები, მცოდნე სპეციალისტები და 1975 წლის ზაფხულიდან საქმეს შეუდგნენ.

ყველაფერი თავიდან იყო გასაკეთებელი. პირველ რიგში ცხინვალში საყრდენი ბაზის მშენებლობა დაიწყეს და წესრიგში მოიყვანეს გვირაბამდე მისასვლელი ტრასა. შემდგომში კი თანდათან გამოიკვეთა სამშენებლო ობიექტის პროფილი — ზემო როკში ააგეს 500 სულისათვის გათვალისწინებული კეთილმოწყობილი დაბა, მიიყვანეს გზა გვირაბის პორტალამდე, ააშენეს დამხმარე ნაგებობანი და მიწისქვეშეთს შეუტიეს.

ამას წინათ კი თბილისში ცნობა მივიღეთ, უბნის მშრომელებმა ერთ თვეში გეგმიური 60-ის ნაცვლად 100 მეტრი გვირაბი გაიყვანესო და ახლა იქიდან მივეშურებით — გვინდა მშენებლების საქმიანობის შესახებ სხვებსაც ვაუწყოთ პრესით, ტელევიზიით, რადიოთი.

ზემო როკი კავკასიონის მთავარი ქედის ძირში მდებარეობს. ახლა სოფელში ათიოდე მოსახლეა. სამაგიეროდ ხელმარცხნივ ახალ დაბას გაუშლია მხრები. აქ გვირაბის მშენებლები ბინადრობენ. საცხოვრებელი სახლები, საწყობების, სასადილოს, პურის საცხობის, ადმინისტრაციული სახლის შენობები, სადიზელო ელექტროსადგური თვით საგვირაბო რაზმის მშრომელებმა ააგეს. გაიყვანეს სასმელი და ტექნიკური მოხმარების წყალი, მოაწყვეს თბოქსელი, კანალიზაცია, რადიოქსელი. ერთი სიტყვით საცხოვრებელი დაბა კეთილმოწყობილია. ეს ასეც უნდა იყოს — გვირაბმშენებლები ხომ დიდი ხნის განმავლობაში მოშორებული არიან ოჯახებს.

გვირაბის პორტალისკენ მივემართებით. იგი დაბიდან ორი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს.

ყრუ კედლად აღმართულა როკის მთა. მის კალთაზე შორიდანვე მოჩანს გვირაბიდან გამოზიდული მონგრეული ქანები — შავი ფიქალი. ერთი შეხედვით ქვანახშირის ტერიკონი გეგონებათ.

ზღვის დონიდან 2.200 მეტრზე ვართ. აი, მთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარი გვირაბის პორტალიც. აქ უკვე იგრძნობა დიდი მშენებლობის მძლავრი მაჯისცემა.

მთავარ გვირაბთან დამხმარე ნაგებობანია — ბეტონის დამამზადებელი მიკროქარხანა, საშხაპო, საკომპრესორო, ვაგონ-სახადილო. მთის ფერდობს ბულდოზერები შესევია, შეზვინულ ნაყარ მიწას ექსკავატორით იღებენ.

— შარშან ზამთარში ამ ადგილას ზვავი წამოვიდა, — გვიხსნის გივი ყიფიანი, — დამხმარე ნაგებობანი დაგვიზიანა და მათ აღდგენას საკმაო დრო დასჭირდა. ასეთი რამ რომ არ განმეორდეს, ზვავის მიერ ჩამოტანილი ქანებით დამბას ვაშენებთ.

მებულდოზერეები: როლანდ ჯავახიშვილი, დურმიშხან ცინცაძე, მურად ბიბილოვი, გივი ბერძენიშვილი, მეექსკავატორე ვასილ პოპოვი და სხვები გამოცდილი მექანიზატორები არიან. ისინი წარმატებით საქმიანობდნენ თბილგვირაბმშენის სხვადასხვა ობიექტების მშენებლობაზე და აქაც ულალატო ბიჭების სახელით იცნობენ. გივი ბერძენიშვილმა როკის მშენებლობაზე თავისი ბულდოზერით პირველი საცხოვრებელი ვაგონი ამოიყვანა. ოთხ დღეს მოუნდნენ ჯავიდან როკამდე ასვლას. კაცმა რომ თქვას, მანძილი არცთუ ისე დიდია — 36 კილომეტრი, მაგრამ მაშინ სად იყო გზა, ლიახვის ნაპირ-ნაპირ მოდიოდნენ...

კადრების შერჩევას თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საგვირაბო რაზმის ხელმძღვანელობა. დასამალი არ არის, რომ როდესაც ასეთ საქმეს იწყებ, დიდი წინააღმდეგობის გადალახვა გიხდება. ბევრი რამ აკლიათ მშენებლებს. სწორედ ამიტომ შეარჩიეს ეს გამოცდილი ვაჟკაცები.

... ლორდი გაგუას შრომითი საქმიანობის შესახებ ხშირად წაიკითხავდით საქალაქო და რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე. ნარკვევის გმირებად ქცეულან პეტრე გოქაძე, გიორგი ხეცურიანი, ხახული ბიბილაშვილი, ივანე კილაძე, ვლადიმერ პლეშჩაკოვი და სხვები, რომლებიც ახლა აქ საქმიანობენ და სხვებს ხელმძღვანელობენ. სწორედ ამ გამოცდილმა სამთოელებმა ამოიყვანეს გვერდით ახალბედები და საქმეში დაახელოვნეს, გვირაბმშენებელი კი ერთნაირად უნდა ფლობდეს მომიჯნავე პროფესიებს — იგი მნგრეველიც არის, მებეტონეც, ელმავლის მართვაც უნდა იცოდეს, აფეთქებაც ემარჯვებოდეს, ზეინკლობაც. დურგლობას და ელექტროსაქმესაც უნდა ფლობდეს. ...ჩვენს წინაა გვირაბის სამი პორტალი. ნუ გაიკვირვებთ, დიახ, სამი გვირაბი შეჭრილა კავკასიონის წიაღში...

გვირაბების გაყვანის დაწყებამდე დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს. გამოჭრეს ბაქანი და პირველად სატრანსპორტო-სადაზვერვო გვირაბის გაყვანას შეუდგნენ. იგი მთავარი მაგისტრალის პარალელურად იგება, წინ უსწრებს მთავარ გვირაბს და წოლხვრელების სახით გვერდიდან უერთდება მას. ამ გვირაბის მეშვეობით ზვერავენ ქანებს, შეაქვთ საჭირო მასალები, ხსნიან დამატებით სანგრევებს და ეზიდებიან მონგრეულ ქანებს.

მის გვერდით ააგეს გასანიავებელი გვირაბი. აქ მომავალში მძლავრ სავენტილაციო დანადგარებს მოაწყობენ, რომლებიც ექსპლუატაციაში შესულ გვირაბს გაანიავებენ.

ეს კი მთავარი საავტომობილო გვირაბია. ობიექტის მშენებლობის უფროსს დემურ გაბადაძეს სანგრევში შევყავართ.

საიმედოდ დაუბეტონებიათ გვირაბის თაღი და კედლები პეტრე გოქაძისა და ლორდი გაგუას ბრიგადებს. ჯერ ერთი ბრიგადა მუშაობს ამ საქმეზე, 15 დღის შემდეგ კი მეორე ცვლის. ამჯერად ლორდი გაგუას კოლექტივი აბეტონებს გვირაბს. აი ისინიც, ზურაბ ლაშხი, ავთანდილ ჯულელი, ომარ ცხვედიანი, ძმები თამაზ და ჯემალ აბაშიძეები, ანტონ ფრუიძე. თორმეტი კაცია ბრიგადაში.

გაყვანილ და გამაგრებულ გვირაბში ერექტორის მეშვეობით ლითონის ქარგილებით აბეტონებენ თაღსა და კედლებს. ერთ ჯერზე 6-7,5 მეტრის გვირაბი ბეტონდება.

დაბეტონება საკმაოდ რთულია, მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გვირაბი სრულყოფილ სახეს, მაგრამ მთავარი ხარისხია. ზედმიწევნით მჭიდროდ და მყარად უნდა ჩაასხან ხსნარი, რომ სიმტკიცე არ დაკარგოს თაღმა და კედლებმა — ამ ნაგებობამ ხომ საუკუნეებს უნდა გაუძლოს.

დამთავრდა დაბეტონებული გვირაბი, გზას ვაგრძელებთ. კედლებიდან წყალი მოწანწკარებს და გვირაბის ძირზე მოზრდილი რუ მოედინება.

— დღეს ამირან ბიკოევის ბრიგადა საქმიანობს სანგრევში, — გვითხრა მთავარი საავტომობილო გვირაბის მშენებლობის უბნის უფროსმა ომარ ხმელიძემ, — სანგრევი და მებეტონეთა ბრიგადა საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთს, მაგრამ დროებითი გამაგრება საიმედოდ გვაქვს მოწყობილი, თან ქანებიც მყარია.

დროებითი გამაგრება კი ასე ხდება. ჯერ გვირაბი გაჰყავთ. გვირაბგამყვანებს დამბეტონებლები მიჰყვებიან, მაგრამ მათ შორის საკმაოდ დიდი მანძილი რჩება. ამიტომ თაღი რომ არ ჩამოიშალოს, ბურღავენ ქანებს, ამაგრებენ რკინა-ბეტონის ანკერებით, შემდეგ ზედ ჭიმავენ ლითონის ბადეს და ქანის ზედაპირს ფარავენ ქვიშა-ცემენტის ხსნარით. ამ პროცედურას ტორკრეტირება ეწოდება. ამ წესით გამაგრებულ გვირაბში ქანები არ იფიტება და ჩამოქცევაც არ არის საშიში. ამასთან, დროებითი გამაგრება გვირაბის დაუბეტონებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

200-300 მეტრით წინ წაწევის საშუალებას იძლევა.

— აქ მაინც ქანების კატეგორიაა მთავარი, — გვიხსნის საგვირაბო რაზმის მთავარი ინჟინერი რუდოლფ ვართანოვი, — ერთ მონაკვეთში კალციტი შეგვხვდა, იგი ფხვიერი ქანია და ჩამოწოლის საშიშროებას ქმნის. ამიტომ ეს ადგილი 20 მეტრის სიგრძეზე სასწრაფოდ დავაბეტონეთ. შემდეგ კვლავ ფიქალი დაიწყო. გულმოდგინედ დავზვერეთ, გავიყვანეთ მცირე კვეთის გვირაბი, ავაფეთქეთ და რადგან ქანები კვლავ მდგრადი გამოდგა, ჩვეულებრივ გავაგრძელეთ გვირაბის გაყვანა.

ესეც სანგრევი, მაგრამ მისი შუბლი არ ჩანს, მხოლოდ მექანიზმსა და მასზე მომუშავე გვირაბგამყვანებს ვხედავთ, აქ მთავარი სიტყვა ტექნიკურ პროგრესს ეკუთვნის.

— ამ აგრეგატით ვაწარმოებთ გვირაბის გაყვანას, — გვიხსნის გივი ყიფიანი, — აგრეგატს ხუთი პერფორატორი აქვს და ოთხი მეტრის სიღრმეზე ჭრის ბურღილს. ასი ასეთი ბურღილი მზადდება ერთდროული აფეთქებისათვის. ამავე მექანიზმზე არის მოწყობილი სპეციალური მოძრავი გალია, რომლის საშუალებით ხდება ბურღილების ფეთქებადი მასალით დამუხტვა. შემდეგ კი ელექტროდეტონატორებით აფეთქებენ ქანებს. აფეთქებისას მექანიზმი რომ არ დაზიანდეს, 50-60 მეტრით გამოჰყავთ სანგრევიდან.

შემდეგ ანიავებენ გვირაბს, ასწორებენ სანგრევს და „ПНБ-3-К"-ს საშუალებით მონგრეული ქანები მექანიზებულად იტვირთება თვითმცლელში. ყოველი აფეთქების შედეგად სანგრევიდან გამოაქვთ 300 კუბური მეტრი ქანი. აღნიშნული პროცედურის დამთავრების შემდეგ კვლავ მეორდება ციკლი.

სატრანსპორტო-სადაზვერვო გვირაბიც მთავარი საავტომობილო მაგისტრალის პარალელურად გაივლის ულელტეხილის ქვეშ. აქაც დაძაბული მუშაობა უხდებათ გვირაბმშენებლებს. პირველ ხანებში, როდესაც უბანი მთლიანად არ იყო უზრუნველყოფილი საჭირო მოწყობილობა-მექანიზმებით, ძირითადი შრომატევადი სამუშაოები ხელით სრულდებოდა. ამჟამად კი — საბურღავ ურიკას, ქანების ამწმენდ მანქანას, ლითონის გადასაადგილებელ ქარგილს, პნევმობეტონჩამსხმელს და სხვა მექანიზმებს იყენებენ.

მთელი რიგი პასუხსაგები სამუშაოების შესრულება უხდება მემონტაჟეთა უბნის კოლექტივს, რომელსაც გამოცდილი მექანიზატორი ჯონდო გოქსაძე თავკაცობს.

ზამთრის პერიოდში და გვიან გაზაფხულამდე ამ მხარეში ხშირია ზვავი და მეწყერი. ამასთან დაკავშირებით შექმნილია მეტეოროლოგიური სამსახური. თუ სადმე ზვავის წარმოშობის კერა შეამჩნიეს, სასწრაფოდ აფრთხილებენ ტრასაზე და გვირაბის მშენებლობაზე მომუშავეებს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რათა წინასწარ მიიღონ ზომები.

ასე შენდება ეს საშვილიშვილო ნაგებობა. მკაცრ ჰიდროგეოლოგიურ პირობებში. ადამიანებმა, რომლებსაც ამ გვირაბის მშენებლობა მიანდეს, კარგად იციან დროის ფასი. ამიტომ გეგმაზომიერად მუშაობს თითოეული რგოლი. საქმე საშურია და ცდილობენ შემჭიდროებულ ვადებში გააკეთონ გასაკეთებელი.

შარშან გეგმით 400 მეტრი გვირაბი უნდა აეგოთ რაზმის მშრომელებს, მათ კი 700 მეტრამდე გაიყვანეს. თითოეული ბრიგადა, თითოეული რგოლი სოციალისტური შეჯიბრების დროშით იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. წლის დასაწყისიდანვე ფართოდ გაიშალა შეჯიბრება, რათა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვედროდნენ დიდი ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს. თავიდანვე ასე გადაწყვიტეს — სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის გაენაღდებინათ; პირობა კი 20 ოქტომბრისათვის შეასრულეს.

მშენებლობაზე ხშირად ამოდიან რესპუბლიკის ხელმძღვანელი ამხანაგები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდ მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენენ მშენებელთა მიმართ.

... პატარა ბილიკი გადის როკის ულელტეხილზე, მიუყვება ციცაბოებს, ჰიუხებს და ჩრდილო ოსეთის სოფელ ზაკში ჩადის, აქედან კი მდინარე არდონის ხეობით ალაგირისაკენ მიემართება.

ზაკიც ნასოფლარია, მაგრამ ახლა აქაც ახალი ძალით ჩქეფს სიცოცხლე. სწორედ ამ მიდამოებში გამოვა გვირაბი. ზაკში თბილგვირაბმშენის № 15 საგვირაბო რაზმი (უფროსი გივი ნიკოლაიშვილი) საქმიანობს. გაჰყავთ გვირაბები და № 13 საგვირაბო რაზმის მშრომელებთან შესახვედრად მოეშურებიან. გავა ორიოდე წელი და გვირაბგამყვანები კავკასიონის ქედის ქვეშ შეხვდებიან ერთმანეთს. ასრულდება დიდი ხნის ნაოცნებარი...

ასე შენდება სიკეთის მომტანი მაგისტრალი. მკლავმაგარი ვაჟკაცების წინაშე გულს იხსნის კავკასიონი, ხალხის ნებას ემორჩილება, კომუნიზმის მშენებელთა სამსახურში დგება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეპოქის წიგნი

რევაზ ბრძოლიძე

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დაუშრეტელი წყარო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „ყამირი“, ისევე როგორც პირველი ორი წიგნი „მცირე მიწა“ და „აღორძინება“, წარმოადგენს მხატვრულ-პოლიტიკური ლიტერატურის თემაზე შექმნილი ნაწარმოების ნიმუშს, რომელშიც ღრმად და მასშტაბურად, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებითა და სიბრძნით, ყველასათვის მისაწვდომი ხატოვანი ენით გადმოცემულია არამარტო ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის, დიდი პურისათვის გაშლილი საყოველთაო-სახალხო ბრძოლა, არამედ ყოველმხრივ არის გაშუქებული და გაანალიზებული პარტიულ-პოლიტიკური, იდეურ-აღმზრდელობითი, მორალურ-ფსიქოლოგიური მუშაობის, ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის არაერთი საკვანძო საკითხი.

ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებს „ყამირი“ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მშრომელთა, პირველ რიგში, ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბების, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის შემუშავების, სიტყვისა და საქმის ერთიანობის ლენინური პრინციპის განხორციელებისათვის, პარტიისა და ხალხის ნებისმიერი დავალების შესასრულებლად პატრიოტული მზადყოფნისათვის. იგი დიდძალ თეორიულ და ფაქტობრივ მასალას იძლევა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და, ამდენად, საჭიროა დღენიადაგ ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ამ წიგნში ჩამოყალიბებული დასკვნებისა და დებულებების საფუძველზე, განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნათა შესაბამისად კიდევ უფრო დავხვეწოთ და სრულვყოთ კომუნისტური აღზრდის მთელი სისტემა, სტილი, მეთოდები და ფორმები.

სკკპ XXV ყრილობამ ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და ყოველმხრივი განვითარების ფართო პროგრამა დასახა. ახალგაზრდობის მაღალი იდეურობა, სოციალისტური სამშობლოს სიყვარული, კომუნიზმის იდეალების ერთგულება, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, წარსულის მავნე გადმონაშთების და ნეგატიური მოვლენების დაძლევისათვის მზადყოფნა, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და ყოველგვარი ჯურის ნაციონალიზმის გამოვლინებისადმი შეურიგებლობა, პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება. სულიერი კულტურის ნამდვილი სიუხვის უზრუნველყოფა — ასეთია ამ პროგრამის ძირითადი მოთხოვნები, ახალი ადამიანის ფორმირების მთავარი პრინციპები. რომლებიც განვითარებული სოციალიზმის პირობებში წარმატებით ხორციელდება.

სკკპ XXV ყრილობამ წამოაყენა აღზრდის მთელი სისტემისადმი კომპლექსური მიდგომის მეთოდი, როგორც იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება. იგი ნიშნავს იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ორგანულ ერთიანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას მშრომელთა, მათ შორის ახალგაზრდობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების თავისებურებათა აუცილებელი გათვალისწინების საფუძველზე, რაც საშუალებას იძლევა აღზრდის პროცესს მივუდგეთ დიფერენცირებულად, კონკრეტულად და ოპტიმალურად, ავამაღლოთ მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები და ეფექტიანობა.

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებში „მცირე მიწა", „აღორძინება", „ყამირი", რომლებიც ახალგაზრდობის საბრძოლო, შრომითი და იდეური წრთობის შესანიშნავი სახელმძღვანელოა, განვითარებული და დაკონკრეტებულია კომუნისტური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის არაერთი საკითხი, ადამიანთმცოდნეობის პრობლემები, მშრომელთა გულსა და გონებაზე ზემოქმედების ხერხები, მეთოდები, საშუალებანი.

ამ შესანიშნავ ტრილოგიაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები ახალი ადამიანის აღზრდის თაობაზე შეჯამებული და კონცენტრირებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 26 აპრილის ცნობილ დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", რომელიც მშრომელთა, პირველ რიგში, კი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საპროგრამო დოკუმენტია.

„განვითარებული სოციალიზმის პირობებში, —ხაზგასმით არის აღნიშნული ამ დადგენილებაში, — დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ლენინის ის დებულება, რომ სახელმწიფოს ძლიერების წყაროა მასების შეგნება, რომ იგი მაშინ არის ძლიერი, როცა მასებმა ყველაფერი იციან, შეუძლიათ ყველაფერი განსაჯონ და ყველაფერს შეგნებულად აკეთებენ... პრესა, ტელევიზია, რადიო, ზეპირი პროპაგანდა და აგიტაცია კიდევ უფრო მეტად უნდა ეხმარებოდნენ საბჭოთა ადამიანს კარგად ერკვეოდეს საშინაო ცხოვრებასა და საერთაშორისო ამბებში, უღვივებდეს მას მისწრაფებას, რომ მაქსიმალური წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში, კომუნიზმის მშენებლობაში".[1]

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „ყამირი" იმის საუკეთესო მაგალითია, თუ რა სასწაულების მოხდენა შეუძლია საზოგადოებრივი განვითარების მოვლენათა შინაარსში კარგად გარკვეულ, დიდი იდეური რწმენისა და შემართების მქონე, კომუნიზმის ნათელი იდეალებისადმი ერთგულ და თავდადებულ საბჭოთა ადამიანს, რომელიც ყამირს სიცოცხლეს უბრუნებს, კოსმოსის უკიდეგანო სივრცეებს იკვლევს, ატომბირთვის საიდუმლოებას სწვდება, უძღვის მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას ახორციელებს და ყოველივე ამას საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის იყენებს.

ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა წიგნი „ყამირი" უდიდესი მნიშვნელობის მხატვრული ტილოა არა მარტო წარსულზე, ყამირისა და ნასვენი მიწების ათვისების გმირულ ეპოპეაზე, არამედ სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ჩვენს თანადროულობასთან, დღევანდელი დღის ამოცანებთან, საბჭოთა საზოგადოების განვითარების პერსპექტივებთან. იგი მოუწოდებს ყველა საბჭოთა მშრომელ ადამიანს, ახალგაზრდობას ყურადღება გაამახვილონ კომუნისტური მშენებლობის გადაუჭრელ საკითხებზე, ბოლომდე აღმოფხვრან სოციალიზმის ბუნებისათვის მიუღებელი მოვლენები, უფრო ეფექტურად გამოიყენონ შრომითი და აღმზრდელობითი საქმიანობის ჯერ კიდევ აუთვისებელი რეზერვები. ამაშია, უპირველეს ყოვლისა, უდიდესი მაორგანიზებელი ძალა ამ ნაწარმოებისა, რომელიც საბჭოთა ადამიანებს ახალი შრომითი გმირობისათვის რაზმავს და აღანთებს.

დიდია ამ ნაწარმოების ემოციური ზემოქმედების ძალა, რადგან მისი ავტორი აქ მოთხრობილ მოვლენათა უბრალო პასიური მჭვრეტელი კი არ არის, არამედ მათი აქტიური თანამონაწილე და შემოქმედია, რის გამოც ამ წიგნის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ფუნქცია ჭეშმარიტად კოლოსალური, უაღრესად ეფექტურია და უდიდესი ძალითაა დამუხტული.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გმირული ეპოპეის მონაწილე იყო მილიონობით საბჭოთა ადამიანი, რომლებიც ახალ ისტორიულ პირობებში ამრავლებდნენ რევოლუციის მონაპოვრებს და განვითარებული სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის ცოცხალ მატიანეს ქმნიდნენ. ეს მასობრივი გმირობა მხოლოდ ხელმძღვანელობის ლენინური სტილის, მასებთან მჭიდრო კავშირის განუხრელად განხორციელების პირობებში იყო შესაძლებელი. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ლ. ი. ბრეჟნევი: „მარტო „კაბინეტური" ხელმძღვანელობა არ კმარა, ყოველდღიური ცოცხალი ურთიერთობა უნდა გვქონდეს ხალხთან, უნდა ჩავდიოდეთ ადგილებზე, საკუთარი თვალით ვნახოთ წარმატებანიც, წამოჭრილი სიძნელეებიც და, როცა საჭიროა, ოპერატიულად ჩავრიოთ. როცა ასეთი სტეპის სადგურში ხალხს გაეპაექრები, ტრაქტორისტებთან ერთად ჩამოჯდები ბრიგადის ქვაბთან, ძალზე ბევრ რამეს გაიგებ და ბევრ რამეს ისწავლი. სწავლა კი ყოველთვის სასარგებლოა, ხოლო როცა ეს-ეს არის იწყება ისეთი დიდი ოპერაცია, როგორიც არის ყამირის გატეხა, სრულიად აუცილებელია".[2]

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში გამოჩენილი მასობრივი გმირობის გამო სიტყვა „ყამირელი", რომელიც 50-იან წლებში იშვა, მალე ვაჟკაცობისა და თავდადების სიმბოლო გახდა. ამ საზოგადოებრივი ტერმინით აღინიშნებოდა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბა და ღრმა საბჭოთა პატრიოტიზმი, რომელსაც ათიათასობით საბჭოთა ჭაბუკი და ქალიშვილი იჩენდა, როცა ყამირს ტეხდა.

ამჟამად ყამირელი ისტორიული ფიგურაა, რომელიც ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთმა რთულმა და გმირულმა ხანამ წარმოშვა. ამ სიტყვით გამოხატულია განვითარებული, სოციალიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის განსაკუთრებული ნებისყოფა, შრომით გმირობაში გამოწრთობილი საბჭოთა ხასიათი.

საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა, დიდი შემართება და შრომისადმი ჭეშმარიტი კომუნისტური დამოკიდებულება, საზოგადოებრივი ინტერესების წინა პლანზე დაყენება, მინდობილი საქმის უხმაუროდ კეთება და მასობრივი გმირობა, ყველაზე უფრო რთული და ხშირად საშიში სამუშაოს შესრულების დაუოკებელი სურვილი, მაღალი ზნეობრივი თვისებები, ასეთია ყამირელის სოციალური პორტრეტის ძირითადი დამახასიათებელი შტრიხები, რომლებიც ყამირისათვის, დიდი პურისათვის ბრძოლაში გამოიკვეთა, ხოლო სიტყვა „ყამირელი“ კი ჭეშმარიტი ვაჟკაცობის სიმბოლო გახდა.

ათასობით ასეთი ყამირელი შვა დიდი პურისათვის გაჩაღებულმა საერთო-სახალხო ბრძოლამ. ისინი უხმაუროდ, ფუსფუსის გარეშე, საქმის ღრმა ცოდნით ასრულებდნენ მინდობილ სამუშაოს და მათ წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად ხშირად სიცოცხლესაც კი არ იშურებდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო ლვოვის საამშენებლო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტი ვ. რაგუზოვი, რომელიც ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას და სამუშაოდ ყამირზე საბჭოთა მეურნეობა „კიევსკში“ გაემგზავრა, აი, როგორ აგვიწერს იგი თავის დღიურში შრომითი გმირობის პათოსს, რომელიც იმხანად ყამირზე სუფევდა. „მე აქ უკვე ორი თვეა ვარ, მაგრამ არ შემიძლია გავიხსენო, არცერთი კვირა დღე, რომელიც დასვენების დღე ყოფილიყოს. ჩვენ დღესასწაულების დროსაც ვმუშაობთ. და საერთოდ, ჩვენი დრო ასე იყოფა: დღე მუშაობის დროა, ღამე — დასვენებისა. ამასთან, ადამიანები ღამით ისვენებენ არა იმიტომ, რომ ვინმემ ასეთი განკარგულება გასცა, არა, უბრალოდ, ღამის სიბნელეა, არაფერი არ ჩანს და ამიტომ, ჩვენ ვისვენებთ, რათა ტყუილუბრალოდ არ დავკარგოთ დრო“.3

ასეთი შრომითი შემართების, ორგანიზატორული ნიჭისა და დიდი ადამიანური ხასიათის გამო ვ. რაგუზოვმა სწრაფად დაიმსახურა პირველყამირელთა შორის ავტორიტეტი. პატივისცემა და სიყვარული. იგი ყამირზე ტრაგიკულად დაიღუპა, როცა მანქანით ასაწყობი სახლები მიჰქონდა საბჭოთა მეურნეობისათვის. ამ ამბავმა ყველა შეაძრწუნა და როცა პრესაში გამოქვეყნდა დაღუპვის წინ მის მიერ ოჯახისადმი, შვილებისადმი დაწერილი წერილი, მას ათიათასობით ადამიანი გამოეხმაურა მთელ ჩვენს ქვეყანაში. იმ დღეებში მოხალისეთა ბევრი რაზმი დაიძრა ყამირისაკენ, რათა ბოლომდე მიეყვანათ ის გმირული საქმე, რომელსაც ვ. რაგუზოვმა და მისმა მსგავსმა ვაჟკაცებმა შესწირეს თავი.

შეუძლებელია აუღელვებლად, ღრმა გულისტკივილის გარეშე, მაგრამ ამავე დროს საბჭოთა ადამიანის, საბჭოური ხასიათისადმი დიდი სიამაყის გრძნობით არ წაიკითხო სიკვდილის წინ ვ. რაგუზოვის მიერ გათოშილ-მოყინული თითებით დაწერილი წერილი, ანდერძი შვილებისადმი: „ჩემს შვილებს — ვლადიმერ და ალექსანდრე რაგუზოვებს! ძვირფასო პაწიებო, ვოვა და საშა! ყამირზე იმიტომ წავედი, რომ ჩვენს ხალხს უფრო შეძლებულად და საამურად ეცხოვრა. მე მინდა თქვენ განაგრძოთ ჩემი საქმე. ცხოვრებაში მთავარია ადამიანი იყო, გაკოცებთ, ჩემო კარგებო, მაგრად. თქვენი მამიკო“.4

ეს წერილი, რომელიც, თითქოს უაღრესად პირადულია — სინამდვილეში მიმართული აღმოჩნდა ყველასადმი. პირველ რიგში, ახალგაზრდა თაობებისადმი, რომელთა წმინდა ვალია ღირსეულად განაგრძონ ყამირისათვის ბრძოლის გმირული ტრადიციები და ამრავლონ ჩვენი წარმატებანი კომუნიზმის — კაცობრიობის ნათელი მომავლის მშენებლობის საქმეში. ამჟამად ათიათასობით საბჭოთა ახალგაზრდა ჭეშმარიტად ღირსეულად აგრძელებს ყამირელთა შესანიშნავ ტრადიციებს კომუნიზმის ახალმშენებლობებზე — ტიუმენში, ბამზე, [illegible] წინა ხაზზე — რუსეთის ფედერაციის არაშავმიწანიადაგიან ზოლში და ასობით სხვა, კომკავშირულ-დამკვრელური მშენებლობის ობიექტებზე.

ყამირმა თვალსაჩინოდ გვიჩვენა საბჭოთა ადამიანების, ჩვენი ახალგაზრდობის თავდადებული, მასობრივი გმირობის არაერთი მაგალითი, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ დიდი ზემოქმედებითი, აღმზრდელობითი მნიშვნელობა. როგორც ლ. ი. ბრეჟნევი წერს, გმირობის საწყისი სხვადასხვაგვარად ვლინდება, ერთი და იგივე კაცს შეუძლია ცეცხლმოდებულ სახლში შევარდეს, მაგრამ გაუჭირდეს ყოველდღიურად რაიმე მონოტონური სამუშაოს კეთება. არის ანაზდეული გმირობა. არის მთელი ხალხის ცხოვრებაში მასობრივი გმირობის გამოვლენის პერიოდი — ამის მაგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლითია ომი. და არის ჩვეულებრივი, სადაგი დღეების გმირობა, რომლის მაგალითები უხვად მოგვცა ყამირმა, ყამირელებმა გმირული შრომის სასწაულები გვიჩვენეს. მათ გაუძლეს ყველა გაჭირვებას და ყველა სიძნელე მოთმინებითა და მდგრად გადალახეს.

ეს სიტყვები პირდაპირ ეხმიანება იმ გმირობას, რომელიც ყამირზე ჩაიდინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ნოდარ ნოდიამ. იგი სხეულით გადაეფარა ცეცხლის კერას და დაიღუპა, რომ 500 ათასი ფუთი მარცვლეულით სავსე საწყობს ცეცხლი არ გასჩენოდა. დიდმა მოქალაქეობრივმა შეგნებამ, პატრიოტიზმის მაღალმა გრძნობამ, სამშობლოსა და ხალხისათვის თავდადებამ უბიძგა მას მსხვერპლად გაეღო თავის სიცოცხლე და სახალხო დოვლათი გადაერჩინა.

როცა „ყამირი" გამოქვეყნდა ყამირის გმირის ნ. ნოდიას დედამ ელენე მაყაშვილმა ლ. ი. ბრეჟნევს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ! სულმოუთქმელად წავიკითხე თქვენი შესანიშნავი „ყამირი". მისი თითოეული სტრიქონი განსაკუთრებით ახლობელი და ამაღელვებელია ჩემთვის. „ყამირმა" ერთდროულად უდიდესი ნეტარებაც მომანიჭა და ძველი იარაც გამახსენა. მიმიხვდებით, რას ნიშნავს ოჯახისათვის დედისერთა ვაჟის დაღუპვა, მაგრამ მეც და ჩემი მეუღლეც, აწ განსვენებული პროფესორი მიხეილ ნოდია, თავს იმით ვინუგეშებდით, რომ ჩვენმა შვილმა სიცოცხლე შესწირა დიდ, საყოველთაო სახალხო საქმეს, შესწირა ისევე, როგორც ალექსანდრე მატროსოვმა და დიდი სამამულო ომის სხვა გმირებმა.

ახლა თქვენი მოგონებანი რომ წავიკითხე და შევიგრძენი, რამდენი სიძნელე გადაიტანა ხალხმა დიდი პურისათვის ბრძოლაში, რა თავდადებით ირჯებოდა ათიათასობით ჭაბუკი, ისეთები როგორიც ჩემი ვაჟი იყო, სევდა შემიმსუბუქდა და ტკივილი დამიამდა.

დიდად გმადლობთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, რომ თქვენი შესანიშნავი „ყამირით" უკვდავების ძეგლი დაუდგით ამ გრანდიოზული ლაშქრობის მონაწილეებს, მათ შორის ჩემ შვილსაც".[5]

აღსანიშნავია, რომ „ყამირის" გამოქვეყნებისთანავე თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა აკადემიის მთელი კოლექტივის სახელით წერილი გაუგზავნეს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას", სადაც წინადადება წამოაყენეს უკვდავყონ ყამირზე დაცემული უკრაინელი და ქართველი ვაჟკაცების ვასილ რაგუზოვისა და ნოდარ ნოდიას ხსოვნა და დაუდგან მათ ძეგლები იქ, სადაც ყამირის ამ გმირების გულისძგერა შეწყდა. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რაოდენ დიდად აფასებს ყველა თაობა სამშობლოსათვის თავდადებული შვილების ხსოვნას, ყამირელთა ღვაწლსა და სახელს, რომ ამაოდ როდი გახდა ჩვენში ცნება „ყამირელი" ვაჟკაცობისა და გმირობის სიმბოლო.

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „ყამირის" გამოქვეყნებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სსრ თერჯოლის რაიონისა და ყაზახეთის სსრ ცელინოგრადის ოლქის ატბასარის რაიონის მშრომელთა მეგობრობას. პარტიის თერჯოლის რაიონულ კომიტეტთან შექმნილმა ეკონომიკური განათლების ერთ-ერთი სკოლის მსმენელებმა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის შესწავლის შემდეგ გადაწყვიტეს „ყამირის" ნაკვალევზე ემოგზაურათ, გაცნობოდნენ ყამირის მხარის ატბასარის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაობის პრაქტიკას, დაემყარებინათ ამ რაიონის მშრომელებთან მჭიდრო კავშირი და გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისა და მშრომელთა ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის გაუმჯობესების მიზნით.

1979 წლის ივლისში თერჯოლის რაიონის მშრომელთა დელეგაცია ქ. ატბასარში გაემგზავრა. რუსულ, ქართულ და ყაზახურ ენებზე ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით საზეიმოდ მორთული შეხვდა ქალაქი თერჯოლელ მეგობრებს. დელეგაციის წევრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს რაიონის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები. სამრეწველო საწარმოები, ატბასარის რაიონულ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს რუსულ ენაზე თარგმნილი ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებები.

ატბასარელებმა სიხარულით მიიღეს თერჯოლელთა გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაში. გადაწყდა, რომ ყოველწლიურად მოეწყოს დელეგაციათა გაცვლა. შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესდა პარტიის ატბასარის რაიკომის ყოფილი მდივნის ჯ. მაკარინის სახელობის პრიზი. ამხ. ჯ. მაკარინი გულთბილად არის მოხსენებული ლ. ი. ბრეჟნევის წიგნში „ყამირი".

თერჯოლელთა მოწვევით, ატბასარელ მშრომელთა ერთმა ჯგუფმა დაისვენა და ჯანმრთელობა გაიკაჟა კურორტ „სიმონეთში", ხოლო პიონერთა დელეგაციამ ზაფხულის არდადეგები გაატარა თერჯოლის პიონერთა ქალაქ „საპოვნელაში". ნათქვამია, მეგობრობამ მანძილი არ იცისო, და მართლაც ხალხთა ლენინური მეგობრობის დიდმა გრძნობამ ადვილად დასძლია ათიათასობით კილომეტრი, ძმობის მტკიცე ხიდით შეკრა ატბასარელ და თერჯოლელ მშრომელთა თავდადებული შრომა ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.[6]

ყამირზე მარტოოდენ პურის პრობლემა რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი წყლებოდა. იქ იყო ერთგვარი საცდელი მინდორი, სადაც შემოწმდა ჩვენი საზოგადოების მორალური სიჯანსაღე, ახალგაზრდობის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და კომუნიზმის ნათელი იდეალებისადმი ერთგულება. ამიტომ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის ბრძოლაში ახალი ძალით გამოვლინდა საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელობა და ძლიერება, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეების ძლევამოსილება. შესანიშნავად წერს ამასთან დაკავშირებით ლ. ი. ბრეჟნევი: „ადამიანი მიწაზე პურს ზრდიდა — მიწა კი ადამიანებს ზრდიდა, ყამირმა, ხატოვნად რომ ვთქვათ, მშრომელების, პატრიოტებისა და თავისი საქმის ოსტატების უუხვესი მოსავალი მოგვცა... ყამირზე პარტიის მთელი საქმიანობა უზარმაზარი ნოვატორული და თავისი შედეგებით დიდმნიშვნელოვანი ეპოპეის მაგალითი იყო“.7

ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში არ არის ისეთი ერი ან ხალხი, თავისი წვლილი რომ არ შეეტანოს ყამირის გმირულ ისტორიაში. სსრ კავშირის ხალხთა ლენინურმა მეგობრობამ ნამდვილი სასწაული მოახდინა — ხალხის სამსახურში ჩააყენა 42 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები, უკაცრიელ სტეპებში ააგო ათიათასობით დასახლებული პუნქტი, ათობით ახალი ქალაქი, გზები და ხიდები, ელევატორები, საწყობები და ქარხნები, საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები და ბაგები, კლუბები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, ერთი სიტყვით, ყველაფერი. რაც საჭიროა მოსახლეობის ნორმალური ცხოვრებისათვის, თანამედროვე მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსახლეობის მიგრაციისა და მრავალეროვნულობის ზრდას, საეროვნებათშორისო კავშირებისა და კონტაქტების გაღრმავება-გაფართოებას, მშრომელთა ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდას.

მრავალეროვანი კოლექტივები სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის მეგობრული თანამშრომლობისა და კავშირურთიერთობის ფართო ასპარეზს ქმნიან, რომლის დროსაც ყალიბდება ახალი ადამიანის ისეთი დამახასიათებელი თავისებურებანი, როგორიცაა კოლექტივიზმის გრძნობა, საერთო ინტერესებისა და მიზნების ღრმად გაგება, უანგარო ურთიერთდახმარებისა, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ურთიერთშეხამება. ასეთ კოლექტივებში ეროვნული თავისებურებანი ორგანულად არის შეხამებული ინტერნაციონალურ, საერთო-საბჭოურ თვისებებთან და ტრადიციებთან, პრაქტიკულად მოწმდება კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მორალური კოდექსის ძირითადი პრინციპები და მოთხოვნები.

სოციალიზმმა დიდი ხანია დაამტკიცა, ხოლო ყამირმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ რაც უფრო ინტენსიურად ვითარდება თითოეული ეროვნული რესპუბლიკა, მით უფრო სწრაფად იზრდება ინტერნაციონალიზაციის პროცესი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. როგორც ლ. ი. ბრეჟნევი შენიშნავს ამის ყველაზე უფრო მკაფიო მაგალითია ყაზახეთის სსრ. სრულიად გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ყამირმა იგი ყველაზე უფრო მრავალეროვნულ რესპუბლიკად, „ასი ენის პლანეტად“ აქცია. ყაზახური კულტურა, ყოფა-ცხოვრება ითვისებდა ყოველივე საუკეთესოს ეროვნული კულტურების, ტრადიციებისაგან და ამ გზით ვითარდებოდა. ეს ერთადერთი სწორი გზა იყო, რადგან ყოველ საკუთარ თავში გამოკეტილი ეროვნული კულტურა გარდაუვალად აგებს, ზოგადკაცობრიულ თვისებებს კარგავს. სამწუხაროდ, ეს ყველას და ყოველთვის არ ესმის“.8

ამ რამდენიმე წლის წინათ საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის საველე ექსპედიციამ შეისწავლა ყამირის მხარის საბჭოთა მეურნეობის „არიქტის“ მცხოვრებთა კულტურისა და ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი. ამ მეურნეობაში ერთად ცხოვრობენ და შრომობენ ოცდაერთი ეროვნების წარმომადგენლები, რომელთა შორის 153 ყაზახია, 151 — რუსი, 145 — უკრაინელი, 90 — ბელორუსი, 71 — გერმანელი, 34 ბაშკირი და ა. შ. ამ მრავალეროვანი კოლექტივის კულტურული ფონდიდან და ყოფითი გარემოდან ადგილობრივმა ყაზახმა მოსახლეობამ ბევრი რამ გადმოიღო და შეისისხლხორცა. ყაზახთა ბინებში გაჩნდა თანამედროვე ავეჯი, მრავალფეროვანი გახდა ადგილობრივი მოსახლეობის კვების რაციონი, ჩაცმულობამ თანამედროვე სახე მიიღო და სხვ.

ყამირს მთელი ჩვენი ქვეყანა ტეხდა, ითვისებდა და სიცოცხლეს უბრუნებდა. ყაზახეთის ტრამალებზე, სადაც მხოლოდ ვაციწვერა ხარობდა, ინტერნაციონალური შრომის ფერხულში ჩაბმული აღმოჩნდა ასზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენელი. ყველა საბჭოთა რესპუბლიკა, მხარე თუ რაიონი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში თავისი სპეციალისტებით, ტექნიკით, საშენი მასალებით. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი ადგილი ლ. ი. ბრეჟნევის წიგნიდან „ყამირი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, რას წერს იგი: „რა თქმა უნდა, საშენი მასალები, განსაკუთრებით სამშენებლო აგური გვიჭირდა. მე მივმართე ჩვენი ზოგიერთი რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. და, უნდა ითქვას, რომ კარგად გაგვიმართეს ხელი: წამოვიდა აგური სომხეთიდან, საქართველოდან, ესტონეთიდან და ბევრი სხვა ადგილიდან. ერთი სიტყვით, ჩვენ ვწყვეტდით, თანაც წარმატებით ვწყვეტდით აწ წამოჭრილ პრობლემებს“.[9]

საქართველოს მშრომელებმა, ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეს ძმებ ყაზახეთს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში, მოსავლის უდანაკარგოდ აღების, მეცხოველეობის საკვები ბაზით უზრუნველყოფის, საცხოვრებელი ბინების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობაში და სხვა მრავალნაირ სამუშაოთა შესრულებაში. საქართველოს სტუდენტობის, მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობის მთელმა თაობებმა ყამირზე შეშმარიტი შრომითი გმირობით სახელი და დიდება დაიმსახურეს. ყამირის ათვისებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლის მატიანეში არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს.[10]

ყამირ მიწებზე სულ სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანების შრომითმა გმირობამ ხელი შეუწყო მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური ერთობის განმტკიცებას, საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობის გაღრმავებასა და გაფართოებას, მოძმე ერების კულტურული კავშირებისა და კონტაქტების განმტკიცებას. ყამირის ათვისება და მასზე სიცოცხლის დამკვიდრება — ეს არის ლენინური ეროვნული პოლიტიკის კიდევ ერთი თვალსაჩინო ხორცშესხმა და გამარჯვება, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ხალხების მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ნათელი გამოხატულება.

1954-1979 წლებში მარტო ყაზახეთში ათვისებული ყამირი მიწებიდან მიღებულია 300 მილიონამდე ტონა ხორბალი და სხვა მრავალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. მაგრამ ჭეშმარიტად განუზომელია იმ სულიერი საზრდოს როლი და მნიშვნელობა, რაც ახალგაზრდობას ყამირმა მისცა.

ყამირის ეპოპეამ მთელის ძალით გამოავლინა საბჭოთა ახალგაზრდობის კეთილშობილური ზნეობრივი თვისებები: სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარული, პარტიისა და ხალხის საქმისადმი თავდადება, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, ნამდვილი პატრიოტული და ინტერნაციონალური შემართება. „კომკავშირელები. საბჭოთა ქალიშვილები და ჭაბუკები, დიდი პასუხისმგებლობითა და შეგნებით ეკიდებიან ხალხისა და სახელმწიფოს ბედს. თაობათა თანამიმდევრობა, რევოლუციური ტრადიციების მძლავრი ძალა მკაფიოდ იჩენს თავს ახალგაზრდობის პრაქტიკულ საქმეებში, მის მაღალ იდეურ მისწრაფებებში. ახალგაზრდობის — გიგანტური ელექტროსადგურებისა და რკინიგზის მაგისტრალების, ახალი ქალაქების მშენებლების, ყამირის დამპყრობლების, კოსმოსის ათვისების პიონერების შრომითმა საგმირო საქმეებმა შესანიშნავი ფურცლები ჩაწერა საბჭოთა სამშობლოს ისტორიაში“.[11]

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა ახალგაზრდობა წარმატებით აგრძელებს და ამდიდრებს ყამირული მოძრაობის სახელოვან ტრადიციებს. სამშობლომ, პარტიამ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ადამიანების, მათ შორის ახალგაზრდობის შრომით გმირობას ყამირის გატეხისა და ათვისებისათვის ბრძოლაში, რაც ერთხელ კიდევ გამოვლინდა მიმდინარე წელს — ყამირის ათვისების 25 წლისთავისა და სტუდენტური სამშენებლო რაზმების შექმნის 20 წლისთავის საიუბილეო წელს.

„ყამირზე მილიონობით საბჭოთა ადამიანი განაგრძობდა რევოლუციის გამოცდილების „კეთებას“. — აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით ლ. ი. ბრეჟნევი — და ახალ ისტორიულ პირობებში ამრავლებდა მის მონაპოვრებს, ქმნიდა განვითარებული სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის ცოცხალ გამოცდილებას“.[12]

ყაზახეთის უკიდეგანო ველებზე მრავალი თაობისა და ეროვნების ადამიანთა კოლექტიური გმირობის შედეგია ის დიდი შრომითი გამარჯვება, რომელიც წელს ყამირ მიწებზეა მოპოვებული. ყაზახეთის მშრომელებმა სამშობლოს ჩააბარეს 20.5 მილიონი ტონა, ანუ 1 მილიარდ 250 მილიონი ფუთი ყამირული პური. სიმბოლურია, რომ ეს გამარჯვება მოპოვებულია ყამირული ეპოპეის 25-ე წლისთავის საიუბილეო წელს, მასში განივთებულია ყამირის დამპყრობთა ყველა თაობის, მათ შორის ყამირის პირველმკვალავთა თავდადებული და გმირული შრომა თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით, რომელიც ყამირის ათვისების პირველ ხანებში ყაზახეთის რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას ედგა სათავეში.

ყაზახეთში აღებული პურის რეკორდული მოსავალი წარმატებით აგვირგვინებს ყამირი

და ნასვენი მიწების ათვისების დაწყებიდან განვლილ გზას და ყამირის ისტორიაში ახალი მიჯნებისათვის ბრძოლას უდებს სათავეს. ამ დიდ წარმატებაში ღირსეული წვლილი შეაქვს ლ. ი. ბრეჟნევის „ყამირს“, რადგან მასში ჩამოყალიბებული დასკვნები და დებულებები საბჭოთა ხალხის გულსა და გონებას დაეუფლა და არა მარტო ყამირის მხარის, არამედ მთელი საბჭოეთის გარდაქმნისა და აყვავებისათვის ბრძოლაში მძლავრ მატერიალურ ძალად იქცა.

მეათე ხუთწლედში უკვე მესამედ მიიღო ჩვენმა ქვეყანამ ყაზახეთის რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მილიარდ ფუთზე მეტი მარცვლეული. დიდი პურისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ყამირული ოლქების — კუსტანაის (229 მილიონი ფუთი პური), ცელინოგრადის (203 მილიონი ფუთი პური), კოკჩეტავის (142 მილიონი), თურგაის (118 მილიონი) ჩრდილო-ყაზახეთის (100 მილიონი) და სხვა ოლქების მშრომელებმა, რესპუბლიკის 17 ოლქმა გადაჭარბებით შეასრულა მარცვლეულის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სახელმწიფო გეგმები. როგორც ყოველთვის, ყამირული დიდი პურისათვის ბრძოლის ავანგარდში იდგა ახალგაზრდობა, რომელიც წარმატებით აგრძელებს პირველყამირელთა გმირულ ტრადიციებს. დამკვრელურ-კომკავშირულ ვახტზე „ყამირი გატეხილია — გმირობა გრძელდება“ თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა ნახევარ მილიონზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი, ანუ 14 ათასი კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივი, მათ შორის 244 სტუდენტური შრომითი მექანიზირებული რაზმი. მარცვლეულის აღების პერიოდში მოქმედებდა „კომკავშირული პროჟექტორის“ 7 ათასზე მეტი საგუშაგო.[13]

ყამირის გმირულ და რომანტიკულ ეპოპეაში საბჭოთა ახალგაზრდობის მონაწილეობის შესწავლა-გაშუქებას, მეყამირეთა თავდადებული შრომისა და პატრიოტიზმის სანიმუშო მაგალითების ჩვენებას და განზოგადებას არა მარტო თეორიულ-შემეცნებითი, არამედ დიდი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

„ჩვენ ვერავინ ვერ გაგვიგებს ახლა, — წერს ლ. ი. ბრეჟნევი, ვერ გაგვიგებს მომავალშიც, თუ ეს ეპოპეა მკაფიოდ არ აღიბეჭდა ისტორიისათვის... არ არსებობს უფრო საინტერესო და შთამაგონებელი ამოცანა, ვიდრე ის, რომ ასახონ ხალხის გმირობა, მათ შორის ყამირზე“.[14]

ყამირის თემას მიეძღვნა მრავალი მეცნიერული ნაშრომი, ლიტერატურისა და ხელოვნების არაერთი ნაწარმოები, რომელთაც მხატვრული და ემოციური ზემოქმედების დიდი ძალა აქვთ ახალი ადამიანის ფორმირების პროცესში.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ისტორიულმა გამოცდილებამ, ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ბევრი ახალი ფორმა, მეთოდი, საშუალება გამოავლინა, რომელთა ყოველმხრივ გამოყენება უდავოდ შეუწყობს ხელს მომავალი თაობების იდეურ ფორმირებას, სიტყვისა და საქმის ერთიანობის განხორციელებას, სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტებისა და თანმიმდევრული ინტერნაციონალისტების ჩამოყალიბებას.

ყამირი მილიონთა შრომითი, ზნეობრივი, პატრიოტულ-ინტერნაციონალური აღზრდის საერთო-სახალხო უნივერსიტეტია, სადაც კომუნიზმის მშენებელი, ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის საუკეთესო მორალური თვისებები ყალიბდება და იწრთობა.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის კრებაზე 1978 წლის 22 დეკემბერს: „ლ. ი. ბრეჟნევის ახალი წიგნის „ყამირის“ მნიშვნელობა მარტოოდენ მდიდარი შინაარსითა და სამეურნეო, სახელმწიფო და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის სრულყოფის შესახებ მოცემული საგულისხმო რეკომენდაციებით როდი ამოიწურება. მას ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი პარტიისა და მთელი ჩვენი საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივ-აღმზრდელობითი საქმიანობის დარგში“.[15]

1979 წელმა უდიდესი სიხარული მოუტანა საქართველოს კომკავშირს, ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს — ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის დროშაზე აკიაფდა მთავრობის უმაღლესი ჯილდო — დიდი ლენინის ორდენი. ჯილდოს გადაცემის დღეს, ამ ჭეშმარიტად ეროვნულ ზეიმზე ჩვენმა ახალგაზრდებმა კიდევ ერთხელ დასდეს ფიცი მშობლიური კომუნისტური პარტიის წინაშე, რომელსაც კიდევ ერთხელ აღუთქვეს, რომ ივლიან დიდი ბელადის ნაჩვე-

ნებით გზით, ლენინური ცენტრალური კომიტეტის ნაჩვენები გზით, შთაგონებულნი სამშვიდობო და ჰუმანისტური იდეებით, რომლითაც გამთბარი და განათებულია თანამედროვე მსოფლიოში მშვიდობის გამოჩენილი მედროშის ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები.

შენიშვნები:

I. იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წ. 26 აპრილის დადგენილება, თბილისი, 1978 წ. გვ. 5.

2. ლ. ი. ბრეჟნევი. „ყამირი“, თბილისი, 1978, გვ. 66.

3 Газ. «Комсомольская правда», 12 ноября, 1978.

4 ლ. ი. ბრეჟნევი, ყამირი, გვ. 56.

5 ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1979, № 1, გვ. 43.

6 გ. ხიჯაკაძე. ძმობის მტკიცე ხიდი. „კომუნისტი“, 1979 წ. 13 ნოემბერი.

7 ლ. ი. ბრეჟნევი, ყამირი, გვ. 57.

8 ლ. ი. ბრეჟნევი, ყამირი, გვ. 76.

9 ლ. ი. ბრეჟნევი, ყამირი, გვ. 75.

10 იხ. ვახტანგ ქარუმიძე, დავით ჯაბიძე. საქართველოს ახალგაზრდობის შრომითი მამაცობა ყამირზე, თბილისი, 1979.

11 ლ. ი. ბრეჟნევი, ლენინური კურსით. სიტყვები და სტატიები, ტ. I, თბ., 1971, გვ. 382.

12 ლ. ი. ბრეჟნევი, ყამირი, გვ. 6.

13 გაზ. „პრავდა“, 1979 წ. 5 ნოემბერი.

14 ლ. ი. ბრეჟნევი. ყამირი, გვ. 78-79.

15 გაზ. „კომუნისტი“, 1978 წლის 27 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიებანი

თეიმურაზ ბერიძე

ქალაქის შემოგარენში მდებარე სამეფო რეზიდენციათა ისტორიიდან

(ტაბახმელა, კოჟორი)

მიუხედავად იმ მრავალგზისი შემმუსვრელი შემოსევებისა, რომელსაც განიცდიდა ჩვენი ქვეყანა ასეული და ათასეული წლების მანძილზე, საქართველოში ადრე, შუა და გვიანი ფეოდალური ხანის საკულტო ნაგებობები მაინც მრავლადაა შემორჩენილი.

ამის ახსნა არცაა ძნელი. მტრის ნამუსრევის აღდგენა ხდებოდა მაშინვე, როგორც კი ამის საშუალება მიეცემოდა ერს. ქართველი ხალხი თავის საკურთხეველს, წმიდა სალოცავს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ეს იყო შეიძლება ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი რამაც შეგვინარჩუნა ეროვნული თვითმყოფადობა და აკი დღევანდლამდე მოგვატანინა თავი კიდეც.

ამავე ხანის (ფეოდალური) საერო დანიშნულების (ციხე-სიმაგრეების გარდა) ხუროთმოძღვრული ძეგლები კი სულ სხვა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. საისტორიო ლიტერატურაში თუ ნარატიულ ძეგლებში მოხსენიებული ბევრი და ბევრი სამეფო სახლი-სასახლე, ციხე-დარბაზი გამუდმებული ომებისაგან ისე გაპარტახებულა, რომ ბრძოლით მოქანცულ ერს მათი აღდგენისათვის აღარ თუ ვეღარ მოუცლია და ისინი სამუდამოდ დამარხულან.

XII საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის დასასრულამდე ქართველ მეფეებს თბილისის ხანახებში თითქმის ყოველთვის ჰქონდათ სასახლე — რეზიდენციები, სააგარაკო საზაფხულო სადგომი პალატები: — დიდუბე, ტაბახმელა, კოჟორი, ნაგები (რუსთავი), კრწანისი, სკორეთი (ვერე), დიღომი, სეიდაბადი, სონღალული, მარტყოფი...

სამწუხაროდ ზემოდჩამოთვლილი სასახლეთა შესახებ მეტისმეტად მწირი წერილობითი ცნობები მოგვეპოვება, აქვეა აღსანიშნავი, რომ ამათგან არცერთი ძეგლის ზუსტი ადგილმდებარეობა არაა ცნობილი.

მაგალითად — საისტორიო ლიტერატურიდან ვიცით მხოლოდ ის, რომ თამარ მეფემ დიდუბეში მდგარ სამეფო სასახლეში იქორწინა დავით სოსლანზე; ვიცით, რომ მეფე დიმიტრი თავდადებულის სიკვდილით დასჯის შემდეგ მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი დაოქსაქსა და დედოფალი კომნენოსთა ასული თავის ორ ვაჟიშვილთან — ლაშასთან და მანოველასთან ერთად წილხვდომილ მამულში სკორეთში დასახლდა; დიღომში დგახ გამაჰმადიანებულ ძმასთან დაუთ-ხანთან მებრძოლი ქართლის მეფე სიმონ I; კოჟორში მეფე როსტომი სამეფო სასახლეს აგებს; აქვეა კათალიკოზ ნიკოლოზ VI საზაფხულო სასახლე-სადგომი, კარის ეკლესიით და ა. შ.

ქალაქის შემოგარენში მდებარე, ზემოთ დასახელებულ სოფლებს შორის მეტ-ნაკლები სისრულით, ტაბახმელასა და კოჟორში არსებული სამეფო-სასახლეთა შესახებ ცნობებს ვხვდებით შუასაუკუნეების ქართველ მემატიანეთა თხზულებებში.

ტაბახმელა მდებარეობს თბილისის სამხრეთით, დაახლოებით 8-10 კილომეტრის მოშორებით.

თვით ადგილის სახელი ტაბახმელა ქართულ ძირიდან ტბიდან არის ნაწარმოები.[1]

პირველად ტაბახმელა ქართულ საისტორიო წყაროებში გვხვდება თამარ მეფის ისტორიკოსთან — „ისტორიანი და აზმანი შარავან-

დედთანის“ ავტორთან. ისტორიკოსი მხატვრული სახეების მოშველიებით აგვიწერს ტაბახმელაში თამარ მეფის მოლოგინების ამბავს „...მქურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა ტაბაკმელისა ბეთლემმყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა...“[2] ივ. ჯავახიშვილი გიორგი ლაშას დაბადების წლად ასახელებს 1192-1193 წლებს.[3]

მეორედ ტაბახმელასა ისევ თამარის ისტორიკოსთან ვხვდებით, ამჯერად შამქორის ომთან დაკავშირებით (1195 წ. 1/VII). ქართველებმა დავით სოსლანის მხედართმთავრობით აღნიშნულ ბრძოლაში გაიმარჯვეს. ეს სასიხარულო ამბავი ტაბახმელაში მყოფ თამარ მეფეს ჰიაბერ მანდატურთუხუცესმა ამცნო — „...და მოვიდა ტაბაკმელასა და ჰკადრა თამარს საქმე აღსავსე სიქარულითა გამოუთქმელითა“.[4] და ბოლოს, იგივე მთხრობელის მიხედვით თამარ მეფე ტაბახმელას გარდაიცვალა“ „...და მიიცვალა მეფე თამარ ქმელსა დგომასა შინა“.[5]

თამარ მეფის მემატიანეს თხზულებიდან დამოწმებული ადგილები იმის უტყუარი დასაბუთებაა, რომ ამ დროს XII-XIII ს. ტაბახმელაში ქართველ მეფეთა სადგომი-სასახლეა.

ლაშა გიორგის გარდაცვალების (1222 წ.) შემდეგ, საქართველოს თავს დაატყდა დიდი უბედურება, ჯერ ხორეზმის სულტან ჯალალ ედ-დინის მოთავეობით ღვარცოფად მოედო მისი ჯარი, ხოლო შემდეგ კი მონღოლები იპყრობენ საქართველოს...

მეფე რუსუდანი გარდაიცვალა 1245 წელს. აქედან მოყოლებული 1249 წლამდე საქართველოში უმეფობის ხანაა. უმეფობის ჟამს აირია ქვეყანა, თვითეული მთავარი ცდილობდა დამოუკიდებლობისათვის მიეღწია და თავისად დაეჭირა საგამგებლო მხარე. უმეფობას მოსდევს ორმეფობის ხანა — მეფობენ დავით ულუ ლაშას ძე და დავით ნარინი რუსუდანის ძე. როგორც ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, დავით ულუ ლაშას ძე ყაენის კარზე დიდი პატივით სარგებლობდა. დავით ულუმ ბათო ყაენის კარზე ყოფნისას ყაენს რამდენიმე „თემი“ გამოსთხოვა და მათ შორის კახეთიც, რომელიც თორღუა პანკელს ეპყრა, მაგრამ „ჰგონა თორღუამან არღარა მოსვლა მეფისა, უკუდგა პანკისსა ციხეს, და თჳსად დაიჭირა კახეთი, და არღარა მორჩილდებოდა დედოფალსა და მესტუმრე ჯიქურსა“.[6]

ურდოდან დაბრუნებულ ჰერეთზე წამოსულ მეფე დავით ულუს თორღუას პანკელი არ შეეგება. მეფე დავითმა რამდენჯერმე მოუწოდა თორღუას მის კარზედ მისასვლელად, მაგრამ ის შიშით შეპყრობილი თავის ციხეს არ სტოვებდა. მაშინ ჯიქურის შთაგონებით ხორნაბუჯელმა მოტყუებით წამოიყვანა თორღუა „...ფიცთა მტკიცეთა მიერ შეკრულმან, ტაბაკმელას, და შეურაცხ-ჰყო აღთქმა და ფიცი იგი, და შეიპყრა ჯიქურმან, განზრახვითა დედოფლისათა, თჳნიერ მეფისა ცნობისა, და წარიყვანეს კლდე-კართა, და გარდმოაგდეს“.[7]

აქ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება, მთხრობელი ურდოდან წამოსულ დავით მეფეზე გადმოგვცემს, რომ „ხოლო მეფე მოიწია ტფილისს, და იყო სიხარული ყოველთა მკჳდრთა საქართველოსათა, ხოლო თორღუას მოუწოდა მეფემან, და არა მოვიდა კარვად მეფისა შიშისათჳს“. დამოწმებულ ადგილიდან ისე ჩანს, რომ მეფე თბილისში შეჩერებულა და აქედან მოუთხოვია განდგომილ თორღუას სიკვდილით დასჯა, ხოლო ხორნაბუჯელს თორღუა პანკელი ტაბახმელას მიუყვანია, სადაც ის მესტუმრე ჯიქურს შეუპყრია.

იგივე ამბის თხრობისას ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, რომ „ხოლო სცნა რა მეფემან, მრავალგზის მოუწოდა თორღუისა, არამედ მან არა ინება გამოსვლა, ამისთჳს ჯიქურმან წარავლინა ხორნაბუჯელი; ამან წინაშე ალავერდის წმინდის გიორგის აღუთქვა ფიცით და მოიყვანა ტაბაკმელას წინაშე მეფისა“.[8] დამოწმებული ადგილი იმით არის საინტერესო, რომ თუ ჟამთააღმწერელით მეფე დავით ულუ თბილისში დგას, ვახუშტის მიხედვით ტაბახმელასაა.

1289 წელია. ხუტლუბუღას შთაგონებით ყაენი მეფე დიმიტრი თავდადებულს სიკვდილითა სჯის. მეფე დიმიტრის მრავალრიცხოვანი ოჯახი დაიქსაქსა. ხუტლუბუღამ ყაენთან შეთანხმებით აფხაზეთიდან (დასავლეთ საქართველო), ქუთაისიდან აფხაზთა მეფის დავით ნარინის ძე ვახტანგ II გადმოიყვანა და საქართველოს ერთიან მეფედ დასვა, რომელიც სამი წლის შემდეგ ავადმყოფობით გარდაიცვალა. შემდეგ ამისა, ურდოში მყოფი დიმიტრი თავდადებულის ძე დავით VIII გამეფდა. „ვინათგან დასდევ თავი შენი მსახურებად ჩემთჳს, და სდგახარ ერთგულობასა ჩემსა ზედა, მომიცემია მეფობა და სამეფო შენი ყოველი“. აი, ამ სიტყვებით წარმოგზავნა ყაენმა დავით მეფე თბილისს.

სიკვდილით დასჯის შიშით მეფე დავითმა უარი თქვა ურდოში ყაზან ყაენთან ერთ-ერთ მორიგ ხლებაზე... ურდოში კი ერთმანეთს გვირგვინს ეცილებოდნენ ყაზან ყაენი და თოხთამიში. საქართველოს მეფე დავითი ამ უკანასკნელს უჭერდა მხარს. ხსენებულ ორთაბრძოლაში ყაზანმა გაიმარჯვა, რამაც განაპირობა ის, რომ ყაენმა საქართველოს მეფობა მცირეწლოვან გიორგი V (შემდეგში ბრწყინვალედ წოდებული) მისცა. (1299 წელი).

უკვე ვთქვით, ურდოში წასვლაზე უარის მთქმელ დავით მეფის დასჯის მიზნით საქართველოში ხუტლუბუღას მოთავეობით რამდენიმე შემმუსვრელი ლაშქრობა ეწყობა. დავითი VIII მთიანეთსაა შეფარებული. შიდა

აშლილობით ისარგებლა დავითის ძმამ ვახტანგმა, ურდოს ეწვია და ამით თავის ძმას ხაქართველოს მეფის ტახტიც წარსტაცა.

მთიულეთიდან ჩამოდის დავით მეფე და „ყივჩაყთ“ თბილისთან შეება. ამ დროს მეფე ვახტანგ-III დიმიტრის ძე ტაბახმელას მდგარა — „ესმა ესე ვახტანგს ტაბაქმელას მდგომსა, მივიდა მცირითა კაცითა, განვლო ქიდი და სახიუდაბელი, და განვიდა მახათას, რამეთუ დავით და ლაშქარი მისი მახათას დგეს, თავსა ქედისასა“.9 გადმოგვცემს ჟამთააღმწერელი.

ამის შემდეგ გამოსდა მცირეოდენი ჟამი და ტაბახმელას ისევ ვხვდებით, საისტორიო თხზულებებში, უკვე XVI საუკუნეა.

ლუარსაბის ძეს მეფე სიმონ I განუდგა ძმა მისი დავით „გათათრდა და უწოდეს დაუთხანა“. ყიზილბაშებმა ქვეყნის ღალატი დაუფასეს და ქართლის სამეფო ტახტი მას მისცეს. დაუთხანმა თბილისი აიღო და იქ დაჯდა. თბილისში ჩაკეტილ დაუთხანს მოსვენებას არ აძლევდა დიდომში მდგარი სიმონ მეფის შიში, ამიტომ მან მაშველი ჯარი ითხოვა ხელმწიფისაგან, და უსეინ ბეგი გამოეშურა მის საშველად. მაშველი ჯარის მოსვლის შემდეგ სიმონ მეფე გაეცალა თბილისს „და ავიდა ტაბაქმელასა“. სიმონ მეფის ამ მოქმედებამ დაუთხანი „განლაღდა, და განვიდა ბრძოლად. და ეწყუნეს ურთიერთას ტაბაქმელას“.10 მოგვითხრობს, ბერი ეგნატაშვილი. ვახუშტი ბატონიშვილი ბრძოლის ადგილად სამადლოს ასახელებს. „და ეუწყნენ სამადლოსა ზედა ურთიერთს“.11

აღნიშნულ ბრძოლაში სიმონ მეფემ გაიმარჯვა, რის შემდეგაც ის მიდის ტაბახმელას. „მოვიდა მეფე და დადგა კუალად. ტაბაქმელას, ვინაითგან მუნვე ტფილისს შეიხუეწა დაუთხან“.12

ეს მოხდა 1568 წელს.

ტაბახმელაში ქართლის მეფეთა დგომის ფაქტს კიდევ ვხვდებით XVI-XVIII სს-ში.

1582 წელია, მეფე სიმონ I თურქებს ლორეს ციხე წაართვა. ამის შემდეგ მეფე „...ხანსა რაოდენსამე უკანა გამოვიდა და დადგა ტაბაქმელასა“.13

1785 წელს რუსეთში ელჩად წარგზავნილ გარსევან ჭავჭავაძის მიერ მეფე ერეკლე მეორისადმი მოწერილ წერილიდან ვიგებთ, რომ ქართლ-კახეთის მეფეს ტაბახმელაში ყოფნისას ლეკთა ჯარი დასხმია თავს. „უმაღლესო და უკეთილ მსახურესო ხელმწიფეო უმდაბლეს მოხსენება.

თქვენი სიმაღლისაგან მარტსა და აპრილში მოწერილი წიგნები აპრილსა და მაისში ერთმანეთზედ მოგვივიდა რომელმაც მწუხარება და სიხარული ორივ მოგვბერა, რადგანაც თქვენი სიმაღლე მცირითა ოდენ მჯედრობათა ტაბაქმელას ბძანებულა და იქ უეცრად ლეკის ჯარი მოხდომია“...

იმის თქმა, რომ XVI-XVIII სს ტაბახმელაში მყოფი ქართლის მეფენი აქ არსებულ სასახლეში დგანან, თუ უბრალოდ დაიბანაკებდნენ ხოლმე ბრძოლის წინ ამხანად ჭირს.

XVI საუკუნიდან ტაბახმელა სოლაღაშვილების მამულია. 1581 წელს მეფე სიმონ პირველი (1558-1600) თავად სოლაღაშვილის ყაფარის შვილებს აძლევს წყალობის წიგნს, რის მიხედვითაც სხვა მამულთან ერთად მათ ტაბახმელაში სამი კომლი გლეხი ებოძათ: „ჩვენ ღ'თვ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან სვიმონ ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ... სოლაღაშვილის ყაფარის შვილთა იოვანეს, მერაბს და დავითს მას ჟამსა ოდეს წყალობა გიყავით და გიბოძეთ სამართლიანი თქვენი წილი მამული ქალაქის პირშია და ტაბახმელას კუმლი სამი ოხერი...“14

1619 წელს მეფე სიმონ II და დედოფალი ანა სოლაღაშვილ შიოშს და მის შთამომავლობას უწყალობებს ტაბახმელას ყმა-გლეხებს და მამულს.15 სოფელი ტაბახმელა თანდათან თავად სოლაღაშვილების ხელში გადადის, თუმცა აქ მეფის ოჯახიც ფლობს ყმა-გლეხებს.

1721 წელს მოწყობილ აღწერის მიხედვით, ტაბახმელაში დედოფლის ყმა-გლეხის გარდა, სახლობს ზურაბ, გიორგი, ასლამაზ და ავთანდილ სოლაღაშვილების ყმა-გლეხები.

აღსანიშნავია, რომ 1721 წელს შედგენილ ნუსხაში მოხსენიებული ასლამაზ სოლაღაშვილი უძეოდ ამოვარდნილა და მისი ყმა-მამული 1737 წელს ქაიხოსრო სარდალს (ორბელიანი) უბოძეს: „ჩვენი ბრძანება არის სარდალი ქაიხოსრო მერმე უშვილო სოლაღაშვილი ასლამაზის წილი მამული ან ტაბახმელას... რაც არის ყველა იმისი წილი შენთვის წყალობა გვიქნია, შენ დაიჭირე სხვას ხელი არავის აქვს. დაიწერა იანვრის, დ. ქ'კს უკვე“.16

ამ სიგელს 1745 წელს ქაიხოსრო ორბელიანს განუახლებს ქართლის მეფე თეიმურაზი.17

1781 წლის აღწერის მიხედვით სოფელ ტაბახმელაში 25 კომლი ყმა-გლეხი სახლობს.18

1796 წელს შედგენილ დოკუმენტის მიხედვით დასაბეგრ სოფელთა შორის ტაბახმელაც არის მოხსენიებული.

„ქ'კს უპდ იანვარს, კვ. ქალაქის ნაპირის სოფლებს შეშა შესწერდა და ეს იმისი პირია რომ ვინც ისაულათ წავიდნენ ისინიც აქა სწერიან... ვ. ქ. ტაბახმელა ურემი“.19 ე. ი. ტაბახმელას უნდა გამოეღო 6 ურემი შეშა.

1797-1799 წლებში იოანე ბატონიშვილის მიერ მოწყობილ სოფელთა აღწერის ნუსხაში შეტანილია სოფელი ტაბახმელა „ქ. ტაბახმელა მოსახლე“.20

1800 წლის საბუთით — ნასყიდობის წიგ-

ნით ტაბახმელის მერვედი თავისი საუფროსოთი მანუჩარ სოლაღაშვილს ორბელიანებისათვის მიუყიდია.[21]

1804 წელს ჩატარებულ ქალაქ თბილისსა და მისი უეზდის კამერალური აღწერილობის მიხედვით სოფელ ტაბახმელაში ცხოვრობდა სარდალ თავად ივანე ორბელიანის ქართველი 30 და სომეხი 9 კომლი ყმა-გლეხი, სახაზინო ქართველი 2 კომლი, ბატონიშვილი ვახტანგის ქართველი 6 კომლი, აზნაურიშვილი როსტომ დურმიშახნოვის 1 კომლი გლეხი, სულ 48 კომლი,[22] ისე რომ იმ დროის კვალობაზე ტაბახმელა მოზრდილი სოფელი ყოფილა.

აი, რას წარმოადგენდა გვიანი შუასაუკუნეების სოფელი ტაბახმელა. XVI საუკუნეში ქართლის მეფეემ ჯერ თავად სოლაღაშვილს უწყალობა, ხოლო როგორც აღწერათა ნუსხებიდან ირკვევა სოფელი ტაბახმელა ორბელიანებს ჩაუგდიათ ხელში, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამგვარად, როგორც ვნახეთ ადრეული ხანის ცნობებით, თამარ მეფის ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის მიხედვით XII-XIV საუკუნეებში, ტაბახმელაში საქართველოს მეფეთა სასახლე მდგარა.

ჩვენს ხელთ არსებული, შემდეგი დროის XVI-XVIII სს სიგელ-გუჯრებით ტაბახმელა სათავადო სოფელია. ასევე აღსანიშნავია, რომ აწინდელი სოფელ ტაბახმელას ტერიტორიაზე მოპოვებულია მხოლოდ XVII ს. ოსმანიდების მუსტაფა II (1694-7695 წწ) ვერცხლის მონეტების დიდი განძი.[23] ტაბახმელაში გვიანი შუასაუკუნეების ორი ეკლესიის ნანგრევია შემორჩენილი, ერთი მათგანი კვირაცხოვლობის სახელობისა, სოფლის სასაფლაოზე დგას, ხოლო მეორე კი სოფლის გარეთ, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთითაა, ნაგებია ფლეთილი ქვითა და აგურით.

ტაბახმელაში სად უნდა ყოფილიყო მეფის სასახლე-დარბაზი?

ტაბახმელასთან ახლოს შავნაბადას მხარეს არის ტოპონიმი — ნადარბაზევი. აქვეა ადგილი სახატეს სახელით (ხატის თელეთი). სამწუხაროდ ჩვენ ჯერჯერობით სანამ აქ არ ჩატარდება გათხრითი საველე-კვლევითი სამუშაოები გადაწყვეტილად ვერაფერს ვიტყვით. ნადარბაზევის შესახებ ნიკო ბერძენიშვილი ასე წერს: „ნადარბაზევი შესანიშნავი ადგილია, საავარაკო (და ყველა ეს ადგილები საავარაკოა) ტერიტორიულად ეს ნადარბაზევი ტაბახმელაში შედის. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თამარის ტაბახმელა აქ ყოფილიყო. უკეთ, თამარის სასახლე აქ ყოფილიყო.[24] ტაბახმელა, რომელიც ადრე (XII-XIV) საქართველოს მეფეთა საავარაკო ადგილი იყო, შემდეგში, როგორც ბევრი სამეფო რეზიდენცია, მოშლილა მაგრამ ტაბახმელა, კარგი გეოგრაფიული მდებარეობის გამო თავის მნიშვნელობას არ კარგავს, ის ქალაქის მისადგომებთან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტია. ტაბახმელა იდო და ზედამხედველობას უწევდა სამხრეთიდან (სპარსეთი, სომხეთი) თბილისისაკენ მომავალ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ გზას, რომელიც მიუყვებოდა წავკისის ხევს და თაბორის მთაზე გადმოვლით მოადგებოდა თბილისის კარს „განჯისას“, რაზეც მიგვანიშნებს ძველ სეიდაბადში (ხარფუხში) დღესაც არსებული ტაბახმელას სახელწოდების ქუჩა.

თანამედროვე ტაბახმელას ადგილზე ადრეულ ხანაში (X-XIII) ამავე სახელწოდების მქონე დასახლებული პუნქტის არსებობის საკითხი ეჭვის ქვეშ ადრევე ნიკო ბერძენიშვილმა დააყენა. მეცნიერი ამასთან დაკავშირებით ასე სვამდა კითხვას „თუმცა საკითხავია, ძველად ტაბახმელა იქვე იყო, სადაც დღეს არის, თუ ამ სახელით სხვა ადგილი აქვე სადმე იწოდებოდა?“[25]

უკვე ვთქვით, რომ თამარ მეფის გარდაცვალების ადგილად „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი ტაბახმელას ასახელებს „მიიცვალა მეფე თამარ ჴმელსა დგომსა შინა“.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძვარი, თამარ მეფის გარდაცვალების ადგილის სხვა სახელს გვთავაზობს. ნაჭარმაგევს მყოფ თამარ მეფეს განუკურნებელი სენი შეეყარა „და აქა საბრალობელ მიჩნს დიდად ერთგულნი იგი კაცნი, თუ ვითარ უგულებელს ყვეს ეგოდენი ტკივნეულობა მისი. რამეთუ წარმოიყვანეს კუბოთა ტფილისს, და შემდგომად მცირედთა დღეთა ენებათ ჩუეულებისაებრ, რათა დასოს განვიდენ. ისწრაფდეს და მუნ წარიყვანეს კუბოთავე და დიდად გაძნელდა სენი იგი უწყალო და კუალად წარმოიყვანეს აგარათა ციხესა“.[26]

დამოწმებული ადგილიდან ვიგებთ, რომ დასნეულებული თამარ მეფე ტახტრევნით ჯერ თბილისში ჩამოჰყავთ, რამდენიმე დღის შემდეგ აქედან ჩვეულებისამებრ დასოს გაუყვანიათ (აქ დასოც მეფის დასასვენებელ ადგილადა ჩანს), ავადმყოფობის გართულების გამო მეფე ტახტრევანით აგარათა ციხეში მიყავთ, სადაც რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც.

ისტორიკოსის გადმოცემით თამარ მეფე აგარათა ციხის „სასუენებელ პალატაშია“, ე. ი. აქაა მეფის მოსასვენებელი სადგომი პალატი-დარბაზი, სადაც იწვევს „ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თჳსისათა წინაშე მისსა“. ვეზირებს — სახელმწიფოს მაღალ მოხელეებს, დიდებულებს და მათ წინაშე წარმოსთქვამს მეფურ სიტყვას. მეფური სიტყვის მოსმენის შემდეგ, რომელიც ეხებოდა სამეფო ტახტის მემკვიდრის საკითხს, დიდებულები „განვიდეს ყოველნი მწარედ მტირალნი. და თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა თუესა იანვრსა ი'ჱ“.[27]

თამარ მეფის გარდაცვალების ადგილის სახელად აგარათს ასახელებს ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეც. „მეფობასა შინა დაყო ოცდასამი წელიწადი და აღვიდა წინაშე ღმრთისა, სადა იგი მკჳდრობენ წინასწარმეტყველნი და მამათ-მთავარნი და მეფენი, თუესა იანვარსა თორმეტსა, დღესა ოთხშაბათსა, აგარათა სომხითისათა..“[28]

ამგვარად, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით თამარ მეფე გარდაიცვალა ქმელს (ტაბახმელას), ხოლო ბასილ ეზოსმოძღვარისა და ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის მიხედვით აგარათას ციხეში, ანდა აგარათს, რაც იმის უფლებას გვაძლევს, რომ ვარაუდის სახით გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ამ ორი სხვადასხვა ტაბახმელა-ქმელი, აგარათა სახელის ქვეშ ვიგულისხმოთ ერთი ადგილი.

ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი ასეთ მოსაზრებას გამოსთქვამს: „თამარ მეფე გარდაიცვალა სომხითში, აგარათა ციხეში (ანუ „აგარათა სომხითისათა“), რომელსაც იმ დროს, ჩანს ტაბაკმელაც ეწოდებოდა“.[29]

პირველად სიტყვა აგარათს ქართულ საისტორიო ლიტერატურაში ვხვდებით XI საუკუნის 60-იან წლებში.

საქართველოში ლაშქრობის შემდეგ შინ მიმავალმა თურქმა სულტანმა ალფარსლანმა თბილისი და რუსთავი განძის ამირას ფადლონს მისცა. ამგვარად, თბილისის საამირო ფადლონის ხელში აღმოჩნდა.

მეფე ბაგრატ IV ქართლში გამოსული ფადლონის მარბიელ ჯარს წიღკანთან წამოეწია და სასტიკად დაამარცხა. მეფემ თბილისი ღმანელ სითილ-არაბს უწყალობა, ხოლო „თავისად აღიხუნა ციხენი რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლ-წმინდანი, ქავაზინი“.[30]

დამოწმებული ადგილიდან ჩანს. რომ ქვემო-ქართლში, სომხითში მდებარე ზემოთ ჩამოთვლილი ციხეები ამიერიდან ქართველ მეფეს უჭირავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თბილისის ამირას ხელისუფლება პოლიტიკურად ეცემა და მცირდება, ხოლო მეფის ხელისუფლება კი შესაბამისად იზრდება და ძლიერდება.

მეფე ბაგრატ IV მიერ შეწყნარებული, ერთგულებაზე დაფიცებული განძის ამირა ფადლონი ფიცს ტეხს და ისევ სულთანის ხელშეწყობით „მოიპარა ქავაზინი, და შემდგომად მისსა მეფე აფხაზეთს იყო, მოვიდა ფადლონ და მოადგა აგარათა; და მისცნა ციხისთავმან აგარანი. და მსწრაფლ აღმოვიდა მეფე, მოვიდა და მოადგა აგარათა. და წარიხუნა აგარანი“.[31] აგარათა ციხეს ფადლონი ციხისთავის დახმარებით იღებს. სხვანაირად ეტყობა გაუჭირდებოდა ციხის აღება. აფხაზეთს მყოფი მეფე მტრის მიერ მიტაცებული ქავაზინის ციხის ასაღებად კი არ მიეშურება, არამედ იგი პირველ რიგში ცდილობს ფადლონს აგარათა ციხე წაართვას (რასაც ბაგრატ IV აკეთებს კიდეც), რაც კიდევ ერთხელ ლაპარაკობს ციხის მნიშვნელობაზე.

დიდი თურქობის ჟამს აგარანი მტრის ხელთაა.

1118 წელს დავით აღმაშენებელი ლორის ციხის შემდეგ აგარანის ციხეს იპყრობს.[32]

მეფე გიორგი II-ს აუჯანყდა ბიძაშვილი დავითის ძე დემნა უფლისწული. აჯანყებულ უფლისწულს ორბელები და სხვა ქართველი დიდგვაროვანებიც მიემხრნენ. მეფემ აჯანყებულებს შეუტია, ეს უკანასკნელნი კი იძულებულნი იყვნენ ლორეს ციხეში გამაგრებულიყვნენ, გიორგი II კი „მომრბეველმან ტაშირისა და ლორის კართამან დაიბანაკა აგარათა“.[33] და ა. შ.

აგარათა რომ მეფის სადგომია, მშვენივრად ჩანს მემატიანეს კიდევ ერთი მონათხრობიდან. აბუბაქრის დასჯის მიზნით, რომლის შეჩენითაც მეფის ყმადნაფიცი განძის ამირა მოწამლეს, ქართველთა დამსჯელი ჯარი ორ ნაწილად გაიყო, ერთსა, განძის მხარეს წასულს დავით სოსლანი მეთაურობდა, ხოლო მეორე ნაწილს კი თვით თამარ მეფე, რომელმაც დვინამდე ჩააღწია კიდეც, აქედან მობრუნებული მეფე აგარათს გაჩერდა. „შეიყარა მეფე სპითა იმიერთა და ამიერთათა ქუეყანასა განძისასა, და თამარ ჩავიდა დვინამდი, წინაშე მოვიდა შარვანშა სამსახურად, და გაგზავნა ლაშქარი, შემოქცეული დადგა აგარათა მორჭმითა და სუფევითა“.[34]

აგარათის (ციხის) ზუსტ მინიშნებაში გვეხმარება ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე. მთხრობელი გადმოგვცემს ლაშა-გიორგის დროს მონღოლთა შემოსევის ამბავს „შეიყარა სამეფო მისი და მოირთნა კარნუ-ქალაქისა ლაშქარნი, დადგა ლომთაგორსა და აგარათა შუა და ვიდრე ზედამისვლამდე გაექცნეს დ გარდაიხუეწნეს, განვლეს დარუბანდის გზა“.[35]

ლომთა-გორის ადგილმდებარეობა დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს. იგი ამჟამინდელ მარნეულს ეწოდებოდა „მარნეულს არს ნაციხვარი, მის გამო იწოდა ძუელადვე ლომთა-გორა“,[36] გვამცნობს ვახუშტი.

ნ. ბერძენიშვილი ლაშა-გიორგის მემატიანეს მონათხრობის შემდეგ აკეთებს დასკვნას, რომ „აგარანი თბილისის დასამხარეზეა და მის ახლოსაა. ის თბილისის კარებს (ერთს ან რამოდენიმეს) უშუალოდ უმიზნებს, აგარათა ციხესა და თბილისს შორის სხვა რამ ციხესიმაგრე საგულვებელი არაა, არც აუცილებლად საგულვებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგარანს ლომთა-გორას სამხრეთით ვიგულისხმებდით. ასე, რომ ეს მოსაზრება გვავალებს აგარათა ციხეში აწინდელი კოჟრის ციხე დავინახოთ. ამის შემდეგ მონღოლთა წინააღმდეგ გამოსული ლაშა-გიორგის ლაშქარი ბუნებრივად წარმოგვიდგება დაბანაკებული კოჟორ-ვაშლოვან-მარაბდა-მარნეულის ხაზზე".[37]

ისევ თამარ მეფის ისტორიკოსთან ვხვდებით „აგარათა ჭალას". გიორგი რუხის მოთავეობით თამარის მოწინააღმდეგე ქართველ დიდებულთა დამარცხების შემდეგ თამარ მეფე „შემოქცეული დგა ჭალასა აგარათასა. მონადირე და მონადიმე, მხიარული და შემწყალებელი ერთგულთა და საკუთართა მისთა".[38]

შამქორის ბრძოლის წინ თამარ მეფის კარს დახმარების სათხოვნელად მოდის ყმადნაფიცი შარვანშა და მისი სიძე ამირმირმანი. მათ წინააღმდეგ აბუბექრია გამოსული.

შეიკრიბა ქართველთა მაშველი ჯარი „დასოთა შინა", ხოლო თვით მეფენი თამარი და დავით სოსლანი" დადგეს ქელმწიფენი სუესრულნი და ღმრთივ-აღმობრწყინვებულნი ჭალასა აგარათსა... და შეიყარნეს ზარითა მით გონებისა ზარგანქდილითა, და შეიქმნა დარბაზობა. და დასხდეს ტახტსა ზედა ოქრო-ჭედილსა თჳთ თამარ, დავით და ძე მათი გიორგი".[39]

შარვანშა და ამირ-მირმანი სანამ აგარათს მყოფ თამარ მეფეს ეახლებოდნენ, ჯერ თბილისში შემოსულან, ხოლო შემდეგ კი აქედან აგარათს წასულან. თბილისიდან გასულთ საქართველოს ყოველი კუთხიდან გამოსული ჯარი ეგებებოდა მათ. თამარ მეფის ისტორიკოსებისა და ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანეთა მონათხრობიდან, როგორც ვნახეთ აუცილებლად ჩანდა, რომ აგარანი თუ აგარათა ციხე თბილისიდან სამხრეთით მდებარეობდა, ისე რომ შესაბამისად „აგარათა ჭალაც", აქვე უნდა ვეძიოთ.[40]

„ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანის" თხზულებაში აგარათასთან ვხვდებით სიტყვა დასოს. გავიხსენოთ დასნეულებული თამარ მეფე დასოდან მიყავთ აგარათა ციხეს. დასო ხშირი ტყეა, ბაღნარი, სადაც მეფენი ზაფხულობით ჩერდებოდნენ ხოლმე. „ეს დასო იყო მაღნარი მთაში და მოვალე ვიქნებით — ამბობს ნ. ბერძენიშვილი — დავასკვნათ, რომ თბილისის დასო საგულვებელია აწინდელი კოჟრის ციხის სამხრეთ-დასავლეთით.

ასეთ ადგილად ჩვენ კაბენი გვეჩვენება. ამას გვაფიქრებინებს მისი მდებარეობა და ბუნებრივი თვისებები. აქვეა თამარის ეკლესია, შეიძლება სწორედ ამისვე მოწმობა იყოს".[41]

ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ აგარანი თუ აგარათა კრებითი სახელია, ამ აგარებს აქვთ თავიანთი ციხე-აგარათა. საინტერესოა, თუ როგორ შემოიფარგლებოდა აგარაები-აგარათა. ვახუშტი ბატონიშვილი გარდაბნისა და გაჩიანის საერისთაოს აღწერისას ამბობს, რომ „რამეთუ გარდაბანი არს საზღვრითა, აღმოსავლეთით მტკუარი და, ხუნანის გამართებით, ბერდუჯის აღმოსავლეთით მცირე მთა; სამხრით შულავერისა და ბოლნისის გორაები; ტაგნაგეთამდე; დასავლეთ ქევი ასურეთისა, წინწყაროს გამომართებით ნაქიდურამდე და ბოლნისის მცირეს მთამდე. იწოდების ქართლოსის ძის გარდაბანის გამო, რომელსა მისცა დედამან თჳსმან ხუნანი და ესენი, და მან უწოდა სახელი თჳსი. ამასვე უწოდეს შემდგომად აგარანი".[42]

მაშასადამე, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით ძველ გარდაბანს შემდგომად აგარანი შერქმევია, და როგორც ვნახეთ საკმაოდ დიდი ფართობიც კავებია. მეცნიერის ამ მოსაზრებას არ იზიარებს ნ. ბერძენიშვილი, და ამასთან დაკავშირებით ამბობს — „სახელი „აგარანი" ერთის მხრით ეწოდებოდა აქ დაბასა (უფრო დაბებს), ხოლო მეორეს მხრივ ამ დაბის (დაბათა) ციხეს... ამიტომ უფრო ბუნებრივად გვეჩვენება, რომ ეს იყოს თბილისის აგარაები".[43] — მოგვიანებით აგარაები, რომლის ქვეშაც რამდენიმე აგარა იგულისხმებოდა კარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას და მასში შემავალი თვითეული პუნქტი საისტორიო წყაროებში თავთავისი — საკუთარი სახელითა გვხვდება, როგორიცაა — შინდისი, ტაბახმელა, კოჟორი, წავკისი და სხვ. ხოლო სიტყვა აგარანს სცვლის სიტყვა ქალაქისპირა სოფლები.[44]

წყაროებში კოჟორი, როგორც დაბა პირველად XIV საუკუნეში შემდგარი, კერძოდ 1338 წლის წყალობის სიგელში გვხვდება, გაცემული გიორგი ბრწყინვალის მიერ ივანე თორელ-ჯავახიშვილისადმი „...დაგუაჭერა ღმერთმან და... ვინებეთ თორელისა ჯავახიშვილისა ივანესი და კოჟორისა ძირისა მონასტერი ათენაგუენი სამკუიდროდ (მიუბოძოთ) და შეუცვალებლად.

და გქონდეს შენ, თო(რელ) ივანესა კოჟრისა ძირსა მონასტერი ათენაგუენი... (და) ყოველთავე მომავლითა მისითა, მიმდგომითა... ველითა, ვენაქითა, ტყითა, წყლითა, წისქუილითა... სანადიროთა და ყოვლითა სამართლიანითა მ(ძღვრი)თა და თავისუფლად.

და არავინ გუიბრძანებია მშლელი ბძანებულისა ამის ჩუენისა, არცა მეუნებლე, მავნებელი ამისი. აწ ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი (შემდგომად) ჩუენისა: მეფეთა, ანუ დედოფალთა, ერისთავთა — ე(რისთავთა), ტფილისისა ამირათ-ამირათა, კოჟრისა დაბი(სა)... და მოურავთა, ყოველივე დაუმტკიცე"...[45] კოჟორზე ხელი მიუწვდებოდა თბილისის ამირთ-ამირას. რასაკვირველია ჩვენს ხელთ არსებული XIV საუკ. ძეგლით იმის მტკიცება, რომ დაბა სახელით კოჟორი აღნიშნულ საუკუნეში გაჩნდა მიუღებელია. ადვილად დასაშვებია, რომ ადგილი კოჟორის სახელით ადრეც არსებობდა.

კოჟრის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვცემს „კიკეთს ქუეით, ქევხა შინა, არს მონასტერი კაბენისა. უოფილ არს დედათა, გუმბათიანი, შუენიერი, აწ არს ხუცის სამარ. აღაშენა მეფემან თამარ. სამხრით, მას ზემორ, არს ციხე აზეულასი და აწ კოჟრისა, თხემსა ზედა კლდისასა“.46 როგორც ვნახეთ, ვახუშტის მიხედვით კოჟრის ციხეს უწინ აზეულა რქმევია. ნ. ბერძენიშვილი ამასთან დაკავშირებით ამბობს, რომ „ჩვენ ასეთი საგეოგრაფიო სახელი არ შეგვხვედრია. უნდა ვიფიქროთ: ვახუშტას ჰქონდა საკმაო საბუთი აზეულას არსებობის შესახებ ძველად. მხოლოდ მის ლოკალიზაციაში (აზეულა-კოჟორი) ცდებოდა“.47

აღსანიშნავია, რომ კოჟორი ადგილის სახელად კოჭორი ფორმითაც გვხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადრეული ხანის ძეგლებში კოჟორი გვაქვს და არა კოჭორი ფორმა. მ. გეგეშიძე, რომელმაც საგანგებო წერილი მიუძღვნა კოჭრის ეტიმოლოგიის დადგენის საკითხს, ვარაუდობს, რომ კოჭორი უფრო ადრეული ფორმაა, ვიდრე კოჟორი. მკვლევარის აზრით სიტყვა ორნაწილადია, ორი სიტყვის ნაზავს წარმოადგენს. სიტყვის მეორე ნაწილი „ჭორი“ სემანტიკურად ჭვართან არის დაკავშირებული, ხოლო სიტყვის პირველი ნაწილი კო-რკო, კრკომუხასთან. ე. ი. კოჭორი იგივეა რაც მუხაჭვარი, კოჭვარი.48 თავისი მოსაზრება უფრო, რომ სარწმუნო გახადოს მ. გეგეშიძე მუხნარით დაფარული უძოს მთის მიდამოს მიიჩნევს ადრინდელ კოჭორად.

ი. გონიაშვილი ერთ-ერთ თავის ენათმეცნიერულ ნაშრომში კოჟორსაც ეხება. მკვლევარი კოჟორს მიიჩნევს ფუძე კოჟ-დან ნაწარმოებ სიტყვად. კოჟ-მთაგორიანი, ამობურცული, ამაღლებული ადგილი.49 ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ვახუშტისეული აზეულას ციხე (კოჟორი). სიტყვა აზეულაში არსებობს საცთური. ქართველ ლექსიკოლოგებთან ასეთი განმარტება აქვს სიტყვას: აზევა-აღმა აზიდება (საბა), აწევა, მაღლა—აზიდვა, ПРИПОДНИМАТЬ, (ნ. ჩუბინაშვილი). თუ მივიღებთ კოჟორს, კოჟ—(ამაღლებულ ადგილიდან) ნაწარმოებ სიტყვად, მაშინ შეიძლება ვახუშტის აზეულა-ადგილის გარეგანი სახის გამომხატველი სიტყვა იყოს და ხალხის მიერ შერქმეული. ამიტომაც ეს ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ ამ ფორმით (აზეულა) საგეოგრაფიო სახელს, რომ ვერსად ვერ ვხვდებით კიდეც.

ქართლში მეფობს კონსტანტინე II (1479-1505), სწორედ, მის მეფობის დროს იღებენ თურქები კოჟრის ციხეს. 1490 წელია. „თათარნი იგი მოვიდნენ ორბეთის ძირს, ვერარაი შემუსრნეს და მოადგნენ კოჟრის ციხესა. და უწყეს სრულა თოფთა“ — დიდმა თოვლმა გადაარჩინა მეციხოვნენი, რომელთაც სოლაღაშვილი მოთავეობდა, მათ მიატოვეს (ღამით) ციხე, „დილასა იხილეს თათართა ციხე უკაცური, შევიდნენ და შემუსრეს ციხე...“ მოგვითხრობს ვახუშტი ბაგრატიონი.50

ესაა პირველი შემთხვევა, როცა საისტორიო ლიტერატურაში ვხვდებით კოჟრის ციხეს. ამის შემდეგ ისევ ვახუშტი იხსენიებს კოჟორის ციხეს.

1624 წელია. შაჰ-აბაზ I, მეფე თეიმურაზ I მიერ კახეთის სამეფო ტახტის დაპყრობის გამო, ქართლში გამოგზავნა დამსჯელი ჯარი, ყორჩიბაშის მეთაურობით. სპარსელებმა ალგეთთან დაიბანაკეს, ხოლო თეიმურაზმა კი „კახთა სპითა, შეიკრიბნენ და დადგენ კოჟორსა ზედა“, ქართველთა გაერთიანებული ჯარი „კოჟრიდამ დაესხნეს ყორჩიბაშეს“.51

XV-XVIII სს კოჟრის ციხის არსებობის შესახებ მრავალ ცნობას ვხვდებით ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში, აკი რამდენიმე დავიმოწმეთ კიდეც.

პირველი, ვინც პირდაპირ მიგვანიშნებს კოჟორში ქართლის მეფეთა სასახლეზე, ვახუშტი ბატონიშვილია „ამ ციხის (აზეულა — თ. ბ.) სამხრით არს სასახლე მეფისა კოჟორი. აღაშენა პ-თ მეფემან როსტომ, უმეტეს ჟ-ა მეფემან ვახტანგ. დგებოდნენ ზაფხულს მეფენი“.52

მაშასადამე კოჟორში ციხის სამხრეთით მეფე როსტომს (1632-1658) აუგია სამეფო სასახლე. რომელიც დაახლოებით ასი წელი მაინც უნდა მდგარიყო, რადგანაც ის უფრო მეტად (უმეტეს) გაუფართოებიათ მეფე გიორგი XI (1676-1788 და 1703-1709 წწ) და ვახტანგ VI (1703-1716 და 1717-1724 წწ.) კოჟრის სასახლე საზაფხულო ყოფილა, რადგანაც აქ „დგებოდნენ ზაფხულს მეფენი“.

გასარკვევია კოჟრის სასახლე ძველი ტრადიციის „აგარათა“ სასახლის განახლებაა, თუ მრავლის მაშენებელმა როსტომ მეფემ აქ პირველმა ააგო სასახლე? „კოჟორს სასახლეების მშენებლობა, შეიძლება ამ ნაგვიანევი ხანის (XVII-XVIII სს) ქართლის მეფეთა თავდაპირველი წამოწყება არც კი იყოს, არამედ ძველი ტრადიციის განახლებას წარმოადგენდეს“, ასეთ მოსაზრებას გამოსთქვამს ნ .ბერძენიშვილი. აქვე აღსანიშნავია, რომ კათალიკოზ ნიკოლოზ VI კოჟორში აშენებს კარის ეკლესიას და საზაფხულო სასახლეს „კოჟორზე ერთი კარის საყდარი დავდგი და კაი საზაფხულო სახლი ავაშენე... ქ'კს ტოვ“53 (1688 წ.).

შაჰ-ნავაზის (ვახტანგ V) გარდაცვალების

(1676 წ.) შემდეგ ყაენი იძულებული იყო ქართლის მეფობა გიორგი XI მიეცა.

შაჰი ქართლში მეფე გიორგი XI წინააღმდეგ სპასალარ აჯი-ალიხანს აგზავნის.

„...არამედ სიმქნითა გიორგი მეფისათა ვერა რაჲ ავნეს ჯერეთ. ხოლო ჟამთა ამათ ისჯებოდნენ მამულთა ზედა ციცი და ძმისწულნი მისნი, ძენი ნოდარისანი წინაშე მეფისა კოჟორსა ზედა“.54

აჯი-ალიხანი არ ისვენებდა და მეფის საწინააღმდეგო ქსელს აბამდა ქართველ დიდებულთა შორის. აჯი-ალიხანი თავის საწადელს აღწევდა ქრთამის გაცემის საშუალებით. მეფეს განუდგნენ, იასონ არაგვის ერისთავი, სომხითის მელიქი ქამარბეგი, მუხრანის ბატონიშვილი ერეკლე, „რომელსა ზრდიდა მეფე, ვითარცა ძესა“, ძმები მაჩაბელები ზაზას ძენი და ელიზბარი.

გიორგი XI მოღალატენი დასაჯა. სომხითის მელიქ ქამარბეგს კოჟორში ფარულად თოფი ესროლეს და მოკლეს. ერეკლე მუხრანის ბატონიშვილი და მაჩაბლები კი დააპატიმრეს. ყოველივე ამის შემდეგ ქსნის საერისთაოს შემომტკიცების მიზნით, „მაშინ მისცა ასული თჳსი მეფემან დათუნას ქსნის ერისთავსა და უქმნა ქორწილი კოჟორსა ზედა, მგონებელმა მომტკიცებისა მისისამან“.55

ასევე აღსანიშნავია მეფის მიერ კოჟორში გადახდილი კიდევ ერთი ქორწილი — „ინება მეფემან მზახლობა რაჭის ერისთავის პაპუნასი და მოითხოვა ასული მიქელაძის გიორგისა ხუარაშან, რამეთუ იყო პაპუნას მამიდასშვილი, მოიყვანა კოჟორსა ზედა და ჰყო ქორწილი წარჩინებით დიდებული...“56

კოჟორში გიორგი XI მიერ დიდებული და მეფური ქორწილის გადახდა იმის დასტურია, რომ აქ იდგა მეფის სასახლე.

XVII საუკ. ბოლო მეოთხედში კოჟორი ქართულ საისტორიო წყაროებში ხშირადა გვხვდება, სადაც მუდმივად და ხანგრძლივადაც დგანან ქართლის მეფენი.

„კოჟორსა ზედა“. ქართლის მეფეთა დგომის ტრადიცია XVIII საუკუნეშიც გრძელდება.

თვალსაჩინოების მიზნით მე მოკლე ქრონიკას მოვიტან —

1701 წელია.

„დაჰპატიჟა მეფე-მ ერეკლემ. იდგა მეფე კოჯორიზედან“.57

1709 წელია.

ვახტანგ VI ჯანიშინად — ქართლის გამგებლადაა (1709-1716) „მოუვიდა ამბავი გამგებელსა საქართველოსასა ვახტანგს მას ჟამსა შინა იდგა კოჯორსა“.58

ყაენის კარს, ხორასანს მომავალმა ვახტანგ VI ხელმწიფეს ქართლის ტახტი თავის შვილისათვის ბაქარისათვის გამოსთხოვა. შაჰმა ვახტანგის თხოვნა დააკმაყოფილა.

1716 წელს ყაენის კარს ჩასულ ვახტანგ VI მაჰმადიანობა მიაღებინეს. ამის გამო შაჰმა მას „უბოძა ქართლი, ერანის სპასალარობა. თავრიზი და ბასტა“, ხოლო ბატონიშვილ ბაქარს კი ქართლის ნაიბობა. ქართლში იესე ლევანის ძე ვახტანგ VI ძმა მეფობდა, როცა იესემ ყოველივე ზემოთ თქმული შეიტყო ის კოჟორში იდგა „რა ჰსცნა მეფე-მ, მას ჟამსა იდგა კოჯორსა, აიყარა და მივიდა მცხეთას“,59 რაჭაში მყოფი ბაქარი ქართლში გადმოდის, იესე კახეთს მიდის, სადაც ის „გაათახსირეს“. ჩამოართვეს ქონება და ა. შ. „მოვიდა შაჰსულთან უსეინისა-გან ბატონი-შვილს ბაქარს ხალათი და ორი ლომი, ერთი ვეფხი იყო, კოჯორსა ზედა, მკათათვის ე. ჯდა თალარსა შიგან“.60

სპარსულ-რუსულ ლექსიკონში თალარს ასეთი განმარტება აქვს **зал, приемная тронный зал**“.61 ე. ი. თალარი დარბაზი, სასტუმრო დარბაზი, სეფე დარბაზი, სამეფო დარბაზი, პალატი ყოფილა.

სეხნია ჩხეიძეს მიერ მონათხრობი, გვამცნობს, რომ ბაქარს არმაღანი (შორით მორთმეული ძღვენი), თალარს მჯდომს მიუღია, რომ ბაქარს ეს ცერემონიალი სამეფო სასახლეში, სეფე დარბაზში ჩაუტარებია, როგორც შეეფერებოდა ქართლის ნაიბს. ეს მოხდა კოჟორს, **1717** წელს.

1722 წელია.

განჯაში გალაშქრების შემდეგ ვახტანგ VI „შემოიქცა და მოვიდა ტფილისს მეფე მაისს. ხოლო აგვისტოს კოჟორს მყოფს მოუვიდა მეფეს ყეენისაგან თაჯი და ჯიღა, ქრმალი და ხანჯალი მოოქვილნი და სპასპეტობა ადრიბეჟანისა, რათა დაიპყრას შირვანი, რამეთუ აქუნდა ლეკთა დაპყრობილი“.62

ყურადსაღები და ნიშანდობლივია, კოჟორში სამეფო სასახლის ფაქტის დასამოწმებლად, კოჯრის „სკოლა-ინტერნატის ეზოში, მიწის სამუშაოების დროს“63 აღმოჩენილი სპილენძის ჭურჭლის განძი (4 თეფში და ერთი თასი), აღნიშნული განძი დაამუშავა, მათზე არსებული მხატვრული წარწერები წაიკითხა და გამოაქვეყნა გულნარა კიკნაძემ. თეფშებზე ასეთი წარწერაა — „ქ. მეფე ვახტანგ“, „ქ. მეფე ბაქარ“. ე. ი. მეფე ვახტანგ VI და მისი ძე ბაქარ მეფე. სამწუხაროდ მეტი არაფერი არ ვიცით კოჯრის განძის შესახებ.

განძის გამომქვეყნებელი დაასკვნის, რომ კოჯრის სამეფო „სასახლის კარზე არსებობდა საჭურჭლე, რომელსაც მეჭურჭლეთუხუცესი განაგებდა“.64

XVIII საუკ. პირველი მეოთხედის ქართული საკანონმდებლო ძეგლში, „დასტურლამალში“ კოჟრის შესახებ მასალა მრავლადაა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცაღა იგი ძირითადად ეხება რთველის დროს კოჟორზე დაწურული ტკბილის ატანას, შენახვას, მარნის მოვლასა და სხვ.

„ღვინის მოსავლის რიგი, — ღვინის მოსავლისა ასრე იქნებოდეს: სთველზედ, რასაც ჩვენს სახასოსა და სთვლის მოსავლის ალაგს, ჩვენი მესთვლე წავიდოდეს, იმ სახასოებში ყველგან ჩვენი მოქელენი ასეთს მემარნეს დააყენებდენ წლითი-წლად რიგით, რომე ქეთხუდა და ღვინის შენახვის მცოდნე იქნებოდეს. ჯერ ზვრისას დასწურევდნენ და კოჟორზედ გამოგზავნიდენ“.[65]

საილუსტრაციოდ მოვიტანთ თუ რამდენი ულაყი ტკბილი აჰქონდათ კოჟრის მარანში, ქვემო-ქართლის, სომხითის სოფლებიდან.[66]

დასტურლამალაში, დამოწმებული — „კარი 39. კოჟორზედ ტკბილის მიტანისა, მარნის რეცხისა და ყინულის ჩაყრის დებულების“ მიხედვით, ირკვევა, რომ კოჟრის მარანში რთველის დროს, ქვემო ქართლის, სხვადასხვა სოფლებიდან[66] ტკბილი 271 ულაყს მიჰქონდა, რაც იმის დასტურია, რომ კოჟრის სამეფო სასახლის მარანი, არც თუ ისე მცირე ტევადობის უნდა ყოფილიყო.

1735 წელია. ქართლი თურქებს უპყრიათ.

ირანელთა და ქართველთა გაერთიანებული ჯარი თურქთა წინააღმდეგ იბრძვის. ირანელებს თამაზ-ხანი (ნადირ-შაჰი) მეთაურობს — „მაშინ გამოვიდა ტფილისიდამ მაჰმადბეგ სპითა ოსმალთათა, ამათ ეკვეთნენ ყიზილბაშ-ქართველნი, აოტნეს ოსმალნი და მოწყვდნეს და სხუანი შევიდნენ ტფილისს. შემდგომად დადგნენ კოჟორზედ ყიზილბაშ-ქართველნი და ტალანი ამათნი წავკისს“,[67] მოგვითხრობს ვახუშტი ბაგრატიონი.

1772 წელს ჩვენში დიპლომატიური მისიით და სამოგზაუროდ ჩამოსული, სომხეთის ახტალაში მიმავალი გიულდენშტედტი გზადაგზა ყველაფერს. რასაც ხედავს, ანდა რის შესახებაც რაიმე გაუგია აღწერს და გადმოგვცემს.

„5 ვერსის შემდეგ დავინახეთ თელეთის ციხე, რომლის ახლოს ადრე იყო ორი სოფელი იმავე სახელისა. დასავლეთით დავინახეთ სოფ. წალასყური და კუმისი, რომლებიც ჯერაც დასახლებულია ქართველებით, აგრეთვე გაპარტახებული ციხე ბირთვისი და ზევით მთაზე წინანდელი საზაფხულო რეზიდენცია — კოჯორი“.[68]

მოგზაური, კიდევ რამდენჯერმე ახსენებს კოჯორს, დავიმოწმოთ ის ადგილებიც. თბილისის აღწერისას გიულდენშტედტი კოჟრის შესახებ ამბობს „მეფენი წინათ, ზაფხულობით, იდგნენ კოჯორთან, რადგან იქ სიცხეები ნაკლებია“.[69]

მოტანილ მონაკვეთში, ყურადსაღებია ერთი რამ, ის რომ ქართლის მეფენი კოჯორთან არსებულ რეზიდენციაში დგებოდნენ. ვფიქრობ, მოგზაურმა მიახლოებით მაინც იცოდა, თუ სად იდგა მეფეთა სასახლე. ის არც კოჯრის ციხეშია და არც თვით დაბა კოჟორში. ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას მაძლევს კოჯორ სიტყვის ფუძის ბოლოსართი; აფიქსი თან. მოგზაური ამბობს კოჯორთან ე. ი. კოჯრის ახლოს. მის გვერდით და არა იმ ადგილას, რასაც კოჯორი ჰქვია.

გიულდენშტედტი თავის მოგზაურობაში რამდენჯერმე კიდევ მოიხსენიებს კოჟრის სამეფო სასახლეს, რეზიდენციას, ოღონდ, როგორც ძველს წარსულში არსებულ სადგომს.[70]

გიულდენშტედტის მიერ შედგენილ საქართველოს რუკაზე კოჟორის ადგილზე დატანილი აქვს გეომეტრიული ნიშანი (სამკუთხედი). რუკას თანდართულ ექსპლიკაციაში აღნიშნულ ნიშანს განმარტება ახლავს — Castellum desertum, რაც ნიშნავს გაპარტახებულ ციხესიმაგრეს.[71]

ნიშანდობლივია, რომ კოჟორი ვახტანგ VI რუსეთში წასვლის შემდეგ სულ მალე პარტახდება, ამის გამო უნდა იყოს, რომ ის აღარ მოიხსენიება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის აღმწერ ისტორიკოსებთან პაპუნა ორბელიანთან, ომან ხერხეულიძესთან. კოჯორს საერთოდ არ ახსენებს დავით ბატონიშვილი თავის „საქართველოს ისტორიაში“.

1797-1799 წელს მეფის ძე იოანე ბატონიშვილის მიერ მოწყობილ ქართლის სოფლების აღწერის ნუსხაში კოჟორზე წერია „ქ. კოჯორი, სამეფო აგარა, ანუ დაჩა“.[72]

გავიხსენოთ თუ აღნიშნულ ნუსხაში თავის თანადროულ ტაბახმელაზე რას წერდა, უფრო სწორად ვთქვათ, როგორ მოიხსენიებდა იოანე მას: „ქ. ტაბახმელა მოსახლე“, და მეტი არაფერი.

კოჟორის (კოჯრის) ციხეს ქოროღლის ციხესაც უწოდებენ. ქოროღლი გვიანი შუასაუკუნეების მახლობელ აღმოსავლეთის მაჰმადიანური სამყაროს (თურქული) ლეგენდარული, ხალხური გმირია და მის სახელთან დაკავშირებით ადრეული ხანის ბევრ ციხესაც შეერქვა მისი სახელი, რომელთაც ქოროღლისთან საერთო არაფერი არ გააჩნდათ. კოჟრის ციხეს ქოროღლი XIX საუკ. უნდა შერქმეოდა, ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „რა საშინელი წამლეკავი უნდა ყოფილიყო ყიზილბაშური მოძალება, რომ ქვემო ქართლის ამ შუქურა ციხეს საკუთარი ქართული სახელი დაეკარგა და მისთვის „ქოროღლი“ ეწოდებინათ...[73]

კოჟრის ციხის სიახლოვეს ხელოვნურად

გაჭრილი კლდეა, სადაც გადიოდა გზა, რომელიც გარდაბანს შიდა ქართლთან აკავშირებდა.[74] აქვეა გელაყარის ცნობილი გზა, თავის ხევით. ორივე გზა სატრანზიტო ვაჭრობისათვის გამოიყენებოდა, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდიდა კოჟრის ციხის მნიშვნელობას. როგორც ცნობილია ციხე ყოველთვის თავისკენ იზიდავდა, ეწეოდა გზას.

კოჟრის ციხის ახლომდებარე სოფლები ძველად ამ ციხის „შემავალნი" იყვნენ. შეიძლება იგივე ტრადიცია გრძელდებოდა, ოღონდ მცირე მასშტაბში, როცა მისი (ციხის) მახლობლად მდებარე სოფლებს „დასტურლამალის" მიხედვით შეწერილი ჰქონდათ კოჟორში ულაყით ტკბილის ატანა.

ცნობილია, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ლეკიანობის ჟამს, მნიშვნელოვანი გზების მეთვალყურეობა ევალებოდათ, საგანგებოდ გამოყვანილ რაზმს-ყარაულს. ასეთი ყარაული კოჟორთანაც იდგა. „ქ. მოხელებო ექვსი ყარაული გავგზავნეთ ხუთის დღით კოჯრისა და სამადლოსკენ. კაცზე ორი აბაზი დავპირდით ესენი როცა ამ ვადაზედ მოვიდნენ ეს ასე გაურიგეთ და მოეცით, რომ იქნება თორმეტი მინალთუნი. ღვინობისთვის ბ, ქ'ს უოგ (473)".[75] საბუთი 1785 წელსაა შედგენილი.

საინტერესოა, რომ კოჟორთან არის ტოპონიმი „საყარაულო მთა", ხოლო ოქროყანასთან კი „საყარაულო ქედი".

ამგვარად, ტაბახმელა აგარათა ერთ-ერთი დაბაა, ხოლო აგარათა ციხე კი კოჟრის ციხეა, რომელთა იდენტურობა ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო ლიტერატურაში არსებული მასალით უცილობლად მტკიცდება.

სიძნელესთანაა დაკავშირებული, ტაბახმელაში XII-XVI საუკუნეებში მეფის სასახლის ადგილ-სამყოფელის დადგენა. მე ვფიქრობ, რომ ამჟამინდელი სოფელი ტაბახმელა ძველ ადგილზე არ უნდა მდებარეობდეს. აქ უჩვეულო რაიმე მოვლენასთან არა გვაქვს საქმე, ეს აბსოლუტურად დასაშვები მოვლენაა, თუ პროცესია. ჟამთა სვლას ხშირად მოყვებოდა ხოლმე, არა მარტო ხალხთა მიგრაციები, არამედ დასახლებული პუნქტთა გადაადგ[illegible]ბიც. ერთი სოფელი (ზოგჯერ ქალაქიც) თავისივე სახელწოდებით იცვლიდა ადგილსამყოფელს და თავდაპირველ ადგილს შორდებოდა რამდენიმე კილომეტრით, ზოგჯერ ათეული კილომეტრითაც. ამდენად, ამჟამინდელ სოფელთან ძველი ტაბახმელას ძებნა გამართლებული არ უნდა იყოს.

უკვე ვთქვით, რომ აწინდელი ტაბახმელას ტერიტორიაზე ადრეული ხანის (XII-XVI საუკუნეების თუნდაც შემთხვევითი) მასალის არ მოპოვება, აქ მდგარი ეკლესიათა სიახლე (გვიანშუასაუკუნეები), იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ძველი ტაბახმელა-კმელი, სადაც გარდაიცვალა თამარ მეფე და, სადაც იშვა ლაშა გიორგი უნდა ვეძიოთ სულ სხვა, მისგან მოშორებით (დარბაზი, სახატე, კოჟორი?).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ქართლის მეფეთა სასახლე კოჟორში დგას, რაც გარდა არსებული საისტორიო წერილობითი ძეგლებისა, ნივთიერი მასალითაც, წარწერიანი თასებითაც დამტკიცდა. კოჟორშივეა კათალიკოზ ნიკოლოზ VI საზაფხულო სადგომი (XVII ს.) და კარის ეკლესია. კვლევის ამ ეტაპზე ძნელია იმის მტკიცება, როსტომმა ძველის აღდგენის მიზნით ტრადიცია არ დაარღვია და ადრეული სასახლის ადგილზე ახალი დადგა, თუ პირიქით, ტრადიციის გამეორება იმაში გამოიხატა, რომ მან ქართველ მეფეთა ძველი სამყოფელი, საზაფხულო სასახლე აღადგინა, ოღონდ სულ სხვა ადგილზე. ამ ვარაუდის მიღება, ან უარყოფა მხოლოდ და მხოლოდ საველე კვლევა-ძიებით შეიძლება.

ანგარიშგასაწევია, კოჟრის კომპლექსში შემავალი თამარ მეფის-ჟამინდელი კაბენის მონასტერი (აქ, დასოს დროდადრო თამარ მეფე ჩერდებოდა ხოლმე, ასევე კაბენის მონასტერთან ნაპოვნი თამარ მეფის დროს მოჭრილი მონეტა).[76] აქვეა, სამადლო-ძველი საფუნდუკე, მგზავრთა გასაჩერებელი სასტუმრო. რომელიც, როგორც წესი იდგა ხოლმე საქარავნო გზებზე, და ბოლოს, კოჟორთანაა (კიკეთის მხარეს) ორი მეტად საინტერესო ტოპონიმი — თამარ მეფის ტახტი და თამარ დედოფლის მიწები.

შენიშვნები:

1. ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან, საქ. ისტ. საკითხ. ტ. I, 1964 წ, გვ. 302.
2. ქ-ს, ცხ-ა, ტ. II, გვ. 56.
3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965 წ., გვ. 264.
4. ქ-ს, ცხ-ა, ტ. II, 1959 წ., გვ. 73.
5. იქვე, გვ. 112.
6. ჟამთააღმწერელი, ქ-ს, ცხ-ა, II, 1959, გვ. 230.
7. ჟამთააღმწერელი, ქ-ს, ც-ს, II, 1954, გვ.231.
8. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქ-ს, ცხ-ა, IV, 1973, გვ. 214.
9. ქ-ს, ცხ-ა, II, 1959, გვ. 316.
10. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი პირველი, ქ-ს, ცხ-ა, II, 1959, გვ. 368.
11. ქ-ს, ც-ხ, IV, გვ. 408.

12. ვახუშტი, აღწერა... გვ. 408.

13. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქ-ს, ც-ხ, II, გვ. 374.

14. სცსია, ფ. 1450, დავთარი 28, № 209.

15. იქვე. გვ. № 196.

16. სცსია, ფონდი 1450, დავთარი 15, № 119

17. სცსია, ფონდი 1450, დავთარი 15, № 147

18. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ტ. 1, 1967, გვ. 166.

19. სცსია, ფონდი 1448, № 1704.

20. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 1-3729

21. სცსია, ფონდი 1640, № 109.

22. ფონდი 254, აღწ. 1, საქ. 74, გვ. 43.

23 К. А. Пахомов, Монетные клады,... Вып. III, 1940 г.

24. ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარაკნი), საქ. ისტ. საკითხები, I, 1964, გვ. 330.

25. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 302.

26. ქ-ს, ც-ა, II, 1959, გვ. 144.

27. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქ-ს, ც-ა, II, 1959, გვ. 146.

28. ქ-ს, ც-ა, I, 1955, გვ. 369.

29. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ, გვ. 325.

30. მატიანე ქართლისა. ქ-ს, ც-ხ, I, გვ. 312.

31. ქ-ს, ც-ა, I, გვ. 315.

32. ქ-ს, ც-ა, I, გვ. 335.

33. ქ-ს, ც-ა, II, გვ. 19.

34. ქ-ს, ც-ა, II, გვ. 77.

35. ქ-ს, ც-ა, I, გვ. 370.

36. ქ-ს, ც-ა, IV, ვახუშტი, აღწერა... გვ. 327.

37. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 317.

38. ქ-ს, ც-ხ, II, გვ. 54.

39. ქ-ს, ც-ა, II, გვ. 64-65.

40. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 322

41. იქვე, გვ. 323-324.

42. ვახუშტი, აღწერა.. ქ-ს, ც-ა, IV, გვ. 330.

43. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 317.

44. იქვე, გვ. 318.

45. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd-11628, ძეგლი გამოსცეს: ექ. თაყაიშვილმა, საქ. სიძველენი II, 1909, გვ. 8-9; ის. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ 97.

46. ვახუშტი, აღწერა... ქ-ს, ც-ა, IV, გვ. 327.

47. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 304.

48. მ. გეგეშიძე, კოჯორი (ტოპონიმიკური დაკვირვება), კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1966, გვ. 195-196.

49 Г. Гониашвили, к истории одного звука в грузинском языке, „ენიმკის" მოამბე, II, 1937, стр. 128—129.

50. ვახუშტი, აღწერა... ქ-ს, ც-ა, IV, გვ. 388-389.

51. ვახუშტი, აღწერა... ქ-ს, ც-ხ, გვ. 431.

52. ვახუშტი, აღწერა... ქ-ს, ც-ა, IV, გვ. 327.

53. თ. ჟორდანია,, ქრონიკები II, 1897, გვ. 506.

54. ვახუშტი, აღწერა... ქ-ს, ცხ-ა, IV, გვ. 458.

55. ვახუშტი, აღწერა... ქ-ს, ც-ხ, IV, გვ. 460.

56. ვახუშტი, აღწერა... ქს, ც-ხ, IV, გვ. 459.

57. სეხნია ჩხეიძე, მეფეთა ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1918, გვ. 19.

58. სეხნია ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

59. სეხნია ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

60. სეხნია ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

61 Персидско-русский словарь, состав. Б. В. Миллер, М., 1953 г.

62. ვახუშტი, აღწერა... ქ-ს, ც-ხ, IV, გვ. 499.

63. მ. კიკნაძე, კოჯრის განძი, ძეგლის მეგობარი, 1968, № 15, გვ. 55.

64. გ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

65. დასტურლამალი, ქართ. სამართ. ძეგლები, გამოსცა ივ. სურგულაძემ, 1970, გვ. 521.

66. ქ. ს. ძ. 1970, გვ. 633-634.

67. ვახუშტი, აღწერა... ქ-ს, ც-ხ, IV, გვ. 514.

68. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გამოსცა გ. გელაშვილმა, I, 1962, გვ. 67.

69. იქვე, გვ. 93.

70. მოგზაურობა, I, 1962, გვ. 239; მოგზაურობა, II, 1964, გვ. 177.

71. ვ. გამრეკელი, საქართველოს 1772 წლის რუკა, გვ. 45.

72. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S-3729.

73. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 303.

74. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 306.

75. სცსია, ფ. 1448, № 3091.

76. Е, А. Пахомов,... вып. IV, 1949 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოჩა ჯაფარიძე

ახალი არაბული წყარო XIII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის

საქართველოს ისტორიის უცხოურ წყაროთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს IX-XV საუკუნეების არაბულ საისტორიო ლიტერატურას, რომლის ფურცლებზეც აისახა ჩვენი ქვეყნის წარსულის მრავალი საინტერესო ეპიზოდი. ქართული ისტორიოგრაფია იცნობს ბევრ არაბ და არაბულენოვან ისტორიკოსს (ალ-ბალაზური, ატ-ტაბარი, ალ-ფარიკი, იბნ ალ-ასირი, ან-ნასავი, ალ-კალკაშანდი...), რომელთაც მოეპოვებათ ცნობები საქართველოს შესახებ, მაგრამ ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ელის თავის მკვლევარს. მათ რიცხვს მიეკუთვნება XII-XIII სს არაბი მეცნიერი აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადიც.

ალ-მუვაფფაკ ად-დინ აბუ მუჰამად აბდ ალ-ლატიფ იბნ იუსუფ იბნ მუჰამად იბნ ალი იბნ აბუ სად ალ-ბაღდადი დაიბადა ჰიჯრის 557 (1161-62 წ.) ქ. ბაღდადში და იქვე გარდაიცვალა ჰიჯრის 629/1231 წ. ბაღდადსა და მოსულში მიიღო მან თავისი ეპოქის შესაფერისი საფუძვლიანი განათლება და თავადაც შექმნა მრავალი მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც მოიცავდნენ იმდროინდელი ცოდნის ყველა სფეროს: ფილოლოგიას, ფილოსოფიას, ისტორიას, გეოგრაფიას, მათემატიკას, მედიცინას (7,74) და სხვ. ამ ნაშრომთა — ვრცელი სიიდან, რომელიც 166 დასახელებას ითვლის, ჩვენამდე მოაღწია ეგვიპტის მოკლე აღწერამ, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში გამოიცა ევროპაში. გარდა ამისა, ცნობილი არაბი ისტორიკოსის აზ-ზაჰაბის (გარდ. 1348 ან 1352–53 წ.) „ისლამის ისტორიამ“ შემოგვინახა ბევრი ნაწყვეტი აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის მემუარული ჟანრის თხზულებიდან, რომელსაც პირობითად ავტობიოგრაფიასაც უწოდებენ. ამ ნაწყვეტებში დახასიათებულია მათი ავტორის თანამედროვე არაერთი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე: ბაღდადის ხალიფები, აიუბიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები, მათი გარემომცველი წრე და საუბარია, აგრეთვე მონღოლებზე და ხვარაზმელებზე.

აბდ -ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის კუთვნილი ყველა პასაჟი აზ-ზაჰაბის „ისლამის ისტორიის“ ავტოგრაფიდან (მთლიანად ეს თხზულება გამოუცემელია) შეკრიბა და ცალკე გამოაქვეყნა კ. კაენმა (4.101-128). მანვე ფრანგულად თარგმნა ის ცნობები, რომლებიც ხვარაზმელებს ეხება (5.149-166). ამ ავტორის ცნობები მონღოლების შესახებ შეისწავლა ჟ. დე სომოგიმ (6).

საქართველო და ქართველები ფიგურირებენ აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის იმ ცნობებში, რომლებშიც აღწერილია მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევები.

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი თანადამხდური და მომსწრე იყო მონღოლთა პირველი შემოსევებისა 1220-1221 წწ., რომლებმაც თავზარდამცემი გავლენა მოახდინეს მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ხალხებზე. არაბი ისტორიკოსები ამ შემოსევების ანალოგიებს ვერ პოულობდნენ ისტორიაში. ისლამის სამყაროზე დამტყდარი უბედურება მწვავედ განიცადა აბდ- ალ-ლატიფმაც: — „თათართა (ანუ მონღოლთა) ამბავი სხვა ამბებს ფარავს და ნთქავს. ეს არის ისტორია, რომელიც სხვა ისტორიებს დაგავიწყებს, შემთხვევა — ყველა სხვა შემთხვევას რომ არარად ხდის და უბედურება, რომელიც დედამიწის ზურგზე ვრცელდება და მთელ სიგრძე-სიგანეზე ალავსებს მას“ — წერდა ის (7,74).

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი პირველი არაბი მწერალია, რომელმაც დაახასიათა მონღოლთა ანთროპოლოგიური ტიპი. ის აგვიწერს მათ საბრძოლო ხერხებსაც: მოწინააღმდეგეზე მოულოდნელ გალაშქრებას, ბრძოლაში ცრუ უკან დახევას, მტრის მახეში შეტყუებას და ზურგიდან თავდასხმას, ქალების მონა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წილეობას ბრძოლებში, მონღოლთა სამხედრო ალჭურვილობას (მშვილდისრის სიჭარბეს), მათ დაუნდობლობასა და მხეცურ სისასტიკეს დამარცხებულთა მიმართ (4.125), შემდეგ კი ჰიჯრის 618 წლის (1221 წ.) ამბებში მოგვითხრობს მონღოლთა ლაშქრობას საქართველოზე: „თათრებს გამოეყო ორი რაზმი... რომელთაგანაც ერთი აზერბაიჯანისა და არრანისკენ გაემართა, შემდეგ კი ქართველთა ქვეყნისკენ (ბ ი ლ ა დ ა ლ-ქ უ რ ჯ) წავიდა, ხოლო მეორე რაზმი ჰამაზანსა და ისფაჰანს მივიდა და ბაღდადზე ლაშქრობას ისახავდა მიზნად... რაც შეეხება პირველ რაზმს (თათრებმა) მოაოხრეს ქვეყნები. რომლებიც გაიარეს და როცა ქართველთა ქვეყანას მიაღწიეს, ქართველებმა შეჰყარეს თავიანთი რაზმები, შეეგებნენ მათ, მაგრამ დამარცხდნენ. მოიკლა მათგან 8 ათასი რჩეული მეომარი, დიდძალი ქვეშევრდომი (ა ლ-ი თ ბ ა) და გლეხი (ა ლ-ფ ა ლ ლ ა ჰ ი ნ ა). ქართველთა მეფე (მ ა ლ ი ქ ა ლ- ქ უ რ ჯ) სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მის დასახმარებლად მოვიდნენ დიდებულნი (ა ლ-უ მ ა რ ა) და იხსნეს ის თათართა მძლავრი კბილებიდან. მეფე ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში გამაგრდა, ხოლო თათრები ქვეყანაში დათარეშობდნენ და ვინც გადარჩა, სიმწრისაგან თითებს იკვნეტდა... (შემდეგ) თათრებს გამოეყო ერთი მხედარი. ქართველთა მეფემ იკითხა: არის ჩვენს შორის ვინმე ისეთი, ვინც გავა მასთან (ორთაბრძოლაში)? მაშინ ერთმა ქართველმა მოყმემ (ბ ა ტ ა ლ) დაიწყო ქადილი, გამოვიდა და გაემართა თათრისკენ. თათარმა ბევრი არ დააყოვნა, მოჰკლა ის, გამოიყვანა მისი ცხენი, ნელა მობრუნდა და გააჭენა. თითქოსდა მისი ასაკის გაგება ეწადა. გაოცდა ქართველთა მეფე და თქვა: (ცხენი) ისე წაიყვანა, თითქოსდა იყიდაო. შემდეგ ქართველებმა სხვა ჯარი შეკრიბეს და დახმარებისათვის მიმართეს არზან არ-რუმის ლაშქარს მაგრამ თქვა ხალხმა: თითრები ალარ დაბრუნებულან და როცა აუტანელი გახდა სისხლისღვრის დანაშაული, გაბრუნდნენ უცნობი მიზეზის გამო... ეს მოხდა 618 წელს და მე ამ დროს ვიყავი არზანში.... თათრები მიიქცნენ შირვანისკენ, დაიპყრეს მახვილით, მოსრეს დედა-ბუდიანად, ძალით და მახვილით გადაჰქრეს დარუბანდი, გადაუარეს ყივჩაღებსა და ალანებს და მოსრეს მახვილით" (4.125-126).

ზემომოყვანილი ვრცელი ცნობა ეხება მონღოლთა იმ ლაშქრობას, რომელიც ჩინგიზ-ხანის დავალებით ჯებე და სუბუდი ნოინების სარდლობით 1220 წ. გაზაფხულზე დაიწყო სამარყანდიდან. ხვარაზმ-შაჰ მუჰამადის (1220-1221) დევნაში მონღოლებმა შუა აზიიდან გადაჰქრეს ირანი და აზერბაიჯანი, აიღეს მრავალი ქალაქი, მოსპეს ათეულობით ათასი მშვიდობიანი მცხოვრები, ცეცხლს მისცეს აურაცხელი მატერიალური დოვლათი და საქართველოს საზღვრებს მიადგნენ.

1220 წ. მიწურულსა და 1221 წ. დამდეგს, მონღოლებმა რამდენჯერმე დაამარცხეს ქართველები, ამ ბრძოლებიდან აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი მხოლოდ ერთს ასახელებს. მის მიერ მოხსენიებული ქართველთა მეფე—დიდი თამარის ვაჟი, ლაშა-გიორგია (1210-1222), რომელსაც დიდი ისტორიული განსაცდელი დაატყდა თავს. აბდ-ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი მოგვითხრობს, რომ მონღოლებთან მარცხის შემდეგ საქართველოს სამეფო კარზე სასოწარკვეთილებამ დაისადგურა, მაგრამ მისი ინფორმაციიდან ისიც ჩანს, რომ ქართველებს ფარხმალი არ დაუყრიათ.

ფაქტია, რომ ძლევამოსილ ჯებესა და სუბუდაის ყველაზე მეტად მაინც საქართველოში გაუჭირდათ. ლაშა-გიორგიმ ორგანიზებული სამხედრო ძალა დაუპირისპირა მტერს, რომელსაც მანამდე ციხე-ქალაქებში შეხიზნულ გარნიზონებთან და მოსახლეობასთან ჰქონდა საქმე. სწორედ ძლიერი და შეუპოვარი წინააღმდეგობა იყო მიზეზი იმისა, რომ 1220-1221 წლებში მონღოლებს, მიუხედავად რამდენიმე გამარჯვებისა, არ აუღიათ არცერთი ქალაქი საქართველოს სამეფოს საზღვრებში.

ლაშა-გიორგის სამხედრო ღონისძიებებში მეზობელი პოლიტიკური ერთეულების დარაზმვაც შედიოდა. აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი ერთადერთი მუსლიმი ავტორია, რომელიც მოგვითხრობს, რომ ქართველებმა დახმარებისათვის მიმართეს მეზობელი არზან არ-რუმის ანუ არზრუმის საამიროს ლაშქარს. მისი ცნობის ჭეშმარიტებას ადასტურებს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე: მეფემ დამარცხების შემდეგ მონღოლებთან საბრძოლველად... „მოირთნა კარნუ-ქალაქისა (ე. ი. არზრუმის — გ. ჯ.) ლაშქარნი"... (2.370).

აბდ ალ-ლატიფის თანამედროვის, ცნობილი არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის თანახმად ქართველებმა მონღოლთა წინააღმდეგ გაერთიანება მოუწოდეს აგრეთვე აზერბაიჯანის ათაბეგს უზბეკს (1210-1225) და ხლათის მფლობელს, აიუბიან ალ-მალიქ ალ-აშრაფს (1210-1237), მაგრამ სამწუხაროდ დიდი კოალიციის შეკვრა არ მოხერხდა (1.245) საამისოდ უზბეკი უნიათო და წინდაუხედავი მმართველი აღმოჩნდა, ხოლო აშრაფმა, რომელსაც მონღოლები ჯერ კიდევ უშუალოდ არ ემუქრებოდნენ, ეგვიპტეში ჯვაროსანთა წინააღმდეგ საბრძოლველად ამჯობინა გამგზავრება.

ლაშა-გიორგიმ დიდი გეგმის მხოლოდ ნაწილი განახორციელა: „მოირთნა კარნუ-ქალაქისა ლაშქარნი", მაგრამ მონღოლებმა მოულოდნე-

ლად დატოვეს საქართველო: „ვიდრე ზედმისვლამდე გაიქცნეს და გარდაიხუეწნეს, განვლეს დარუბანდის გზა“ (2.370).

მონღოლთა ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლის შემდეგ, იმავე წლის ამბებში აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი მოგვითხრობს ლაშა-გიორგის გარდაცვალების, რუსუდანის გამეფებისა და მისი ქორწინების შესახებ: „შემდეგ მოკვდა ქართველთა ქაბუკი მეფე და გამეფდა მისი და, რომელმაც არზან არ-რუმის მფლობელს — ალ-მუღისს შეუთვალა, რომ დაექორწინებინა მასზე მისი უმცროსი ვაჟი. ის იყო ხლათის მფლობელის ბეგთიმურის ქალიშვილის ვაჟი, ლამაზი, 17 წლისა. (მუღისმა) დააქორწინა ის დედოფალზე და გავრცელდა ხმა რომ ის გაქრისტიანდა“.. (4.126).

რუსუდანის ქორწინების ამბავს იხსენიებენ სხვა არაბი ისტორიკოსებიც (იბნ ალ-ასირი, აბუ ლ-ფიდა) მაგრამ მათგან განსხვავებით აბდ ალ-ლატიფის ცნობაში ყურადღებას იპყრობს ერთი დეტალი: არზრუმის გამგებლის მუღის ად-დინ თოღრულშაჰის (1201-1225) უმცროსი ვაჟი, რომელიც რუსუდანის მეუღლე გახდა, დედით იყო ხლათის მფლობელის ბეგთიმურის შთამომავალი.

ბეგთიმური ქ. ხლათს დაეუფლა 1185 წ., როცა უძეოდ გადაეგო ხლათის შაჰ-არმენთა სახელმწიფოს გამგებელი სუქმანიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ნასირ ად-დინ სუქმან იბნ იბრაჰიმი. მისმა მამლუქმა ბეგთიმურმა თავი შაჰ-არმენად გამოაცხადა და ხლათს 1193 წლამდე განაგებდა.

ბეგთიმური ასასინებმა იმსხვერპლეს. შემდეგ მისი მცირეწლოვანი შვილიც დაიღუპა და სახელმწიფოში არეულობა დაიწყო. ტახტზე ერთმანეთს ცვლიდნენ შაჰ-არმენთა მამლუქები. ხლათს თვალი დაადგეს მეზობელმა სახელმწიფოებმა. საქართველოს სამეფო კარი, რომელსაც განუწყვეტელი ომები ჰქონდა ხლათთან XII საუკუნეში სერიოზულად ისახავდა მიზნად მის ანექსიას.. მაგრამ ხლათისთვის ბრძოლაში წარმატება სირიის აიუბიანებს ხვდათ წილად. აიუბიანთა სულტნის ალ-ადილის (1200-1218) ძე ალ-აუჰადი 1207 წ. დაეუფლა ხლათს და მის დროს 1210 წ. საქართველოსთან 30 წლიანი სამშვიდობო ხელშეკრულებაც დაიდო.

არ არის გამორიცხული, რომ დინასტიური ქორწინება რუსუდანსა და მუღის ად-დინის ვაჟს შორის, რომელიც დედით ხლათის მფლობელის შთამომავალი იყო, შორეულ მიზნებსაც ისახავდა. საქართველოს სამეფოს ის ახალ პერსპექტივებს უხსნიდა ხლათისთვის ბრძოლაში. გარდა ამისა აღნიშნულმა ქორწინებამ კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოს პოლიტიკური გავლენა არზრუმის საამიროზე.

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი გაკვრით ეხება მონღოლთაგან დევნილი ყივჩაყების გადმოსვლას ამიერკავკასიაში და შემდეგ ვრცლად მოგვითხრობს მონღოლთა ცდაზე დაელაშქრათ ბაღდადი (4.126-127).

ბრძოლებში მონღოლთა შეუპოვრობა თანამედროვეებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი აღნიშნავს, რომ ალ-მალიქ ალ-აშრაფს თურმე ჰკითხეს აზრი თათართა შესახებ და მან უპასუხა: „ამ ხალხზე ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც მათგან ჯერ არავინ ჩაგვიგდია ტყვედ. ისინი იბრძვიან მანამდე, ვიდრე არ დაიხოცებიან, ანდა თავს არ დაიხსნიან“-ო (4.127). ირკვევა, რომ ამ ინფორმაციის ერთ-ერთი წყარო საქართველოს სამეფო კარი იყო. ეს სიტყვები თათართა შემოსევის აღწერასთან ერთად საქართველოს მეფეს შემოეთვალა და ანდაზასავით ქცეული აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის არზრუმში გაეგო (4.127). მეფე აგრეთვე იტყობინებოდა: „რაც შეეხება თათრების მიერ დახოცილთ, ჩვეულება მათ ისე ვერ განსაზღვრეს, თუ არ გაორმაგა და (ამიტომ) ამბობენ არა იმას, თუ რამდენი დახოცეს (თათრებმა) ამა თუ იმ მხარეში, არამედ მხოლოდ იმას, თუ რამდენი (მცხოვრები) დარჩა“... (4.127).

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის ინფორმაცია .მონღოლთა შესახებ მთავრდება ნიშაბურსა და ფერღანაში მათ მიერ ჩადენილი საშინელი ამბების (4.127-128) აღწერით. აქვე საუბარია ხვარაზმ-შაჰის მუჰამადის (1200-1220) შესახებ, მაგრამ ამ სულტანზე და საერთოდ ხვარაზმელებზე ის სპეციალურ ნაკვეთებში ჩერდება (4.116-124).

ავტორის დამოკიდებულება მუჰამადისადმი უარყოფითია. მართალია, ის არ მალავს მუჰამადის დადებით თვისებებს, მაგრამ ამავე დროს ყურადღებას ამახვილებს ხვარაზმ-შაჰის უარყოფით მხარეებზე, როგორიც იყო მუხანათობა, სისასტიკე, დაუნდობლობა და მეკობრეობა (4.126, 116-117).

როგორც ცნობილია, მუჰამადმა ხვარაზმის ჰეგემონობით გააერთიანა თითქმის მთელი ირანი (ხუზისთანის გარდა), რასაც ბევრი ადგილობრივი, წვრილი გამგებელი შეეწირა. ამას აბდ ალ-ლატიფი დანაშაულად უთვლიდა მუჰამადს, ისევე როგორც მის მტრულ დამოკიდებულებას ბაღდადის ხალიფასთან.

მუჰამადისადმი მიძღვნილ ვრცელ პასაჟში, სადაც დახასიათებულია სულტანის ექსპანსიური გეგმები, ჩვენთვის საინტერესოა აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის შენიშვნა: მუჰამადს „*სურდა წასულიყო* (სალაშქროდ) *თბილისზე და გადაექცია ის თავის სახელმწიფოს დედაქალაქად* (*სარირ ალ-მულქიჰი*), *საიდანაც იგანმგებლებდა არ-რუმის, ყივჩაყთა და სომეხთა ქვეყნებზე*, ალ-მოსავლეთზე და დასავლეთზე“ (4.117. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.).

მართალია, სხვა არაბული წყაროები მუჰამადის ამ გეგმას არ იცნობენ, მაგრამ ასეთი განზრახვა ხვარაზმ-შაჰს შეიძლება მართლაც ჰქონოდა. (1217-1218 წწ. მუჰამადმა შემოიმტკიცა ჯიბალი (სპარსეთის ერაყი) და აიძულა საქართველოს მეზობელი აზერბაიჯანის ათაბეგი უზბეკი თავი მის ვასალად ეღიარებინა. სულტანმა გააფრთხილა საქართველოს სამეფო კარი, რომ თუ არ შეწყდებოდა აზერბაიჯანის დარბევა, ის ილაშქრებდა საქართველოზე, რისთვისაც 50 ათასი რჩეული მეომარი გამოყო (3.61) ბაღდადზე წარუმატებელი ლაშქრობისა და ხვარაზმში დაბრუნების გამო სამხედრო კონფლიქტი საქართველოსთან არ მოხდა. მაგრამ ხმა იმის თაობაზე, რომ მუჰამადს თბილისის დალაშქვრა სურდა, სწორედ ამ დროს უნდა გავარდნილიყო.

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი გვიხატავს ჯალალ ად-დინის (1220-1231) პორტრეტს („ის იყო შავყვითელი, გამხდარი, მახინჯი"...) და საკმაო ადგილს უთმობს მის ბრძოლებს ხლათთან, რუმის სასულტნოსთან და საქართველოსთან. ავტორის დამოკიდებულება ხვარაზმელთა მიმართ აქაც უარყოფითია: „ხვარაზმელებთან გავრცელებულია მრუშობა — წერს ის — და მამათმავლობა არ ითვლება უხამსობად და სამარცხვინო საქმედ. ვერაგობა მათი დამახასიათებელი თვისებაა"... (4.123).

ხვარაზმელთა ვერაგობა აბდ- ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის საქართველოს მაგალითზეც აქვს დასურათებული. ინფორმაცია მას მიუღია თავისი ყოფილი მოწაფისგან, რომელსაც საექიმო საქმე შეასწავლა. ეს უკანასკნელი თბილისში 6 წელი ცხოვრობდა და ექიმობით დიდძალი ქონება დააგროვა. მან უამბო აბდ ალ-ლატიფს, რომ, „(ხვარაზმელებმა). თბილისთან აიღეს ციხე შეუვალობის პირობით (ბ ი-ლ-ა მ ა ნ) და როცა გამოვიდა ციხიდან მისი ხალხი, გაშორდნენ მათ მცირედით, შემდეგ მოუბრუნდნენ და დახოცეს ისინი, ვისაც აღუთქვეს მშვიდობა — დახოცვის გარეშე და დაატყვევეს ისინი, ვისაც აღუთქვეს მშვიდობა-დატყვევების გარეშე".. (4.123) „როდესაც მოახლოვდნენ ხვარაზმელები, მათი ელჩი ეახლა დედოფალს ტკბილი სიტყვით და როცა მასთან დარბაზობაზე იყო, მოვიდა მაცნე ამბით, რომ ეს ხალხი აოხრებდა ქვეყნის სანაპიროებს. მაშინ დედოფალმა უთხრა ელჩს: განა ამგვარად იქცევიან მეფეები, ელჩს ერთს ალაპარაკებენ და თავად საწინააღმდეგოს აკეთებენ? და ბრძანა მისი გაძევება"... (4.123).

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი მოგვითხრობს ქართველებსა და ხვარაზმელებს შორის ბრძოლაზე (იგულისხმება გარნისის ბრძოლა, 1225 წლის აგვისტოში), როცა ქართველთა მთავარბანაკში თავი იჩინა უთანხმოებამ ივანე მხარგრძელსა და შალვა ახალციხელს შორის.

ხვარაზმელთა ელჩის გაძევებიდან „თხუთმეტი დღის შემდეგ მოვიდნენ (ხვარაზმელები). გამოვიდა მათ წინააღმდეგ ქართველთა ლაშქარი. თქვა ივანემ და მოეწყო ლაშქარი ცენტრად, მარჯვენა და მარცხენა ფრთად. მაგრამ თქვა შალვამ: ისინი (ხვარაზმელები) ამისი ღირსნი არ არიან და მათ მეც ვეყოფი. ის ჩაება ბრძოლაში წინდაუხედავად 7 ათასი მეომრით (რომელთა უმრავლესობა იყო თურქმანი), რადგანაც თავში სიმთვრალე ჰქონდა. დაიძრა, შეიჭრა მათ შუაგულში. მაგრამ (ხვარაზმელები) გარსშემოერტყნენ, დაეცა მისი ალამი და მაშინ თქვა ივანემ: შალვა დამარცხდა და ჩვენც უკუვიქცეთ. ის გაემართა ულელტეხილისკენ და უკან მიჰყვნენ ოტებულნი. ისინი იჩეხებოდნენ ვიწროებებში, ისე რომ უმეტესობა დაიღუპა. ივანე და მისი მხლებლები ციხეებში გამაგრდნენ, ხვარაზმელებმა კი დაიწყეს ყველაფრის მოოხრება, რაც კი ჰპოვეს. დედოფალი გამაგრდა ციხეებში ულელტეხილზე"... 4.123).

ხვარაზმელთა მუხანათობას აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი საქართველოს კიდევ ერთი ქალაქის აღების მაგალითზე გვიჩვენებს. ქალაქი მტრისთვის იბნ ას-სადიდ ათ-თიფლისის (ე. ი. თბილისელს) ჩაუბარებია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს პიროვნება ყადი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ არა ჩანს, თუ რომელ ქალაქზეა საუბარი: „შემდეგ იბნ ას-სადიდ ათ-თიფლისიმ მოინადინა დაზავება. იფიქრა, რომ ისინი (ხვარაზმელები) ადამიანებსა ჰგავდნენ და რომ შეეძლოთ სიტყვისა და პირობის შესრულება. გამოვიდა და ითხოვა შეუვალობა (ა ლ-ა მ ა ნ) ქალაქის ხალხისთვის მთლიანად: მუსლიმთათვის, ქართველებისა და ებრაელებისთვის. მიიღო ჯალალ ად-დინისა და ღიას ად-დინის (ჯალალ ად-დინის ძმის — გ. ჯ.) ხელწერილი, შეუვალობა, მათი ბეჭდები... და ერთი საათის შემდეგ. როცა შევიდნენ (ხვარაზმელები ქალაქში) დაიტაცეს იბნ ას-სადიდის მამლუქები და მისი ქონება. ინანა (იბნ ას-სადიდმა) ეს. (ხვარაზმელებმა) იგივე გაუკეთეს ყველას და უძახდნენ მუსლიმებს რენეგატებს (ა ლ-მ უ რ თ ა დ ი ნ ა), მიითვისეს მათი ქონება და ცოლები, არ დაუტოვებიათ არც ერთი ლამაზი ქალი და ლამაზი ბავშვი. მიადგებოდა ხოლმე (ხვარაზმელი) ვინმეს ოჯახს და როცა საჭმელსასმელად დაპატიჟებდნენ, ეძიებდა სახლის პატრონის ცოლს, თხოულობდა ლოგინში და ამბობდა: ჩვენი დაოო. დილით კი თუ მათთან ნახავდა ბავშვს, რომელიც მოეწონებოდა, თან მიჰყავდა. თუ ვინმეს გასაყიდი საქონელი ჰქონდა და 50 დინარს აფასებდა, 5 დინარს აძლევდა და თუ პატრონი რამეს იტყოდა, თავში რკინის ბუნიკიან მათრახს გადაუჭერდა, რისგა-

ნაც ის (ნაცემი) კვდებოდა, ან გრძნობას ჰკარგავდა“ (4.123-124).

ჯალალ ად-დინი ამტკიცებდა, რომ მისი ძირითადი მიზანი მონღოლებთან ბრძოლა იყო, მაგრამ ფაქტიურად მისი სამხედრო კამპანიები მიმართული იყო ამიერკავკასიისა და მცირე აზიის ქვეყნების წინააღმდეგ. მან აიმხედრა და გადაიმტერა ამ ქვეყნების ქრისტიანული და მუსლიმანური მოსახლეობა, ქართველებში ხვარაზმელებს მეტი სიძულვილი დაუმსახურებიათ, ვიდრე მონღოლებს. ეს აისახა ზემოხსენებული თბილისელი მკურნალის სიტყვებში, რომლებიც მას აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადისთვის უთქვამს: „ყველა ვინც კი ებრძოდა თათრებს, მოწმობს, რომ თათრები ხვარაზმელებზე უკეთ იქცევიან“-ო (4.124).

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში, რომლის ნაწყვეტებიც აზ-ზაჰაბის „ისლამის ისტორიამ“ შემოგვინახა, საქართველო და ქართველები არ წარმოადგენდნენ ძირითად თემას და ისინი იხსენიებიან ისლამის სამყაროში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების აღწერასთან დაკავშირებით. ამისდა მიუხედავად აბდ ალ-ლატიფის ცალკეული ცნობები უდაოდ საყურადღებოა და ისინი გარკვეულად ავსებენ ჩვენს ცოდნას XIII საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის შესახებ.

შენიშვნები:

1. იბნ ალ-ასირი. თარიხ ალ-ქამილ. კ. ტორნბერგის გამ. ტ. XII, 1853.

2. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის, მიერ, ტომი I, თბილისი, 1955.

3. Ан-Насави. Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны. Пер. с арабского, предисловие, комментарии, примечания и указатели З. М. Буниятова. Баку, 1973.

4. C. Cahen. Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien de son temps. «Bulletin D'Etudes Orientales», t. XXIII, Damas, 1970.

5. C. Cahen. Abdallatif al – Baghdadi et les Khwarazmiens. Iran and Islam. Edinburgh University Press. 1971.

6. J. De Somogyi. Adh-Dhahabis «Tarikh al-Islam» as an Authority on the Mongol Invasion of the Caliphate. «Journal of the Royal Asiatic Society», 1936. Id. Ein arabischer Bericht über di Tataren im Tarih al-Islam des ad-Dahabi». «Der Islam», Bd. 24, 1937.

7. S. M. Stern, Abd al-Latif al-Baghdadi. «The Encyclapaedia of Islam». New Ed. vol. II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსი ჭინჭარაული

ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან

(„არ აღარნა“ თუ „არად არნა?“)

ვეფხისტყაოსნის ტექსტის კვლევას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. მაგრამ ჯერ კიდევ იმდენი რამ არის გასაკეთებელი ამ მიმართულებით, რომ ეს მუშაობა ასეულ წლობით გაგრძელდება. როგორც ცნობილია, თითქმის არ არის არც ერთი სტროფი პოემისა, რომელიც ნაირნაირად არ იკითხებოდეს სხვადასხვა ხელნაწერებში. არც ის არის გამორიცხული, რომ სიტყვას არ ჰქონდეს ვარიანტი, მაგრამ იგი არ იყოს ავტოგრაფში საგულვებელი, ე. ი. ავტოგრაფისეული რომელიღაც სიტყვა გადამწერ-ინტერპოლატორმა შეცვალა, მაგრამ ეს ოპერაცია ისე უმტკივნეულოდ ჩატარდა, რომ მასში ეჭვი ადარავის შეუტანია, ყველა ხელნაწერი ამ სიტყვას იმეორებს, თუმცაცა იგი ავტოგრაფისეული არ არის. ასეთ შემთხვევაში ალბათ მხოლოდ ავტოგრაფის ჩვენება გადაწყვეტდა საკითხს.

რაც შეეხება დანარჩენ წაირწაკითხვებს, ჩვენის აზრით, თითოეული მათგანის უარყოფა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მტკიცედ არგუმენტირებული, დასაბუთებული უნდა იყოს.

მაგრამ ტექსტოლოგიაში არის შემთხვევები, როცა ეჭვქვეშ დგება საყოველთაოდ მიღებული წაკითხვა. ასეთ შემთხვევაში ეჭვი შეიძლება სამუშაო ჰიპოთეზად იქცეს, ცალკეული მკვლევრის ვარაუდი შესაძლოა ყურადღების ღირსად ჩათვალონ სპეციალისტებმა, ანდა იმთავითვე უარყონ. ასეთ ვარაუდს გაჩენის უფლება აქვს, დიდხანს იარსებებს თუ არა იგი, ეს უკვე სპეციალისტთა კომპეტენტურ აზრზეა დამოკიდებული. ქვემოთ ჩვენც მკითხველს ვთავაზობთ სწორედ ერთ ასეთ ვარაუდს.

ასმათმა ტარიელი და ავთანდილი ქვაბში შეახვედრა ერთმანეთს. ტარიელი თავგადასავალს უამბობს ახლად გაცნობილ მოყმეს. რუსთველი წერს:

ღილ-ჩახსნილი საამბობლად დაჯდა,
მხარნი ამოყარნა;
ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდხანს
შუქნი არ **აღარნა;**
ვერ გახსნა სასაუბროდ, მან ბაგენი
გაამყარნა,
მერმე სულთქვნა, დაიზახნა, ცრემლნი
ცხელნი გარდმოყარნა.
(310, 2/308,2).

ხაზგასმულ სარითმო სიტყვებს („არ აღარნა“) ხელნაწერებში აქვთ ვარიანტები: არ აყარნა (CO'F'L'), არ აჴყარნა (H), არ დაყარნა (UV), არ დაჴყარნა (I), არა ყარნა (Q').

ამ ვარიანტების გაჩენის ერთ-ერთი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ სტროფში კლაუზულაა — ყარნა. ზოგ გადამწერს რითმის „დაზუსტება“ უცდია — დარნა-ს ნაცვლად — ყარნა მოუხდომებია სადავო სტრიქონშიაც.

მეორე მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ ზოგი გადამწერისათვის „მზემ შუქნი არ ადარნა“ შინაარსობრივად მთლად ნათელი არ უნდა ყოფილიყო. არც ჩვენ გვეჩვენება იგი ავტოგრაფისეულად და ბუნებრივად. ვეფხისტყაოსანში არის სტრიქონი: „მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, „დარი არ დარობს დარულად“ (822, 4/320,4), სადაც გამოთქმა „დარი არ დარობს დარულად“ სრულიად ბუნებრივია. იქვეა ასეთი სტრიქონი: „შემასხმიდიან ქებასა: „მზეო, შენ ჩვენთვის იდარი!“ (615,2 2/612,2). „მზე იდარებს“ ან „მზე ამინდს გამოადარებს“ აგრეთვე ბუნებრივი გამოთქმებია, „მზე შუქთ ადარებს“ კი არ გვეჩვენება ასეთად. რომ შეიძლებოდეს თქმა: „მზემ შუქნი აავდარნა“, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა თქმა: **მზე დიდხანს იჯდა მოღრუბლული, შუქი არ გამოადარაო.**

რაჰან პირველი უაზრობაა, უაზრობაა მეორეც და ამიტომ ამ სტრიქონის „ᲐᲠ ᲐᲓᲐᲠᲜᲐ“ კანონიერ ეჭვს აღძრავს.

ვეფხისტყაოსანში გვაქვს ზმნა ᲠᲔᲑᲐ: „დასცევით ჯოგი ნადირთა, ᲗᲐᲕᲜᲘ ამისთვის არენით (72,2/71,2); შერმადინსცა ახარებდეს, ფიცხლად კაცთა ᲗᲐᲕᲜᲘ ᲐᲠᲜᲔᲡ (675,3/673,3); ატირდეს და გაემართნეს, ქვაბისაკე ᲗᲐᲕᲜᲘ ᲐᲠᲜᲔᲡ (917,1/916,1); თქვეს: „ტარიელ რა იქმნაო?“ მისად ჭვრეტად თვალნი არნეს (1417,4/1418,4).

მაშასადამე, გვაქვს შესიტყვება „ᲗᲐᲕᲜᲘ ᲐᲠᲜᲔᲡ“. „ᲗᲕᲐᲚᲜᲘ ᲐᲠᲜᲔᲡ“ და სხვა. უფრო საინტერესო ის არის, რომ გვაქვს გამოთქმა „ᲨᲣᲥᲗᲐ ᲠᲔᲑᲐ“: „აღარ დაჰბრუნდით, მოხვედით, ᲨᲣᲥᲜᲘ თქვენ ჩემთვის ᲐᲠᲔᲜᲘᲗ“.

(1208,1): მზე რა ვარდთა შემოადგეს, დამშვენდენ და ᲨᲣᲥᲜᲘ ᲐᲠᲜᲔᲜ (1420,3/1421,3).

ვვარაუდობთ, რომ სადავო სტრიქონში სწორედ ეს შესიტყვებაა ნახმარი: ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდხან შუქნი ᲐᲠᲐᲓ ᲐᲠᲜᲐ.

ოდნავ უხერხულობას იწვევს „არა“-ს ნაცვლად „არად“-ის ხმარება (უნდა ყოფილიყო: „შუქნი ᲐᲠᲐ ᲐᲠᲜᲐ“, ჩვენ კი ვუშვებთ „ᲐᲠᲐᲓ ᲐᲠᲜᲐ“-ს). მაგრამ უარყოფითი ნაწილაკის ამ ფორმით (ᲐᲠᲐᲓ) ხმარების სხვა შემთხვევებიც გვაქვს ვეფხისტყაოსანში:

მალვით ვუჭვრეტდი, მიჭვრეტდა,
სხვად არად მეუბნებოდა.
(485,3/482,3);

ტარიელი ეუბნება ნესტანს:

(ფარსადანს) მიღმა დაშლა რამცა ვჰკადრე,
რათგან იგი ვერ მიმხვდარა?
არ იცის, თუ ინდოეთი
უპატრონოდ არ გამხდარა?![1]

ტარიელ არს მემამულე, სხვასა ჰმართებს
არად[2] არა,
ვის მოიყვანს, არა ვიცი, ანუ იგი ვინ
მომცდარა?!
(537,3/534,3).

ამ სტროფის მესამე სტრიქონსა და სადავო სტრიქონში ნახმარი „ᲐᲠᲐᲓ“. შესაძლოა ერთგვარი პოეტური ლიცენციაც იყოს. საქმე ის არის, რომ ორივე სტროფის სარითმო სიტყვებში კლაუზულა თანხმოვანზეა დამყარებული: 537/534-ე სტროფში — ᲓᲐᲠᲐ, სადავო სტროფში კი — ᲣᲐᲠᲜᲐ. კერძოდ, სადავო სტრიქონში ასეთ „საყრდენ“ თანხმოვნად გამოყენებულია — Დ—თანხმოვანი (არად არნა), ისევე როგორც 537/534-ე სტროფში (არაᲓ არა). ეგება ის გარემოებაც საგულისხმო იყოს, რომ ზოგიერთ გადამწერს, როგორც ჩანს, ყოველგვარი თანხმოვანი არ აკმაყოფილებდა და სადავო სტრიქონშიაც კლაუზულა — ᲣᲐᲠᲜᲐ მოინდომა (იხ. ზემოთ).

მთავარი კი, ჩვენის აზრით, ის არის, რომ „შუქთა რება“ ვეფხისტყაოსნისეული და გასაგებია, ხოლო „შუქთა დარება“ (შუქთა გამოდარება, შუქის დარად ქცევა) — არაბუნებრივი. „არად არნა“-საგან რომ „არ ადარნა“ მარტივად მიიღებოდა, ამას, ალბათ, მტკიცებაც არ სჭირდება; საქმე ის იყო, როგორ გაიაზრებდა გადამწერი ამ ორსიტყვიან ომონიმს.

სხვათა შორის, ამ მცდარად გაგებულ-გააზრებული სტრიქონის („ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდხან შუქნი არ ადარნა“) პერიფრაზი უნდა იყოს იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ 363-ე სტროფის მეორე ტაეპი:

ვინც მიცნობთ, ბრძანეთ, თუ ვიყავ
ყრთის კაცისა დარული,
ლხინი და შვება ულრუბლო მქონდა,
მზის შუქი დარული.

---

[1] აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენის აზრით, კითხვა-ძახილის ნიშანი მეორე სტრიქონის ბოლოს საჭირო არ არის, ამას გამორიცხავს ამ სტრიქონში „რომ“-ის ფუნქციით ნახმარი „თუ“. მეორე სტრიქონის ბოლოს წერტილ-მძიმე უნდა დაისვას.

[2] 1966 წლის ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით გამოცემულ ტექსტში მიღებულია წაკითხვა არა-დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ კუპრავა

ერთი აფორიზმის სწორი გაგებისათვის

რუსთველის მრავალი აფორიზმის შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ბევრი მათგანი მართებულად არ არის გაგებული და განმარტებული თვით ქართულ ენაზე და ამის გამო რუს, გერმანელ თუ სხვა უცხოელ მკითხველამდე ისეთი თარგმანით აღწევს, რომელიც არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს რუსთველისეულ სიბრძნეს, ხოლო არც თუ იშვიათად ამახინჯებს ან აზრს უცვლის გენიალური მეოსნის ბრწყინვალე ნათქვამს. ამიტომაც განზრახული გვაქვს წერილების მთელი სერია მივუძღვნათ რუსთველის აფორიზმების თარგმნის პრობლემას.

ოღონდ ამჯერად მიზნად ვისახავთ განვიხილოთ მხოლოდ ერთი აფორიზმის განმარტება და თარგმანები. ეს აფორიზმი გახლავთ:

რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!

ამ აფორიზმის პირველ რიგში განხილვის აუცილებლობა გამოიწვია ჟურნალ „ცისკარში" ახლახან (1979 წ. № 5) გამოქვეყნებულმა სტატიამ, რომელსაც ხელს აწერს პ. მარგველაშვილი. ეს აფორიზმი საქართველოში მეტად პოპულარულია და დიდსა თუ პატარას ენაზე აკერია. თავისი შინაარსით იგი თითქოს გამჭვირვალეც არის და გასაგებიც ყველასათვის.

დღემდე საყოველთაოდ აღიარებული გაგება-განმარტება აფორიზმისა ასეთია: „რაღა ფასი აქვს სინათლეს, რომელსაც თან ახლავს (თან სდევს) სიბნელე".

პ. მარგველაშვილი ცდილობს დაამტკიცოს, რომ აფორიზმი უნდა წავიკითხოთ შემდეგნაირად:

„რაღაა იგი სინათლე, რ ა ს ა ც ა რ ა ხ ლ ა ვ ს ბნელია".

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ სწორი არ არის არც ე. წ. ტრადიციული და არც პ. მარგველაშვილისეული გაგება.

აფორიზმის არასწორ გაგებას იწვევს ო რ ი გ ა რ ე მ ო ე ბ ა.

პ ი რ ვ ე ლ ი გ ა რ ე მ ო ე ბ ა ის არის, რომ სიტყვა „ახლავს" ორივე შემთხვევაში განმარტებულია მისი თანამედროვე გაგებით — „ახლავს" ანუ „თან ახლავს" (თან სდევს), ესე იგი თანხლების მნიშვნელობით და ამიტომაც აზრობრივი მახვილი გადატანილია იმაზე, თან ახლავს თუ თან არ ახლავს სინათლეს ბნელი.

ნამდვილი მნიშვნელობა სიტყვისა „ახლავს" ხსენებულ აფორიზმში სულ სხვაგვარია. „ახლავს" ამ კონტექსტში, ისევე როგორც მრავალ სხვა კონტექსტში „ვეფხისტყაოსნისა" ნიშნავს — „ახლო არის", „უახლოვდება".

ამიტომაც, რუსთველის ნათქვამი „რასაცა ახლავს ბნელია" ნიშნავს „რასაც ბნელი უახლოვდება".

სიტყვა „ახლავს" რომ ახლო ყოფნას, მიახლოებას ნიშნავს და, მაშასადამე, ნაწარმოებია სიტყვა „ახლო"-საგან, ამას თვალნათლივ ადასტურებს, როგორც თვით სტროფის კონტექსტი, აგრეთვე „ვეფხისტყაოსანში" სხვადასხვა ვითარებაში ნახმარი სიტყვების „ახლავს", „მახლავს", „გვახლავს" ანალიზი.

ჯერ კონტექსტის შესახებ.

ჩვენთვის საინტერესო აფორიზმს ორი ასეთი ტაეპი უძღვის წინ:

მე გარდასრულ ვარ, სიბერე მჭირს,
ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე
მქმნელია.

როგორც ვხედავთ, როსტევან მეფე ხაზს უსვამს თავის სიბერეს (გარდასრულ ვარ, სიბერე მჭირს), ხოლო შემდეგ ლაპარაკობს მოახლოებული სიკვდილის შესახებ („დღეს არა, ხვალე მოვკვდები"). მეფის ამგვარ განწყობილებას სინონიმურად და აფორიზმის სახით ამთავრებს წინადადება „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?", რითაც კიდევ უფრო გაძლიერებულია წინა ორ ტაეპში გამოხატული სევდა და ამასთანავე იგრძნობა ნიადაგის მომზადება იმისათვის, რომ დაბერებულმა მეფემ (რომელსაც სიკვდილი უახლოვდება) ძალაუფლება თუ ტახტი გადასცეს თავის ერთადერთ მემკვიდრეს.

ვნახოთ ამის შემდეგ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც რუსთველი სიტყვებს: „ახლავს", „მახლავს" და „გვახლავს" იყენებს ახლო ყოფნის ან მიახლოვების მნიშვნელობით.

როსტევან მეფეზე არის ნათქვამი:

1555. არაბთა მეფე მასპინძლობს, იქმს ოდენ
არიფობასა,
ზოგჯერ მათ ახლავს, ზოგჯერ მათ, არ
იხმობს ხელმწიფობასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ნიშნავს აქ „ზოგჯერ მათ ახლავს, ზოგჯერ მათ?“

უთუოდ იმას, რომ როსტევან მეფე, როგორც მასპინძელი, სტუმრების ხან ერთ ჯგუფთან მიდის ახლო (უახლოვდება), ხან კიდევ მეორესთან. ამგვარ სიტუაციაში, ცხადია, სრულიად გამორიცხულად უნდა მივიჩნიოთ ისეთი განმარტება, რომ როხტევან მეფე ხან ერთ ჯგუფს ახლავს თან (ან ეახლება), ხან კიდევ მეორეს.

ცნობილ ეპიზოდში, რომელშიც აღწერილია ავთანდილის მიერ „დაბნედილი“ ტარიელის პოვნა, ავთანდილის მეცადინეობით გონსმოსული ტარიელი ეუბნება მის მპოვნელს:

885. სიკვდილი მ ა ხ ლ ა ვ ს, დამეხსენ,
ხანსალა დავჰყოფ მცირასა.

აქ ტარიელი ამბობს არა იმას, რომ სიკვდილი საერთოდ თან მახლავს, თან მსდევსო, არამედ იმას, რომ სიკვდილი უკვე ახლო არის, მომიახლოვდაო და ამიტომაც დამეხსენი, რადგან მცირე ხანიღა დამრჩენია სიცოცხლისაო.

მაშასადამე „მახლავს“ აქ ნიშნავს „ჩემთან ახლო არის“, „მე მომიახლოვდაო“.

როსტევან მეფე ეუბნება თავის ვაზირს.

63. სიბერე მახლავს, დავლიენ სიყმაწვილისა
დღენია.

აქაც უეჭველად იგულისხმება, რომ როსტევანს, რომელსაც სიყმაწვილის დღენი დამთავრრებია, კარს მოსდგომია, მ ო ა ხ ლ ო ვ ე ბ ი ა სიბერე.

სრულიად ანალოგიურ გამოთქმას ხმარობს აგრეთვე ფარსადან მეფე:

511. ჟამი გვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე
გარდგვივლია.

აქ ფარსადანი თავის მეუღლესაც გულისხმობს და, მაშასადამე, ამბობს — ორივეს სიბერის დრო გვიახლოვდებაო. (ორივესთვის სიბერის დრო ახლო არის მოსულიო).

ავთანდილი ეუბნება ფატმანს:

1317. სახლი არ მახლავს, არ ძალ-მიც
გაცემა საბოძვარისა.

აქაც „სახლი არ მახლავს“ მხოლოდ ისე უნდა გავიგოთ, რომ სახლი შორს არის (ახლოს არ არის), ცხადია, წარმოუდგენელია, რომ ადამიანმა თქვას სახლი თან არ მახლავს, ან თან არ მსდევსო.

ზემოთ მოტანილი მაგალითები საშუალებას იძლევა დავასკვნათ:

ყოველთვის, როდესაც რუსთველი წერს „ახლავს“ („მახლავს“, „გვახლავს“) და საქმე ეხება რომელიმე საგანს ან განყენებულ ცნებას (სახლი“, „ბნელი“, „სიბერე“, „ჟამი“, „სიკვდილი“) იგულისხმება, რომ ეს ნიშნავს — „ახლო არის“, „უახლოვდება“.

ამავე თვალსაზრისით საინტერესო ჩანს აგრეთვე ერთი ეპიზოდი, რომელშიც სამჯერ ვხვდებით ჩვენთვის საინტერესო სიტყვებს.

709. თუ გეახლო, ერთხელ ვა და, რა
მოგშორდე, ათასჯერ ვა!

(აქ „გეახლო“ ნიშნავს — „ახლო ვიყო“, „მოგიახლოვდე“, ახლო მოვიდე“).

718. საყვარლისა სიახლესა მოშორვება
გაამწარებს.

(აქ „სიახლე“ ნიშნავს „სიახლოვეს“, „ახლო ყოფნას“).

719. „მაგრა ახლავს გონებითა საყვარელსა,
არ მოსწყდების“.

(აქ „ახლავს გონებითა“ ნიშნავს — „ფიქრით ახლოს არის“ „ფიქრით არ შორდება“).

ამგვარად, ეს სამი მაგალითი ზედიზედ ერთ ეპიზოდში ამტკიცებს, რომ სიტყვები „გეახლო“, „სიახლე“ და „ახლავს“ ნაწარმოებია სიტყვა „ახლო“-დან და არა აქვს მნიშვნელობა ხლება-თანხლებისა.

ამიტომაც გვაქვს სამივე შემთხვევაში დაპირისპირება მოშორებასთან, შორს ყოფნასთან; „გეახლო“ (ახლო მოვიდე. მოგიახლოვდე) — მოგშორდე. „სიახლე“ (ახლო ყოფნა, სიახლოვე) — მოშორვება.

„ახლავს“ (ახლო არის) — მოსწყდებისა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებითაც რუსთველის ნათქვამი „რასაცა ახლავს ბნელია“ ნიშნავს: „რასაც ბნელი უახლოვდება“.

მ ე ო რ ე და უ მ თ ა ვ რ ე ს ი გ ა რ ე მ ო ე ბ ა კი ის არის, რომ „სინათლე“ და „ბნელი“ რუსთველის აფორიზმის კონტექსტში მათი პირდაპირი მნიშვნელობით კი არ უნდა გავიგოთ, არამედ გადატანითი ანუ სინონიმური მნიშვნელობით. „სინათლე“ აქ იგივე „სიცოცხლეა“, ხოლო „ბნელი“ „სიკვდილი“. სინათლისა და ბნელის ამგვარი გადატანითი მნიშვნელობა დავას არ უნდა იწვევდეს და ამიტომ ამ საგანზე მსჯელობას აღარ გამოვუდგებით.

საკმარისია ჩვენთვის საინტერესო აფორიზმის ტექსტში სათანადო სიტყვების ნაცვლად მათი გადატანითი მნიშვნელობა ჩავსვათ და მაშინვე გაცილებით უფრო ნათელი ხდება არა მარტო ის, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ახლავს“, არამედ მთელი აფორიზმის აზრიც.

„რაღა არის იგი (ისეთი) სიცოცხლე, რასაც უახლოვდება სიკვდილი?!“

სწორედ ასე, როგორც სიკვდილის მოახლოვებას განიცდის ბნელს ამ სიტყვების წარმომთქმელი როსტევან მეფე, რომელიც სტროფის დასაწყისშივე უჩივის სიბერეს. ხოლო შემდეგ ამბობს „დღეს არა, ხვალე მოვკვდებით“.

ცხადზე უცხადესია, რომ ამ აფორიზმში ჩვენ გვაქვს სინონიმებით გადმოცემული ნალ-

ვლიანი სიბრძნე, რომ სიცოცხლე ფასს კარგავს, როცა მას სიკვდილი კარს მოსდგომია.

ეს აზრი და ეს განწყობილება, ჩვენის ღრმა რწმენით, უნდა აისახოს აფორიზმის განმარტებაში ქართულ ენაზე და მის თარგმანში ყველა უცხო ენაზე. ამასთანავე, თუ ყოველთვის არა, მეტწილად მაინც აუცილებელი ჩანს გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვების გაშიფვრა, რადგან ყველა ენაზე, ვთქვათ, „ბნელი“ და „სინათლე“ არ არის სიკვდილ-სიცოცხლის სინონიმები.

ამგვარი მოსაზრების ჭეშმარიტებაში ჩვენ უთუოდ დაგვარწმუნებს რუსული და გერმანული თარგმანების კრიტიკული განხილვა.

დავიწყოთ რუსული პწკარედი თარგმანით. პწკარედ თარგმანს საერთოდ და განსაკუთრებით აფორიზმისას, პირველ ყოვლისა ის მოეთხოვება, რომ ზედმიწევნით სწორად და ზუსტად გადმოგვცეს სათარგმნი აფორიზმის აზრი, რადგან სხვაგვარად აფორიზმის თარგმნას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თუ აზრის სწორ გადმოღებასთან ერთად თარგმანში შენარჩუნებული იქნება აგრეთვე დედნისათვის დამახასიათებელი ფორმა, ანუ აზრის ხატოვანი გადმოცემის თავისებურება, პწკარედი უმაღლესი ღირსებისა იქნება, სავსებით მიახლოებული მხატვრულ თარგმანთან, მაგრამ ვიმეორებთ, პწკარედი ანუ სიტყვა-სიტყვით თარგმნისათვის ეს დიდად აუცილებელი არ არის.

რუსული პწკარედი, შესრულებული ს. იორდანიშვილის მიერ, ასე იკითხება:

«Что это за свет, которому сопутствует тьма?!»

რა არის ის სინათლე, რომელსაც დამგზავრებია (თან ახლავს, თან სდევს) წყვდიადი?!).

პწკარედული თარგმანის ასეთი გააზრებით გამოდის, რომ სინათლე მოსაწონი არ არის, იმის გამო, რომ მას სიბნელე (წყვდიადი) თან ახლავს თუ დამგზავრებია. ამგვარი ინტერპრეტაცია მთლიანად უკარგავს აზრს რუსთველის აფორიზმს, რადგან რუსთველმა შესანიშნავად იცოდა, რომ ბუნებაში სინათლე და სიბნელე ერთმანეთს ენაცვლება, ერთმანეთში ირევა, მაგრამ ამის გამო სინათლის დაწუნება ფიქრადაც არ გაუვლია მას.

ამიტომაც ჩვენ ვთვლით, რომ რუსთველის აფორიზმის რუსული პწკარედული თარგმანი ვერ გადმოგვცემს სწორად მის აზრს და ამდენად ვერც თარგმნის ფუნქციას ასრულებს.

სამწუხაროდ, რუსული პწკარედის უზუსტობა, გამოწვეული, რა თქმა უნდა, აფორიზმის არასწორი განმარტებით, წითელი ხაზივით გასდევს უკლებლივ ყველა მხატვრულ თარგმანს.

მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი:

შ. ნუცუბიძე ასე თარგმნის აფორიზმს:

«Что же ценного есть в свете, коль он мрачен хоть отчасти?»

(რაღა აქვს დასაფასებელი სინათლეს, თუკი იგი თუნდაც ნაწილობრივ არის ბნელი?)

ნ. ზაბოლოცკი კი ასეთ რამეს გვთავაზობს:

«Для чего и свет, коль мрака не избегнуть в сей юдоли!».

(რად გვინდა სინათლე, თუკი წყვდიადს ვერ ავირიდებთ ამქვეყნიურ ჭირვარამში!)

ძალიან საძნელოა თქმა, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ამგვარი თარგმანი, ცხადია, თარგმანი არ არის და მხოლოდ იმ ვითარებას გამოხატავს, როცა აფორიზმის აზრი არასწორად არის გაგებულ-განმარტებული.

სავსებით ანალოგიურ შეცდომებთან გვაქვს საქმე აფორიზმის გერმანულ თარგმანებშიც.

მაგალითად, რ. ნოიკომის პროზაული თარგმანი ასეთ სურათს გვაძლევს:

«Doch wozu taugt ein Licht, dem Finsternis wartet?

(რისთვის ვარგა მაინც სინათლე, რომელსაც სიბნელე ელოდება?).

ასევე სრულიად გაურკვეველ, დედნისთვის შეუფერებელ აზრს შეიცავს როგორც ჰ. ჰუპერტის, ისე ჰ. ბუდენზიგის მხატვრული თარგმანები:

«Welchen Wert Kann Licht – bewähren, wenn ringsum sich Schatten zeigen?»

(რა ფასი უნდა ჰქონდეს სინათლეს, როცა გარშემო ჩრდილები ჩნდება?).

«Was ist das irdische Licht, dem immer die Finsternis nachfolgt?»

(რა არის მიწიერი სინათლე, რომელსაც ყოველთვის წყვდიადი ძოსდევს?).

ყოველივე ამის შემდეგ უნდა მივიჩნიოთ, რომ რუსთველის აფორიზმის: „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!“ ერთადერთი და სწორი აზრობრივი განმარტება არის:

„რა არის ის სიცოცხლე, რასაც სიკვდილი უახლოვდება?!“

(რის მაქნისია სიცოცხლე, რომელსაც სიკვდილი კარს მოსდგომია? ანდა — რა ფასი აქვს ისეთ სიცოცხლეს, რომელსაც სიკვდილი მოახლოვებია?)

ამგვარად გააზრებული აფორიზმის რუსული პწკარედი თარგმანი ასეთი იქნება:

«Что из себя представляет жизнь, когда близится смерть?!»

(Что стоит жизнь, если приближается смерть?!)

— К чему такая жизнь, если смерть на подходе?

ხოლო გერმანული კი ასეთი:

«Was soll das Leben bedeuten, wenn der Tod schon nahe ist?»

ანდა

«Welchen Wert hat das Leben, dem der Tod schon nahe ist?»

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერწერა

იდა ოცხელი

გივი თოიძე

საქართველოს დამსახურებული მხატვარი გივი თოიძე იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც 50-60-იანი წლების მიჯნაზე მოვიდა სახვით ხელოვნებაში და მაშინვე აღიარება მოიპოვა. ახალგაზრდა მხატვრებს აერთიანებდათ საერთო სურვილი — განეახლებინათ ფერწერის გამომსახველობითი საშუალებანი, თემატიკა, განეზოგადებინათ მხატვრულ სახეთა წყობა, შეესისხლხორცებინათ მშობლიური მიწის დაუცხრომელი სიყვარული და ყოველივე ეს გადმოეტანათ ტილოებზე; ამ თაობის ფიქრი, მიგნებანი, სიძნელენი და სიხარული მთლიანად გაიზიარა გივი თოიძემ. მან იმთავითვე მიაგნო თავის თემას. ენასა და სტილს, მოიძია თავისი გზა და საკუთარი სამყარო გაგვიხსნა. მისი შემოქმედების დედაარსი გახდა სიყვარული მშობლიური მიწისა, რაც ყველაზე ძვირფასია მისთვის ცხოვრებასა და ხელოვნებაში, რაც მისი სათაყვანოა და ეს სიყვარული ისეა ნაგრძნობი, ისეთი ამაყი მღელვარებითაა გადმოცემული, რომ ასევე ზუსტად აირეკლება მაყურებელშიაც.

1960 წელს გივი თოიძემ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. სადიპლომო სამუშაოსათვის მან ინდუსტრიული თემა აირჩია. რუსთაველ მეტალურგებისადმი მიძღვნილი ტილო „ბრიგადის ცვლა“ ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. აქ ყურადღების ცენტრშია ადამიანი, მისი შინაგანი სამყარო. უკვე აქ წარმოგვიდგება გივი თოიძე, როგორც მხატვარი-მონუმენტალისტი, რომელიც მკვეთრად გრძნობს დროის მაჯისცემას. ადამიანი და თანამედროვეობა — აი მისი ხელოვნების საწყისი, გამოსახული მისწრაფებათა ერთიანობაში. მხატვარი მიმართავს თანამედროვე ადამიანის სახეს, მის სულიერ სილამაზეს, გვიჩვენებს მის ზნეობრივ ძალმოსილებას. დიდი გრძნობით მოგვითხრობს გივი თოიძე შრომითი დღეების რომანტიკას ნახატებში „ახალი ცხოვრების დილა“. „იღბლიანი ნადირობა“, „ზამთარი“, „წაბლის ხეები“, ტილოები „განმსჭვალულია თანამედროვეობის მძაფრი შეგრძნებით. მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პატივისცემა რიგითი ადამიანისა და მებრძოლისადმი. გივი თოიძის მიერ შექმნილი სახეები თავისუფლებისმოყვარე ადამიანის სულის. მისი მტკიცე ნებისყოფის, ცხოვრებისაკენ, გამარჯვებისაკენ მისი სწრაფვის განსახიერებაა. ისინი დიდი ცხოვრებისეული სიმართლით, ღრმა ადამიანურობით გამოირჩევიან.

ნამუშევრებისათვის „ახალი ცხოვრების დილა“ და „ქართული პასტორალი“ გივი თოიძეს 1967 წელს, საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სრულიად საკავშირო გამოფენაზე რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის წოდება მიენიჭა.

გივი თოიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს პეიზაჟს ჟღერს საქართველოს დიადი სილამაზის თემა: უხვი და ძლიერი, იგი გვატყვევებს თავისი სიმდიდრითა და ცხოველმყოფელობით — მაღალი მთები, ციცაბო ფლატეები, ლურჯი ცა, ფერის სიღრმითა და სიცინცხალით რომ ანცვიფრებს ადამიანს... მთელ თავის სიდიადესთან ერთად, ბუნება გივი თოიძის შემოქმედებაში ადამიანთანაა შეხმატკბილებული, ადამიანის საქმიანობითაა განსული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერებული. ამიტომაა, ასე ხშირად რომ მიმართავს მხატვარი „ფიგურულ“ პეიზაჟს ადამიანის მონაწილეობით. მისი ყოფითი ჟანრი და პეიზაჟი ერთი განუყოფელი მთლიანობაა.

გივი თოიძე ბევრს მოგზაურობს. ამ მოგზაურობის შედეგია მისი ნამუშევრების სერია თემებზე: „მეთევზეები“, „ხევსურეთი“, „მთათუშეთი“.

გამორჩეული ადამიანი უნდა იყო, რომ იმ თვალით შეხედო ყოველივე ნაცნობს, ჩვეულებრივს, თითქოს პირველად ხედავდე, ცდილობდე, რომ თანამედროვე ცხოვრების ტემპში არ დაგეკარგოს აღტაცებული განცვიფრების გრძნობა და ტილოზე ახალი ცხოვრება მისცე მას.

უბრალო, ნაცნობი საგნებისაგან ჰქმნის მხატვარი თავის ნატურმორტებს, ავლენს ეროვნული ყოფის კეთილშობილურ სილამაზეს. ხალიჩის ან ფერადი ლაქების ფონზე, ქართულ ორნამენტს რომ მოგაგონებთ, გივი თოიძე ხატავს საყოფაცხოვრებო საგნებს: ფილთაქვას, თეთრ ნიორს, ალისფერ ბროწეულებს, ქოთანს ფუნჯებით, ძველ უთოს, ბოთლებს, საყავეს — ყოველივე ეს მკვრივი ფერებითაა გამოკვეთილი და ძირითადად ყოველთვის ფრონტალურადაა განლაგებული. საგნები ცოცხლობენ ჰარმონიულ ურთიერთკავშირში, ფერები მსუყედ ხასხასებენ და, როგორც თვით ბუნებაშია, ხმოვან, სისხლსავსე აკორდად ერწყმიან ურთიერთს.

მშობლიური სახლის ინტიმურობა, სითბო, სიმყუდროვე და გამოსახვის მხატვრული ემოციურობა ერთნაირად ძვირფასია მხატვრისათვის.

გივი თოიძე დაიბადა და გაიზარდა ძველ თბილისში და, როგორც ძირეული თბილისელისათვის, მისთვის ძვირფასია ვიწრო ქუჩები, მოხარატებული აივნები, კრამიტის სახურავები, ეს სასწაულად გადარჩენილი ქალაქი — ციხე-სიმაგრე. მას ჯერაც ბუნდოვნად ახსოვს წარსული ქალაქის კოლორიტი; ყარაჩოღელები, მათი ქეიფი ტივებზე, ქუჩებში მემწვანილეთა ნატურმორტები, მეპაწვნისა და ხილის გამყიდველის ძახილი, არღნის ხმა. ამ ძველი თბილისის ხატვა არ ბეზრდება გივი თოიძეს. მისი თბილისური პეიზაჟები ქალაქის ხან ერთ, ხან მეორე კუთხეს გვაგონებენ, მაგრამ ნატურიდან ხატვა არ არის მისი მიზანი. იგი ქმნის, იგონებს პეიზაჟს მეხსიერებაში ღრმად ჩამჯდარი, მისთვის საყვარელი მოტივებისაგან. არაერთ ტილოზე მეორდება ხან აივანი, ხან ლობე, ხანაც მთელი სახლი. სწორედ ესაა მხატვრის გულდადება. მისი ერთგულების ლარი და ხაზი. ზემოთთქმულის ყველაზე ნათელი მაგალითი შეიძლება იყოს ნახატი „საყვარელი ქუჩა“, აქ მხატვარმა თავი მოუყარა მისთვის საყვარელ შეხამებასა და ელემენტებს. გივი თოიძისათვის მთავარია ქალაქის ხასიათი, მისი თვითგამომსახველობა. ამიტომაცაა, ქალაქური კომპოზიციები შეკრულია, სტატიურია. მათში იგი პრიზმიდან დანახულ განზოგადების დამაჯერებლობას აღწევს.

1972-1973 წლებში გივი თოიძე იმყოფებოდა პარიზში, იტალიაში, ესპანეთში, უნგრეთში, ბულგარეთში. სწორედ ამ მოგზაურობის შედეგია ტილოები „მონმარტრი“, „სენის სანაპირო“, ვირტუოზული გრაფიკული ფურცლები. ამ ნახატებში გამოსჭვივის მოკრძალებული პატივისცემა მხატვრებისათვის წმიდათაწმიდა ადგილისადმი — მონმარტრისადმი, ემოციური თვითგამოსახვა, მოწიწება დიდ მხატვარ-წინაპართა მიწისადმი.

გივი თოიძეს თავისი პირველი ცდებიდანვე მონუმენტურობისადმი აქვს მიდრეკილება. მონუმენტურია მისი ნატურმორტები, პეიზაჟები, ჟანრული კომპოზიციები. მაგრამ მხატვარს თან სდევდა ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. მას სივრცე ეწადა, მისი ტემპერამენტი ვერ ეტეოდა დაზგური მხატვრობის ჩარჩოებში. იგი ფრესკაზე ოცნებობდა და ამ ოცნებას მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ელოლიავებოდა.

„იგი ხან ისე მომიახლოვდებოდა, შემეძლო ხელი შემეხო, შემეგრძნო, მოვსიყვარულებოდი, ხან კი შორს მიდიოდა, მე ვგავდი მეზღვაურს, მიწის ზოლი რომ მოეჩვენა და უცებ გაუქრა, მაგრამ მაინც იმედოვნებს, რომ დილით ისევ დაინახავს მიწას, ისე ახლოს დაინახავს, ხელის გაწვდენა-ღა იქნება საჭირო“, — ამბობს თვით მხატვარი.

და აი, დადგა ეს „დილა“. მას შესთავაზეს ბიჭვინთის კონფერენც-დარბაზის კედლის მოხატვა. თრთოლვით, სიყვარულით, მაგრამ მტკიცედ მოჰკიდა საქმეს ხელი. მხატვარი მომზადებული იყო საამისოდ. ყველა მის ტილოს, ეტიუდებს, ჩანახატებს, აქეთკენ მოჰყავდათ იგი.

გივი თოიძე წარმოგვიდგენს მთებით გარშემორტყმულსა და მთებზე აზიდულ მშობლიურ საქართველოს. აი, მისი ზეიმი — ზეიმი ქედუხრელობისა, აი მისი ღონე და სიმძლავრე, სიმკაცრე და სინაზე, მისი სტუმართმოყვარეობა. აი, მისი ადამიანები — მთიელები! მათი ხასიათი, არსი, მათი ცხოვრება.

ძველი ხევსურეთის შედიდური კოშკები, ამაყნი და ზვიადნი, პირქუში მთების ფონზე თითქოს ხაზს უსვამენ და ადრმავებენ თავიანთ მიუკარებლობას. არ შეიძლება რამე დაწერო გივი თოიძეზე და არაფერი თქვა მის მთებზე. მათში არის რაღაც ადამიანური, თითქოს სულია ჩადგმული. მთები და ადამიანი. იგივე

ილა ოცხელი
გივი თოიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიამაყე, სილამაზე, სინაზე. მას ძალიან უყვარს მთები. უყვარს კი არა, მთები განუყოფელია მისგან, თვით მასშია ჩაბუდებული.

გივი თოიძე კომპოზიციაში ამჟღავნებს ძირითად იდეას — ხალხის ქედუხრელობის, მისი „მტკიცედ დგომის“ იდეას. მასში ბევრია ცალკეული კავშირები, სცენები, მაგრამ მხატვარს მიზანი ჰქონდა და კიდეც შეასრულა კეთილსინდისიერად — ფრესკა მთლიანობაში იკითხება, ერთიან სმოვან რიტმში, რომელიც აერთიანებს კედლის კონტურებსა და მთების ნარნარ მოხაზულობას, იგრძნობა მუსიკალობა, მღერადობა, რაც ფრესკას ქართულ ხალხურ მელოდიებს უახლოვებს.

პირველი შეხედვითვე და ნახატის ღრმა საფუძვლიანი შესწავლითაც მასში იგრძნობა ფიქრი, ასე ძლიერ რაც იპყრობს მაყურებელს.

დიდებულია გივი თოიძის დინამიკა. მხატვრის ენერგიული ფუნჯი გვაგრძნობინებს მოძრაობის თავბრუდამხვევ რიტმს, მკვიდრად აგებული კომპოზიცია გადმოგვცემს ყველა ჯგუფისა და სცენის ერთიანობას, რომლებიც წამოიმართებიან მთებისა და ხევსურული ნაგებობების ფონზე, მძლავრი მდინარის ფონზე.

სხვადასხვა სცენა მთიელთა ცხოვრებიდან. ხევსურული ცეკვა სალამურზე; მწყემსების სიმღერა. ეროვნული თამაში-ჭიდაობა და მაყურებელ-გულშემატკივართა გროვა. საუკუნეებს მოჰყვება ეს ჩვეულება სადღესასწაულო თავყრილობებზე, სადაც მოხერხებულობა, ძალა და სილამაზე იმარჯვებს, სადაც ყმაწვილები კაცდებიან, სადაც სოფლელი ქალიშვილები საქმროებს ირჩევენ.

შატილი ხვდება შორეული მხრიდან ურმებით ჩამოსულ სტუმრებს. ურმები სადღესასწაულოდაა მორთული ეროვნული ორნამენტით მოხატული ხალიჩებით. ადამიანები, ხარები, ურემი — ყველაფერი საუკეთესოა, არა სანიადაგო. საზეიმოდ შემონახული ტანსაცმელი, ძველებური სამკაულები, ხანჯლები, ვერცხლის ქამრები.

დოლი. გრაციოზული დოლის ცხენები, ვერცხლითა და ფაქიზად დამუშავებული ტყავით მოკაზმულნი, ჯერ კიდევ პაპათაგან ნაკეთები უნაგირი და უზანგები, რომლებიც მით უფრო ძვირფასია ყოველი მთიელისათვის. ცხენი არა მარტო მთების დაკლაკნილ ბილიკებზე გადაადგილების საშუალებაა, არამედ ერთადერთი ცოცხალი არსება, ერთადერთი „მეგობარი და ამხანავი“ სახიფათო, ხანგრძლივ გზებზე.

მთიელი უნაგირზე იბადება და უნაგირზევე ატარებს თავისი ცხოვრების უდიდეს ნაწილს. მისთვის დოლი ძალის, სიმარჯვის გამოცდაა, დიდი სიყვარულია ცხენისადმი, რომელსაც მხედარი ფინიშამდე მიჰყავს.

ხარის დაჭედვა — მეტად ძნელი ხელობაა, ძალას, ცოდნასა და მოხერხებულობას მოითხოვს. ხარი — მორჩილი პირუტყვია, რომელიც ადამიანს ეხმარება ცხოვრებაში. ამასთანავე, წმინდანათაც ითვლება. ხარისადმი თაყვანისცემა მთიელებს ოდითგან მოსდევთ.

საქართველო — მზისა და ქარვისფერი ღვინის მხარეა. გივი თოიძემ ფრესკა ნარინჯისფერ და ყავისფერ გამაში გადაწყვიტა, რაც უფრო ზუსტად გადმოსცემს საქართველოს კოლორიტს. მხატვრისათვის აუცილებელია კოლორიტის ემოციური გამომსახველობა, რაც ხელს უწყობს იდეური ჩანაფიქრის უფრო ძლიერად და დამაჯერებლად გადმოცემაში.

მოუსვენარი, შემოქმედებითი, მაძიებლური ხასიათი გივი თოიძისა აქ მთელი თავისი სიღრმითაა წარმოჩენილი.

თავის ნამუშევრებში გივი თოიძე ფორმის ლაკონური განზოგადოებისაკენ ისწრაფვის, უარს ამბობს მრავალფეროვნებაზე, ზოგ ტილოებზე ქმნის კოლორიტის მონოქრონულობას და პირიქით, სხვა ტილოებზე ფერთა დღესასწაულია. ამ ძიებებმა მხატვარი იმ ნაირფერად აელვარებულ მონუმენტურ ფორმამდე მიიყვანა, რომელიც უცვლელია ხოლმე მის ტილოებზე.

თანდათანობით გივი თოიძე უარს ამბობს სიუჟეტის გარე ენერგიაზე და აღრმავებს გრძნობის, აზრის შინაგან ენერგიას. ახალგაზრდობა ადგილს უთმობს სიმწიფეს, ასაკოვან სიმწიფეს, ოსტატის სიმწიფეს, ტემპერამენტის ერთიანობას. ამიტომაც გადადიან უკანა პლანზე მისი პერსონაჟები, უთმობენ რა ადგილს პეიზაჟს. მაგრამ ამით ისინი კი არ იჩქმალებიან, პირიქით, უფრო მეტ წონას იძენენ და მნახველთა გაუნელებელ ყურადღებას იქცევენ.

ასეთია მისი ბოლო წლების ნამუშევრები. ესაა „დილა“, სადაც მთვლემარე ქუჩის ფონზე მეეზოვის პატარა ფიგურა მოჩანს; ესაა „გახსენება“, სადაც მწყემსი-ბიჭუნა საუკუნოვან ხეებქვეშ დგას; ესაა „იდგნენ და ელოდნენ“— სურათი ღრმა ტკივილით მოგვითხრობს ომის დღეებზე, როცა ქალები შიშით ელოდებოდნენ ფოსტალიონს.

უკანასკნელი წლების კამერული სურათები შეიძლება გაერთიანდნენ ერთი საერთო სათაურით — „მოგონება“. ესაა ის მთავარი, რაც დატოვა დაჟინებულმა ხსოვნამ გულისა, რაც დაყურსა ცხოვრების სისავსის შეგრძნებით და ერთ ამოსუნთქვად გაამთლიანა. მოგონებები შეფერილია შემოდგომის მწკლარტე ფერებით. წარმავალის სევდანარევი სიხარულით, რაც ქმნის ფერთა ჟღერადობასა და დაძაბულ სისავსეს. ყოველივე ეს გივი თოიძის ნახატებში გამოსახვის განსაკუთრებულ აზრს იძენს.

ადამიანისა და მისი გარემყოფი სამყაროს შერწყმა, ადამიანი და სამყარო — ესაა მთავარი გივი თოიძის ხელოვნებაში. აქედან დაიწყო მან და ამის ერთგულია დღემდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კობერიძე

ფიქრები საგამოფენო დარბაზში

მარტო მე არ შემინიშნავს ეს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ამბავი: ქალაქელი ბავშვები ზაფხულის არდადაგებზე სოფელში რომ ჩადიან, ერთბაშად ავიწყდებათ სახლის კარი — არც საუზმე ახსოვთ, აღარც სადილი; მადლობელი უნდა იყო, დასაძინებლად მაინც თუ დაბრუნდნენ თავისით, წელან მდინარეში ჭყუმპალაობდნენ, ახლა კი, აგერ, ეკლესიის ნანგრევებში ეძებენ რაღაცას — ის მარტო თვითონ იციან და ერთმა კიდევ ღმერთმა იცის, რაც აქვთ საძებარი. სულ ცოტა ხანი გაივლის და მერე გორაზე აცვივდებიან ჭერჩამოქცეული, ლიბომორღვეული ციხე-სიმაგრის კედლებზე სარბენად. სათოფურებიდან კენჭებს ისვრიან, ფერდობზე ქვებს აგორებენ — ყიჟინით იკლებენ იქაურობას, რაკი ჯერ უცხოა მათთვის ამ ნანგრევებით გამოწვეული სევდა-ვარამი... სოფლელი ბავშვებისათვის ტყე მაინც შეშა-ფიჩხია, სოკოა, არჯაკელი, ხიჩატელი; მინდორ-ველის, ტყე-ჭალის, ფშანის, ციხის ნანგრევის სურნელი, ფერი, ხმაური, დუმილი, მათი ორგანული ნაწილია, ყოველდღიური გზაბილიკია, ამიტომ შეჩვეული თვალი ამ სიკეთეს ვერ გრძნობს, აქედან: განცდაც ნაკლებია. მისი სილამაზე თუ სევდა მხოლოდ მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როცა სხვა გარემომოს შეხედავს, ანდა სიბერის ჟამს, უზრუნველი ბავშვობა რომ ექცევა გაუნელებელ ნატვრად და თვალ-გული წყდება უკან ყურებით... ქალაქელი ბავშვები სხვა ფერებს ხედავენ ტყეში, სხვა სიმშვიდეს, სხვა სილამაზეს, რაც სულ სხვა ფიქრს იწვევს, სხვა ოცნებას, სხვა გრძნობას, რასაც ქვა და ასფალტი ვერ იძლევა, ვერც საგანგებოდ მოვლილი დარაჯიანი ბაღი. ალბათ ამიტომ ვერ ჩერდებიან ერთ ადგილზე — ყველაფრის ნახვას იჩქარიან, ყველაფრის გაგებას; ალბათ მწვავედაც ამიტომ განიცდიან დამჭკნარი ყვავილის, ჩიტის ანგრეული ბუდის, მკვდარი პეპლისა თუ ჩამოხლეჩილი ტოტის ცოდვა-მადლს. განსაკუთრებით უყვართ შინაური ფრინველი და პირუტყვი. მაშინ თოჯინები აღარ ახსოვთ, ვინაიდან წიგნებით, კინოფილმებით, ტელევიზორით გაცნობილ, მოძრავ, ამეტყველებულ. მაგრამ მაინც უსულო საგნებს, ცოცხალი ცვლის: გამგონე, დამჯერე, ხელშესახები...

მშვენიერი სურათია: გოგონა სახედარზე წამოსკუპებულა, აქეთ-იქით მისი ტოლი სოფლელი, ჯანიანი ბიჭები დგანან: თითქოს იჭერენ სახედარს, თითქოს ეფერებიან. ერთ ბიჭს ხელი სახუმაროდ აუწევია. სამივენი იმ ასაკისანი არიან, საცაა ბუნება თავისას რომ იტყვის, ანუ საცაა სქესს იგრძნობენ და მორიდება, სიმორცხვე მიეძალებათ. ჯერ-ჯერობით კი გულუბრყვილობა აღბეჭდვიათ კეთილ, ნათელ სახეზე და წინ იხედებიან, ალბათ — სოფლელი ფოტოგრაფისაკენ, რომელსაც ყოვლის მცოდნე ხელოვნად მოაქვს თავი. მათ უკან სახლი ჩანს, სათივე და სოფლური სიმშვიდე, სურნელი ტრიალებს. მერე გოგონა ამ სურათს რომ დახედავს, ადვილი წარმოსადგენია, რა დღესაც დააყრის იმ ბიჭს, სახუმაროდ რომ აუწევია ხელი. მაგრამ სულ მალე გაივლის წლები, გაიზრდებიან, ფიქრს ისწავლიან, ჩასწვდებიან, იგემებენ ცხოვრების ავ-კარგს და აი, ეს სურათი უკვე მათი ბავშვობის კეთილად გასახსენებელი იქნება...

ჯემალ ხუციშვილის სურათზე გვაქვს საუბარი.

1966 წელს ჩვენი დედაქალაქის სამხატვრო გალერეაში მოეწყო თვითნასწავლი მხატვრების გამოფენა. ამ გამოფენაზე ჯემალ ხუციშვილის ოცდარვა ნამუშევარი გამოიტანეს და თვითმყოფადი მხატვრის სახელიც მაშინ დაენათლა. მაშინ ბატონმა ლადო გუდიაშვილმა საჯაროდ განაცხადა — „მეორე მოვლენაა საქართველოში": — პირველს ბუნებრივია, ფიროსმანაშვილს გულისხმობდა. მოგეხსენებათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი ლადო გუდიაშვილი ის კაცი არ გახლავთ, სახვათაშორისოდ რომ აბნიოს ამგვარი სიტყვები.

მას შემდეგ ჯემალ ხუციშვილის შვიდი პერსონალური გამოფენა მოეწყო: ხუთი მოსკოვში, ერთი — თელავში, ერთიც ფინანსთა სამინისტროს საგამოფენო დარბაზში.

ერთი შეხედვით თითქოს ხუმრობასავით ჩანს ასეთი თანმიმდევრობა: თბილისი, მოსკოვი, თელავი. მაგრამ მხატვრისათვის, ალბათ, სხვა სიხარული იყო, სხვა იმედი, თავის მშობლიურ ქალაქში მოწყობილი გამოფენა — ამ ადამიანების თვალითა და გულით შეფასებული ფიქრის, ყოყმანის, ეჭვიანობის ნაყოფი სულ სხვაა, უპირველესად მათ ეხებათ, მათი სულიერი სამყაროა, მათი მიდამო — თითქოს მათი შინაური საქმეა. მხატვარი მათ თვალწინ გაიზარდა, გაითქვა სახელი და ეს საერთო სიკეთეც უპირველესად მათ ეკუთვნით. ესეც არ იყოს, სიახლოვე ხომ გულწრფელობის დედაა!.. თელავს ამ მხრივ ნამდვილად დიდი ტრადიცია აქვს, სამისოდ ელენე ახვლედიანის გახსენებაც საკმარისია; ამ ტრადიციის დადასტურებაა ქეთევან იაშვილის უკეთილშობილესი მაგალითი, მთელი სიცოცხლის მანძილზე ნაგროვებ-ნალოლიავები განძი რომ უსახსოვრა თელავს.

ჯემალ ხუციშვილის შემოქმედებას ზოგჯერ ნაკლებ შესამჩნევად, ბინდბუნდად, ზოგჯერ აშკარად, მკვეთრად ეტყობა ფიროსმანაშვილის, კაკაბაძის, გუდიაშვილის გავლენა.

ჩვენი დიდი მხატვრების ასეთი თვალნათლივი გავლენა სულაც არ აკნინებს ჯემალ ხუციშვილის შემოქმედებას, პირიქით — ჩემს თვალში უფრო მაღლდება, რაკი ამაში ჩვენი ტრადიციის გაღრმავებას ვხედავ. ხელოვანი თუ თავის ეროვნულ ტრადიციას არ ეყრდნობა, თუ ეროვნულ ტრადიციაში არ აქვს ფესვი გადგმული, და შეიძლება მისი შემოქმედება რომელი ქვეყანაც გნებავთ იქაურ ხელოვანს მიეწეროს ანუ ამით არაფერი შეიცვლება — ვერავინ დამარწმუნებს, დიდი შემოქმედიაო. დიდი ხელოვანი თავისი მშობლიური ერის სიხარულის, სიმძიმილის, ტკივილის უშუალო ანარეკლია; ის უკვე სხვა ამბავია, სხვაც რომ მიიღებს ხოლმე თავისად; განზოგადოებას ან სილამაზე ქმნის, ან ისტორიული ბედით ნათესაობა, ანდა სულიერი სიახლოვე. ეროვნული ნიშანი, ხასიათი მარტო ადამიანების დახატვისას კი არ უნდა ჩანდეს, არამედ ლოდის, ხის, ბილიკის, სახედრის დახატვისასაც, თორემ ლოდი, ხე, ბილიკი, სახედარი ისეთივეა სხვაგანაც, როგორიც აქ არის — ჩვენთან.. ფიროსმანაშვილის დათვი ის დათვია, რომელიც მხოლოდ ჩვენს ტყეში შეგხვდება — ჩვენი მთვარის ქვეშ. ჯემალ ხუციშვილის ფურსა და დეკეულს, ნუ დაუწუნებთ ძებნას, ჩვენი მიწის იქით ვერაფერით ვერ იპოვით.

ტრადიციის გარეშე ხასიკეთო არაფერი შექმნილა. ბუნების კანონისა და ეროვნული თავმოყვარეობის კანონის თანახმად, ცაში გამოკიდებული უსაყრდენო ხხეული განწირულია დასაღუპავად, აქედან არარაობამდე კი უმნიშვნელო დრო და სივრცელა რჩება.

ჯემალ ხუციშვილის შემოქმედების უმთავრესი ღირსება მაინც ჩვენი დიდებული ფრესკების წყალობაა. ეკლესია-სალოცავებს დახავსებია კედლები; ზოგს სახურავზე ხე ამოსვლია, ჯერჯერობით მოზარდი, ჯანსაღი ხე; ზოგის ხეები საცაა დაბერდება — კენწეროდან შეპარვია ხმობა; ზოგის ხეები კიდევ უკვე გამხმარა. ეს მხოლოდ წარსულის ძეგლების უსულგულოდ მოპყრობის გამომზეურება არ გეგონოთ — მიწის სიშორის მიზეზია, უშუალო მიწისმოყვარული კაცის თვალით დანახული მიზეზი. მიწაზე არ დგას და ღონეც იმიტომ წაერთვა. ღონის წართმევა ხომ დაღუპვის უპირველესი ნიშანია, და არა მარტო ხეებისათვის!.. თუმცა სალოცავს ჩაცილებული, ჩახასველულად ჩაწეული მზე უფრო ბევრს გვეუბნება, ვიდრე კამარაჩამოქცეული ტაძარი. იქნებ ასე არ არის და, მარტო მე ვფიქრობ, ასე? რატომღაც მგონია, რომ ერთი სურათის ორნაირად და უფრო მეტად წაკითხვა მისი ღირსების ნიშანია. მაგრამ სურათსაც გააჩნია და წაკითხვასაც, თანაც არც ეს უნდა დაგავიწყდეს: დაფიქრებული ადამიანები გრძნობაზე არ კამათობენ! ადამიანს უპირველესად იმასთან შეხვედრა აღელვებს, რაც დაუკარგავს, ანდა რისი დაკარგვის საშიშროებასაც გრძნობს..

გაზაფხულობით, როცა მიწა იღვიძებს, ხოფელში უფრო მაშინ იწყება დავა მიჯნებზე. მაშინ ამჩნევენ, რომ ღობეა გამრუდებული ერთი გოჯით, ორი გოჯით, სამი გოჯით... მიწა გოჯი-გოჯ იზომება. ეს ღობე შემოდგომაზე გამოცვალეს, მაგრამ გამრუდება ახლაღა შეამჩნია, ახლა — მიწის გამოღვიძებისას — იწყება გაუთავებელი აყალ-მაყალი: გაწევ-გამოწევა, მუქარა, ჩივილი... ძნელია ჭეშმარიტების დადგენა — ყველას თავისი თავი ჰგონია მართალი: არც ერთი არ თმობს იმ ერთ გოჯს, ორ გოჯს, სამ გოჯ მიწას... გაზაფხულზე, ბუნება რომ იღვიძებს, მკვეთრად უფრო მაშინ იგრძნობა მიწის მადლი, ამაგი, სითბო, ფერი, გემო, სიცოცხლე. მაშინ ექიმები გვირჩევენ, ზომიერება, სიფრთხილე დავიცვათ ყველაფერში. ექიმებმა უკეთ იციან, ამ დროს რა ცვლილებასაც განიცდის ჩვენი ორგანიზმი. მაგრამ ჩვენს სულში რა ცვლილებებიც ხდება, ეს მხოლოდ ჩვენ ვიცით, მიწა ყველაფერია, მითუმეტეს, შენი მიწა. მიწამ გატანაც იცის, გამტყუნებაც, ღალატიც, ვედრებაც, დარდიც — ყველაზე დიდი მცოდნეა მიწა. ბრძენია მიწა. ადამიანი საოცრად ჰგავს თავის მშობლიურ მიწას — ღონიერი მიწის პატრონია და, თვი-

თონაც ლონიერია, ჯანიანი, ფერ-ხორცით სავსე; უნიათო, უღალო მიწის პატრონს თვითონაც ამ მიწის ულონობა, უნიათობა მოსდევს...

ბერიკაცი ცალ ფეხზე ჩამუხლულა („ვაზო, შვილივით ნაზარდო"). ვაზი სულ რაღაც ერთ გოჯ მიწას ჩასჭიდებია. ძირი მაგარი აქვს, ღონიერი, ეტყობა, მიწაში ღრმად არის გამდგარ-გაბორჯღილი ფესვებით. გგონია, თითქოს ვაზი კი არ არის ასე ამოსული — ეს მიწაა ასე წამოზრდილი, მტევნებსაც ამიტომ დაჰკრავს მიწის ელფერი...

ბერიკაცისთვის უმთავრესი მიწის ბარაქაა; არავის აყვედრის თავისი ჯანის დაცოტავებას, თავის ჩავლილ წუთისოფელს, ოღონდ წლისმოსავალი, მარჯვენა შეუქე. შეიძლება არც სწამდეს განგების ძალა, მაგრამ ჰაშნიკს რომ გაუსინჯავს ახალ ღვინოს, თავდაპირველად უეჭველად ამას იტყვის — ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალიო. რაც უნდა უმოსავლო წელი იყოს, არ შედრკება, მიწას მაინც არ უღალატებს, არასოდეს არ კარგავს მომავლის იმედს — ამ მხრივ მისთვის უცხოა ხელის ჩაქნევა. რამდენჯერ გამიგონია ნაღდი გლეხისაგან: „აი, შვილო, აეს წიწაკა, აეს კიდევ — წითელი ჰარხალი, ერთმანეთის გვერდიგვერდ არა სთესიაო?! მაგრამ ერთი მწარეა, მეორე — ტკბილი! არ ვიცი, რა მადლი და უმადლობა აძლევს ერთს სიმწარეს, მეორეს სიტკბოს!" ეს არ იცის გლეხკაცმა და გულწრფელად უკვირს. თუმცა ისიც საკითხავია, სხვამ ვილამ იცის ამ საიდუმლოს ახსნა? — ვარაუდი და გუმანი ხშირად შორს არის ჭეშმარიტებისაგან... ბერიკაცს მიწის საიდუმლო აოცებს, თავისი ძალა აოცებს. ბუნების ჭეშმარიტი კანონი აოცებს და კიდევ ის, რომ ასე საჭიროა ერისათვის.

ჯემალ ხუციშვილის შემოქმედებას ჩვენი ფოლკლორის შუქი ადგას: ნატვრა, სიკეთე, მოლოდინი, თუმცა მის შემოქმედებაში ვერ შეხვდებით ზღაპრის მკვეთრად გამოხატულ მოტივებს — ვერც გუდამოკიდებულ ნაცარქექიას, ვერც ფქვილით მოგანგლულ მეწისქვილეს, ვერც ვაგლახად დაღრეჯილ ბაყბაყდევსა და მაინც ზღაპრული სამყაროა... რატომღაც ისე გვგონია, თითქოს ზღაპრული სამყარო, მაინცდამაინც სილამაზის სინონიმია. ეს, რა თქმა უნდა, შეცდომაა, რაკი ზღაპარში საკმაოდ ბევრია უბედურება, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ყოველთვის კეთილია. ადამიანიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ ამის მოლოდინშია, სხვანაირად აზრი არ ექნებოდა მის ყოფას... ნებიერი ცხოვრება დუნეა, უიმედო, ამიტომ პროგრესზე ფიქრსაც არ გულისხმობს, ესე იგი, ერთ ადგილზე გაყინვის, განუვითარებლობის თავიდათავი საშიშროებაა. ჯემალ ხუციშვილის შემოქმედება, თემისა და აზრის ნაირფეროვნება, რაც მისი ნიჭისა და ცხოვრების ცოდნის საბედნიერო შერწყმაა, ცხოვრებისა და ზღაპრის სწორედ ასეთ გაგებას გულისხმობს. ჩემთვის, როგორც მხატვრობის რიგითი თაყვანისმცემელისათვის, უპირველესად ორიგინალური ხელწერაა მთავარი, სხვისგან განსხვავებული ხელწერა, რაც მხატვრისათვის უპირველესი მიზანი უნდა იყოს. თორემ ერთი მხატვრის ნამუშევარი, მეორეში რომ გვეშლება ხოლმე, მეტი თუ არა, ორივე არარაობაა... ბუნების ცვალებადობა განყენებულად არ არსებობს, ეს ცვალებადობა ჩვენით აღიქმება, ჩვენშია, ამიტომ მისი ხასიათიც ჩვენი შესამჩნევი, დასანახი და გადმოსაცემია. სხვათა და სხვათა პეიზაჟები რომ მინახავს, უფრო ფერთა სიჭრელე მომხვედრია თვალში, ვიდრე მისი მიზანი — განწყობილება. მაშინვე კონსტანტინე გამსახურდიას ნათქვანი გამახსენებია, როცა ფერადმა ფოტომ განვითარების მწვერვალს მიაღწია, ცოტა არ იყოს, უხერხულია ნატურების მხოლოდ სილამაზის გაგებით ხატვაო. ბუნება ფერთა უთავბოლოდ არევას ვერ იტანს — ბალის ხეხილიც კი ერთფერად არ ყვავის.

„ნუში ბებია" სწორედ ჩვენი ზღაპრიდან არის მოსული: მკაცრი, ოღონდ კეთილი; თითქოს რაღაცის ეშინია, რაღაცას თუ ვიღაცას ელოდება. ამ ლოდინში დაძაბულობაა — ფიქრია, ოღონდ საკუთარ თავზე არამც და არამც არ ფიქრობს; ეს ნამდვილი ბუნების თვისებაა, შინაგანი სამყაროა. გგონია, თითქოს საცაა შებრუნდება და უკვდავების ბალახის საძებნელად წავა. და შენც დარწმუნებული ხარ, რომ უეჭველად იპოვის, იპოვის და მოიტანს.

ტრადიციის ღალატი დამარცხების დასაწყისია. ტრადიცია თვალხილულიც არის და თვალთუხილავიც — შინაგანი, მთვლემარე, მაგრამ ყვირილიც იცის; ყვირილი საშველად ხმობისა, მისკენ გახედვის აუცილებლობისა. ეროვნული ნიშანი სწორედ შინაგანი ბუნების გამომზეურებაა...

ჯემალ ხუციშვილის შემოქმედება ძირითადად მაინც კახეთს უტრიალებს, მის ისტორიულ წარსულსა და დღევანდელობას: რაც ყველაზე უკეთ იცის, სწორედ მას ხატავს, თორემ აფრიკის პეიზაჟები რომ გადაეტანა ტილოზე, ანდა ჩრდილოეთიდან დაძრული აისბერგები, სხვაზე რა მოგახსენოთ და, მე ვერაფრით ვერ დავუჯერებდი ვერც განცდასა და ვერც სილამაზეს. შეიძლება ეს იმის მიზეზია, რომ საოცარი ძალითა ვარ მიჯაჭვული ჩემს მიწაზე.

ერთი შეხედვით, ჯემალ ხუციშვილის ნამუშევრებში შავი ფერი ჭარბობს და ამიტომაც, თითქოს, ხასიათის ერთფეროვნებაც უნდა იგრძნობოდეს. მაგრამ ამ ფერთა ერთნაირობაში იმდენი სხვადასხვაობაა, წარმოდგენაც კი ძნე-

ლია, იქნებ აქედანაც გამომდინარეობს მისი თვითმყოფადობა? ასეა თუ ისე, დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ჯემალ ხუციშვილის სახით ორიგინალური ტალანტის ხელოვანი გვყავს, რომლის შემოქმედებასაც თანდათან უფრო დაედება ფასი.

„ვაჟა", „მოქცევაი ქართლისაი", „პაპის იმედი", „ხელსაქმე", „ოსტატი", „მოხუცი", „შემოდგომა კახეთში", „საღამო სოფლად"... ძნელია ყველას ჩამოთვლა, რომლის შეხედვაც ბევრ რამეს გაგახსენებს, გაგრძნობინებს, განგაცდევინებს. ბრწყინვალე ნამუშევარია „კახელები".

„ნაფარეული" — სახლწინ, სკამზე მოხუცი ცოლ-ქმარი ზის, იქვე სახედარი დგას. სახლი ძველებურია, კრამიტით დახურული, ეტყობა ამ უკვე ღონემიხდილი მოხუცების ანაბარაა. შვილები ან ქალაქში გაექცნენ, ანდა — ომმა დაუჭამა. ძველებური ეზო-ყურეა, ძველებური გალავანი და ის სიმარტოვის ნაღველი, დარდი, ვარამი შენც გაწვება ლოდად... თუმცა: ამ სახლის კედელზე წითელი აფიშაა გაკრული, ძლივს რომ ალიქვამს თვალი. აი, ეს წითელი აფიშაა უფრო მეტის მთქმელი, ვიდრე სხვა დანარჩენი, აი, ეს აფიშაა მხატვრის გემოვნების, ნიჭის მადლი და მირონი!

„სამი პორტრეტი" — აქეთ-იქით გოგო და ბიჭია, შუაში — ფური. ფური თითქოს დედის შიშნარევი, მაგრამ ნათელი თვალებით იხედება. ნამდვილად ცოცხალია! შევხედე თუ არა, ვეგეტარიანელები გამახსენდნენ. ღმერთმა იცოდეს, ვინ არის მართალი, ჩვენ თუ ვეგეტარიანელები, თუმცა მე უფრო ლევ ტოლსტოისა მჯერა.

სხვათა შორის ხშირად პროზაულ ნაწარმოებსაც ვერ ვკითხულობთ ისე. ვერ ვიგებთ ისე, როგორც ავტორმა ჩაიფიქრა და დაწერა. მხატვრის ტილოების „წაკითხვისას" რომ დავუშვათ შეცდომა, გასაკვირი არ არის და არც მოულოდნელია. უპირველესად მაინტერესებს, ავტორმა რის გადმოცემაზე დაახარჯა დრო, ფიქრი და ჯანი, და უპირველესად ის, მე როგორ მესმის, რა მოვიდა ჩემამდე, რა განვიცადე და რა სიძლიერით; ამით ცხოვრება კი არ უნდა გამილამაზოს (ასე იყო მიღებული კარგა ხანს), არამედ საკუთარ თავთან უნდა შემახვედროს, საკუთარ ცხოვრებაზე უნდა დამაფიქროს, ბუნებაში ჩემი ადგილი უნდა დამანახვოს ამით. ნამდვილად დიდი ბედნიერებაა, როცა ავტორის ჩანაფიქრი და წამკითხველის სურვილი, აზრი და ფიქრი ერთმანეთს ემთხვევა.

ეკლესიათა სიჭარბეც შემთხვევითობას არ მიეწერება. რატომღაც მგონია, რომ ეკლესია თუ ეკლესიის ნანგრევები და ჩამავალი მზე, რომელიც ჯემალ ხუციშვილის შემოქმედების მოზრდილ ნაწილს მოიცავს, იმ რწმენას უსვამს ხაზს, რამაც აქამდე მოიყვანა ჩვენი ერი, ჩვენი ერის ასე გახმაურებული ღირსება. როგორც უნდა მოვიათეისტოდ თავი და დაბეჯითებით ვამტკიცოთ საწინააღმდეგო, ფაქტი ფაქტად რჩება მაინც: ქრისტიანული რელიგია პროგრესული მოვლენა იყო კაცობრიობის ისტორიაში. ისევ მისი წყალობაა ჩვენი ისტორიული არქიტექტურაცა და ლიტერატურაც.

ჯემალ ხუციშვილის შემოქმედებაზე ბევრი იწერება და ისტამბება. თითქმის წესად იქცა მის თვითნასწავლობას რომ გაუსვან ხაზი — ყოველი წერილის ამოსავალი წერტილი ეს არის. ამჟამად მხოლოდ ერთ წინადადებას მოვიტანთ: „ჯემალ ხუციშვილის შემოქმედების მთავარ დამახასიათებელ ნიშნად ისევ რჩება თვითნასწავლი მხატვრის უზომოდ დიდი გულწრფელობა". ყველაფერი ნათელია ჩემთვის, გარდა ამ „უზომოდ დიდი გულწრფელობისა". ვერ მივხვდი, ქებაა თუ ძაგება.

ალბათ, ის პოეტიც თვითნასწავლი იყო, ვინც ეს გენიალური ლექსი თქვა:

დედას უყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
იმითა გვტანჯავს გამჩენი,
სულ მუდამ გვაცოდვილებსა.

„არ გვახსოვსო", თუმცა სიტყვა „არ გვიყვარს" თავისუფლად თავსდება. მისი გენიალურობაც ამაშია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველი [illegible]

მშვენიერი უბრალოება

ნუგზარ შატაიძე. „მოთხრობები“, გამომცემლობა „მერანი“, რედაქტორი ლ. არაბიძე, 1979 წელი.

„გლეხი კაცი მომკვდარა და იმას დასტირიან ქალები“. — ასე მთავრდება ნუგზარ შატაიძის მოთხრობების წიგნი.

ჩვეულებრივი ამბავია, რადგან სიკვდილი იმისთვისაა, რომ ვიღაცა მოკვდეს, ხოლო ქალები მკვდარს ყოველთვის დასტირიან. მაგრამ ახლა ვიკითხოთ, სად მოკვდა გლეხი კაცი — ვენახში, კაკლის ქვეშ, თუ სადალაქოსთან, ჭერმის ხეზე ბურვაკის ხორცი რომ ჩამოკიდა გასაყიდად?

ორი ამონაწერი მოთხრობებიდან:

„სადალაქოსთან ხალხი მოგროვილა, ხის გრძელ სკამზე დინჯად სხედან ნაბდისქუდიანი, კისერდანაოჭებული ბერიკაცები... ფიქრში შესულნი ჩუმად უსმენენ ქალების ტირილს. ახალგაზრდებიც ბლომად ურევიან. ყველას ქორას სახელი აკერია პირზე“.

ქორა სოსანას შვილია, იმ ნაჯაფი გლეხკაცისა, ვენახში რომ მოკვდა და ახლა ქალები ცრემლით აპატიოსნებენ.

„ქვემოდან ტრიხის ბიჭი გამოჩნდება, ზურგზე ვეებერთელა, გასისხლიანებული ტომარა ჰკიდია და ხვნეშით მოდის.

— გამარჯობათ, ხალხო!

— გაგიმარჯოს, დაკალი ღორი?

— დავკალი...“

კომენტარი რაღა საჭიროა; ეს ადამიანის ზნეობრივი სიკვდილის შემაძრწუნებელი მაგალითია და ამის მერე ხდება მოთხრობის ფინალი, არა კონკრეტული შემთხვევის, ანუ ჩვეულებრივი ამბის გამომხატველი, არამედ ზოგადად სიკვდილის, როგორც ზღვარდაუდებელი საშინელების გამოცხადება თავისი შიშველი სახით; რომ ცალკე სოსანა დაგვანახოს და ცალკე ტრიხის ბიჭი. დაგვაფიქროს ერთზეც და მეორეზეც, გვაგრძნობინოს და შეგვაცნობინოს ცხოვრებისეული ორი ჭეშმარიტი სახე, დადებითი და უარყოფითი...

ძნელი საქნელია, წაიკითხო ნუგზარ შატაიძის წიგნი, დახურო, გადადო გვერდზე და სხვა საქმეს მიუბრუნდე. ეს არ ხერხდება. ამ წიგნთან ძალზე დიდხანს უნდა იყო, ხელახლა და კიდევ ხელახლა უნდა წაიკითხო. იგი იმ ჯადოსნური პურივითაა, ხოგაის მინდიას გუგულების ქვეყანაში რომ აჭამეს. (ხევსურული თქმულების მიხედვით) აილო ხოგაის მინდიამ მცირე ხმიადი, მოკბიჩა და გამთელდა ნაკბეჩი. ჭამდა შემდეგ დიდიხნის მომყმარი შეუსვენებლად, მაგრამ ვერც ძლებოდა და არც ხმიადი თავდებოდა.

ჭამდა კვლავ, კბეჩდა და მთელდებოდა ნაკბეჩი.

აქაც ასეა და არის მეორე ამბავიც.

ერთხელ იგორ სტრავინსკისთვის უკითხავთ: მუსიკას როცა წერ, რაზე ფიქრობო. არაფერზე გარდა იმისა, რომ მუსიკას ვწერო, — უთქვამს სტრავინსკის.

ასევე, ნუგზარ შატაიძის მოთხრობას როცა კითხულობ, არ შეიძლება კაცმა სხვა რამეზე იფიქრო, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, საქმე ისაა, რომ მათი წაკითხვის შემდეგაც ვერ იფიქრებ სხვა რამეზე. ამას რა ჰქვია, მოჯადოვება თუ რაღაც ამდაგვარი, ეგ არ ვიცი, ოღონდ ერთი კი ცხადია, ისეა აქ ყოველი სიტყვა ნათქვამი, იმდენად ახლობელი და სისხლხორცეულია ყველაფერი, რომ პირველი გრძნობა, რაც წიგნის კითხვისას გებადება, — გაოცებაა. მაგრამ გაოცება რაღაც საკვირველის და წარმოუდგენელის გამო კი არა, უბრალოდ გაოცება იმის გამო, რომ აგერ შუაქალაქში თითქოს უეცრად შემოგხვდნენ კარგა ხნის უნახავი ნაცნობები: დამბური და თრიოინა. გუდა-მგელი და ვირაბრამას ბიჭი, კვნიწს რომ ეძახიან... ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ერთი უნდა ითქვას: ცხოვრებისეული უშუალობა, ლაკონიზმი და მთავარი სათქმელის

შეუდარებელი მიგნების უნარი. რასაც უკლებლივ თითქმის ყველა მოთხრობაში ერთნაირი ოსტატობით აღწევს მწერალი. აქცევენ მის მოთხრობებს და ამ მოთხრობათა გმირებს, ყველასთვის ნაცნობ და ახლობელ სახეებად. ალიარებული აზრია, თუ მწერალი გადმოსცემს მკითხველისათვის ქვეშეცნეულად შესისხლხორცებულ ფიქრსა და განცდებს, ასეთი ნაწარმოები არამარტო მწერლის გამარჯვებაა, არამედ მიღწევაა საერთოდ ეროვნული ლიტერატურისთვისაც.

გადაჭარბებული ქება კარგი არაა, მაგრამ ვფიქრობ იოტისოდენადაც არ ვაჭარბებ. [illegible]გან მე მწერალს, ე. ი. ნუგზარ შატაიძეს კი არ ვაქებ, მხოლოდ მოთხრობების კითხვის დროს მიღებულ შთაბეჭდილებას ვუზიარებ მკითხველს და წერილის მოცულობა რომ მაძლევდეს საშუალებას, ალბათ კიდევ მრავალ თბილ სიტყვას ვიტყოდი, (შეიძლება უფრო დიდ ქებასაც), ამ მართალი, უტყუარი და მშვენიერი უბრალოებით სავსე მოთხრობების წიგნზე.

ალუდა არაბული

ახალი ინდოეთის მოაზროვნეები

„ახალი ინდოეთის მოაზროვნეები"
გამომც. „საბჭოთა საქართველო",
რედაქტორი ჯ. ასათიანი, გამომცემლობის რედაქტორი ლ. იმერლიშვილი, 1978 წელი.

ინდოეთი. ზღაპრული და უცხოობით გარემოსილი ინდოეთი. ოქროურიცხვი და სიმდიდრით ხწორუპოვარი, ევროპელთათვის აღთქმულ ქვეყნად მიჩნეული; და ინდოეთისაკენ მიმავალი საქარავნო გზები. დასაბამიდან მისკენ მიილტვოდნენ დედამიწის ყველა კუთხიდან. მიილტვოდნენ, საკუთარი თვალით რომ ეხილათ ეს ზღაპრული ქვეყანა, რაიმე წილი მაინც დაედოთ მის სიმდიდრეში. მაგრამ კულტურულ და შეგნებულ კაცობრიობას ინდოეთი იზიდავდა არა მარტო თავისი სიმდიდრითა და ოქროთი, არამედ უზარმაზარი სულიერი კულტურით, რაც მხოლოდ ინდოელ ხალხს გააჩნდა. ინდოეთში დაირწა კაცობრიული ცივილიზაციის აკვანი. ევროპელები ინდოეთში ეძიებდნენ იმ დიდ სულიერ საიდუმლოს, რაც ათასეული წლების მანძილზე ზრდიდა ინდოელ ხალხს, იმ სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს, რაც ასე მარად ჭაბუკს ხდიდა მას. ასე იყო ძველად, ასე იყო შუა საუკუნეებში, ასეა დღესაც. ის გამოულეველი სულიერი სიბრძნე, რაც ინდოეთმა მიუბოძა ქვეყნიერებას, ალბათ კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს აწოვებს ძუძუს კაცობრიობის მოწყურებულ სულს.

ამ თვალსაზრისით, კიდევ ერთი საინტერესო წიგნი შეემატა ქართულ ლიტერატურას. ეს არის თამაზ ჩხენკელის მიერ თარგმნილი და შედგენილი წიგნი „ახალი ინდოეთის მოაზროვნეები", რომელიც გამოსცა მთარგმნელობითმა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ. უნდა ითქვას რომ ინდური ლიტერატურით, რელიგიითა და ფილოსოფიით დაინტერესება საქართველომ ჯერ კიდევ უძველეს საუკუნეებში გამოხატა, როცა ითარგმნა ბუდას ცხოვრების ქრისტიანული ვერსია ქართულად. ეს გახლავთ „ბალავარიანი", რომელიც შეიცავს ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ამბავს. ამის შემდეგ არ შენელებულა ინტერესი ინდოეთისადმი, რამაც ყველაზე ცხადი გამოვლინება ჩვენს დღეებში ჰპოვა. ამ მხრივ, ნამდვილად დასაფასებელია ჩვენი ცნობილი მთარგმნელისა და ლიტერატურისმცოდნის თამაზ ჩხენკელის ღვაწლი (მან თარგმნა „ინდური საგალობლები", „ბჰაგავატგიტა", თაგორის „ბენგალია" და სხვ.) მაგრამ, აქვე ვიტყვით, რომ ის, რაც გაკეთებულია, ალბათ წვეთია ზღვაში. გასაკეთებელი კი ბევრზე ბევრია. ამ ხარვეზს ცოტათი ავსებს ზემოთ აღნიშნული წიგნი. წიგნში შესულია ისეთი დიდი ინდოელი საზოგადო მოღვაწეებისა და მოაზროვნეების ნაშრომები, როგორიც არიან ვივეკანანდა, აბხედანანდა, განდი, რადჰაკრიშნანი, ნერუ. აგრეთვე რომენ როლანის ნაშრომი, რომელიც ინდურ ფილოსოფიასა და რელიგიას ეხება. ცნობილია, რომ რომენ როლანი, მეოცე საუკუნის ერთი უდიდესი მწერალთაგანი, დიდად იყო დაინტერესებული აღმოსავლეთის (კერძოდ ინდოეთისა და ჩინეთის) კულტურითა და რელიგიის საკითხებით.

აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ ზემოთნახსენები მოაზროვნეები უპირისპირდებიან ერთმანეთს თავიანთი მსოფლმხედველობითა და თვალსაზრისებით, მაგრამ სწორედ ეს განსხვავებულობა გვაძლევს საშუალებას მრავალი კუთხით შევხედოთ (და შევეხოთ) ისეთ რთულსა და უცხო ფენომენს, როგორიც ინდური აზროვნება და რელიგიური სულია. ამიტომ მთელი წიგნი ისეა შედგენილი, რომ რაღაც გარკვეული წარმოდგენა მაინც შეუქმნას ქართველ მკითხველს, ყოველ შემთხვევაში, განსაზღვრული მიმართულება მისცეს. მიუხედავად განსხვავებულობისა და თვალსაზრისთა დაპირისპირებულობისა, წიგნი ერთი იდეითა და აზრით სუნთქავს: ეს არის გულისტკივილი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიება იმ დიდი ცივილიზაციის მიძინების გამო, რომელიც თვლემს ინდოელ ხალხში, და რომლის აღდგენასაც ცდილობენ არა კარჩაკეტილობით, არამედ მსოფლიო კულტურასთან ორგანული შერწყმით. ისინი ცდილობენ ინდოეთის უძველესი სულიერი ტრადიციები გადმონერგონ ახალ ნიადაგზე და შექმნან ის ახალი, რაც ინდოეთს კვლავ უდიდეს ასპარეზს გადაუშლის მსოფლიოსაკენ მიმავალ გზაზე. ამას აღიარებს ვივეკანანდა: „ინდოეთის ფიზიკური და მორალური დაძაბუნება, რაც რამდენიმე საუკუნე გრძელდებოდა, სულ სხვა მიზეზებზეა დამოკიდებული. მათი ფესვი კლიმატსა და სოციალურ წყობილებაშია, მაგრამ მისი თვითდაუნჯება... ჩვენს თვალწინ გადაიქცევა მისი ეროვნული აღორძინების წყაროდ. და ჩვენ ცოტა ხნის შემდეგ დავინახავთ, მოქმედების რა ცეცხლია დამარხული ამ ატმანში, რომელიც ათასი წელია, რაც მას გულით დააქვს. დასავლეთის ხალხებს — გარეგანის მჭვრეტელთ — მე ვუსურვებ საკუთარ წიაღში დაძებნონ აქტიური და ქმედითი „თვითდაუნჯების“ იგივე წყარო. თუკი ისინი ამას არ გააკეთებენ, მათი მყობადი არ იქნება შესაშური. დასაცავად მოხმობილი გიგანტური ტექნიკა დაამთავრებს მათს განადგურებას. მაგრამ მე არ ვღელავ. იგივე ძალებს ხძინავთ დასავლეთის სულის სიღრმეებში, დაღუპვის კვირაძალში ისინი აღდგებიან“. ამას გრძნობდა გოეთეს ნათელმხილველური გონება, როცა ამბობდა: „ახლა ჩვენ მსოფლიო ლიტერატურის ეპოქაში შევდივართო“. გოეთემ ეს მაშინ თქვა, როცა გაიცნო და დაუახლოვდა აღმოსავლურ კულტურასა და აზროვნებას; იგი აღტაცებული იყო მისი სიღრმეებითა და სულიერი აგებულების თავისებურებით. მას სურდა დაეკავშირებინა ერთმანეთისათვის დასავლური და აღმოსავლური აზროვნების გზები, შეეჭვარებინა ორი, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული კულტურა და მიეღო მსოფლიო ერთიანობის ერთი გზა, რომელიც იხსნიდა თანადროულ კაცობრიობას. ინდოეთისათვის უმთავრესი ყოველთვის სულიერი საწყისები იყო და ამ სულიერი ძირების მოძიება, ავტორების საერთო აზრით, დიდ სარგებლობას მოუტანს არა მარტო ინდოეთს, არამედ მთელს დასავლეთსაც, რომელსაც ყოფიერების შემეცნებაში მხოლოდ გარეგანი გზებისაკენ ჰქონდა მიქცეული მთელი ყურადღება.

ინდური რელიგია და ფილოსოფია არის სასინჯი ქვა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი კულტურული ერი; გვერდს ვერ აუვლის ვერავინ, ვისაც სურს მისწვდეს სულის უიდუმალეს და შეუცნობელ შრეებს. ინდური კულტურული და რელიგიური სული დახამშია იმ დიდი ცივილიზაციისა, რომელმაც შეაღწია თავისი ძირებით ჩინეთშიც, ეგვიპტეშიც, საბერძნეთშიც, აქედან კი — მთელს დასავლეთ ევროპაში. ინდურ სულში ჰპოვა დასაბამი ჩინელმა ბრძენთა-ბრძენმა ლაო-ძიმ, რომელმაც თავის წიგნში „დაო დე ძინი“ დაუფარავად იქადაგა ინდუიზმისა და ადრეული ბუდიზმის მოძღვრება; ყოველივე ეს კი ერთად აღებული ორგანულად დაუკავშირდა ადრეულ ქრისტიანული მოძღვრების ორთოდოქსალიზმს. დასავლეთ ევროპის უდიდესი მოაზროვნეები მოხიბლულნი იყვნენ ბრახმანიზმითა და ბუდიზმით, აგრეთვე ინდური ფილოსოფიის სხვადასხვა შენაკადებით. ყველაზე საუკეთესო ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ არტურ შოპენჰაუერი, რომელმაც თავის უმთავრეს თხზულებაში „სამყარო როგორც წადილი და წარმოდგენა“ მრავალი ბრწყინვალე ფურცელი მიუძღვნა ინდურ რელიგიურ სულს, და ბევრ რამეში დაესესხა კიდეც მას თავისი მოძღვრების გასამაგრებლად.

ინდოელი ხალხის გენიისაგან კაცობრიობა დავალებულია მრავალი ფილოსოფიური პრობლემის დაყენებითა და დამუშავებით, რომლებიც დღესაც აღელვებს ადამიანთა გულებს. ყოველივე ეს მთელი სიღრმით არის წარმოჩენილი ვედანტურ თხზულებებში (კერძოდ: სამხიტებში, ბრახმანებში, არანიაკებში და უპანიშადებში), „მაჰაბჰარატაში“, „რამაიანაში“. თითქმის ყველა ავტორი მსჯელობს ამ თხზულებათა შესახებ და მათ მსოფლიო უდიდეს თხზულებათა გვერდით აყენებენ. მართალია ისინი გვიან გახდნენ ცნობილი დასავლეთ ევროპელთათვის (XVIII—XIX სს. მიჯნები), მაგრამ ისეთივე ადგილი დაიმკვიდრეს მათს ცნობიერებაში, როგორც გილგამეშის ეპოსმა და ჰომეროსის უკვდავმა პოემებმა, დანტესა და შექსპირის თხზულებებმა. მას შემდეგ არ შენელებულა ლტოლვა ინდოეთის კულტურისადმი.

მთარგმნელის დამსახურება ის არის, რომ წიგნიდან დარბაისლური ქართული ენით გვესაუბრებიან ინდოელი მოაზროვნეები თავიანთ ღრმად ეროვნულ და უნივერსალურ თვალსზრისებზე. ქართველი ერი კულტურული და სულისმიერი ერია და თუკი მას სურს მისწვდეს საერთო კაცობრიულ სულს, აუცილებლად უნდა ეზიაროს ინდოეთის ლიტერატურას, კულტურასა და ფილოსოფიას, ინდური „მოაზროვნე სულის“ სრულქმნილებას. ამ უდიდეს საქმეში თავისი მცირე წვლილი ამ პატარა წიგნსაც შეაქვს.

ᲚᲔᲠᲘ ᲐᲚᲘᲛᲝᲜᲐᲙᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიმედო ნაბიჯები

ბორენა ჯაჭვლიანი, „მინდვრის სიზმარი“, გამომცემლობა „მერანი“, რედაქტორი მ. ჯაფარიძე, 1979 წელი.

ბორენა ჯაჭვლიანის პირველ წიგნში ერთმანეთის გვერდით ვხვდებით ვერლიბრსაც და რითმიან ლექსსაც. ფორმის ასეთი მონაცვლეობა სრულებითაც არ ნიშნავს საკუთარი მყარი შემოქმედებითი პოზიციის უქონლობას. ჩემი აზრით, ეს კანონზომიერი მოვლენაა. სათქმელი ზოგჯერ რითმიან ლექსში ითხოვს მხატვრულ ხორცშესხმას, ზოგჯერ ვერლიბრში და წინასწარ აკვიატებული კაპრიზის გამო ერთზე ან მეორეზე უარის თქმა საბოლოო ჯამში ხელოვნურობის, ნაძალადეობის შეგრძნებას გვიტოვებს.

სასიხარულოა, რომ ბორენა ჯაჭვლიანის ლექსებში საკმაო პროფესიონალიზმი ჩანს. იგი კარგად იცნობს ქართული ლექსის ბუნებას, ერთნაირი ძალით ფლობს ვერლიბრსაც და კონვენციურ ლექსსაც, და რაც მთავარია, რა ფორმითაც არ უნდა წერდეს, ყოველთვის გულწრფელი და მართალია. იგი უბრალოდ, სადად გადმოგვცემს სათქმელს, განწყობილებას, უფრო აზრის ზუსტად გადმომცემი სიტყვის ძიებაშია. თავს არიდებს მაღალ რეგისტრებს, მეტწილად მშვიდი, ჩუმი ინტონაცია იტაცებს: „გათიბულ მინდვრებს ესიზმრებათ — ფერადი მძივით მოქარგული ჭრელი ქათიბი... გათიბულ მინდვრებს ესიზმრებათ გაუთიბავი, გრილი სათიბი.. გათიბულ მინდვრებს ესიზმრებათ — ყვავილების ჭიაკოკონა, მათ ესიზმრებათ შროშანასავით ნაზი გოგონა, პეპლის ფრთები და კალიების გაბმული ზარი... გათიბულ მინდვრებს ესიზმრებათ გაუთიბავი სათიბის ქარი...“

პოეტი შეგნებულად ირჩევს რბილ ფერებს, ეს უფრო ესადაგება მისი ლექსის ხასიათს, მის სტიქიას.

ამ კრებულის ავტორის ვინაობაც რომ არ ვიცოდეთ, ლექსების წაკითხვით აუცილებლად მიხვდებით, რომ მათი დამწერი ქალია. იმდენად ფაქიზი და მოკრძალებულია წიგნის კილო: „„დედა ბილიკები ავათავე, მალე შუა გზამდე მივალ, ქვეყნად შენი მადლი დამატარებს, ქვეყნად შენი ბორცვი მტკივა. მიაქვთ ბნელ ღამეებს მონატრება, როგორც საჩუქარი წელთა. ყოველ გაზაფხულზე მემატება შენი სასაფლაოს სევდა.“

ბორენა ჯაჭვლიანს აინტერესებს მთლიანი, დასრულებული განწყობილების შექმნა. პოზა, ხელოვნური დეკორაციები და ბუტაფორიები მისთვის უცხოა. ის კარგად ახერხებს განცდილისა და ნახულის შეულამაზებლად, გაუზვიადებლად გადმოცემას და მკითხველამდე მიტანას. მისი ფრაზა ლაღია, პოეტური თხრობა თავშეკავებული და გამოზომილი.

ბორენა ჯაჭვლიანის წიგნში რაღაც ქალური სისუფთავე და წესრიგია, მე ვერ ვნახე აქ ხმამაღალი, პათეტური ლექსი, ან უხეში მამაკაცური კილო, რომელიც ზოგიერთი ჩვენი პოეტი ქალის ნაწარმოებებს ახლავს ხოლმე და რომელმაც არ შეიძლება არ გაგაღიზიანოს.

ჯაჭვლიანის ლექსები „წყნარ,“ „უხმაურო“ პოეზიას განეკუთვნებიან. მისი ლექსი, ხშირ შემთხვევაში, საკუთარ ფიქრთან და ტკივილთან, შინაგან „მე“-სთან დიალოგია.

ცხოვრებისეული ნაღველიც არ არის უცხო ჯაჭვლიანისათვის, მაგრამ აქაც იგრძნობა ზომიერება, თავშეკავებულობა, დარდი სენტიმენტალიზმში არ გადადის: „გამოჩნდა ჩემი მეგობარი-ოქტომბერი, განბანილი ყვითელი სიზმრებით და მოიტანა გალობის ხმა იისფერი და გამჭვირვალე... ის ფრთებდატეხილ სიყვარულს ჰგავდა, რომელსაც ისევ შერჩენოდა მზის ქვეშ ნაწოლი მინდვრების სითბო და სურნელება პურის ყანების“.

კრებულის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსად მიმაჩნია „ამა-არ-გი“. ამღერებული რიტმი, ნათელი განწყობილება, მეტაფორული მეტყველება ერთმანეთთან კარგადაა შეზავებული. ამა-არ-გი ავტორის განმარტებით, შუმერული სიტყვა ყოფილა და დედასთან, თავისუფლებასთან დაბრუნებას ნიშნავს.: „ამა-არ-გი“-გვირილისფერი მინდვრების დასიზმრება მაცალე: გაზაფხულის წვიმები ამიცეკვე თმებზე; შენი ხელის შეხებით ისევ გამაცოცხლე, ანდა სხივებად დამკიდე მზეეებზე...“

ავტორის ლიტერატურულ კერპებად აქ სამი პოეტი გვევლინება: ანა კალანდაძე, ანა ახმატოვა და მარინა ცვეტაევა. სამი განსხვავებული ხმის პოეტი, სამი სხვადასხვა სამყარო, მაგრამ ერთი დიდი სასწაულით — ჭეშმარიტი პოეზიით გაერთიანებული. ალბათ სამივესათვის საერთოდ შეიძლება ჩათვალოთ ის სიტყვები, რომლებსაც ცვეტაევისადმი მიძღვნილ ლექსში ვკითხულობთ: „ო, თქვენ ეწამეთ თუ წამება გსურდათ, რა თქმა უნდა, ლექსებს როდესაც წერდით? — ლექსები? ლექსები მოდიოდნენ სულთან, ტანჯვით, ნეტარებით, უსასრულო სევდით..“.

ჯაჭვლიანს რამდენიმე ლექსი აქვს სიყვარულზე. დღეს ცოტა იწერება ამ თემაზე არა მარტო ჩვენთან, არამედ საერთოდ.“ **Литературная газета**“-ს ფურცლებზე კამათიც კი გაიმართა ამის გამომწვევ მიზეზებზე. თითქოს თანამედროვე ადამიანმა დაკარგა რომანტიული, პოეტური გაგება სიყვარულისა. ვინც რა უნდა თქვას, ერთი რამ ფაქტია: სანამ იარსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს პოეზია, იარსებებს ამაღლებული, სათუთი დამოკიდებულება ამ ღრმად ადამიანური გრძნობისადმი. ამ თემაზე დაწერილი ლექსებიდან საინტერესოა „ოფელიას დღესასწაული“, „მარტოობა“ „...გამოიგონე ჩემთვის რაიმე...“

როცა წიგნის კითხვას შევუდექი, რატომღაც მოველოდი, რომ მასში მეტი ადგილი დაეთმობოდა პოეტის მშობლიურ კუთხეს — სვანეთს, მის ფოლკლორსა და მითოლოგიას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

სასურველი იქნებოდა თუ პოეტი შემდგომში მეტ ყურადღებას მიაქცევდა ამ თემას. თანაც ეს ალბათ მეტ კოლორიტულობასაც შემატებდა მის ნაწარმოებებს.

ავტორი, ჩემი აზრით, უნდა მოერიდოს ისეთ ლექს-ფრაგმენტს, რომელიც ცალკე აღებული ვერ ქმნის სათანადო ესთეტიურ ღირებულებას: „ნუ გაიკვირვებ შენთან დარჩენის ჩემს ლამაზ სურვილს: განა ყვავილნი არ რჩებიან — მინდორში რათა — მოაფერადონ სიზმრები მისი?“ ან კიდევ: „ზაფრანისფერი სიზმრების მერე: აგდია ცაზე სიხარულის ვეება ლაქა — მზე — მონატრება.“

ბორენა ჯაჭვლიანი ჯერ კიდევ ძიების პროცესშია. ეს წიგნი სრულ უფლებას გვაძლევს მის პოეტურ მომავალს იმედიანი თვალით შევხედოთ.

ვახტანგ ხარჩილავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატირა
იუმორი
პაროდია

ტიკ-ტიკ

საახალწლო სუფრასთან

წელს მოწეული ღვინით და
ჩაით გავავსებ ამ ყანწებს
და მოგილოცავთ ამ ათას
ცხრაას ოთხმოც წელს — ახალ წელს!
ახლა მხატვარი არ ხატავს!
ახლა მწერალი აღარ წერს!
სხედან ცისფერი ეკრანის
წინ, და ელიან ახალ წელს!
ამ მოხუცებს და ამ ბავშვებს,
ამ ქალებსა და ამ კაცებს —
ყველას გილოცავთ ამ ათას
ცხრაას ოთხმოც წელს — ახალ
წელს!

ყველა სათქვენო სურვილი
რას დაეტევა ქაღალდზე!
ამიტომ — მენდეთ უბრალოდ:
ყველას გილოცავთ ახალ წელს!

ირაკლი აბაშიძე

შენ საქართველოს უჩვენე საქმენი საგმირონია!
მთლად საქართველო გილოცავს, და, კერძოდ, შენი
ხონია!
ამდენ გმირებში გმირობა ადვილი ნურვის ჰგონია!
ჩვენ ნუ მოგვაკლოს ირაკლის სიბრძნე, სიგრძე და
დონია!

ნოდარ დუმბაძე

რა გითხრა და რა გისურვო,
ნოდარია დუმბაძე?
დრო არასდროს დაგეკარგოს
სისხლის გადატუმბვაზე!

მარად ისმის მარადისი:
წერა, ძამა, ძნელია!
ვდგავართ, გიცდით! კარგად იცი,
დღეს ახალი წელია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა მაღრაძე

რაღა ვუთხრა ელგუჯას? —
მეც დავუწერ ერთ გუჯარს:
მიათვალოს „ციხკარი“
მის საქმოს და ერთგულ ჯარს!

გვინდა წიგნი ქართული
ისე გამოცემული,
„სკირაც“ და „გალიმარიც“
დაგვრჩეს გაოცებული!

თბილისის „დინამო“

თუმც წავაგეთ, მაინც ვფიქრობ,
რომ „ფუს ბალი“ ჰამბურგული,
ისე, როგორც „ლივერპული“,
არის ცოტა გაბუქული!

ვიცი, შიში აღარა გაქვთ
არც დალგლიშის, აღარც კალტცის!

მიდით! თქვენ და თქვენი ღმერთი,
თქვენ და თქვენი ახალკაცი!

ჰა, ბურთები — „ადიდასი!“
ჰა, ტრუსებიც — „ადიდასი!“
ორი თასი რას გვეყოფა!
ძმებო, გვინდა ათი თასი!

მაია, ნონა, ნანები

თუ არც ფიშერი არა გვყავს,
და არც ლაიოშ პორტიში,
ამისთვის, ქართველებისგან,
ძალიან დიდი ბოდიში!
სამაგიერო, სხვას ვის ჰყავს
მაია, ნონა, ნანები,

ერთად ამდენი ვარსკვლავი,
მოკაშკაშენი „ნა ნებე!“
თუმცა არა გვყავს ლისტონი,
არც კიდევ — მუჰამედ ალი,
სხვას ვის რგებია თქვენდენი
ოქროს და ვერცხლის მედალი!

რევაზ ყარალაშვილი

რევაზ, ჰესე იგი ბუბა ყარალაშვილმა დაწერა მრავალი სტატია და ჰესე, სადაც განხილულია დიდი გერმანელი მწერლის ჰერმან ჰესეს შემოქმედება.

ნეტავი რა დაგიშავა,
ქვებს რომ ესვრი, ბიჭო, ჰესეს! —

ასე გადააკეთა მან ცნობილი ლექსი.

ჰესიოდეს და ჰომეროსის მსგავსად, მან მოახერხა, ჰესეოდენ მოკლე დროში დაეწერა მშვენიერი ჰესე ჰესეს შესახებ.

მთელ საქართველოში არ მოიძებნება უკეთესი სპეციალისტი, ვინემ რევაზ, ჰესე იგი ბუბა ყარალაშვილია. ის კი არა და, არც ჰესპანეთში ყოფილა უკეთესი ჰესეოლოგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგა ლორთქიფანიძე

ერთი გიგა — გიგაა და
ბევრი გიგა — გიგანი!
შენ ხარ ჩვენი თეატრის და
ჩვენი კინოს კ ი გ ა ნ ი!

ამირან შალიკაშვილს

პანტომიმის ნამდვილ მამას —
კარგად ვიცნობ მარსელ მარსოს!
ამიხსენი, თუ კაცი ხარ,
როგორ ბაძავ მასე მასო!

გოგა შხვაცაბაია

ცნობილია: წყალს ყოველთვის
არ მოიტანს კოკა!
მხატვრობაშიც: წყალს არასდროს
არ მოიტანს გოგა!

მეტრი არ ვარ, ამ საკითხზე
რაღა გითხრა მეტი!
სხვებისაზე მეტი არი
შენი მონუმენტი!

ლექსო თორაძე

გინდ დავიფიცებ ოთხთავზე,
გინდ დავიფიცებ თორაზე:
ნამდვილი გენიოსია
ალექსი (ლექსო) თორაძე!

სულ მიყვარს, რასაც შენ უკრავ,
მაგრამ, ვით პროკოფიევიჩს,
ერთი მწამს გამორჩეულად:
სერგეი პროკოფიევი!

გივი ბეგეჭკორი

ყველა შაირს აშრიალებს!
ბეგეჭკორი გივი კი
ხან — რემბოა,
ხან — მიშოა,
ხან — შარი და გილვიკი!

ნაწყვეტები რუსთაველის თეატრიდან

იზა გიგოშვილი

„სამგროშიან ოპერაში"
აგროვებდი გროშებს!
„კავკასიურ ცარცის წრეში"
გააცოცხლე გრუშე!

ნამეტანი აიწია
გიგოშვილის ფასმა:
ის დრო არი, ასრულებდეს
თინათინს და ასმათს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟანრი ლოლაშვილი

ახალი მაქსიმა, შექმნილი ვოლტერის გავლენით

ყველა ჟანრი კარგია, გარდა
ლოლაშვილისა!

რობიკო სტურუა

მეც ვიცოდი, რობიკო
ბრძენი კაცი რომ იყო!
მაგრამ, ძმაო რობიკო,
სულ ბრეჰტი და ბრეჰტი?
„ეხ, ტი!“

რამაზ ჩხიკვაძე

სხვებს — თითო მისცეს პრემია? —
უნდა მიგეღო შენ ორი,
რადგან შენ, გარდა ყველაფრის,
ხარ დიდებული ტენორი!
ყელს უჩივისო, ამბობენ!
ნახე, თუ ძმა ხარ, წოპე, რა!
ვინ იცის, იქნებ სულ მალე
დასჭირდე ქართულ ოპერას!

ეროსი მანჯგალაძე

გაიხაროს შენმა გულმა,
სულ იჩქროლოს შენმა სისხლმა,
სულ ესმოდეს საქართველოს
საყვარელი ეროსის ხმა!

ზინა კვერენჩხილაძე

ვინც ვერც მედეამ მოხიბლა,
ვერც კიდევ ანტიგონემა,
იმ ხალხს, გონების მაგიერ,
ჰქონია ანტიგონება!

ლენა ყიფშიძე რუსთაველელებს

— აი, მეხიკო დაგაყარეთ მაგ
ნიჭიერ თავზედა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენს ახალგაზრდობას

მოგვილოცავს, მეგობრებო,
ქვეყნის უმაღლესი ჯილდო!
უნდა ახალ სიმაღლეებს
ძველებურად შეეჭიდოთ!

კვლავ იომოთ! კვლავ იშრომოთ!
მუხლი არც წელს ჩაიკრიფოთ!
ჰესი აგოთ! ჰესი აქოთ!
ვაზი სხლათ და ჩაი კრიფოთ!

უნდა ფიცი შეასრულოთ,
მამულისთვის მიცემული!
თქვენთანა ვარ ალავერდი
ყანწით გალიცლიცებულით.

შეცდომის გასწორება

ჩვენი ჟურნალის მეთორმეტე ნომერში, 116-ე გვერდზე, წერილის „საქართველო ბასკის თვალით“ ავტორების სახელი და გვარი უნდა იკითხებოდეს ასე: „იური ზიცარი, გივი ნებიერიძე“.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, ხაკორექტორი — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 19. 11. 79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7. 1. 80 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 2887. უე 00601. ტირაჟი 39.600.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

9955

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76236

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ